

114 /
1952 / 2



მნათობი

4

სსსრკ



1952

მნათობი



ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

სამართველს საბჭოთა მწერლებს ქავერის ორგანო

წელიწადი ოცდამეცხე

~~150763~~
5119

4



★

აკრივი

19

საბოლგაში
თბილისი

52

სამართველს
აკრივი
საბოლგაში
თბილისი



შალვა ღაღინი — შეჯიბრებუ, რომანი, ვაგრძელუბა	36
მიხეილ ქვლივიძე — ორი ლექსი	38
ნაზიმ ჰინძეშვილი — შეგობრობა, ვაგრძელუბა	66
ნაზიმ ჰინძეშვილი — მე ვფიქრობ შენზე, ლექსი. თარგმანი ოთარ კუპრავასი	70
ბივი ბოგინაიშვილი — ჯილდო, მოთხრობა	74
დავით ბაბრძე — გმირთა სისხლით, ვაგრძელუბა	100
ა. ბარნაძე — ქართული თქმულება, პოემა, თარგმანი ვასილ ბაიბაძისა	107
ბ. ბილაშვილი — სამი ბიგეტეჟი, მოთხრობა. თარგმანი ერ. ტორი-ტაძისა	116
მიხეილ დავითაშვილი — სიუჟეტის ველი, ნარკვევი	125
ლაშვარაძე ქალანდარი — ვიორჯი ქუჩიშვილი, წერილი	133
მხატვარი ბიძინაძე — ახალი მნიშვნელოვანი გამოკვლევა ადრინდელ-ფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ, წერილი	138
მ. თუშუაშვილი — გ. შატბერაშვილი „მტკერის სათაისიკენ“, ბიბლიოგრაფია	140
ზურაბ მუხომბერიძე — რ. ჯაფარიძე „ხევის პატარძალი“, ბიბლიოგრაფია	143
ნოდარ კუპრავა — პ. ლორია „ნაირა“, ბიბლიოგრაფია	146
თ. თევზაშვილი — ნინო დოლიძე „კადრები ახალშენზე“, ბიბლიოგრაფია	148
ბ. მახარაშვილი — ეპიკონ რუსიძე „სარფს ვალმა“, ბიბლიოგრაფია	150
შალვა ალხაიშვილი — შალვა კაშმაძე „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი“, ბიბლიოგრაფია	155
კ. რატიშვილი — ნინო ჩხეიძე „მოგონებანი“, ბიბლიოგრაფია	157
გოსთა ძიძიგაძე — „ლიტერატურული ძიებანი“, ბიბლიოგრაფია	ვარგანის მე-3 გვ.
ახალი წიგნები	

რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეჯია

ნიმუშობა ახალი წიგნი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა რაღინი, ლეო ჭიბაძე, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხიძე, სარბი შილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/111-52 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10 ფ. ში 00944. შეჯ. № 140. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამოცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომპინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат Печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР. Тбилиси, улица Марджанишвили № 5.

მენჯი-რობე

რომანი *

★

ვახშმად დიდი ქეიფი გაჩაღდა. ახლადდანიშნულები სუფრის თავსა და ბოლოში ერთიმეორის პირდაპირ დასხეს. რიაბინინას ბარონესა ამოუჯდა და მის გვერდით კიდევ სიცილ-ხუმრობით, სხვას არ დაანება ადგილი და, ეკოცი-მილი დაჯდა. მეორე მხრით, ბეგის გვერდით, ვამეხი მოთავსდა, თოლის-ქვამთან თვითონ ნექტარინა და ლევარსის გვერდით ბარაში. დანარჩენი ადგილები სტუმრებს ეპირათ — უცხოელებს, ვოლკოვს, დამგარას და შინაურებში თედორე მღვდელს და გუტატის. ძილხანი, კესარია და დესი კვლავ სუფრას ემსახურებოდნენ, სხვა გოგო-ბიჭებს კი მოჰქონდათ სანოვაგე, ლეინოები და კესარიას და სხვებს აძლევდნენ სუფრისთვის.

თოლისქვაში ძალიან კარგად მოერთოთ, მაგრამ თვითონ კი ისე იყო გაქვავებული, თითქოს სასიკვდილოდ არის განწირული.

მთელი ვახშმის განმავლობაში ერთი ხმა არ ამოუღია, ერთი არ გაუღიმა, მხოლოდ, როდესაც ნექტარინა წაჰკარავდა მუჯლუგუნს, საჭიროების დროს ლევარსისთან ერთად ფეხზე დგებოდა და სადღეგრძელოებს თუ საჩუქრებს ღებულობდა.

ნიშნობის დროს საჩუქრები არც თუ ისე იყო მიღებული. ესრეთ წოდებული „თავგადასადგები“ უფრო ჯვარის წერის დროს იცოდნენ, მაგრამ ნექტარინ-

ნამ მოისურვა რაიმე მაინც ეძღვნა ორ-თავე წყვილისათვის და ამას სხვებიც აპყენენ იქა-აქ, თუმცა ამისათვის მოუშაადებული იყვნენ.

ნექტარინამ თოლისქვამს მხოლოდ ეს უთხრა: შენი მზითვეი ხომ ჩემზეა და ჩემზე, ჯვარის წერის დროს ნახავ, როგორც დავასაჩუქრებო, ლევარსის კი ერთი საუცხოო ქარვის კრიალოსანი ვადასცა, როგორც ნიშანი დარბაისლობისა. იცოდა, რომ ვაჭრებს უყვარდათ, კრიალოსნები. შეიძლება ზოგიერთი თავისი შემოსავლის პროცენტებს ამითაც ანგარიშობდა. სამაგიეროდ, რიაბინინას მიაართვა ერთი ძველებური ოქროს ბეჭედი, რომელსაც იქა-აქ ძვირფასი პაწია თვლები ჰქონდა ჩასმული და სულ ერთიან გვირგვინისებურად იყო მოყვანილი.

რიაბინინამ დიდად გაიხარა ამ საჩუქრით და თითქმის მთელი ვახშმის განმავლობაში ხან ერთ თითზე წამოიცივამდა, ხან მეორეზე, ხან წინ დაიდებდა და უკვირდებოდა, ხან ხელში ატრიალებდა. როდესაც ვამეხისაგან გაიგო, რომ ეს ბეჭედი ძველი, ქართული ნახელოვნევი იყო, კიდევ მეტი კმაყოფილება იგრძნო.

ნექტარინამ, როგორც კი ეს საჩუქრები დაარბო და გაჰკოცნა დანიშნულები, წარმოსთქვა სადღეგრძელო და ერთი მომცრო ყანწი გამოკალა, თან იმერული საერო მანგით მრავალყამიერი დაიწყო.

* გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 3.

ამ ხმის გაერუნებაზე ეკოციმილი წამოვარდა თავის ადგილიდან, იქვე ახლო მდგომ ბათუს ხელი წაავლო, ორივე ნექტარინას თავს დაადგა და სასიძლერო სამივემ მწყობრად შეასრულა.

ნექტარინას სიმღერა ყველას მოეწონა, უცხოელებსაც კი, რადგანაც მას ხმის ტემბრი ჰქონდა მეტად მომჯადოებელი, საამური კონტრალტო, რაც მის ხანდაზმულობას ჯერ კიდევ არ დაეზიანებინა.

სუფრაზე საერთო მოწონების ხმა გაისმა. ზოგს „შენი ჰირი შემეყაროსო“ — ესეც კი წამოსცდა. მომსწრეებმა გაიხსენეს, რომ ერთ დროს ნექტარინა განთქმული მომღერალი იყო ქართულ სუფრაზე.

საჩუქრებში ბარონესამ თოლისქვაშს თავის მკერდიდან აიხსნა და მშვენიერი ბრილიანტის გულის ქინძისთავი აჩუქა. რიაბინინას კი მხოლოდ აკოცა ვითომდა იმის ნიშნად — ჩვენ შინაურები ვართ და მოვახერხებთ მომავალშიც შენს სიამოვნებასო.

ბარამმა ყანწი ჩამოართვა ნექტარინას და თავის მხრით მისი ცოლის ნაქონი რახტი აჩუქა. ეს იყო ძველებური ქალის უნაგირი, მოვერცხლილი მოსართაევბით, საძუე და სამკერდეთი, მდიდრულად შემკული. თან დასძინა: „ხეალ მოგართმევთო“.

ამაზე დიდად შეწრაილდა ეკოციმილი:

— რა ექნა, ამჟამად ხელცარიელი ვარ, ასეთ ამბავს არ მოველოდი და ამიტომ ახლა მხოლოდ შაირებს გეტყვით ორივე წყვილს:

— თქვი, თქეო, — მიაძახეს და იმანაც დაიწყო.

აღდგომა დღეს ნიშნობა გვაქვს,
გვიბოვდება მარინა,
ქნიაზ ბეგიმ ის წაგართვა...
მუშო მოკო მარინა 1.

ლევარსიძე ეს რა გვიყო,
მიყავს ცოლად თოლისქვაში,
სხვა რა დამრჩა, ვამებს ვეფყვესუნული
გეშვი ღვინო, ქ'დმახეამიეუცლინითქვა

ამანაც შეიტანა თავისებური განხალისება სუფრაზე და კვლავ გაისმა ნექტარინას საამური ღიღინი: „გულო, შავ-გულო, გამოაცხადე, ვინ შემოგავლო სევდისა ბადე“.

ამ სიმღერაზედაც ეკოციმილი ისევ მოსწყდა თავის ადგილს და ბათუსთან ერთად ნექტარინას დაეხმარა.

ვამეხმა ეკოციმილისაგან ყანწი რომ მიიღო, წამოდგა და ამანაც ბოდიში მოიხადა, რომ მეც ხელცარიელი ვარო, მაგრამ დაჰპირდა, რომ ამას ჯეჰარის წერის დროს გამოასწორებდა. შემდეგ კი ბეგის სიცილით ასე უთხრა:

— ბეგი, შენ იცი, რომ შექსპირს აქვს ნათქვამი: „მამაკაცი აპრილია, როცა არშიყობს, და დეკემბერი, როცა ცოლს შეირთავსო“ შენც ასე არ მოგვივლდეს, თორემ მარინა ივანოვნა გაგეყრება და... ჩემთან მოვა.

ამან საერთო სიცილი გამოიწვია. რიაბინინამ კი მკერცხლად შეაგება:

— ბეგი რომ არ მყავდეს, თქვენ, ვამეხ ოტიევიჩ, დიდი სიამოვნებით შეგო-ულლებდით...

— ოო, თქვენ მეტად თავაზიანი ბრძანდებით, მარინა ივანოვნა, — სიტყვა შეუბრუნა ვამეხმა, — მაგრამ ეს კი უნდა გითხრათ. ინდოეთში არსებობს ძველისძიელი კანონი, სადაც ერთი მუხლია თურმე შეტანილი: ერთგული ცოლისაგან ქმარი, თუნდაც ყოველ სიკეთეს მოკლებული და მოლალატეც, ისე უნდა იყოს მიჩნეული, როგორც ღმერთი.

— ოო, ეგ მომწონს! — არ ცხრებოდა რიაბინინა. — თქვენ იცით, რომ მე ხოციების ღმერთი არც თუ ისე ძალიანა მწამს... — აქ ღიმილით გადახედა თედორე მღვდელს. ბარონესამ ლომბიერი

1 რალად მინდა ცხოვრება.

2 დალიე ღვინო, გაღმომპოლცე.



საყვედურით თითი დაუქნია. ის კი განაგრძობდა: — მხოლოდ ღმერთი, ჩემი ფიქრით, ქალს მაინც უთუოდ უნდა ჰყავდეს და ქალისათვის უკეთესი ღმერთი ვინ იქნება, თუ არა მისი ქმარი... ინდოელები ჭკვიანი ხალხი ყოფილა... — აქ რიბინინამ ბეგის ყურში ჩასჩურჩულა: — შენ ჩემი ღმერთი ხარ, ბეგლიარ!

— მე კი არა, შენა ხარ ჩემი ღმერთი! — უბასუხა სახეგაბრწყინებულმა ბეგიმ.

ამ დროს მათთან მოვიდა დესი თითქოს კდემამოსილი, დარცხვენილი. რიბინინას, ჩვეულებისამებრ, როგორც უკვე ქმრიანს და მომავალ ქალბატონს, გულმკერდზე ეამბორა, ბეგის ხელზე ვმთხვია და ათრთოლებული ხმით მიულოცა გაბედნიერება. თან დასძინა:

— თუკი მიკადრებს ქალბატონი, მომავალში ბაღის შის პირებს მოვეუქარგავ...

ბეგიმ გადაუთარგმნა რიბინინას. იმაც მადლობის და თანხმობის ნიშნად თავი დაუქრა. თან ერთხელ კიდევ დაუკვირდა დესის. გულში გაიფიქრა: „მართლაც და, რა მოხდენილი ქალია! მაგას რომ განათლება მისცა, ჩვენ ყველას გაგვახუნებდა. ჯერ ახლაც რამდენი ქალური ეშხი და იერი აქვს, თუმცა მაგის კდემამოსილების არა მწამს-რა... ჩემი ბეგი კი მოსწონს, ეტყობა... ქალური აღლოთი ვგრძნობ ამას... ჰოდა, მოსწონდეს... ჯერ სადა ხართ! ძალიან მალე ჩემი ბეგი ისეთი იქნება, რომ ყველას თვალი ზედ დაგრჩებათ“.

უცხოელებიც შეწირილდნენ. ბოღიში მოიხადეს, რომ ასეთი შემთხვევისათვის შესაფერი მათ ამეამად არაფერი მოეპოებოდათ, მაგრამ ქუთაისში კი უთუოდ რასმე კარგს გამოვქმნით და ორივე წყვილს ვასიამოვნებთო.

ამასობაში ვოლკოვი დაგმარას შემდგნაირად ელაპარაკებოდა:

— აი ახლა კი თავისუფალი ხართ... უკვე თავი დააღწიეთ მარინას! „ახვეუქნობას“...

— მარინა ჩემი „ახვეუქნი“ არ იყო.

— არა, ვიცი, მაგრამ თქვენზე დიდი გავლენა ჰქონდა... ეს მე არ მომწონდა. არ მომწონდა თვითონ მარინაც...

— ვითომ? მგონი თავზე ძალიან დატრიალებდით?!

— სრულებითაც არა. მე შეიძლება შორიდან, მაგრამ მაინც თქვენ დაგტრიალებდით თავზე და დაგტრიალებთ. მე თქვენ მომწონხართ, ბარონესა...

— ოი, რას ლაპარაკობთ!

— მართალს. მე ისე მომწონხართ, რომ მზადა ვარ ხელი გთხოვოთ.

დაგმარამ თითქოს ნაწყენმა ერთი თვალი შეანათა ვოლკოვის:

— ეგ დედაჩემს უნდა ჰკითხოთ.

ვოლკოვის წამოსცდა:

— ჭირივით მეჯავრება დედები და ყოველგვარი გამდგლები...

— აბა დედაჩემზე მაგას როგორ ამბობთ?

— არა... ბოღიში! დედათქვენი გამჭრიახი ქალია, მაგრამ... ეს ხომ მოძველებული ამბავია, როცა სრულწლოვანი ქალიშვილებიც კი დედ-მამას ეკითხებოდნენ მათი გათხოვების ამბავს... თქვენ ხომ სრულწლოვანი ხართ?

— ვარ.

— მაშ დედათქვენს რა ესაქმება?

— ეგრე ნუ ლაპარაკობთ დედაჩემზე...

— მე არაფერს ცუდს არ ვლაპარაკობ, მხოლოდ მინდა თანამედროვე ქალმა, და ისიც თქვენისთანა წრიდან, მეტი გაბედულება გამოიჩინოს... თქვენ ხომ იურიდიულად უკვე დამოუკიდებელიც ბრძანდებით... მამათქვენის მთელი ქონების ხომ ერთადერთი მემკვიდრე ხართ...

— აჰა! — გულში გაიფიქრა დაგმარამ. თითქოს ძალზე „გონებაშეუთამაშებელი“ ქალი იყო, მაგრამ სულე-

ლი არ იყო. ის მხოლოდ დუნედ ფიქრობდა და შეგვიანებით აზროვნებდა.

ამასკი მიხვდა, რომ ვოლკოვი პირადად მას კი არა, მის ქონებას ელაშუქებოდა. მოკლედ მოუჭრა:

— თუნდაც ეგ ყველაფერი აგრე იყოს, მე ჯერ გათხოვებას არ ვაპირებ...

ამ დროს სუფრაზე ატყდა დიდი ხარხარი.

თურმე ძილხანს რიაბინინასთვის მიერთშია ძველებური, გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ქალის წამოსასხამი, რუსულად რომ „სალოპს“ ეძახოდნენ.

შვენიერი იყო ეს მოსასხამი, შავი აბრეშუმის სარჩულზე დადებული, თითქმის უხმარი, სულ შრიალ-შრიალი რომ გაჰქონდა ისეთი, ოღონდ სიცილს ის იწვევდა, რომ ჯერ ერთი, მოდიდან იყო გამოსული და, მეორეც ეს უფრო ხანში შესულ ქალს შეეფერებოდა, ვიდრე ახალგაზრდა პატარძალს, რომელიც, ბეგის თქმის არ იყოს, „ცაზე ვარსკვლავებს ეთამაშებოდა“.

ხელიდან ხელში გადადიოდა ეს წამოსასხამი, ყველა სინჯავდა. ერთ უცხოელს თავისი „კარასოც“ კი წამოსცდა. მხოლოდ ბარამი და ვამეხი იყვნენ გაკვირებული — ძილხანს ასეთები საიდან აქვს შემონახულიო, და ესეც ჰქმნიდა ერთ ჟრიალს. რიაბინინამ კი ძილხანს დიდი მადლობა გადაუხადა და მეგობრულად გადააკონა.

ვოლკოვი მაინც ეკითხებოდა დაგმარას:

— კარგი, ვთქვათ, გათხოვებას არ აპირებთ, მაშ რა გნებათ?

— სწავლა.

— როგორ? ქალთა კურსებზე ხომ არ აპირებთ შესვლას?

— არა, ჩვენში არა. საზღვარგარეთ მინდა სწავლა მივიღო.

— მაინც რა სწავლა?

— ისტორია მაინტერესებს.

— უპ, რა მეგაერება ნასწავლი და ვითომ ჰქვიანი ქალი. თმას რა უკრეკრეკს, ცხვირზე სათვალებს რომ წამოიკეცხებს და თითები სულ მელნით რომ აქვს მოსვრილი...

დაგმარამ გულიანად გაიცინა. ვოლკოვი განაგრძობდა.

— ქვედა წელი კაბისა მოღრეცილად რომ აცვია და ზედა წელი რომ გაუთოვებული არა აქვს...

— ჰა, ჰა — იცინოდა დაგმარა, — ეგ იყო, იყო. ახლა კი, თუ გინდა ჩვენი კურსისტები ნახოთ, აე თვალს არ დაეხახვება... მერმე კიდევ მე... მოხდენილი ჩაცმა-დახურვა მეც მიყვარს... ამას გარდა, მართლა და მართლა მართო ისტორიას ხომ არ ჩავუჯდები. ცოტა ხმაცა მაქვს, ამბობენ აი... — თავი გადაიქნია ნექტარინასკენ — დეიდას მიგავს თურმე. სიმღერას ვისწავლი... დავხელოვნდები...

— ოო, ეგ სულ სხვაა... — თითქოს ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ვოლკოვმა და... საკითხი დაგმარას და ვოლკოვის შეუღლებისა ღიად დარჩა.

ამ დროს უკვე ლევარსის ეჭირა ხელში ყანწი და საზოგადოებას მადლობას ეუბნებოდა, მხოლოდ ძნელი იყო მისი გაგება, თუ რას ამბობდა.

ის ლაპარაკობდა რაღაც „მოხაზულობაზე, რომელიცა რომა“ მოიხება ჩემზე კნენია ნექტარინამ და სხვა. არ დაუკლია არც „ნეტუკელი“ და არც „პოპოლუსტა“, მაგრამ გასაგებად მაინც ვერა თქვა-რა. გულტატიმ გადაულაპარაკა თედორე მღვდელს:

— რა დამარჩული ყაზახია ეს ლევარსი... არა, ქალს დაარჩენს...

თედორე მღვდელმა პირდაპირი პასუხი არ გასცა. ასე უთხრა:

— ჰო, პრტყელ-პრტყელი ლაპარაკი იცის.

ეკოციმილი კი ბარონესას ეღრიჯებოდა:

— მომაქციე ყურადღება, ბარონესა! რა ცუდი ბიჭი ვარ?



— კარგი ხარ, კარგი... რა გქვია, კაცო, აქამდე არ ვიცი შენი სახელი... — ღიმილით ეკითხებოდა ბარონესა.

— უი დასწყევლოს ღმერთმა! ევგრაფ მაღხაზოვიჩი! მაგრამ შენ ეს მითხარი, მოგწონე თუ არა?

— როგორ არ მომწონხარ, ევგრაფ მაღხაზოვიჩი...

— შენი ჭირიმე, მაგას ნუ შეძახი... ეკოციმილი დამიძახე.

— კი მაგრამ.. ეკოციმილი... ნუ გეწყინება და... ამისხნეს შეგრულად მინგრეულ-მონგრეულს ნიშნავს.

— ჰო და მინგრეულ-მონგრეული არა ვარ? მხოლოდ პუშკინის არ იყოს: ღმერთმანი კაი კაცი ვარ!

— ჰა, ჰა, გახსოვს კიდევ პუშკინი?

— რავე არ მახსოვს, გიმნაზიაში ვარ ნასწავლი, ბოშო! — ჩაუღიმერულა ეკოციმილი.

ეს „ბოშო“ ძალიან მოეწონა ბარონესას და კიდევ უფრო კარგ გუნებაზე დადგა. ამ დროს ნექტარინამ კვლავ დაიწყო ღიმილი:

— „მასპინძელსა მხიარულსა კვას სტუმრები საყვარლები“...

ეკოციმილი მყისვე წამოხტა და დასახმარებლად ნექტარინას მიაშურა. სიმღერის დროს შეამჩნია, როგორ ხარბად მიშტერებოდა თედორე მღვდელი ნექტარინას, მაგრამ მაშინ არაფერი უთქვამს და ისევ ბარონესასთან დაბრუნდა.

ბარონესა გაეხუმრა:

— კაცო! ევგრაფ მაღხაზოვიჩი! რას დახტიხარ იქით-აქეთ, თუ ჩემი კვალობა გინდა, ჩემთან იყავი, თუ არა და...

— კი, ბატონო, კი, ჩემო დედოფალო.. დედოფალო რა? „დედოფლობა დაგშვენდება, მაგრამ დროი წამხდარია“.. აღარ მოგშორდება, სულ კალთაში ჩაგიდებ თავს... მაგრამ შეხედე ამ ხუცესს, — განგებ თქვა „ხუცეო“, — როგორ შეპლნავის შენ დას. — და წამოიწყო სიმღერა:

„თუ ღმერთი გწამს, ვა ხუცესი ჩვენსა ნუ დაიარება!
არცა ვეინდა მისი ლოცვა,
არცა მისი ზიარება!“

ამან გამოიწვია საერთო სიცილი, რადგან ნამღერი ლექსი უცხოელებსაც გადაუთარგმნეს.

ეკოციმილის სიმღერას კი ნექტარინამ მიაყოლა და ეკოციმილს მიაჩერდა:

„ოპოპო მაშქურინე
კა მანდინე კაროშა!
ოპოპო მეშინია,
გარა დინობი კარაშდის!
სი თინარეკ უნდობელი
მუთი ორდი აიშახ!“
შენ იგი ხარ უნდობელი,
რაც რომ იყავ მანამდის!“

და თავადების სუფრა წავიდა თავის გზით.

ქმ.

გუდუიასთან სულ სხვა „კამპანია“ იჯდა.

თავადებმა რომ ევლოგიაზე ჩამოიარეს, და თვითონაც შინ რომ დაბრუნდა, ამის შემდეგ მეზობლებთან ვინც მოვიდა არ გაუშვა. განსაკუთრებით მისი ტოლები: სტეფანე, ანტო, სესია, ხახუ. ახალგაზრდებიდან კი მხოლოდ თადა შემორჩა, მიუხედავად იმისა, რომ სულ „გაპარავაზე“ იყო. მაინც უნდოდა „დობორეში“ წასვლა; „სამხარეულოში“ მივალ ბიჭებთან და იქიდან სადმე დესის მოვიხელთებო“. ამიტომ ღვინის სმისაგან უნდოდა თავი შეეკავებინა, მაგრამ გუდუია გაიძახოდა:

— დალიეთ, ბიჭებო, დალიეთ! ღვინის მარაგი სადღეისოდ ბლომად მაქვს. ეს ერთი დღე მაქვს წელიწადში მოსალხენად და რატომ არ უნდა გავიხარო?... —

— შენ ეს ერთი დღე კი არა, მეორეც გაქვს წელიწადში, — უთხრა სთეფანემ.

— პოო, კაპუნობა? — გადაიხარხარა გუდუიამ.

— როგორ, ეგ კიდევ არ მოიშალე, კაპუნობის დღე? — ჩაერია თადა.

— რას ამბობ, ბიჭო! კაპუნობის მოშლა როგორ იქნება, ძველი და მრისხანე ღმერთთა... ჩვენი წინაპრების სალოცავი... ეს ორი დღე მე ძალიან მწამს, თორემ, მაგალითად, ხვალ ხომ აღდგომის ორშაბათია, იცოცხლე, გუდუიამ მუშაობა გააჩალოს...

— უი შენ დაგწყევლოს ღმერთმა! უქმეს ტეხავ?.. — გაიკვირვა ანტომ, რომელიც გლეხებში ყველაზე უფრო ღვთისმოსავ კაცად ითვლებოდა.

— ეგ ჩვეულებრივ უქმეს ტეხავს კი არა, პარასკეობითაც მუშაობს, არ შეგინიშნაეთ? — ხმა ამოიღო სესიამაც — სხვები ხომ არ ვმუშაობთ პარასკეობით, რატომღაც ასე გვაქვს „მარგალბს“ მიღებული, მაგრამ მე რომ მკითხო — გუდუია მართალია, პარასკევს რატომ არ უნდა ვმუშაობდეთ?

— ო, მაგას დაეთხოვე, სესია! — ისევ გუდუიამ აიმაღლა ხმა:

— ვისაც როგორ უნდა ისე იმუშაოს... მაგრამ ჩვენ გავცდით, ბიჭებო! სთეფანე, დაგვალევიანე ღვინო... სესია დამიწყე.

სესიამ დაიწყო: „დალიე და შეგერგება, სულ დალიე, დალიე!“ და ამ „სულ დალიეს“ იმეორებდნენ, სანამ სთეფანემ მორიგი სადღეგრძელო სულ ბოლომდე არ გამოსცალა.

— ეს ობიშხია სად დამეკარგა? ათადა? — სიმღერის შემდეგ შეეკითხა გუდუია.

— მოვა საცაა... იქ შერჩა რუსუნდიასთან...

— ოო, რუსუნდია! — არახრობდა გუდუია — კარგია ის წყეული! ახლა მაინც დაქვრივდა და კიდევ უფრო გაკეთდება...

— შენ რა, გუდუია, ვამებს გინდა რუსუნდია წაართვა? — მზაკვრულად შეეკითხა ხახუ.

— აჰ, აჰ! — გულმხურვალედ წამოიძახა ანტომ, — არ თქვამთ მამაჩემო! ვამეხისთანა წმინდა კატკ-მეორე არ მოიპოვება ჩვენს კნიაზებში და რუსუნდია ხომ ყველამ ვიცით, რა უბიწო ქალიც არის...

— ჰა, ჰა, ჰა! შენ რას აფარებ ხელს ვამებს? — დაცივებით მიმართა სესიამ ანტოს, — გიყვარს კნიაზები?

თადას გაეცინა:

— მაგას ხუცებიც კი სწამს და კნიაზებიც ეყვარება!

ანტო შეწუხდა. მეტი ვერაფერი მოახერხა:

— კარგი ახლა, რას მომდევით? ვამეხის კაიკაცობა მე მწამს...

ამ დროს ობიშხია შემოვიდა. ყველა ახრიალდა და „აა, ოო!“-თი შეეგებნენ.

— შენ რა გუდუია, — სიცილით მიმართა ობიშხიამ — დღეს შენც ნიშნობა გაქვს?

— როგორ თუ ნიშნობა?

— ისე ვიფიქრე დოხორეში დღეს ორი წყვილი ინიშნება და გუდუიამაც ხომ არავინ დანიშნა-მეთქი, ასეთი ქეიფი რომ გაგიჩალებია, ქვრივი ხარ და ცოლი მოგიხდება.

— ჯერ არ დაუნიშნავს, მარა რუსუნდიაზე კი უჭირავს თვალი, ეტყობა, — აუხსნა ობიშხიას ხახუმ.

— უმ! — დიდად შეიკვირვა ობიშხიამ. შემდეგ გუდუიას საყვედურით მიმართა: — გუდუია, გუდუია, შე უსინდისო... იოსეს ქვრივზე გიჭირავს თვალი?.. იოსე შენი ნათესავი არ იყო, მარა ძმაკაცი იყო, ჩვენი... ყველას ძმასავით მიგვაჩნდა... არ გრცხვენია!

ამ დროს სთეფანემ უეტკრად წამოიძახა:

— სწრაფი, სწრაფი ობიშხიას! — და ლამაზად მოხატული ღვინით სავსე „ჩალიჯამი“ მიაწოდა ობიშხიას. სთეფანეს უნდოდა რუსული „შტრაფი“ ეთქვა, სამაგიეროდ ქართულად კარგა გამოუვიდა. ღვინო კი ასე „სწრაფად“ მიტომ მიაწოდა, რომ გუდუიასი შეე-

შინდა ობიშხიას სიტყვები არ იწყინოს და უსიამოვნება არ ჩამოაგდოსო.

— რა მაგის პასუხია და, წელან ნაშენზე რომ გამოვიარე. მეამა როგორც მოხანდე კაცს... თორემ ნაშენი ზომ გვირგვილიანებისაა. სიმინდს უკვე ამო-უწვევრავს და ავ თვალს არ დაენახვება.

— ოო, ნაშენი დალოცვილი ადგილია!

— ჩვენი სოფლის თვალია, თვალი! მიადახა ყველამ.

— ვის აქვს წრელს საზიაროდ ეგ ყანები? მე კი არ ვიცი, — იკითხა ვი-ლაცამ.

— ბესაიას, ფართხუს და ქუხი-ლია — გაჭირვებულს! — გასცა პასუ-ხი ობიშხიამ.

— ოო, ქუხილია — გაჭირვებულს? ეს მადლია, მადლი! ვითომ გუტატიმ მისცა? — კვლავ იყო შეკითხვა.

— კაცო, შენ როგორ გარეშესავით კითხულობს! — წაესაყვედურა ობიშ-ხია, — არ იცი შენ სოფელში რა ხდება?

— გუტატიმ კი არა, ვამეხის რჩევით გადასცა ნექტარინამ ქუხილია — გა-ჭირვებულს ნაშენის ერთი ნაწილი სა-ზიაროდ — განმარტა სუსიამ.

— ჰოდა, აკი ვთქვი, ვამეხი კარგი კაცია-მეთქი. ცოტა გაუბედავად, მაგ-რამ მკაფიოდ წარმოთქვა ანტომ და წარბეჭქვეშ ობიშხიას ირიბად გახედა. ის ჩვეული იყო, რომ ობიშხია მის ნა-ლაპარაკეც მუდამ სასაცილოდ იგდებ-და, მაგრამ ახლა კი ობიშხიამ ერთი გაღიმიებით შეხედა ანტოს, თორემ არა-ფერი არ უთქვამს, სამაგიეროდ თავის გაბზარული ხმით მეგრული სუფრული დაიწყა:

„უჩარღია უჩა კობი,
ვაშუნდი და მუშა მორთი“¹

ამას ყველა გამოეხმაურა, რასაც ხელ-ჩართული სმაც მოჰყვა. თან ყველა

მხიარულად იმეორებდა ამ სიმღერას დასათავარს: „აშო მომიჩაქაღლე“² ეს რომ მოთავდა, გულშიაშ! სმამაღ-ლა წამოიძახა:

— როდის იქნება, რომ სულ ჩვენი იყოს...

— რა? — შეეკითხნენ აქედან-იქიდან.

— აი ის ნაშენი და საერთოდ გვირ-გვილიანების ყველა მამული.

ამან თითქოს ნალელიანი საფიქრალი გაუჩინა უკვე შეღვინიანებულ სუფ-რაზე მსხდომთ, მაგრამ სწორედ ამ დროს თაღამ ვაქკაცურად შესძახა:

— მალე!

ყველამ თავი თაღასკენ მიიბრუნა. ერთ ხანს სიჩუმე იყო.

— მალე-მეთქი გეუბნებით. — წა-მოდგა თაღა. — მხოლოდ ეს ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ ყველამ რომ პი-რი შევეკრათ და ერთ დღეს გამოვაცხა-დოთ, არავითარ მებატონეს არ ვამ-ღვეთ ღალას, არც ბარკალაიებს, არც ქუჩულორიებს, არც ბანძლის და არც არავის სხვას, წურბელებსავით რომ შემოგვესევიან და ჩვენ სისხლს წო-ვენ. მაშასადამე, არც გვირგვილიანებს! გვირგვილიანები მაინც ჩვენებურებიც კი არ ყოფილან, არა ბაბა? — მიმართა ობიშხიას — ჩამოთესილი ყოფილან...

ობიშხიამ უკვე დინჯად ხმა ამოიღო:

— გვირგვილიანები, შეილო, სვანე-თიდან არიან თურმე. არც ჩვენი ძველი მთავრები დადიანები არიან აქაური და არც საერთოდ თავადები „მარგალი“ არც ერთი არ არის და ვინ იცის, ვინ საიდან არის მოსული. მარგალს კი ჩვენ-ცა და სხვებიც ესმარობთ მეგრელის და იმავე დროს გლეხის აღმნიშვნელად. ასე რომ, ნამდვილი მეგრელები გლეხები ყოფილან და არიან კიდევ. ესენი კი გადამთიელები არიან, მარა შენ რა გინ-და თქვა, ბიჭო?

¹ უჩარღია შავი კაცო, თუ არ სვამდი, რის-თვის მოხველ?

² აქეთ მომიჩინდიკე (მომიტანე), მომიჩი-ჩიქე.

— მე ის მინდა ვთქვა, რომ ჩვენ არ უნდა ვემორჩილებოდეთ მებატონეებს. იმას ახლა არა აქვს მნიშვნელობა, ვინ საიდან არის. საქმე ის არის, რომ ისინი მოსულეებია, თუ რაც არის, ჩვენ „მარგალებს“ ზურგზე გვასხედან და ჩვენი მონაგარი, ჩვენი ნაოფლარი იმათ მი-აქვთ. იმათ და ზუციებს კიდევ... არ გვინდა ზუციები!

— ოო, შენი ჭირი შემეყაროს! — წამოიძახა გულუიამ — კარგი შეილი გყავს ობიშხია!

ანტომ კი ჩუმად თავისთვის უკმაყოფილოდ თავი გაიქნია.

— მიწას ჩვენ ვამუშავებთ, ჩვენ ვუვლით, ჩვენ ვპატრონობთ, მასხადად-მე, მიწაც ჩვენია და მისი მოსავალიც სრულად ჩვენი უნდა იყოს. ეს უნდა განვაცხადოთ, ამისთვის უნდა ავდგეთ ყველა ერთ პირად. — თანდათან ცხარობდა თადა და ყველა სულგანაბელი უსმენდა. თადა განაგრძობდა: — ამისათვის უკვე ადგნენ გლეხები რუსეთში, ჩვენში — გურიაშიაც, კიათურის მხარეზე... ხომ იცით, კიათურა, შავი ქვა რომ არის, იქ ბევრია მეგრული ბიჭები, იმათ მოიტანეს ამბავი ირგვლივ სოფლებში... ქართლშიაც დიდი ამბავია თურმე. გლეხები ართმევენ მამულს მებატონეებს და არავითარ დასაც არ იძლევიან. ჩვენ კი რალა ღმერთი ვაგვიწყრა?

— ანტოს ღმერთი მე ვერ გამიწყრება! — ჩაილაპარაკა სესიამ და იქა-აქ საცილი გაისმა.

თადამ იწყინა:

— მე სასაცილოს არაფერს გეტბნებით. უბედურებაც ეგ არის, რომ თქვენი მდგომარეობა გაწუხებთ, მართალია, მაგრამ ზოგჯერ საცილზე გადაგაქვთ. ასე არ შეიძლება! უნდა ღრმად შევიგნოთ ჩვენი უფლება და ალედგეთ მას დასაცავად... თქვენ უფროსებმა უნდა იკისროთ მეთაურობა და, თუ ამას არ იზამთ, ჩვენ ახალგაზრდები გამოვალთ წინ...

ამაზე ობიშხია გაწყრა:

— თადა, ენა ნუ გისწრებს! უნდა იცოდე, სად და ვისთან უნდა იქნები!

— მე მგონია, რომ ვლაპარაკობ იქ, სადაც უნდა ვლაპარაკობდე. იმ ხალხთან, რომელმაც თავის თავზე გამოსცა და მთელი სიღუბეც დაგვიანდელი წესწყობილებისა... დასაძალი რა მაქვს... დეე, იცოდნენ, რომ მე ამ საქმისთვის მაქვს თავი გადადებული... რომ მე ვიბრძოლებ არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ... რომ დაემსოს რუსეთის თეთომპყრობელობა და მისი იმპერატორი...

— შუშ-ტ! — ძლიერი ქმობინით შეაჩერა თადა ობიშხიამ.

კარბში შემოიძარბა ერთი ახმახი ადამიანი.

— მე არავისი არ მეშინია! — განაგრძობდა თადა და უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, მაგრამ უეცრად შეწყვიტა, რადგან დაინახა ახლადშემოსული კაცი და დაჯდა თავის ალაგას. იფიქრა: „სიფრთხილეს თავი არა სტკივია!“ და დაჩუმდა. მაგრამ შემდეგ შეიციო, რომ ეს იყო ქუხილია — გაჭირვებული და სწორედ ამისთვის უნდა ვაეგებინებინა, რომ საბრძოლველად ყოფილიყო მზად. შეიძლება ის სხვებზე მეტადაც გაუგებდა, მაგრამ უკვე გვიანდა იყო: ქუხილია — გაჭირვებულს ჩალიჯამით „სწრაფი“ მიაწოდეს და დიდი მათლაფა საჭამანდისა დაუდგეს.

ეტყობოდა, ქუხილია კარგ გუნებაზე იყო, რადგან, ცხადია, ჩამოვლილი ჰქონდა მასაც მეზობლები და ყველგან ჰქონდა ღვინო დალეული, მაგრამ აქაც სიამოვნებით დასცალა მოწოდებულ სანძისი და საქმელსაც მადიანად მიჰყო ხელი.

— რა ქენი, ქუხილია, კარგად გაითენე ალდგომა? კარგი ევლოგია გქონდა? — ყასიდად შეეკითხა გულუია — ბოდიში შენთან, მე ვერ მოვასწარი და ვერ შემოვიარე.

— ჰმ... ჰმ! დამცინი, გუდუია? თუ ჩხუბი გინდა დღევანდელ დღეს? — ნახევრად ხუმრობით და ნახევრად უხუმრად წარმოთქვა ქუხილიამ. ეტყობოდა, რომ ენაწყლიანი კაცი არ იყო, რადგან სიტყვები პირიდან ისე უცვივოდა, თითქოს ნაჯახით ჩამოთლილი ნაფოტებიო.

სესიამ კი მაშინვე შეჰყვირა:

— აჰ, აჰ! შენთან ჩხუბი ღმერთმა დაიფაროს. სულ მიღეწ-მოღეწავს აქა-ურობას.

სხვებიც ახმაურდნენ:

— დიდი ღონის პატრონია!

— მაგას ვინ მოერევა!

— ვერ ხედავ, რასა ჰგავს? ნამდვილი ოჩო-კოჩია!

და მართლაც, უცნაური შესახედობის კაცი იყო ქუხილია. მაღალი იყო, მხარბეჭიანიც, მაგრამ საერთოდ უშნოდ მოყვანილი კი იყო, როგორც დაგრეხილი, დარეცილი. ეტყობოდა, ძარღვიანი კაცი კი უნდა ყოფილიყო. სახე-პირი სულ ბაზნით ჰქონდა დაფარული. ძლივს მოუჩანდა ცხვირი და წერილა, მთიელი კაცის თვალები. შექალაქავე-ბული თმა წვერებამდე წვდებოდა. წვერ-ულვაში ისე ჰქონდა აბურბანული, თითქოს სავარცხელი თავის დღეში არ გაჰკარებოდეს. აქაც ჭილარა ერია, მაგრამ კარგა ვერ გაარჩევდით, ეს ჭილარა იყო, თუ ყალიონის კვამლით შეყვი-თლებული თმები.

ამყამად მკერდი მოლიავებული ჰქონდა და ჯაგარივით თმები წინ ჰქონდა წამოქოჩრილი. ტანზე ჩოხა-ახალუხის მაგიერად სახლში მოქსოვილი მეგრული შალის ნაცრისფერი ხალათივით რაღაც ეცვა და, რადგან ეს ხალათი მკერდთან გახსნილი ჰქონდა, ეტყობოდა, რომ საცვალი არ მოეპოვებოდა. შარვალიც ნაცრისფერი შალის ჰქონდა. წელზე ქამრად უბრალო თალათინის ღვედის მაგვარი ჰქონდა შემორტყმული. ქალამანიც ღორის ტყავის ეცვა

შიშველ ფეხზე და ამ ქალამანებზე და-დამ ძალზე რცხვენოდა, ზოგიერთი-და-უკვირებელი დასცინოდნენ ცხადსადაც გან მეგრელი გლეხი, რაგინდ ღარიბი ყოფილიყო, ტანისამოსზე და ფეხსამოსზე მუდამ ზრუნავდა, მაგრამ ამას ხომ ტყუილა არ ეძახდნენ „ქუხილია-გაჭირებულს“.

— ერთხელ, იცით, რა ქნა ქუხილიამ — მოუთხორობდა იქ მყოფთ ხახუ.

— ჩვენ მთაზე, შექალაქივით ვიყავით და ბარამის სახლისთვის კლდეს ვამტრევედით, ქვებს ვაგროვებდით... აი ახლა რომ უნდა აიშენოს...

— მაგას არ მოასწარებს ღმერთი! — თქვა ვიღაცამ.

— რას ამბობ, კაცო, — წამოიძახა ანტომ, — ბარამს რას ერჩით?..

— ღმერთი კი არა, ჩვენ არ მოვასწარებინებთ, ჩვენ! — წამოთქვა სთფანემ, რადგან, ეტყობოდა, ტყვედ ჰყავდა თადას ნალაპარაკებს.

— ვინ ჩვენ? — ნაფოტები წამოცვინდა ქუხილიას.

— რას ამბობდი, ხახუ? რა ქნა ქუხილიამ? — შეეკითხა ზოგიერთი.

— რა და, აიღო ერთი უზარმაზარი ქვა, ერთი ხელით, კაცო, ერთი ხელით და ურეშზე დაუდგა. შემდეგ აუწონია ბარამს ეს ქუხილიას აღებული ქვა... უთხრეს თურმე... და კაი რვა ფუთი გამოსულა.

ქუხილია ამაზე მხოლოდ გაიღმიჭა.

— ბიჭო-და, — ახლა ობიშხიამ მიმართა ქუხილიას, — რატომ მოჰიდავედ არ წადი. აგერ ესებუა, ჩვენი მეზობელი არ არის, სოფ. სორტიდან? ის შენზე ახალგაზრდა არ უნდა იყოს, მხოლოდ შენზე უფრო მოხდენილი და ღამაში ყაზახია, მაგრამ შენც გაგკრე-პდით, გაგპარსავდით, გაგასუფთაებდით და... წახვიდოდი მოჰიდავედ. ახლა „გაჭირებულს“ კი არა, შენისთანა დაღხენილი კაცი არ იქნებოდა.

ამაზე ქუხილიას მხოლოდ თვალები აუციმციმდა, სხვა ვერაფერი თქვა, ვრ-

თი ამოიგმინა კი და შემდეგ გუდუიას მიმართა.

— აქა წყუმოდუა თუთუნი ქომუჩი ბოში¹.

ჭამა გათაეებული ჰქონდა და ახლა ყალიონის გაბოლება მოუნდა.

გუდუიას წამოდგა მოსატანად. თავის ბოსტანში ცოტაოდენ თამბაქოსაც თესდა გუდუიას, შემდეგ ახმობდა და წნავდა კიდევ ქალის თმებსავეთ და ცალკე ჰქონდა შემონახული. ეს იყო წიგო. მაგრამ სოფლელები უქებდნენ — კარგი გემო აქვსო.

როცა გუდუიამ კარგა მოგრძო გრეხილი მოუტანა ქუხილიას, ბავშვივით გაიხარა და იმწამსვე ქამარზე დაკიდებული ქარქაშიდან ბასრი დანა ამოიღო და თამბაქოს ყალიონისთვის კრა დაუწყო.

გუდუიას შეაჩერდა ქუხილიას დე წარმოთქვა:

— მე ისევ იქა ვარ, — თავი გადაიქნია თადასკენ, — მართლა ისე რომ მოხდეს... — თადას შეხედა. თადა, ეტყობოდა, თავის ფიქრში იყო გართული. — არა, რომ მოვახდინოთ... რას იტყვი, ქუხილია, თედორე-მღვდელი რომ ამოგიდგეს გვერდში სათახარზე, ა?

ქუხილია ყალიონს დაჰრილი თამბაქოთი ტენიდა, ერთი კი ახედა გუდუიას და შემდეგ ისევ განაგრძო თავის საქმე.

— რას ამბობ, გუდუიას? — კვლავ ანტო გამოესარჩლა მღვდელს — თედორე-მღვდელი ხომ ხშირად თვითონ თოხნის ყანას!

— შენ დიდი „შურიშ კოჩი“² გვყავხარ, ანტო! ჰა, ჰა — ფართოდ გაიციხა სესიამ.

— შურიშ კოჩი, შურიშ კოჩი! — თადას გარდა ახრიალდნენ სხვებიც ამაზე ანტო წამოდგა:

— მე თქვენი თავი არა მაქვს! უნდა წავიდე!

— რაა, მოგერია ღვინო? — შესძახა გუდუიამ.

— ჰო, ღვინოც მომჭრია და თავიც ნეტკინა. კარგად მენახოთ. — ყველას თავი დაუქრა და გავიდა სახლიდან.

— ქალაჩუნა! — მიაყოლა გუდუიამ. მაგრამ ობიშხიამ ეს არ იკმარა:

— ქალაჩუნა კი არა... შენ სულელხარ, ბიჭო, — მიმართა თადას, — განა შეიძლება მაგისთანა კაცთან იმის ლაპარაკი, რაც შენ აქ დაფქვი?

— მე არავისი არ მეშინია, ვინც მშიშარაა, იმან იკითხოს, თორემ მე ჩემი გზა მაქვს.

წამოდგა, ქული დაიხურა წასასვლელად.

გუდუიას უნდოდა შეეჩერებინა, მაგრამ ობიშხიამ დაუშალა.

— წავიდეს! — ჩაიქირქილა, — მაგას თავისი გზა აქვს! მხოლოდ... — თითქოს ახლა გაახსენდა — იცოდე, შე ძალოს შვილო, შენ... დოხოტრეში არ წახვიდე, თორემ ჩემი ხელით გაგატყავებ...

ამ მუქარაში მშობლიური ალერსიც იყო ჩაქსოვილი, მაგრამ თადას ყური არ დაუგდია. მტკიცე ნაბიჯით გადაიარა გუდუიას კარმიდამო.

— არა, მართლა რომ მოხდეს და მთელი ეს მამულები ჩვენი იქნეს... — ისევ დაუბრუნდა თავის ოცნებას გუდუიას — ოო, რას დაეატრიალებოთ გვირგვინიანებს!

— შენ, მგონია, ის უფრო გიხარია. გვირგვინიანებს რომ წაიგდებ წინ? — უთხრა სთეფანემ. — ღვინო დაგვრჩა, ბაჭო, დაუღველო, ღვინო! — და კვლავ წარმოთქვა ახალი სადღეგრძელო.

ეს კი ახლა შეეხებოდა თავად-ახნაურობის დამხობას და „მარგალების“ გამარჯვებას.

გუდუიას მინც არ ეშვებოდა თავის ოცნებას:

¹ ერთი გრეხა თამბაქო მომეცი, ბოში.

² სულის კაცი.

— ა, ქუხილია! რას იტყვი შენ? აი გედი! ბეგის რომ გავაგზავნით ბატების სამწყესურად...

ქუხილიამ კარგა არ იცოდა, რაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ სადღაც გონებას სიღრმეში კი მიხვდა: ასე რომ მოხდესო, უთუოდ ამას მეკითხებიანო.

ამაზე, შეგვიანებით, მაგრამ დიდად გადაიხარხარა.

— ბეგის, კაცო, ეგი წყემსად გაგზავნის კი არა — მზაკერულად ჩაერია სესია ლაპარაკში — კისერს მოუტრებს.

— წიწილივით! — წარმოსთქვა ქუხილიამ და ეს ისე უბრალოდ თითქოს ძალიან ჩვეულებრივ რასმე ამბობდეს.

— გუტატის რა ვუყოთ, გუტატის, ქუხილია? — ჩააცვიდა გუდღია.

ქუხილია, ეტყობოდა, თანდათან მოდიოდა ეშხზე და აქ გადაქრით განაცხადა:

— წკვარამში.

— ეს შენ ძაან დამხმარე იშოვე, გუდღია, — უთხრა ობიშხიამ, — ქუხილია მიგვიხვდა, რაც გინდა და, როგორც ხედავ, ჯერ სიტყვით გისრულებს.

— აბა როგორ? — ხმაურობდა გუდღია — ამისთანა საქმეები ამ ოჩოკოჩის უნდა მივანდოთ... მე კი, იცოცხლე, ბარამი რომ ბარამია, ყველას უყვარს ხომ... მეც კარგი საქმე მიყო ამის წინათ, მაგრამ დაეზოგავ, გგონია?! კარდალით ცხელ ღომს რომ მოვატანიებ ფეხშიშველს და თავზე დადგომილს, რომ ვაძუტებ, მერე ვითომ შემეცოდება და ეეტყვი: გამოშალე მარცხენა ხელი-მეთქი. ისიც გამომიშლის და, რომ დავაბერტყამ ხელზე ამ ცხელ ღომს, უი დედა, დაეიწვიო, სულ ვაყვირებ. — აქ ფეხი ფეხზე შემოიღვა გუდღიამ. — კარგა რომ გამოაძლები და ნექტარინას მამულიდან, უშაფათიდან მოტანილს გუდაათურონის ერთ ბოთლ ღვინოს რომ გიახლებით...

— ჰო, ჰო, ჰო! — შეწუბდა სთეფანე — გუდაათურონი! რა ღვინო იყო

აბა, ბეჩა! სულ გაწყევა ეგ ოხერი, ნექტარინას მეტს აღარც კი აქვს...

— მოიცა, კაცო, გუდღიას ვეცადე! — შეუძახა ხახუმ სხეებსა და სხეებს, რომ მეტად მოუნდათ გუდღიას ოცნების მოსმენა.. — მერე, მერე?

— მერე და რომ გადაეძახებ: აბა კესარია ძლამი, სადა ხარ?.. კესარია მოახლედ შეყოლება, აბა!.. კესარია, კესარია, სი გარგუებული¹ სადა ხარ? ერთი ფარდაგი გამიშალე ამ ხის ძირას... შემდეგ, სად არის ის ვათანმარა² ვამეხი, მოვიდეს ფეხები მომფხანოს, აბა!

იქიმებოდა გუდღია და ირგვლივ სიცილით სკდებოდნენ.

ამაზე რომ გული შეაჯერეს, გუდღია ისევ ქუხილიას მიუბრუნდა:

— შენ კი, ჩემო ქუხილია... — შეავიანა — ნექტარინას მოგანდობთ, რაც გინდა ის უყავი.

ამაზე ერთი შეინძრა ქუხილია. მკერდი წინ გამოსწია და ყელი ისე მოიღერა, თითქოს ეს არის თავის მსხვერპლ უნდა დაეტაკოსო, თან თითქოს კმაყოფილებით აღსაესემ, გაიცინა, მაგრამ სიცილის შაგივრად პირუტყვევით უცნაური ღმუილი გამოუვიდა და უეცრად აბორგებულმა თითქოს უნდა შესძრახა და ქვეყანაო, აფხაზური დაქრილობ სიმღერა იმღერა, მხოლოდ ეს სიმღერა კი არა, რაღაც თაქწართმეულ ყიფინას ჰგავდა. სიმღერის შინაარსი ასეთი იყო:

„ო-რაიდი, ო-რაიდა რაიდა! მამაკეი არ არის ის, ვინც თავის ტანჯვას ვერ დამალავს. მამაკეი არ არის ის, ვინც გაწეალებას ოხერით ვამეღანებს. ოხერთა და ვითო ქალები ნოვეშობენ. ჭრილობებს ის უძლებს, ვინც უფრო ამტანია. ვისაც ტანა არ შეუძლია და მოთმენა არა აქვს, ის მღერ მოცდება. სიმღადე რომ გეშველოდეს მაშინ კარდელი ვილაზე დიდხანს გაძლებდა. ო-რაიდა რაიდა!“

¹ შე შეჩვენებულო! — მას ნიშნავს და გაჩვენარსაც.

² ვათანმარა — სიცილით და სხეულით აბინძურა“ კაცი, ყველაფერს რომ იკადრებს.

ჯერ ყველას გაუკვირდა ქუხილიას საქციელი, მისი ალტყინება, ისიც, თუ რად მიმართა აფხაზურ ლექსს და სიმღერას, მაგრამ რომ ჩაუკვირდნენ, შეიძლება უნებლიეთ, მხოლოდ შეატყვევს, რომ კარგად გამოუვიდა ქუხილიას. ეს თითქოს მისი გმირული მოწოდება იყო მომავალი ბრძოლებისათვის: რომ ოხვრითა და ვიწით საქმე არ კეთდება, რომ სიმხდალე კარგი იყოს, მაშინ კურდღელს ვინ აჯობებდა.

ამან ყველა ჩააფიქრა. ობიშჩიამ მკაფიოდ წარმოთქვა:

— კურდღლები!

ლ

იმავ დღის შუალამისას ჩელა იჯდა თავის ოთახში და პაწია ლამპრის სინათლეზე ნინოშვილის მოთხრობებს უკითხავდა მის გარშემო მჯდარ თავის ტოლ გოგოებს.

ზოგიერთი სიტყვა კარგად არ ესმოდათ მეგრულ ცირებს, მაგრამ მათ შორის ერთი-ორი უფრო მკოდნე იყო ქართულისა, ჩელა — უფრო დახელოვნებული, და ამითი იოლად გადიოდნენ.

დღეს ობირეშის შემდეგ ჩელამ გაიწვია რამდენიმე მათგანი თავისთან, რადგან ახსოვდა, რომ ტაიასთვის დაპირებული უნდა შეესრულებინა და თავის ტოლ-ამხანაგებში წრე უნდა ჩამოეყალიბებინა. მან არ იცოდა, ეს ჩამოყალიბება როგორ მოეგეარებინა, მხოლოდ შემდეგ გაიფიქრა, წიგნების კითხვით დაეიწყებო, რადგან ამჩნევდა, რომ ზოგიერთ გოგოს წიგნის კითხვა უყვარდა და, თუ სადმე წაახელოებდა, ხალისით კითხულობდა. მაგრამ სად იყო ეს წიგნი! ჩელას კი დროგამოშვებით ვამეხი აწვდიდა პატარ-პატარა ქართულ წიგნებს. დღესაც, როცა ობირეში გათავდა, ჩელამ შეარჩია მისი უფრო წიგნიერი ამხანაგები და თავისთან გაიწვია. თან დააჯერა, რომ ერთად კითხვა აჯობებს, რადგან, ჯერ ერთი, გაუგებარში ერთიმეორის დახმარებით უფრო

გაიგნებდნენ გზას და, მეორეც, ერთმანეთს გაამეორებინებდნენ წაკითხულს, ისე როგორც სკოლაში ხდება შემდეგ იმსჯელებდნენ კიდევ.

ამ აზრმა წვეულები აღაფრთოვანა. მით უფრო, რომ ობირეშის შემდეგ თავთავიანთ ოჯახებში დაბრუნება ეზარებოდათ. კიდევ უნდოდათ ერთად ყოფნა, ერთიმეორის თანაზიარობა და ჩელას წინადადებას სიამოვნებით დაეთანხმნენ.

მიქე სახლში არ იყო. დედას ხელი არ შეუშლია. იგი ახალგაზრდები რომ კითხვას შეუდგნენ, წაეიდა და ძილს მიესცა თავი.

წასაკითხად რომ დასხდნენ, ჩელამ გადაფურცლა დაუწყო თავართილაციების მიერ სენაშკი გამოცემულ ნინოშვილის კარგა მოზრდილ მოთხრობებს და, თითქოს განგებ, ყველაზე ნაკლები მოცულობის მოთხრობა აარჩია: „განკარგულება“. უთუოდ იმიტომ, რომ, სანამ შევეჩვეოდეთ, გრძელმა ნაწარმოებმა თავი არ მოგვაწყინოსო. ჩელას განსაკუთრებით ეშინოდა ეკაიასი, ხითხითა და ჩასუქებული გოგონასი, რომელსაც ჯერ ცალკე წიგნის კითხვის დროს ხშირად ტკბილად ჩაეძინებოდა და საერთოდ დიდი გულისყურის პატრონად არ ითვლებოდა, მაგრამ აქ კი მშვენიერად მოისმინა მოთხრობა და ჩელას მოთხოვნით პირველმა მან გადმოსცა მოთხრობის შინაარსი.

მკითხველებს შორის ბეერს რკინიგზა არც კი ჰქონდა ნანახი, განაგონობით იცოდა მხოლოდ, რომ მათ ახლობელ სენაკსა და აბაშას რკინიგზა ჩამოუდიოდა. აქ სწორედ ის ხითხითა გოგო დაეხმარა მათ და უამბო ამხანაგებს, თუ რკინიგზა რას წარმოადგენს; სენაკში მიდიოდა ზოგჯერ ნათესაებებში და იქ ჰქონდა ნახული. მან აუხსნა, რომ მიწაზე რკინის ჯოხებია გადებული და ამაზე მატარებელი მოგორავს. რომ თვითონ მატარებელი დიდი ურმისებური რაღაცაა, მხოლოდ ნამდვილად

ურემს არც კი ჰგავს — დიდი კოლოფებია, ერთი მეორეზე გადაბმული, შიგ ხალხი ზის და ეს კოლოფები ურემივით ბორბლებით მიგორავს. თან ამ კოლოფებს ხარები კი არ უბია, არამედ რალაც დიდი რკინის ვეშაპი, რომელიც ზშირად პირიდან ცეცხლსა ჰყრის და საოცარ შავ კვამლს უშვებსო. ასე რომ, ეკამ ამხელად სხეებზე მეტი აქტიობა გამოიჩინა.

გოგოებს ახლა ის აკვირებდა, თუ რკინიგზას სოფლელებისაგან რად სჭირდებოდა დარაჯობა. როგორც ეს ნინოშვილს ჰქონდა მოთხრობილი. მაგრამ ეს გარემოება უკვე ჩელამ განუმარტა ამხანაგებს: „ეს თვითონ მოთხრობიდან მოჩანს — ამაღამ ვილაც დიდი კაცი ჩამოივლის და სოფლის გზირმა დარაჯობა დაავალა მუნჯაქესო“.

ამის განმარტებაში რომ იყო ჩელა კარებში იეროთეოსი შემოიძურწა.

იეროთეოსი ბოლო ხანებში უკვე დადიოდა სოფლებში და ყველგანაც სიამოვნებით ღებულობდნენ მას, რადგანაც უკვე პატარა გმირის სახელი ჰქონდა გავარდნილი — თოლისქვაში დადრჩობას გადაარჩინაო. აღდგომადღეს ხომ ჩამოველო თითქმის ყველა მეზობლები და ახლა მიქეს სახლ-კარს მოადგა.

ჩელას მინცდამინც არ ევაბ იეროთეოსის მოსვლა, მაგრამ სხეებმა ის გულლიად მიიღეს და ისიც იქვე ახლო პატარა, დაბალ სამფეხა სკამზე ჩამოჯდა.

მისი მოსვლა კი სასარგებლო შეიქნა, რადგანაც მუნჯაქის გასრესის ამბავი მინც კარგა ვერ წარმოედგინათ გოგოებს და ამაში, როცა გაიგო იეროთეოსმა ამბის ვითარება, თავისებურად აუხსნა, რომ ამ მატარებელს ისეთი სიმძიმე აქვს, აღამიანს კი არა, უდიდეს კამბეჩსაც კი გასრესსო.

ქალებს ძალიან ეცოდებოდათ კაცია მუნჯაქე, რომელიც დაღლილი, დაქან-

ცული მოვიდა სამუშაოდან სახლში და არაქათგამოლუელი კაცი მინც გაგზავნეს სადარაჯოზე.

— ასეთია გლეხიკაცის ბედი! — მოიძახა რომელიღამაც.

— კი, მაგრამ ჩვენს სოფელში რომ არ არის ასე? — შეენაცვლა მეორე. სხეებმაც წამოიძახეს:

„ამისთანა შემთხვევა ჩვენს სოფელში არასოდეს არ მომხდარაო“.

და... ჩელას უნდოდა სწორედ ამაზე. „გლეხის ბედზე“ მოება თავის განზრახვის გამკლავება, თუ რისთვის არის გოგოების ერთი მეორის დაახლოება და წრის ჩამოყალიბება საჭირო, მაგრამ, რაკი იეროთეოსი იქ იყო, ეს აღარ გააკეთა.

როგორღაც გული არ მიუდიოდა იეროთეოსზე.

გოგოებს კი დაბლომატიურად განუმარტა, რომ მათ სოფელში ნინოშვილის მოთხრობისებური შემთხვევა არა ყოფილა, ეს იმიტომ, რომ სოფელთან რკინიგზა არ არის გაყვანილიო.

შემდეგ ამხანაგებს განუცხადა: „უკვე გვიან არის, სადღეისოდ გვეყოფა, დავიშალოთ“ და ისინიც კმაყოფილნი გაფართქალდნენ ჩელას ქოხიდან.

იეროთეოსიც მათ გაჰყვა. ხითხითა ეკაიამ გზაში აიყოლია და ქუთაისის ამბები გამოკითხა: როგორი ქალაქია, სენაკზე უფრო დიდი იქნება? იეროთეოსიც თავისებურად უამბობდა ქუთაისზე.

ჩელამ კი გადაწყვიტა, თავისი გულის ნადები მომავალში გაეზიარებინა ამხანაგებისათვის, მხოლოდ ისე, რომ არავინ სხვა არ გაერიათ თავიანთ ჯგუფში, განსაკუთრებით ვაეთავანი. წრე კი, რაც შეიძლება ჩქარა უნდა ჩამოეყალიბებინა.

ასეთი თადარიგი მოეწონა ჩელას და შემოიგწა, როცა ცხოვრების დიდ ასპარეზზე გამოვიდა. ზშირად იგონებდა ამ თავის პირველ ნაბიჯს და აკვირებდა; იმ დროს, ისე ახალგაზრდამ, ჩემით

როგორ მოვიფიქრე, რომ ჯერ წიგნის საკითხავად შემეყარა ტოლ-ამხანაგები და შემდეგ თანდათან ჩაებმულიყავით მუშაობაშიო. ამის მაგალითები მე რომ არ ვიცოდი, საიდან მომამეფიქრლაო.

ამის გამო არც თუ ისე ცოტად მოსწონდა თავისთავი.

ლა

მეორე დღეს გულუია ცოტა შეგვიანებით, მაგრამ მაინც გავიდა სამუშაოდ.

მის ეზოს მახლობლად, ფერდობზე პაწია ნაქერი ადგილი იყო ჯაგნარით და სარეველა ბალახით მორეული. ეს მისი „სანადელო“ იყო. დიდი ხანია, გულუიას უნდოდა ამ ადგილის გაწმენდა და საყანე ადგილად ქცევა, მაგრამ მუშობლები აჩერებდნენ — მწირი ადგილია, ბოში მიწაა, აქ არაფერი ხეირიანი არ მოვა და ჩიტი ბდღენად არ ელირებაო, და ისიც თავს იკავებდა. ამ დღით კი მაინც მოუარა ეინმა და, თითქოს გამოჯავრებულზე, მაინც დაიწყო მუშაობა: — შეხედეთ, თქვენ უქმობთ, მე კი ამ უქმეს რაც თქვენ მიერ არის დაკანონებული, იმის წინააღმდეგ მივდევარ... არ ვემორჩილები, არა, არც თქვენს კანონებს და არც თქვენს უქმეებს.

ვინ იყო ეს „თქვენს“, გულუიამ ბუნდოვნად იცოდა, და არც იცოდა. აქ კი იგი გაჯავრებით ურტყამდა ზოგჯერ წერაქვსა, რომ ზოგიერთი ჯაგნარის მაგარი და გაკაბუტებული ძირკვები ამოეგდო.

ქშინავდა, ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, ეტყობა, მარტო უჭირდა ამ მაგარი სამუშაოს დაძლევა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა.

ასეთ ჭაპან-წყვეტაში, სად იყო და სად არა, ანტო წამოადგა თავს.

— ოპ, გულუია, გამარჯობა შენი! მართლა სტებ უქმეს?

— უქმე არ ვიცი, მე! მტერს ძირიან-ფესვიანად უნდა ამოგდებო... აი ასე —

და მართლაც გადმოაგორა კარგი ღრმა: ზე წასული ძირკვი რომელიდაც ჯაგნარისა. თან დააყოლა: *შალვა ღაღინაძე* ჩემი მტრები არიან!

— ეგენი თუნდა ჰო, გულუია, მაგრამ ეს ლამაზი ბალახი, აგერ ზოგან ყუავილების კუკურიც რომ გამოუსხამს, ამათ რას უზამ?

— მოვეცლავ. ეს სულ უხეირო მცენარეა, უსარგებლო, გამოუსადეგარი..

— ოპო, შენ მართლა ძალიან შეიარაღებული ყოფილხარ: ცელიც თანა გაქვს, წერაქვიც, ნაჯახიც...

— მაშ როგორ გნებავს! სადაც რაა საჭირო, იმას ვხმარობ. აქ ზოგან ამოთხრა უნდა, ზოგან გაკაფვა, ზოგან მოცელა... მერე რამდენია ჩვენში ეს უხეირო მცენარეები, ჩვენში, სხვაგანაც... მე რომ შემეძლოს, ამ ქარაფშუტებს, ამ შუშუებს სულ გადავჭრიდი, თავს გაეაგდებინებდი... ჰა, ჰა!

— მიგიხვდი, გულუია, მიგახვდი — ჩაიცინა ანტომაც — მაგრამ მაგისტანა ლაპარაკი არ გამოგადგება, ხეირს არ დაგაყრიან... აქ ჩემთან ამ ლაფაროზე მე თუ მეტყვი რამეს, თვარა...

— ეებს! — აქ კი უფრო მოშვებულად წარმოთქვა გულუიამ, — არც საქმე, აღარც ლაპარაკი! — და ერთი მძლავრად გადაუშხილა ბასრად მოპირული ცელი სარეველა ბალახს და დაუზოგველად მიწაზე გააწვინა.

ამაზე ანტოს გაეცინა, ერთი აღმაცურად შეხედა გულუიას და გაშორდა.

გზად მომავალი კი გულში ასე ფიქრობდა:

— ვაი შე უბედურო გულუია, რომ იცოდე, რა მოგელის? შენ გგონია, წუხელი რომ ყველას გამოგემშვიდობეთ, მართლა შინ წავედი? რა შეილი მნახე?.. დაეინტერესდი, თადას სიტყვების შემდეგ რა გუნებაზე დადგებოდით შენ და ყველა იქ მყოფი, რას ილაპარაკებდით და ისლის სახურავზე ავხოხდი, იქ ცოტა მივქექ-მოვქექე საბურავის ჩამ-

პალი ისლი და ყველა თქვენი ნალაპარაკები ისე მოვისმინე, რომ უკეთესი არ შეიძლება... მინც, შეხედე, რა მდა გქონია, შე მართლა ვათანძაბა შენი ბეგი — მწყემსად, კესარია — მოახლედ — ბარამი ღომის მკეთებლად, ვამეხი — ფეხის მომღხანად... ავიშენდა ოჯახი, შენ ამას მოესწრო! ქუხილიას კიდევ რომ ნექტარინას დაპირდი, ვინ მოგცა ამის ნება, შე მართლა კუბაქო, შენი?!.. არაა, მეც გლეხი ვარ, მარა მაგისთანა აზრი თავის დღეში არ მომივა... ბატონები ღვთის გაჩენილია... ქვეყნის გაჩენიდან ასეა სულ. შენ გინდა ახლა ღვთის განჩინება მოსპო? აი ღმერთმა არ გაგახაროს გუდუია, თვითონ ის მოგსპობს შენ, ის მოვიღებს ბოლოს... არა, გიყვი კაცი რომ იყავი თავში გამწევი, ეს კი ვიცოდი, მხოლოდ თუ ამდენი ბორბტება გქონდა გვირგვილიანებისადმი გულში დაგროვილი, ეს კი ვერ წარმომედგინა. გვირგვილიანები, ბოშო, ბატონყმობა გადაეარდა, მარა მინც ჩვენი პატრონები არიან, ჩვენი მფარველები და ჩვენი მოსარჩლე. აი მე, ხიზანი ვარ, ამათთან შემოკედლებული და უკეთესი მფარველად მინდა? ღარიბი ვარ? რა ვქნათ? თუ ბატონებს ვასიამოვნებთ, ზოგჯერ რამე წყალობასაც მივიღებ და ამითი გავდივარ იოლას... შენ კი... ჰმ, «გუტატი წყვარამშიო». მალე ნახავ, წყვარამში ვინ იქნება!

აქ გაახსენდა, რომ დაზვერვის შემდეგ ის დღეს უთენია გაიქცა და ყველაფერი მისგან ნახული და გაგონილი გუტატის უამბო.

გუტატი ჯერ კიდევ იწვა, როცა მასთან ანტო გამოცხადდა. არ იყო კარგი გამოძინებული, ნაღვინევზე ზანტად იზმორებოდა, მაგრამ, როგორც კი გაიგო გუდუიას ნათქვამი, ლოგინზე წამოჯდა და გუდუიას დაემუქრა — მე იმას ვუჩვენებ სეირსო!

ანტო კმაყოფილი იყო, რადგან...

ლია: «აესა კაცსა ავი სიტყვა ურჩენია სულსა, გულსა!»

ეროვნული

ახლაც გაახსენდა გუტატის მწყვდარი. ერთი კიდევ გაიხედა გუდუიასკენ და განაგრძო თავისი გზა.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, გუტატის დასმენით, მამასახლისმა გაბაწრული გუდუია მიჰგვარა მაზრის ბოქაულს. აბრალეზდნენ „ბუნტოჩიკობას“.

მამასახლისის თადაც უნდოდა მიეყოლებინა, მაგრამ ვერსად ვერ ნახეს. ბერთემში არ აღმოჩნდა არც თადას მამა. ობიშნიამ იცოდა, სად იმყოფებოდა თადა. არ იცოდა, რომ თადამ აღდგომა ღამესვე მანჩა ფგერენაიას სოფელს მიაშურა.

ლგ

უცხოელებმა აიწყვიტეს: ბანძაში გველოდებიან და უნდა წავიდეთო. შეახსენეს, რომ მენჯი-რობუ ჰქონდათ დასათვალისწინებელი, მაგრამ ამაზე განაცხადეს — ჩვენმა ერთმა ამხანაგმა დაათვალისწინა უკვე და ეს ჩვენთვის საკმარისია, ჩვენ საბოლოო აზრს კი ქუთაისში მოგახსენებთო... ამაზე ვამებს უკვე გაგებული ჰქონდა ბევრისა და რიბინისაგან, რომ უცხოელები რაღაც ნივთიერებაზედაც ლაპარაკობდნენ, და ეს შეახსენა ერთ-ერთ მათგანს:

— ჩვენში ერთ დროს მოგზაურობდა კარგა ცნობილი რუსი გეოლოგი სიმონოვიჩი. მე ვიცნობდი მას. მან აღწერა ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრე და მისი ანალიზი თუ დიაგნოზი ყველგან შეუმდლარი აღმოჩნდა. სხვათა შორის ის ამბობდა ერთ რაღაც ისეთ ნივთიერებაზე, რომელიც შესანიშნავი უნდა გახდეს და რომელიც შეიძლება საქართველოშიაც აღმოჩნდესო. მაშინ მეცნიერი ცოლქმარის — კიურის მიერ რადიუმში არ იყო აღმოჩენილი და თქვენ ახლა კარგა

ამის რაიმე ნიშნები ზომ არ

5119
135765

ბიბლიოთეკა

მოსაზრება შორს დაიჭირეს და ერთმა მათგანმა ხომ მთელი ლექციაც კი წაუკითხა ვამეხს, თუ სად და რა ადგილს შეიძლება ზოლმე რადიუმის აღმოჩენა. რომ ის თითქმის ყოველთვის იმ არემარეში ხდება, სადაც ოდესმე ლველფის მფრქვეველი მთა ყოფილა, აქ კი ამის ნიშნები არ არის და ეს ისეთმა სპეციალისტმა დაათვალიერა, როგორც ჩვენი კამპანიონიათ.

ვამეხს ამაზე რა უნდა ეთქვა, მაგრამ გულში მაინც არ დაუჯერა და ეს ეჭვი რიბინინას და ბეგის საქუთაისოდ გაუზიარა.

სამშაბათს რომ უცხოელები ბანძას გამგზავრენ, ზღოშაბათ საღამოს ნექტარინა თავის დით, დისწულით და მანულებით, გარდა ვამეხისა, გამოეწყვენ გასამგზავრებლად.

ნექტარინას და რიბინინას დარაბტული ცხენები მიართვეს. ნექტარინას თავისი ჰქონდა და რიბინინას ხომ ბარამმა მიართვა. ამის გამო ქალები ცხენებზე მამაკაცურად უნდა ვადამჯდარიყვნენ, რადგანაც რახტს მამაკაცური უნაგირი ჰქონდა. ნექტარინა ასეთი უნაგირისთვის თავისებურად უკვე გამოწყობილი იყო, ქვედა წელი ფართო შარვლისებურად ჰქონდა შეკერილი და ცხენიდან ჩამომხტარი ნექტარინა კამიანს ჰგავდა. რიბინინამაც ამ ყაიდაზე გადაიკეთა რომელიღაც თავისი კაბა და სიცილ-კისკისით მოახტა ცხენს, ისე რომ ცხენთან სკამის მიდგმა და ბეგის დახმარება არ დასჭირებოდა.

ნექტარინას კი სკამიც მიუღდგეს და გუტატიმ ზელიც შეაშველა ცხენზე შეჯდომის დროს. როდესაც ნექტარინა უნაგირზე გასწორდა, საკვირველი სანახავი გახდა. რალაც უცნაურად ეცვა: გულსპირიან, გულმკერდიან კარგა მოლიავებულ, მეგრულად შეკერილ კაბაზე მოოქრაივილი ამბაჩა (ფერმუარი) ჰქონდა ადებული, მისი გრძელი, წითური თმები ორ დიდ ნაწნავედ ჰქონდა ბეჭებზე გადაყრილი და ზედ მეგრული

წესით გრძელი ლეჩაქი ჰქონდა გადაფრიალებული უთავსაკრავოდ, მხოლოდ შუბლზე ხავერდის სიბშირით მოქარგული სალტესავით ლენტი ეკრა ლეჩაქის დასამაგრებლად. მთელს სხეულზე ყვავილებით მოქარგული გრძელი მსუბუქი წამოსასხამი ნაბადივით ჰქონდა წამოხურული და ამ წამოსასხამზე ჰქონდა ლეჩაქის წვერი გადაქრიალებული. ფეხებზე კი რუსული მაღალყელიანი შავი ფერის ლილეშუკრული ფეხსამოსი ეცვა. ერთ ხელში თუ აღვირი ეჭირა, მეორეში გრძელტარიანი აბრეშუმის წითელი ქოლგა. ასე მორთული ბერთემული ქალბატონი ძალაუნებურად იქცევა მნახველთა ყურადღებას.

ვამეხი, როცა ასეთ მორთულს დაინახავდა ნექტარინას, ყოველთვის წიხუშკრებდა:

— ეს ჩემი რძალი ბუდას არა ჰგავს, თუმცა ასეთ ქანდაკებასავით კი არის ჩამოძერწილი. სტილი ძალიან არეულია, მაგრამ მაინც თავის იერით მოგვაგონებს ძველ-ქართულ ქალ-ღმერთს აინინას თუ დაინინას! — და გულიანად გადაიხითხითებდა.

ახლაც ეკოციმილს მიმართა, ესეც ბანძას მიდიოდა:

— იი შენ ხომ ზოგჯერ ნექტარინას დედოფალს ეძახი...

ეს გაიგონა ბარონესამ და გაიცინა: — მე კი მატყუებს, შენ ხარ დედოფალიო! ასე უნდა, შე ეკოციმილი, შენ?

— მე, ბატონო, გეუბნები, — შეჭლიმილა ეკოციმილმაც, — გეუბნები, რომ დედოფლობა დაგშვენდება, მაგრამ დრო წამხდარია-მეთქი.

— არა, არა! — კვლავ იცინოდა ბარონესა — აღდგომას კარგად გიმღერა ნექტარინამ... როგორ არი „შენ იგი ხარ... შენ იგი ხარ!..“

— შენ იგი ხარ უნდობელი, რაც რომ იყავ მანამდისო! — წაეხმარა ეკოციმილი.

— ჰო, სწორედ, სწორედ!

— და აი — დაუბრუნდა ვამეხი თავის სათქმელს — ეკოციმილი ნექტარიონას ხანდახან დედოფალს ეძახის, მაგრამ ნექტარინა დედოფლობას არ იჯერდება, ქალ-ღმერთი უნდა იყოს... შეხედეთ, ქანდაკება არ არის?

მართლაც, ნექტარინა ისე იჯდა ცხენზე, თითქოს ხელოვნურად არის ჩამოსხმულიო. მხოლოდ მსუბუქი ნიავი უშრიალებდა ლეჩაქის წვევს და მისი ბედღური მარჯვენა ფეხს ტორივით მიწასა სცემდა, თითქოს მოსწყინდა მოლოდინი და გამგზავრებას ჩქარობსო.

ნექტარინა კი უცდიდა სხევებს, რომლებიც თანდათანობით ჯდებოდნენ თავიანთ ცხენებზე.

ვამეხი გამოეთხოვა გამგზავრებულებს და მზიარული დროს გატარება უსურვა.

წამსვლელებში უფრო ვაეებმა თავიანთ ცხენებს მთარახები გაუტკაცუნეს, ბეგიმ თავისი მერანი შეათამაშა კიდეც და შემდეგ ცხენოსნურის სიმღერით გზას გაუდგნენ.

ღობორეში მაინც დარჩნენ: თოლისქვაში და კვიზინია, ძილხანი და დესი, კესარია და იეროთეოსი, ბათუ და მოსამსახურეები. ცოტა ხნით ამათ გამოეცალებრა ვამეხი. შემდეგ დაავლო ხელი იეროთეოსს და შინისაკენ წავიდა.

გზაში ობიშხია შემოხვდა. სენაკიდან მოდიოდა თურმე. ბოქაულთან იყო ნამყოფი.

ვამეხმა პირველად ობიშხიასაგან გაიგო, რომ გუდღია მთავრობისაგან დაჭერილი იყო. ობიშხიაც ბოქაულს მოწმედ ჰყოლოდა გაწვეული.

ვამეხმა გამოჰკითხა ობიშხიას საქმის ვითარება. ობიშხიამაც უამბო, თუ გუდღიასას რაზე ჰქონდათ საუბარი, მაგრამ გუდღიას ყველა ნათქვამი მაინც არ გადუცია. დიპლომატიურად მოერიდა ვამეხს მხოლოდ ნექტარინაზე და ბეგი-

ზე ნათქვამი კი გადასცა, რაზეცაც ვამეხმა ბევრი იცინა. ობიშხიამ კი უფრო თავის შეილზე იყო დამწუხრებული, რადგან ბოქაულს დაეშინებინა: თუ ასეთია შენი თადა, გავაციმბირებო.

ვამეხმა კი ანუგეშა:

„არაფერია, გუდღიას მალე გამოვა შევბინებო“, და შეილზე კი იმის მეტი ვერაფერი უთხრა, რომ „ნუ სწუხარო!“ ობიშხია თავის შეილს ამტყუნებდა:

— ხანგაა¹ ჩემი შეილი... როგორ შეიძლებოდა ანტოსთან იმის ლაპარაკი, რაც იმან იქ დაქტვა.

— ანტო ვინ არის? — შეეკითხა ვამეხი.

— ანტო როგორ არ იცი, ბატონო! ერთი ჩერჩეტი, შერიშ კოჩი რომ გყავს.

— მერმე?

— მერმე და იმის დასმენილი ვართ, ბატონო.

— ოო, ცოდვა არ დაიდვა, ობიშხია!

— არა, ბატონო, ნამდვილად ვიცი. სხვა ამის მეტი მაშინ ჩვენთან არავინ იყო...

— როგორ? წინათ შეგიმჩნევიათ მისთვის ჯაშუშობა?

— ჯაშუშობა, ბატონო, არც კი იცის, რას ჰქვია, მაგრამ ენატანია კაცია და... ამას გარდა, გუდღიასი და ჩემიც ყინი სჭირს. გუდღიასი მიტომ, რომ ერთხელ სცემა გუდღიამ რალაც კვარჩხი² საქმეზე ანტოს. ჩემზე კი უთუოდ მიტომ არის განაწყენებული, რომ როდესაც რამე უხიაგს იტყვის, არ შეეპარჩენ და ხალხში გამოვაქენებ ხოლმე.

— მერმე? — კიდეც შეეკითხა ვამეხი.

— მერმე-და, უთუოდ ენა მიუტანა თედორე-მღვდელს ან გუტატის, და იმათაც ზომები მიიღეს.

¹ ხანგა — დაუვირევბელი, მოუფიქრებელ კაცი.

² კვარჩხი — საზინო, საფათურაკო, მარცხიანი კვარჩხიანი — მარცხენა.

— ნუ გეშინია, არაფერი არ იქნება — კვლავ წარმოთქვა ვამეხმა, მხოლოდ თადას მდგომარეობამ ცოტა ჩააფიქრა.

ობიშხია მიუხედა ვამეხს, რომ თადაზე სანუგეშო არაფერი თქვა და პირჩამობნელებული გაშორდა მას.

იეროთეოსი უსმენდა ამ ორ დარბაისელს. ბევრი ვერაფერი გაიგო მათი ნალაპარაკების, გარდა იმისა, რომ გუდუია მთავრობას დაუჭერია და თადას კიდევ ეძებენ.

რომელია ეს თადა? გაიხსენა: ის უნდა იყოს, დობორეში რომ ამბობდნენ — დესი მოსწონსო ობიშხიას ვაქსაო, მამ ეგ არის თადა? ნახული ჰყავს. კარგი შესახედაობის ვაჟია. რად ეძებენ? რა დაზავა? ობიშხიას ნათქვამიდან, ის გამოიტანა, რომ თადას იმ ღამეს მთავრობის საწინააღმდეგო რამეები უთქვამს, „დაუფქვავს“.

ამ „დაუფქვამ“ გულში გააცინა იეროთეოსი. მან უკვე იცოდა, რაც იყო დაუფქვა. ნახული აქვს აქაური წისქვილი „ქალა ქ-ნს, დოქუთ“.¹ ამ სიტყვებსაც იყო გაცნობილი იერო. ამიტომ გაეცინა, მაგრამ ის ვერ აეხსნა თავის თავისათვის, თუ ვამეხი რატომ იცინოდა, როცა ობიშხია ნექტარინა და ბეგიზე გუდუიას ნათქვამს უამბობდა. ამ სიცილის მიზეზი კარგად ვერ გაიგო, მაგრამ სადღაც შორეულად კი მოეწონა, რომ ვამეხი ასე დაეცინეთ ეპყრობოდა ბეგის და ნექტარინას.

ვამეხი ჩაფიქრებული მიდიოდა მის გვერდით და სახლამდე ხმა არ ამოუღია.

ვამეხი ფიქრობდა:

— ეს ვერ არის კარგი ამბავი! ბერთემიც უკვე ჩვენს ადმინისტრაციას აღრიცხვაზე ეყოლება ამიერიდან აყვანილი, როგორც არა საიმედო... გუდუია არაფერია. გამოვამშვებინებ: რამდენ რა-

სმე იჩერჩეტებს მთერალი უახანი, რა უურადლება მისაქცევიან? მკაჭრამ თადა? თადას მდგომარეობა ანუ ვინის სახეუბრო... მე მარტო ფარნა ბეალა მეგონა ბერთემში ისეთ კაცად, რომელსაც შეუძლია მოძრაობას გაჰყვეს. ობიშხია გონიერი გლეხაა, ვითომდა ფილოსოფოსი კაცი, მაგრამ ნამდვილად კა უკანდახეული მოაზროვნეა, ჩრდილში ყოფნას რჩეობს, ჰა, ჰა! მოიკონსერვატორებს... ეტყობა, რომ ჩვენ სოფელში მოძრავი ელემენტი ისევდაისევ ახალგაზრდობა ყოფილა... ცხადია... მხოლოდ მარტო თადა ხომ არ იქნება... უთუოდ პატარა ორგანიზაციაც აქვთ ჩამოყალიბებული... ტაია ტყუილა არ გაითვება მიქესას ღამეს... მიქეც კვიანი ბიჭია... ა, მამ ასე! თადა და მიქე... მიქევალი ჩვენი მეთაურები.. აგრეც უნდა იყოს... ხალხის სულ დაბალი ფენიდან წამოვლენ უთუოდ მომავალი წინამძღოლები, მხოლოდ... დიდი სიფრთხილე მართებთ ჩვენს ბიჭებს... რასაც ისინი შესდგომიან — დიდი სიღინჯე მართებთ, დიდი ნებისყოფა, დიდი დაკვირვება და თოსნობა... დასანანი ის იქნება, თუ უბრალოდ თავი წააგებს...

ასე ფიქრობდა კეთილი ვამეხი.

ახალი ცხოვრება კი უკვე ბობოქრობდა და, აგერ, მიყრუებულ ბერთემისათვისაც კი მოუღწევიათ მის ზვირთებს.

— რა? ჩვენს გაზეთებში არაფერი იწერება ახლანდელი მოძრაობისა, იქაა, კანტი-კუნტად. ხეირიანად ვერაფერს გაიგებს კაცი... სენაკშიაც რომ ჩავდივარ, იქაც ვერ ვგებულობ კარგად ქვეყნის ამბებს... თუმცა მე ხომ სენაკში რა საზოგადოებაში ვტრიალებ? — იქაურ თავად აზნაურებში და მოხელეებში. იქ ამ მოძრაობას არეულობას ეძახიან. „ბუნტოვნიკებად“ ჰყავთ მონათლული მოძრაობის ხალხი... არა, უსათუოდ უნდა წავიდე თბილისის ნამდვილი ამბების გასაგებად... რაც

¹ ქალა — ფქვილად ქცევა, დაუფქვა ქ-ნს ფქვავს, დოქუთ — დაუფქვა წისქვილმა, კაცმა).

უნდა იყოს, თბილისშია ჩვენი კულტურული მაჯისცემა... იქ ვნახავ ჩვენს საუკეთესო, მოწინავე ხალხს... მოვინახულებ ჩვენს დიდ მოაზროვნეს — თვით ილია ჭავჭავაძეს...

და ამის გახსენებაზე მას თითქოს გუნება დაეწმინდა და სიმხნევე იგრძნო.

უკვე შინ იყო მისული. ფიქრში გართულმა ახლა შენიშნა, რომ იეროთეოსი ჰყავდა წამოყვანილი. თავის ოთახში შეიყვანა და სავარძელში ჩაჯდა საწერ მაგიდასთან.

იეროთეოსი ფეხზე იდგა და ემსგავსებოდა ხანდაზმულ მასწავლებელის წინ მღვარ პატარა შეგირდს.

— ა, მაშ რას იტყვი შენ... ჰო, რა გქვია? გრძელი სახელი გაქვს ძალიან... ჰო, გამახსენდა: იეროთეოსი... ეს სულ ხუცების ბრაღია... გამოსძებნიან ძველი ფაშინიდან რაღაც უცნაურ ბერძნულ სახელებს და არქმევენ ბავშვებს: იეროთეოს, აგათანბლოს, დოსითეოსი! ჰა, ჰა! დაბრძანდი, იეროთეოსი!.. ფეხზედ რად დგახარ?..

იეროთეოსი ყოყმანობდა.

— დაბრძანდი! — გაუმეორა ვამეზმა, ახლა ცოტა უფრო შეუვალად. იეროთეოსი მახლობელ სკამზე ცალგვერდელად ჩამოჯდა და შეაჩერდა ვამეზს. ვამეზიც ჩააკვირდა:

— ახლა შენ ქუთაისს წახვალ, დედა წაგიყვანს ჩვენებთან ერთად და იქ შემდეგ სასწავლებელში მიგაბარებს... მაგრამ იცი, როგორ სასწავლებელში? იეროთეოსმა მოინდომა ახსნა:

— აი ის რომ აცვიათ... ვერცხლის ფოლაქები რომ აქვთ მთელ ტანისამოსზე.

— ჰა, ჰა! გიმნაზია? არა, გიმნაზია შენ არ გამოგადგება...

ეს იწყინა იეროთეოსმა და მოზრდილივით უპასუხა:

— რაა, ჰა რომ ვარ მიტომ?

იეროთეოსის გვარის გახსენებაზე ვამეზი შეწუხდა, მაგრამ ბავშვს ეს არ

აგრძნობინა. მხოლოდ უხუმარის სახეით უთხრა:

— ჰაა იყავი და ვერც... ვერც... ვერც... გვარზე არ არის საქმე...

— მე მომწონს ჩემი გვარი. გვირგვილიანებში არ გავეცელი...

— აი ყოჩაღ, მე და ჩემმა ღმერთმა. მოგწონდეს. ეგ არ დაგიშლის სასწავლებელში შესვლას, მხოლოდ გიმნაზიაში კი არა, საცა... ჰა, ჰა! ვერცხლის ფოლაქებს ატარებენ... შენ უფრო საჭირო საქმე უნდა ისწავლო...

ვამეზმა იცოდა, და ახლაც გაახსენდა, რომ მაშინდელ ქართულ პრესაში, განსაკუთრებით „ივერიასა“ და „კვალს“ შორის დიდი კამათი იყო ატეხილი იმის გამო, თუ რომელი ტიპის სასწავლებლები და უმაღლესი სწავლა იყო საჭირო საქართველოსათვის: სერთო პუმანიტარული — გიმნაზია, რეალისტური, შემდეგ უნივერსიტეტი თავის ფაკულტეტებით, თუ სპეციალურად სასოფლო-სამეურნეო.

ვამეზი ამ უკანასკნელს ემზრობოდა. ისიც იმ აზრის იყო, რომ საქართველო უფრო სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, უფრო მაღალ კვალიფიციური სოფლის მეურნეები ეჭირება ჩვენ სამშობლოსო.

ასეც აუხსნა იეროთეოსს, მაგრამ იეროთეოსმა, ჯერ ერთი, ბევრი ვერა გაიგო-რა ვამეზის დარიგებიდან და, მეორეც, „ვერცხლის ფოლაქები“ გრძელ, ლურჯი მაუდის გიმნაზისტის სერთულს დაპყრობილი ჰყავდა ქუთაისში ყოფნის დროს მისი ყურადღება.

შემდეგ არც ეს მოეწონა, როცა ცოტაოდნად მიხვდა, რომ ვამეზი მომავალში სოფლისკენ ეწეოდა, წამოცდა კიდევ:

— ხელში თოხი უნდა დავიჭირო?

ამაზე გაეცინა ვამეზს. აუხსნა რაც შეიძლებოდა გასაგებად, რომ ნასწავლი მეურნის მოვალეობა უფრო ხელმძღვანელობაა შრომისა. ამასთანავე, განათლებულ ქვეყნებში მანქანებით ამუშა-

გებენ მიწას, მოჰყავთ მოსავალი. იერო-
თეოსი ხელმძღვანელობამ და უფროსო-
ბამ ცოტა მოხიბლა, თუმცა მთლიანად
მინც ვერ დააჯერა.

ეს შეატყო ვამეხმა და აუხსნა, რომ
ასეთი მანქანები — გუთანი, სალუწი,
გამნაივებელი და სხვა, ამჟამად თბილის-
შიაც იშოვება, ასე რომ ერთი ასეთი
პატარა და საჭირო მანქანა ჩალის საჭ-
რელი მეც კი მაქვს ჩამოტანილი. წაიყ-
ვანა და აჩვენა. აჩვენა, თუ ხელის ბორ-
ბლის დატრიალებით როგორ იჭრებოდა
ჩალა, რამაც ცოტა არ იყოს გაამხიარუ-
ლა იეროთეოსი.

ბოლოს ბავშვს უთხრა, რომ დედა-
მისს მოლაპარაკებოდა და, რაც საუკე-
თესო იყო, იმას გადაწყვეტდნენ.

იეროთეოსი წავიდა.

ვამეხს გულში მინც თბილისს, წას-
ვლა უფათურებდა და საბოლოოდ გა-
დაწყვიტა ამ დღეებში წასულიყო. შემ-
დეგ რალაც მოიფიქრა. შეიკაზმა იოსეს
თოხარიკი ცხენი და ესეც ბანძისაკენ
გაუდგა გზას. ვამეხს უყვარდა ყოველ-
გვარი ხალხურის გამოვლინება და სო-
ხარულით ესწრებოდა ჯარიანობას,
ხალხის ფერხულს, სიმღერას, ცეკვას,
გამოშაირებას. იცოდა, რომ ყველა ამას
ბანძაში უხვად ნახავდა და გულმა იქით
გაუწია. თან კმაყოფილი იყო თავის თა-
ვისა, რომ ნექტარინას „კამპანიაში“ არ
გაერია და მარტოდმარტო, უმხლებ-
ლოდ წავიდა.

ბანიცაღენი

X

ციბედულ!

მე ვამჩნევ, რომ ამ ნაწარმოებში მე-
გრულ სიტყვებს უხვად ვხმარობ.

მომიტყე.

შეიძლება, ეს არც თუ ისე საჭირო
იყოს.

განა ქართული ენა მდიდარი არ
არის?

ჩვენს დროში მინც როგორ გაუხვდა
და გაძლიერდა, როგორ კიდევ უფრო
მოქნილი შეიქნა!

ლიტერატურისა და მეცნიერების
ყველა დარგში ამჟამად მუშავდება ქარ-
თული ტერმინოლოგია.

აქ, რასაკვირველია, მეგრული ვერც
თუ ისე დაგვეხმარება, მაგრამ ენათ-
მეცნიერებისათვის გამოსადეგია. ერ-
თი რამ შევამჩნიე ზოგიერთ მეგრულ
სიტყვას: ერთი სიტყვა ზოგჯერ გამო-
კვეთილად ატარებს სხვადასხვა ნიუ-
ანსს. ორაზროვნებას ეს არ ჰქმნის. ასე-

თებია ამ ნაწარმოებებში დახმარებითი
სიტყვები:

გითორაგვაფა,

შქიფორთა,

გარგუებული,

ევარჩხი,

ვითანძარა და სხვ.

ყველა ამათი ქართული შესატყვისი
თავთავის ალაგას, შეძლებისამებრ, მო-
ცემული მაქვს, თუმცა მთლად დაზუს-
ტებით, ვატყობ, კიდევ ვერა მაქვს ახ-
სნილი.

ვფიქრობ, რომ ასეთი მეგრული სი-
ტყვები საყურადღებოა.

რაც შეეხება კიდევ სხვა მეგრულ
სიტყვებს, როგორიცაა, მაგალითად,
ობირეში, ოსხაპუეში, წკუმოტუა და
მისთანანი, ანდა ზოგიერთი მეგრული
ფრაზა თუ ლექსები, რომელთაც ვხმა-
რობ ხოლმე, მგონია, ეს ნაწერის სურ-
ნელოვანებისათვის გამოსადეგია.

და ეს მბარბიყვებს, ჩემო ციბედულ!

ლ

ბანძა დიდი სოფელია.

ასეც მღეროდნენ ერთ ღროს ერთ სახუმარო ლექსს მისი „მტერმოყვარები“.

მხოლოდ უფრო მართალი იქნება ვთქვათ: თუკი ქუთაისი „სავარდო და სამაისო“ იყო ძველად, მაშინ იმ ღროს ბანძას „სალხინო და საქეიფო“ დაეძახება.

იმ ღროს ბანძაში უმეტესად ფალავები და ებრაელები ცხოვრობდნენ. სხვა აზნაურები და გლეხები ისე არ იგრძნობოდნენ. მრავალრიცხოვანი იყო გაბუნების გვარიც, მაგრამ მათთვის უფრო ონოლიის სოფელი იყო განკუთვნილი; ბანძას ზედ ეკრა ონოლია.

ბანძას თან ახლავს ერთი უბანი კიდეც, ე. წ. „ურიაკარი“, „კედიტყარი“, „გუიდეკარი“ და სხვ.

თუ ფალავები ლხინობდნენ და ქეიფობდნენ თავიანთ კარ-მიდამოზე, სამაგიეროდ ურიაკარი, რომლის მოსახლეობასაც ერთ პირად ებრაელობა შეადგენდა, ვაჭრობდა და აღებ-მიცემობდა. ესევე ურიაკარი იყო ბერთემელების ნაცნობი ბენოიას სამშობლოც.

ურიაკარში ყოველკვირაობით ეწყობოდა ბაზრობა, სადაც არა მხოლოდ ბანძიდან, არამედ ახლონახლო სოფლებიდანაც მოდიოდნენ სოფლელები და ჰყიდდნენ თავიანთ მონაგარს: ქათმებს, კვერცხებს, აბრეშუმის შულოებს, პატარაპატარა კეცებს, ქოთნებს, ღოჭებს და სხვა ამისთანებს, სამაგიეროდ, ისინი ებრაელთაგან იძენდნენ საკაბეებს, საახალუხეებს, წალებს, ქალების „პოლსაბოკებს“. სავარცხლებს, ქინძისთავეებს, აბრეშუმის „ქიციას“ — თავზე მოსახვევებს და სხვა ამგვარს. ამას უფრო ქალები ეტანებოდნენ. ვაყები კი შედიოდნენ ისეთ ღუქნებში, სადაც ღვინო და სხვა სასმელები მოიპოვებოდა

ამ ღუქნებში ზოგჯერ ახალგაზრდა ფალავებიც იკრებოდნენ თავიანთი სტუმრებით და აქაც არ იშლიდნენ თავიანთ მზიარულებას.

იმ ხუთშაბათს კი, როდესაც ნექტარინა და მისიანები ეწყვიენენ ბანძას, ჯერ ნექტარინას ნათესავის, მართას ოჯახში შეიარეს ბერთემიდან ჩამოსულებმა და ცოტა ხნის შემდეგ ველითყარისაკენ გასწიეს, რადგანაც უკვე საღამო იყო და „ჯარიანობა“ იქ იწყებოდა. ვამეზიც აქ იყო მოსული და ხან ერთ ჯგუფთან მიდიოდა და ხან მეორესთან.

აქაც ჩვეულებრივი ღროსტარება იყო: ბურთაობა, ცეკვა, ცხენების ქენება „კარამდის“, ე. ი. დანიშნულ ადგილამდე, რომელსაც სახელდახელოდ აირჩევდნენ შეჯიბრის მსურველები, თარზია და სხვ.

ველითყარი დიდი მინდორი იყო, სადაც, როგორც ამბობდნენ, რამდენიმე ათასი ჯერ მარტო ცხენოსანი დაეტეოდა და ქვეითი ხომ უამრავი. აქ მიწა ნოყიერი იყო, მაგრამ შაინც არც ერთი „მარგალი“ და არც ერთი ფალაქა აქ მიწას არ ამუშავებდა, რადგანაც ეს დიდი მოედანი ძველთაგან საასპარეზოდ იყო, ეტყობა, განკუთვნილი. იქვე, ცოტა განაპირა ადგილზე, კოხტა ქვის ეკლესიაც იყო. რომელსაც გარშემორტყმოდნენ უზარმაზარი ძელქვები და საამურ ჩრდილს ჰფენდნენ თავის გარშემო.

რიბინინამ რომ დაინახა ეს ძელქვები, ალტაცებაში მოვიდა და ბეგის გაუხუმრა:

— რა საუცხოო სანახავი ყოფილა ეს... რა ქვაა?.. ძელქვები Камень-депево, და?.. როგორ სპილოებივით დგანან! წაეღ და მოვეხვევი... — ჩაიკისკისა, — ხომ არ იტყვიანებ, ბეგი?.. თუმცა ნუ გეშინია, ვერ გადავწვდები.. მე კი არა, ჩემისთანა ოციც რომ იყოს, ვერ შემორკალავს...

ბეგი შეფრთხილვით შესცქეროდა მის დანიშნულს, მის გულში ამჟამად მხოლოდ სიხარული იყო დასადგურებელი. ამისთანა ქალი მას ჯერ არა ჰყოლია. ქვეინიც რომ არის, ცოცხალიც და მოხდენილი უმანკოებაც რომ ახლავს! ასე მოჯადოებული იყო ბეგი. მაგრამ არანაკლებ მოიხიბლნენ ფაღავები ამ რუსი ქალის ეშხითა და იერით. მხოლოდ, როდესაც გაიგეს, რომ მას ბეგი ცოლად თხოულობდა, უკვე მეტი თავდაპირილი პატივისცემით დაუწყეს მოპყრობა და აღიარეს, რომ ეს ჩვენი რძალი ყოფილა.

„ჩქინი ნოსა, ჩქინი ნოსა!“ გაისმოდა ირგვლივ. ქალები ეხვეოდნენ, მამაკაცები ხელზე ჰკოცნიდნენ.

ერთმა დარბაისელმა ფაღავამ უმღერა კიდევ ძველებური: „ნოსა, ნოსა!“ და ბედნიერი იყო რიაბინინა.

მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად ცისა დასავალს არ დასულიყო, რომ ვედიდჯარის არემარე უკვე მოქერილი იყო აპრილის მზის მოცხინვარებაშენელებულ ცოცხალი სხივებით. ერთი მეორეში არეული ადამიანთა სამოსელის ნიორფერობა და ბუნების მწვანე სიხალისეს ქმნიდა რიაბინინასთვის სულიერ ლალ განწყობილებას. მის გულში სიხარული ჩამდინარებდა.

— რა ლალი ქვეყანაა, როგორ გიწვევს ბედნიერების შესაქმნელად! ამ ლაფვარდოვან ცის ქვეშ განა შეიძლება ბედნიერი არ იყოს ადამიანი? — ხალისიანად ფიქრობდა რიაბინინა, მაგრამ უცერად მის ფიქრს თითქოს ალაღმა ჩამოუფრინაო, გუნება შეეცვალა და მწვავედ ჩაექლო გონებას იმის გახსენება, რომ...

— არიან, არიან, აქაც არიან უბედურები.. მერმე-და, რად ხდება ეგრე? რად არის ცხოვრებაში ასეთი უსწორ-მასწორობა, რომ ერთნი ფუფუნებით ცხოვრობენ, მეორენი კი სიდუხჭირეს განიცდიან... მე კი მინდა ყველანი ბედ-

ნიერები იყვნენ, ყველას უყვარდეს ერთიმეორე...

უცერად კვლავ ნახტომი ფიქრში:

— განა შესაძლებელია საერთოდ ადამიანისათვის სრული ბედნიერება? თუნდაც ყველაფერი ხელს უწყობდეს ამისათვის: გონიერება, შეძლება, ახალგაზრდობა, სიყვარული?..

რიაბინინამ არ იცოდა, რომ რუსთაველს ჰქონდა ნათქვამი: მიჯნურს უნდა ჰქონდეს „სიბრძნე, სიუბზე, სიმდიდრე, სიყრმე და მოცალეობა“, თორემ გუნება არც თუ ისე წაუხდებოდა, რადგან მას ეს ყველაფერი ახლდა.

არ იცნობდა რუსთაველს და ამიტომ მისცა თავისთავს კითხვა:

— მე კი ვიქნები ბედნიერი?.. — გადახედა ბეგის, თვალები გაუბრწყინდა, — რასაც ირველია, რასაც ირველია ვიქნები!..

მაგრამ აღარ დასცალდა ამ ფიქრის გაგრძელება.

შუაგულ მინდორზე ოლარგადაკიდებული ოთხმოცი წლის საპატიო და სახემწყაზარი მღვდელი, საბა გაბუნია გამოვიდა. ცალ ხელში კარგა მოზრდილი, მეშის ბურთი ეჭირა, მას თან გამოჰყვა არანაკლებხანდაზმული, ფაღავების გვარის საამაყო წევრი, ბახვა ფაღავა. ეს ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი. ნაცრისფერი ჩოხა მის ქალარასთან იყო შეხამებული, წელზე ეკიდა ქარქაშმოვერცხლილი ლეკურ-ხანჯალი, თავზე მოსირმული ფაფანაკი ჰქონდა თმებზე ზორნით დამაგრებული და ყელთან გოძგარით შეჩერებული. ფეხებზე ახალგაზრდასავით წულამესტი ეცვა და საერთოდ მიხერა-მოხერა ცქვიტი ჰქონდა, ახალგაზრდული.

საბა გაბუნიამ, ეტყობა, რაღაც ლოცვა წარმოსთქვა, ბურთს ჯვარი გადასახა და ბახვას გადასცა. ბახვამ ბურთი ხელში შეათამაშა და მარჯვედ გაისროლა. მყისვე ორად გაყოფილი მობურთავეები ორივე მხრიდან მიეტყვნენ და

ერთხანს შეიკრა რკალი ბურთის გარშემო. ორივე მხარეს უნდოდა ბურთი ხელში ეგდო და ახირებულად არც ერთი არ ანებებდა მუშტებში ჩაბლუჯულ ბურთს. განსაკუთრებით საქმე გააჭირვა მხარბეჭიანმა ლევა კოტიამ. ღონიერი კაცი იყო და ბურთს ასე იოლად ხელიდან ვერ დააძვრენდნენ, გარს ეხვია უამრავი ხალხი და შორიდან ბლარძუნს უფრო ჰგავდა მათი საქციელი, რამაც რიაზინინაზე ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება. აგერ ლევა გაუსხლტა ალყას და საოცარი ნახტომებით მოკურცხლა თავის ლელოსაკენ. ამის გამო რკალი გაიხსნა და ბურთის გამტაცებელს გამოუდგნენ. ეს კარგი საყურებელი იყო. წინ გარბის ბურთით ხელში ერთი ვაჟკაცი და მას უკან მისდევენ დანარჩენები. ზოგი დაწინაურებულია, ზოგი ჩამორჩენილი, მაგრამ მიზნისაკენ ყველანი გულდაგულ მიისწრაფიან. აგერ-აგერ მიადწევს კოტია თავის ლელოს, მაგრამ დაეწივნენ და კვლავ რკალი შეიკრა.

ამ დროს მოვიდა რიაზინინასთან ბახვა ფაღავა. ბახვამ მხოლოდ ბურთის გასროლით გახსნა ბურთაობა, თვითონ კი არ მიუღია მონაწილეობა თამაშში. რიაზინინას აუხსნეს, რომ ასე არის მიღებული დიდი ჯარიანობის დროს: ვინმე საპატიო უფროსი და ღირსეული ბურთის გასროლით გახსნის თამაშს. ეს არის საპატიო საქმე დღესასწაულისათვის, სოფლისათვის, მობურთალოათვის. და ბანძაში უფრო საპატიო ვინ იქნება ამჟამად, თუ არა ბახვა ფაღავა, რომელიც გარდა პირადი ღირსებისა, იმავე დროს აქაური მაზრის, სენაყის მაზრის, თავადაზნაურების წინამძღოლი, ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ, მარშალიც არის.

რიაზინინა მიხვდა, რომ დიდი პატივისცემა იყო მასთან ბახვას მისვლა.

ბახვამ გამოთქვა სიხარული, რომ ამ მშვენიერ ქალს მოუსურებია ბეგა გვირგვინის დაპყვეს.

— გვირგვინის დამოყვება — ყველა ჩვენი დამოყვებაა, შეილო! ამიერიდან თქვენ მარტო გვირგვინის კი არა, მთელი სამეგრელოს რძალი ბრძანდებით.

რიაზინინამ მადლობა გადაუხადა დარბაისელს მოლოცვისათვის და თან დასძინა, რომ ამიერიდან სამეგრელო მისი მეორე სამშობლოა.

ბახვამ ამის შემდეგ ნექტარინას მიმართა და უქო ამ საქმეშიაც მისთვის ჩვეულებრივი გამჭრიახობა.

ბახვას თან სდევდა ფალავების ახალგაზრდობა და მოკრძალებით ისმენდნენ მის ნაუბარს, მხოლოდ, როდესაც ბარონესას ხუმრობით მიმართა და უთხრა — კიდევ ჩამოგვიყვანეთ პეტერბურგიდან ამისთანა მშვენიერი გასათვზოვრები, ზომ ზედავთ როგორი ალესილი ბიჭები გვყავსო და გადახედა ტან-წერწეტა, ჩოხა-ახალუხში „გამოწიპულ“ ახალგაზრდებს, ყველას სიცილი აუტყდა. შემდეგ ბახვა დაგმარასაც თავზე ხელის გადასმით მოეფერა და ბარონესას კვლავ ასე გაეხუმრა:

— ეს შენი ქალი მაინც გვაჩუქე ფალავებს, ბარონესა!

ამანაც სიცილი გამოიწვია და ზოგერთმა ახალგაზრდამ მკერდი წინ წამოიგდო. დაგმარამ კი თავი ჩაღუნა.

ერთმა ახალგაზრდამ თითქოს გულდაწყვეტით, თითქოს ხუმრობით მეგრულად ჩაილაპარაკა:

— ბედი რომ არ გექნება კაცს, თორემ რატომ არ გავჩნდი კნენა ნექტარინას მაზლის შეილად, ან მამიდაშვილად!

მისმა დანარჩენმა ამხანაგებმა ჩიფრუტუნეს.

ბახვამ მეგობრულად ხელი გაუყარა იქვე ახლო მყოფ ვამეხს და უცხოელე-

ბისა და ვოლკოვისაყენ გაემართა. უცხოელები ჯერ კიდევ არ წასულიყვნენ ქუთაისს, რადგანაც ფაღავებს არ გაეშვათ და ახლაც მათ დღევანდელ მასპინძლებთან იდგნენ. ისინი ხომ ყოველდღე ხან ერთ ფაღავეს სახლში იყვნენ დაპატივებულები, ხან მეორესთან. ამალამ კი ბახვას ჯერი იყო და ასე შეახსენა კიდევ ბახვამ. პირველხანად განაზღნენ, მაგრამ, როდესაც გაიხსენეს, რომ ბახვა ამ ქვეყანაში ერთი წარჩინებულთაგანი იყო, უარი ვეღარ შეჰკადრეს.

საერთოდ კი ჩვენს ქვეყანაში ყოფნით ისეთი შთაბეჭდილება გამოიტანეს, უცხოელებმა, რომ აქაურ პრივილეგირულ წოდებასაც ქეიფის და არშიყობის მეტი არაფრის დარდი არა აქვთ. ეს წოდება ყველგან ერთნაირი ყოფილა, ყველგან დეგრადაციის გზაზე არიან დამდგარი. ამათ აქ კვიზინიასთან ხალხი თუ უშველის, მაგრამ ეგეც ერთი ხეპრე, გაუნათლებელი და გაუგებარი კაცია, შორს ვერც მაგისტანებით წავა ქვეყანა. ისე კი ძალიან ყოყოჩობენ, იპრანკებთან, ვითომდა პატრიოტობენ, მაგრამ ეგენი ვერ დაიცავენ თავიანთ ქვეყანას, — ისე მალე გამოეცლებათ ხელიდან, რომ ვერც კი გაიგებენ; სულ უცხოელების ხელში გადავა მათი სარჩო-საბადებელი, მათი აელა-დიდება. ამიტომ საჭიროა ვიჩქაროთ, რომ საუკეთესო ნაწილები მათი მამულისა, მადნეულისა, სამკურნალო წყლებისა და სხვა. თანდათანობით ჩვენ ჩაეიგდოთ ხელში, თორემ სხვა ქვეყნის კაპიტალისტები დაგვასწრებენ ისე, როგორც ბაქოში და ჩვენ დავრჩებით პირში ჩალაგამოვლებული. ჩვენ კი, თუ ენერჯიას გამოვიჩინეთ და ჩვენი ქვეყნის სხვა მრეწველობასაც ჩავერეთ ამ საქმეში, მაშინ, ერთ მშვენიერ დღეს, ადვილად შეიძლება ბელგიამ გამოაცხადოს, რომ თუ მთლად არა, საქართველოს დასაველეთი ნაწილი მაინც ჩემი კალონია არისო, და რუსეთიც მშრალ-

ზე დატოვოს. ეს იქნება არამც თუ სერი, არამედ დიდი პოლიტიკური გამარჯვებაც.

ამ დროს მობურთავეებში დაინახეს, რომ ეგი სართანის ბურთი ეგდო ხელში და ახლა ეს გამორბოდა მეორე, კოტიას საწინააღმდეგო ლელოსაკენ.

გარშემო მდგომი ხალხი გაფაციცებით უყურებდა, თუ რომელი მხარე აჯობებდა, მაგრამ ყველაზე უფრო დაძაბულად უყურებდა ფარნა ბეალა თავის ცოლშვილით. ესენი ხომ სწორედ ლევა კოტიას სტუმრები იყვნენ, რადგან ლევა ფარნას მეუღლის ფანთას ძმა იყო და სწორედ მასთან იყვნენ წამოსული ამ სააღდგომოდ.

მათ სწყენოდათ, რომ ლევასთვის ბურთი წაერთმიათ მოწინააღმდეგეებს. მაგრამ, აგერ, ლევა გამოენთო სართანის, დაეწია, თავისი მაგარი მკლავებით ჩაბლუჯა, მხოლოდ სართანაც ახირებულად არ დანებდა და გაუძალიანდა. ამ ორის რკინებამ ხალხის ყურადღება მიიპყრო. ქვეითი მყურებლები უფრო ახლო შექუჩდნენ მობურთაღთა გარშემო. ქვეითებს ცხენოსნებიც შემოერივნენ, მაგრამ უმეტესობა ცდილობდა, რომ ქვეითები არ შეევიწროებინა. მხოლოდ გუტატიმ ფარნას მხარეზე მოაგდო ცხენი და ბევრი მაყურებელი კინალამ წააჯიგორგალა. ფარნა ურყევად იდგა თავის ცოლ-შვილში. ეს რომ გუტატიმ დაინახა, დაუყვირა:

— კინიკონი, წიე !

ფარნამ იცნო გუტატი და მაშინვე შეუბრუნა:

— შენი წიე მე საშობოდ დაკვალ კიდევ.

— ო, შე კუბაქო, ვის უბედავ! — უფრო მაგრად შეუტია გუტატიმ და ზურგზე მათრახი გადაუშხულია ფარნას.

თვალის დახამხამებამდე ფარნამ ცხენის ჯიქავში წაუვლო ხელი, შეახტა და მაგარი სილა გააწნა გუტატის.

გუტატიმ ხმალი ამოიღო.

შეიქნა აფრხაური. ქალების წივილი, კივილი. ქვეითად მყოფი გლეხების ყიფინი: — დაჰკა მაგ კულა აზნაურსაო!

ამან აზნაურებიც შეაყელთა და შეიქნა ხელჩართული ცემა-ტყემა. არაფერ არ იცოდა ეს ჩხუბი რატომ ხდებოდა, მხოლოდ ერთი კი ცხადი შეიქნა, რომ თავად-აზნაურობა გლეხებს მათრახებით უმსპინძლდებოდა, რადგანაც მათი უმეტესობა ცხენებზე იჯდა, გლეხები კი რამოდენიმე ერთად ჯგუფდებოდნენ ცხენიდან იღებდნენ ცხენოსანს და შემდეგ ცემდნენ კარგა მაგრა.

ბახვამ ეს რომ დაინახა, მაშინვე კაცი აფრინა, — დღეს აქ ბოქაულია ჩამოსული და თავის ჩაფრებით დაუყოვნებლივ აქ გაჩნდესო.

მართლაც ესე მოხდა. ჩაფრებისა და ბოქაულის გამოჩენამ, თითქო მოჩხუბართ ცივი წყალი გადასხა, უცბად ყველა შეაჩერა და მიფანტ-მოფანტა.

გუტატისთვის ამოღებული ხმალი წაერთმიათ, ჩოხის საქილ და ახალუხი ცალ გვერდზე ჩამოეხიათ. შეურაცხყოფილი გინებ-გინებით მიდიოდა თავისი მასპინძლის სახლისაკენ, თან ემუქრებოდა ფარნას:

„ეს უღვაში მომპარსე, თუ სახიზრო ადგილიდან არ აგყარე და შენი ჩასუჭებული ფანთაც არ მოვიგდე!“

ნეტქარინამ რომ გაიგო, გუტატი გალახულიაო, მაშინვე აიწყვიტა, თავისიანებს შეუძახა და თავისი ნათესავის — მართას სახლისაკენ გასწია.

სალამო მოშხამული იყო.

ბახვა დიდ ბოდის იხდიდა სტუმრების წინაშე — მომხდარი უსიამოვნებას გამო. ყველაფერი ზედმეტად მიღებულ დინოს მიაწერა და მაინც უბრძანა, ბურთაობა ბოლომდე მიეყვანათ და საერთო მზიარულება ისევ გაეჩაღებინათ.

ეკოციმილმა მოახერხა, წრე შეადგინა და იქ მყოფთ ცეკვა დაიწყო. დაირის ხმა რომ გაისმოდა, შეიქნა მოცეკვავეთა წრე და თანდათან ხალხი მოსულეირდა.

გამოირკვა ისიც, რომ ღელო მაინც კოტიას გაეტანა და მეგობრები მას გამარჯვებას ულოცავდნენ.

ფანთას და გურის თვალები უბრწყინავდათ. ფარნას გული ჯერ კიდევ ვერ დაემშვიდებინა, — ეს ეტყობოდა ფერმიხდილობაზე, მაგრამ მაინც დინჯად იყო და ესეც ლევას თავს დასტრიალებდა.

ვიღამაც საიდუმლოდ ამბავი მოუტანა — გუტატი ბერთემიდან აყრას გიპირებსო და ფანთასაც გემუქრებო. ამზე ფარნას გულზე ცეცხლი მოედვა, დიდად გაბრაზდა, მაგრამ სხვა ვერაფერი მოახერხა და ამბის მომტანს ასე უთხრა:

„თავის ქერქში დაეტოვოს, თორემ ფანთას კი არა, სუყველაფერს დავავიწყებ. ჯერ ის იემაროს, რაც მის მარჯვენა ყბას სიმწვავე ვაგრძობინე. მომავალში კი... ჩემი ხიზნობა ნუ აღგია ყელზე... ახსოვდეს, რომ ცხვარი ცხვარია, მაგრამ, თუ გაცხარდა, ცხარიაო“.

ამითი გული მოიფხანა.

უეცრად ხმა გაისმა, რომ გარდაფხანის ქალი მოვიდა, გარდაფხანისო, და ის ხალხი, რომელიც წასვლას აპირებდა თავის სახლში, შეჩერდა და მის ნახვას დაელოდა.

ეს რომ რიაბინინამ გაიგონა, კარგა მოშორებით იყო წასული, მაგრამ ბეგის სთხოვა, დაბრუნებულიყვენ. გზაში ბეგამ უამბო:

— ეგ გარდაფხანის ქალი უღამაზეს ქალად ითვლება ჩვენს მხარეში. ის სვანეთიდან არის წამოსული, მაგრამ უნდა იცოდე, რომ ბანძას სადღესასწაულოდ დასავლეთ საქართველოს თითქმის ყოველი მხრიდან მოდიან ხოლმე — მოდიან აფხაზეთიდან, გურიიდან, იმერეთიდან, როგორც ხედავ, სვანეთი-

დანაც, და მოდიან სწორედ ნააღდგომევის ხუთშაბათს, ან პარასკევს უთუოდ და აქ რჩებიან ნაახალციკიერის ორშაბათამდე. იმ დღეს აქ დიდი ჯარიანობა იციან, დღევანდელზე კიდევ უფრო დიდი, ქვენიერობას ეძახიან და მხოლოდ სამშაბათს წაელენ-წამოვლენ ეს სტუმრები.

— თითქმის მთელი ერთი კვირა რჩებიან?

— დიად. ფალავები, ცოტაოდნად მაინც ხომ გაეცანი მართასას, აქაც, ჯარიანობაში, როგორც მომლხენნი, სტუმართმოყვარე და პურადი ხალხია, ამბობენ, ჩვენი ბელგიელები სულ გაგიჟებულები არიან — ეს რა მასპინძლობა სცოდნიათ: შემწვარი ძროხა შამფურზე მთლიანად აგებული შემოგვიტანეს ერთ სუფრაზეო. მაგრამ... მე ცოტა გადაეუხვიე... გარდაფხადის ქალის ნახვა ყველას ენატრება და მის საჭერეტად გროვდება ხალხი.

— მართლა? გაუჩქაროთ, გაუჩქაროთ ფეხი... ნექტარინა მე არ გამიწყურება ჩამორჩენისათვის... მისი გუტარე ხომ ცოცხალია... ჰა, ჰა! ხომ არ მოუკლავთ...

— რა მოკლავს ძაღლის შვილს. ამბობენ, ძაღზე ნაცემიაო.

მაგრამ რიბინინა გუტარის მდგომარეობის გაგებას არ შეუდგა. ეტყობოდა, ის სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, წარმოთქვა:

— მაშ საჭერეტად, ა? ლამაზი ქალის საჭერეტად... ეს ხომ ანტიური რამ არის, ბეგი, ელინური. რომელიმე ფრინას, ან ასპაზიას სანახავად ძველს საბერძნეთში ხალხი იყრიებოდა თურმე. იმისათვის, რომ მათი სილამაზე დაენახათ. ამითი ესთეტიკური სიამოვნება მიეღოთ... იქ ხომ ქალის კულტი იყო გაბატონებული. ქალს აღმერთებდნენ... რა მშვენიერია, რომ თქვენშიაც ასე ყოფილა... მაშ საჭერეტად, ა, ბეგი?

— არ ვიცი, შენ რას ლაპარაკობ, ჩემო მტრედო... ეგერ, აი ბახვა ფალავასთან დგას გარდაფხადის ქალის რიბინინიმ გახვდა.

მართლა მწყაზარი ქალი დაინახა: ტანადი, ნატიფი სახის.

ირგვლივ ხალხი მის შორიახლო შექუჩებულოცო და მართლაც ნეტარებით შესცქეროდა.

ასეთივე გრძნობით დიდხანს უყურებდა რიბინინაც, თითქოს დიდად ნახელოვნები, ძვირფასი ნივთი უპოვიაო.

ასეთივე აღტაცებით შესცქეროდა ვამეხიც, უცხოელებთან ერთად, გარდაფხადის ქალს. თან ახსენდებოდა — გადასახლებაში ის დრო-დროთი წერდა ნაშრომს ქალის კულტზე საქართველოში. ამით იკლავდა იგი პუბლიცისტობის უინს, რადგან კარგად ახსოვდა რომ 70-იან წლებში მას საქართველოში დიდ მომავალს უქადდნენ მწერლობაში. ნიკო ნიკოლაძესთან და გიორგი წერეთელთან ერთად მარჯვედ გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და მხოლოდ უბედურმა შემთხვევამ მოაცალა იგი მწერლობასაც და სამშობლო მხარესაც. მხოლოდ გადაკარგული მაინც არა ცხრებოდა და ერთ აკვიტებულ დედააზრს თავს დასტრიალებდა. მისი ყურადღება იმაზე იყო გამახვილებული, რომ საქართველოში უხსოვარი დროოდან მოდიოდა ქალის კულტის თაყვანება. ჯერ წარმართობის დროს ქართული მითოლოგიის პანთეონში ქალის გადმერთება, შემდეგ ქრისტიანობაში ლეთისმშობლის წილში მოხვედრილი საქართველო, წმ. ნინო, თამარი და კდევე ვინ იცის, რამდენი, რამდენი მშვენიერი ქალი ქართველებისთვის სათაყვანო, გასაღმერთებელი. ახლა ვეფხისტყაოსნის თინათინი, ნესტანი...

ამის ანარეკლია ახლაც სადმე თემობაში თუ ჯარიანობაში გამოჩენილი ლამაზი ქალი და მისი საერთო თაყვანება, მოკლებული ქვენა გრძნობებს.

აგერ გარდაფხაძის ქალი
ვაშებს გაახსენდა ერთი ადგილი თა-
ვის ნაშრომიდან:

„ქალის სილამაზე ატყვევებს ყველას.
თავისი უძლეველი სიამითა და ნეტა-
რებით. მას ყველა განუხსაზღვრელად
ემორჩილება, არავის არ უნდა გადაიგ-
დოს მისი სანეტარო უღელი. ქალის
სილამაზე ღვთაებრივი შერწყმა აუცი-
ლებლობისა და თავისუფლებისა. იგი
არის სასწაული და მხოლოდ ტლანქ ნა-
ტურალიზმს არ გაეგება ეს“.

ამ დროს მოესმა ვაშებს. რომ უცხო-
ელი ამბობდა:

— დიახ, ეს მართლა რომ ლამაზი
ყოფილა!

ვაშები სწრაფად მიბრუნდა მისკენ:

— ქალის სილამაზე — შერწყმა
შეურწყმელისა...

მსმენელებმა კარგად ვერ გაიგეს,
ამიტომაც ჩაიცივნეს. ვაშები კი არა
ცხრებოდა. ახლა ვოლკოვს მიუბ-
რუნდა:

— ამას წინათ როგორღაც ხელში
ჩამივარდა და თქვენი ბობორიკინის
„უღელტეხილი“ გადავიკითხე... ის
წერს...

ვოლკოვმა ამრეზით ცალყბად გაი-
ღიმა:

— ვერ მოგილოცავთ ეგეთ გემოვნე-
ბას... ბობორიკინი რა მწერალია!

— ნუ იტყვით მაგას, — შეესიტყვა
ვაშები — ეტყობა, კარგა ვერ იც-
ნობთ... ჭკვიანი მწერალია და დიდი
ერუდიტი. ვიცი, რომ ძალიან არ არის
თქვენთან მიჩნეული, მაგრამ ეს, ჩემც
ფიქრით, იმიტომ ხდება რომ ბობორი-
კინის დროს ცხოვრობდნენ და მოღვა-
წეობდნენ ისეთი ბუმბერაზები, როგო-
რაც იყვნენ ტოლსტოი, ტურგენევი,
დოსტოევსკი და ამათთან ბობორიკი-
ნი, რასაკვირველია, იჩრდილებოდა...

უცხოელმა შეაწყვეტინა:

— თქვენ ეს გვიბრძანეთ, მუსიო ვა-
შეკ, რასა წერს ეგ მწერალი?

— ჰოო... ისა წერს ერთ აღაგას:
„ერთადერთი სილამაზეა, რაც კი მმარ-
ტად სინამდვილის სახეს ატარებს, —
ტერიალური რეალიზმი აღსავესა ერთი-
მეორის მოწინააღმდეგე მიმართულე-
ბით. სილამაზის სფერო — ეს არის
უღიდებულესი პოემა კაცობრიობისა,
რადგანაც აღამაინი მართლაცდა მშვე-
ნიერების სახეებით უნდა ცხოვრობდეს.
ქალმა სილამაზე თავის გულ-მკერდით
გაათბო. მამაკაცი კი ტლანქსა და საცო-
დავ, ვითომდა გონიერ ცხოველს წარ-
მოადგენს.“

უცხოელები უსმენდნენ ვაშებს, მხო-
ლოდ გარდაფხაძის ქალს მიშტერებოდ-
ნენ. ქალი კი ბახვასა და სხვა ფაღავეებს
ესაუბრებოდა. მაგრამ იაფფასიანი კოხ-
ტობა არ ეტყობოდა, მხოლოდ შინაგა-
ნი, მომზიბლველი სიკვლუცე ემჩნეო-
და, რომ უხვად მოსდგამდა. სიცალი
ჰქონდა შესანიშნავი: სახე უნათლდე-
ბოდა და ბაგე-პირიდან, როგორც ძველ
მწერლობაში იტყოდნენ, მართლაც
„ვარდ-მარგალიტი მოსცივიოდა“. თვა-
ლები კი აუქუქუქვდებოდა, და ეს იყო
უცნაური! ცბიერება არა, მზაკერობა
არა, ესენი არ იხატებოდა მის ეშხიან
თვალეში, მხოლოდ როგორღაც საი-
დუმლო მიმზიდველობა გატყვევებდათ
და ამ ტყვეობით იყავით გატაცებული.
რა იყო ეს ძალთაძალი? დიდებული აკა-
კი ამბობს: „ასეა, ვისაც ბუნება თავის
ძალს გაუნაწილებს“.

ვაშები განაგრძობდა:

— ბობორიკინი ამასაც ამბობს: ზნე-
ობას ქალი ქმნას. ის დიდი მხატვარი,
დიდი შემოქმედი. ის თავისთავსაც
ქმნის და თავით თვისით სხვებსაც:
ოჯახს, საზოგადოებას, მთელს კაცო-
ბრიობას. ის თავით თვისით არის შთა-
მაგონებელი და აცოცხლებს ღვთაებრივ
სილამაზეს.

ამ დროს ბახვა მობრუნდა ვაშების-
კენ და შეეკითხა:

— რაზე ესაუბრები, ვაშე, უცხოე-
ლებს?

— ქალის სილამაზეზე...

— ოო!... — ბახვა უეცრად მიუბრუნდა გარდათხადის ქალს, — გაიცანით, მელიხან! ჩვენი ვამებს გვირგვინიანი... ქალების დიდი თავყანისმცემელი და დამფასებელი...

მელიხანს სახე არ შეეცვლია. ისევდა ისევ ზრდილობიანი გამომეტყველება ჰქონდა მხოლოდ. ვამებს ხელი ჩამოართვა და წარმოთქვა:

— თქვენზე ბევრი რამ მსმენია!

რა იყო ეს? ქათინაური თუ „გამოთამაშება“? მხოლოდ ვამებს გულში ჩაწვდა ქალის ხმა — გულის სიღრმიდან ამოსული, ეს კრიალა, მაგრამ ძალდაუტანებელი, ცოტა კონტრალტოს იერი რომ დაჰკრავდა, ისეთი. სხვა არა უთქვამს-რა, არც თავისი ხელი გაუჩერებია დიდხანს ვამების ხელში, მაგრამ ვამებსმა თავის თავს მაინც დაუღალსტურა; რა მომჯადოებელი ხმა ჰქონია... რა გემრიელი ხელი!

— ჰმ... გემრიელი ხელი! როგორ დეკადენტურად ვფიქრობ... ახლა ხომ წამოვიდა ჩვენს მწერლობაშიაც დეკადენტური ნაკადი... ვაი თუ მეც ჩამითრია, მაგრამ არა! — გაახსენდა თბილისში ოდესღაც მისი სატარფო ქალი, იმასაც „გემრიელი ხელი“ ჰქონდა. — და შეაჩერდა მელიხანს. — არა, ჩემუ სატარფო ასეთი სხივოსანი არ იყო... ამან, ეტყობა, იცის თავისი ფასი, იცის, რომ ირგვლივ ყველას მოსწონს და ყველგან, მაგრამ ამას კი არ იფერებს, არამედ არ იმჩნევს... ასე უნდა იყოს ასე... სიმშვენიერეს პრანჭიობა არ შეშვენის...

ლღ

უკვე შეზინდდა და ვედითარზე თავმოყრილი ხალხი ნელინელ სიმღერითა და ჟივილ-ბივილით დაიშალა.

ზოგი ქვეითად მიდიოდა, ზოგი ცხენებით.

ქვეითად მიდიოდა დღევანდელი ბურთაობის გმირი ლევა კოტიაც და ხე-

ლიხელ გაყრილი მოჰყავდა ბურთაობაში მისი მეტოქე ეგი სარქოანი... ეგიმ თავპატივი გაიდვა — შეჩვენდ/დღევანდელდევ, მაგრამ ლევა არ უშვებდა.

— შენ მარტო ხარ სახლში, უცოლ-შვილო, მე კი — აგერ სტუმრებიცა მყავს — და მიუთითა მათთან მომავალ ფანთა, ფარნა და გურიზე — ამაღამ ჩემთან გაეატაროთ დრო. ხვალ, თუ გინდა, შენ დაგვაპატიე ჩემი სტუმრებით, — ჩაუხუმრა ლევამ.

ბურთაობაში და ყანის მუშაობაში იყვნენ ერთიმეორის მეტოქეები, თორემ ისე პატარაობიდანვე უყვარდათ ერთმანეთი და საერთოდ მათი შეგობრობა განთქმული იყო.

ეგიმ ფაფარა არ დაიდრიკა და ამაღამ ხუმრობა-შეყოლებით უპასუხა:

— დამცინი, ბიჭო? ვაი, ეგი არ მოგიკედეს, იმისთანა წვეულება გაგიმართო, რომ სულ ვარხალალო გაძახო... მარტო ვარ, მაგრამ ბიცილაჩემი მეზობლადა არა მყავს!.. — ისეთი სადილი გაქამო, რომ სულ თითები შიგ ჩააყოლო...

ეს უთხრა და მაინც წასასვლელად გაიწია, მაგრამ ლევამ ახლა უხუმრად განუცხადა:

— ბესარიონიც ჩემთან მოვა ამაღამ... არც ახლა წამოხვალ?

— ოო, ბესარიონი თუ იქნება, რასაკვირველია, წამოვალ. ბევრ რასმე გვეტყვის საგულისხმოს...

— აბა როგორ!

— მაშინ, გური მოდი ჩემთან! — გური მივიდა. ეგიმ მხარზე ხელი გადახვია და უთხრა: — ერთად ვიაროთ... როგორ მოგეწონა დღევანდელი ჯარიანობა?

— რა მომეწონა!.. ბანძელებს მზიარულობა არა გცოდნიათ... — ნელი ხმით მაგრამ მტკიცედ ჩაილაპარაკა გურიმ. — არ ჰგავს ბერთემულ ობირეშს... ამისთანა გარგვალელებული ჩხუბი მე არ მინახავს!

— სად ნახავდი, ბიჭიკო, ჯერ მიწას არ ასცილებიხარ... კარგი კი იყო! ეს

იყო ნამდვილი შეტაკება თავდაზნაურებისა და ჩვენი, მარგალების... ბურთობა ერთხანს შეგვაწყვეტინეს მაგ ოხრებმა, მაგრამ მოჩხუბრებში მეც კარგა ვუთაქე ზოგ-ზოგს, რასაკვირველია, უფრო აზნაურებს...

— რა? მამაჩემსაც რომ გადაარტყა მათრახი იმ წყევლმა?

— ეგ არაფერია! მამაშენს ჩოხაზე გადაურბინა მათრახმა და მაგან კი, აგერ ახლა არ მითხრა? ისეთი სილა უქმევია გუტატისთვის, რომ სულ ღრანკი მოუქცევია...

— რა ვიცი! რა სიკეთეს მოიტანს ასეთი ერთიმეორის შეტევა?

— ჰა, ჰა, ბიჭო! ეს იცოდე: ძალიან მალე დადგება დრო, როდესაც ჩვენ და თავდაზნაურობას და იმ პრისტავსაც და მის ჩაფრებს, ჩხუბში რომ ჩაგვერია, ისე შევეტაკებით, რომ სულ სიმწრის დღეს დაეაყენებთ... შენც უნდა შეეჩვიო, გური, ამისთანებს... ეს პირველი და შემთხვევითი შეტევა იყო ამითი ჩვენ გამოვზომეთ ერთიმეორის ძალები, ერთგვარად გავიგეთ, თუ ვინ რისი შემძლეა... ისინი ცხენებით იყვნენ და შეიარაღებულები, ჩვენ კი ქვეითად და უიარაღოდ, მაგრამ ხომ ხედავდი, რა დღეც დაეაყენეთ... ცხენებიდან გადმოვადგეთ, ხმალ-ხანჯალი წავართვით, ქვეშ მოვიგდეთ და სულ წინაით დავესიეთ მთელი სხეული, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არცერთი საჩხუბრად მზად არ ვიყავით. მოვადრო და ისე შევმზადდებით, დავიარაღმებით და ასე შემთხვევით კი არა, გამოვზომილად და გულდაგულ ისე შევეტევთ, რომ სულ „ვაი დედა“ ვეძახოთ. შენც ხომ მიიღებ, გური, მაშინ მონაწილეობას?

— მე? როდის იქნება ეს?.. ჰო, გუტატისთანა წყევლებს არც მე დავაყრა ხეირს.

— რა ამბავია, ეგი?.. შე უკუღმართო! რას ასწავლი მაგ ბაღანას, — სიცილით შესძახა მის ზურგს უკან მო-

მავალმა ფანთამ.

— უკუღმართობას კი ვერასწავლი, დია!.. შენი შევიღო მჭობრებული არ უნდა გამოვიდეს? — შეუბრუნა ეგამ. კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ზურგს უკან ცხენების თქარათქური შემოესმათ და ქვეითებმა გზა უტიეს ცხენოსნებს.

მათ შორის შუაზე მოდიოდა მშვენიერ ბედაურზე მჯდომი გარდაფხაძის ქალი. იქით-აქეთ მიუყვებოდნენ ბახვა ფალავა და ვამეხი, მათ შემდეგ — უცხოელები და ვოლკოვი, ამათ მიღმა კი მთელი დასი ყელმოღერებული ყმაწვილებისა. ცხენები დინჯად მოაბიჯებდნენ და ქვეითებს გატანას არ უპირებდნენ, ამიტომ იყო, რომ ქვეითები არ დამფრთხლან, მხოლოდ გზა დაუცაულეს და თვალი კი გააყოლეს მხედრებს.

კარგი სანახაევები იყვნენ. კარგად იყო მორთული ახალგაზრდობა: ქართულ ჩოხა-ახალუხში, მოსირმული საჭილეებით და წულა-მესტებით, მხოლოდ სხვაობა შეჰქონდათ ევროპელებს თავიანთ სერთუკებითა და ფართოკალითანი ევროპული ქუდეებით. ადგილობრივთათვის ისინი სიცილს იწვევდნენ, რადგან, ჯერ ერთი, ცხენებზე, ვოლკოვის გარდა, არცთუ ისე მოხდენილად ისხდნენ და, მეორეც, აქაურებს ისინი ებრაელ მეწვრილმალებად ეჩვენებოდათ. უცხოელებს სერთუკების კალთები ცხენების გავაზე ჰქონდათ გადაფარებული, რაც ცხენოსნისათვის ამ მხარეში დიდ სირცხვილად ითვლებოდა. აი, როგორ სხედან ადგილობრივები — ჩოხის კალთებიც დიდია და ფართო. მაგრამ ისე აქვთ წულქვევით უნაგირზე ამოკეცილი, რომ მხედარი სარივითა ზის ცხენზე, არც შარვლები აქვთ ანეჩილი უცხოელებივით უზანგთან, რადგან წულამესტთან ერთად საცვეთებიც აცვიათ. ისევდასივე ვოლკოვი და ვამეხი იყვნენ უნაგირში წესიერად ჩამჯდარი. მაინცდამაინც ყველას გარდაფხაძის

ქალზე დაურჩა თვალი. ეგის ისიც კი წაიოცდა: „მართლა მზეთუნახავი არ ყოფილა ეს დალოცვილი შვილიო“, მაგრამ ფარნამ წაუშალა ეს აღტაცება:

— რისი მზეთუნახავი, რას ამბობ, ეგი! ჩემს ფანთას მაგრე რომ ჩააცვა და დაახურო, აგრე რომ აცხოვრო, რომელი გარდაფხაძის ქალი აჯობებს!

— უი, შენ კი დაიღუბე, შენ! — გადაიკისკისა ფანთამ. — რას არ იტყვის ეს ჩემი „მუჟიკი“...

ფანთამ იცოდა ეს რუსული სიტყვა. იცოდა, რომ იგი გლეხს ნიშნავდა და ღონიერ მამაკაცსაც. ამიტომ ხუმრობის დროს ქმარს მუჟიკობით იხსენიებდა.

ყველას გაეცინა ფანთას სიტყვებზე, მაგრამ ფარნა არა ცხრებოდა:

— როგორ? ტყუილს ვამბობ თუ? შენც რომ ამისთანა მზეთუნახავი არ მყავდე, გუტატი არმყოფას დაგოწყებდა?

— დაიკარგოს იქით! იმდენი არ აუღგა გვერდები! — ეს კი წარმოთქვა ფანთამ, მაგრამ სახეზე მხიარულება სულ გაუქრა. გაახსენდა, თუ გუტატი რამდენჯერ მოუხდა სახლში, ფარნას შინ არ მყოფობის დროს ჯერ კიდევ ახლადგვარდაწერილს, მხოლოდ ვერაფერი გაიტანა. ფანთა ისე ახერხებდა, რომ გუტატის მუღამ კუდამოძუებულს უშვებდა. შემდეგ ერთხანს მიატოვა გუტატიმ იერიშები, მხოლოდ ამ ბოლოხანებში ისევ გარგარ დატრიალებს. რაო ვითომ? რა მოხდა? შეიძლება ის, რომ ძუძუმწოვარი ბავშვი აღარ ჰყავს და თვითონაც უფრო დამშვენდა?

ფანთა ქმარს გუტატის ახალ იერიშებზე არაფერს ეუბნება. ჯერ ერთი, თავისი თავის იმედი აქვს და, მეორეც, არ უნდა ფარნას გახელება: „ფიცია კაცია და, ვინ იცის, რა უბედურება დაატრიალოსო“. ამან ყველაფერმა დაალონა ფანთა, ერთხანს ჩაჩუმდა, მაგრამ ფარნას მაინც ყური დაუგდო. ფარნა ახლა ეგის და ლევას ელაპარაკებოდა:

— ახლა მემუქრება თურმე გუტატი... როგორც ხიზანს სულ აცვარდა ფარნას გვირვილიანების და გვირვილანების მთელს ოჯახსაც გავუჩინა გებო...

— მმ... — ზმუილი აუტყდა გურის, მაგრამ ეგიმ სწრაფად დააჩუმა:

— განგებ ლაპარაკობს მამაშენი... ახლა გაბრაზებულია და მიტომ, თორემ არაფერიც არ იქნება...

გურიმ თითქოს დაუჯერა ეგის, მხოლოდ ფანთა კიდევ უფრო აღელდა, როდესაც ფარნას შემდეგი სიტყვები გაიგონა:

— ახლა თურმე ჩემს ფანთასაც უნდა გადმოსწვდეს...

— კაცო! მე გამიგონია, რომ ახლარაღაცა ახალი კანონია თურმე და ხიზნებს მებატონე ისე ახირებულად ვეღარ შეგეხებათ... — წარმოთქვა ლევამ, მაგრამ ფარნამ მაინც შეუბრუნა:

— ჰო, ახალი კანონი კია გამოცემული რუს ხენწიფიდან... ხიზანს უპასუხისმგებლოდ ვერ აყრის მებატონე, მაგრამ ახლა ისეა, რომ მებატონეს შეუძლია ოფიციალური წინადადება მოგცეს და შენს სამოსახლოშიაც მისი საფასურიც გაიღოს, მაგრამ... ლევა, შენი ჭირი შემეყაროს... ჩემი კარმიდამო, ჩემი პატარა ვენახი და ხეხილნარი და საყანე ადგილებიც რომ ვინმემ წამართვას, ზედ არ შევაკვდები?

— არაფერი არ იქნება, კაცო, ტყუილა რატომ ლეღავ?.. — ისევ გამოეხმაურა ლევა. ეგიმ კი ვიღაც მგზავრი დაიჭირა გზაზე და გამოელაპარაკა. თან გური არ გაუშვა. უთუოდ ამიტომ, რომ გურის ყური აღარ დაეგდო მამამისის აღშფოთებისათვის, რაც გურისაც, ეტყობოდა, სულს და გულს უფორიატებდა.

მამამისი და ლევა ფანთასთან ერთად განაგრძობდნენ გზას. ფარნა მაინც უმტკიცებდა ლევას, რომ მას სხვა გამოსავალი არა აქვს, თუ მართლა გუტატამ ჯაჯგური დაუწყო. უთუოდ მოკვლავს.



და ეს იქნება, ფარნას აზრით, საუკეთესო მისი გადაწყვეტილება.

— რად მინდა მე მისი ფული. ვერავითარ ფულში ვერ გავცვლი მე ჩემს ნაამაგარს, ჩემს ნაწვევ-ნადაგს... ახლა ფანთაზედაც რომ მემუქრება, შენ გვონია, ვერა ვარ მიმხედარი, ამითი რა უნდა გააკეთოს? — უნდა დამაშინოს: ვითომ შენი ცოლი თუ არ დამემორჩილება, მაშინ აგყრიო... ვაი დედასა!

— უიტ, წუპაკი! მაგ დღეს არ მოასწრებს ღმერთი! — გულის სიღრმიდან აღმოხდა ფანთას ეს სიტყვები, მაგრამ იმავ დროს ცივმა და თითქოს პრაქტიკულმა გონებამ ერთი მზაკვრული წინადადება მაწოდა. ხმამალა, რასაკვირველია, ამაზე არა უთქვამს-რა, მაგრამ გუნებაში კი ჩაესახა:

— თუ მართლა ასეა, თუ სხვა გამოსავალი არ არის... რა იქნება, რომ ჩემს ოჯახს შეეწირო ჩემი ნამუსი?

ამ მისთვის საზარმა აზრმა ერო წუთს გადაურბინა შეგნებაში, მაგრამ სწრაფადვე გაქრა და ეს წუთიერი სიბნელე ისევ მისმა ბუნებრივმა რიგიანობამ შესცვალა.

შემდეგ უკვირდა კიდევ — იმ წუთას ეს როგორი რეტი დამესხაო.

ამასობაში ლევას სახლსაც მიადწიეს.

ლე

ცოტახნის შემდეგ ლევასთან მოვიდა მისი ბიძაშვილი ბესარიონ კოტია, რომელიც ქუთაისში მსახურობდა რომელიღაც საეკპროში ნოქრად და ითვლებოდა ახალი თაობის კაცად. მას მოჰყვა ერთი-ორი ახალგაზრდაც. მასპინძლებმაც სუფრა გაშალეს და შეუდგნენ პურად ღებას. მაგრამ ეს არ შეიქნა ისეთი სუფრა, სადაც ხელჩართული სმა უნდა გაჩაღებულიყო. სვამდნენ ცოტ-ცოტას და უფრო უსმენდნენ მოწინავე კაცად მიჩნეულ ბესარიონს...

იმან ბევრი რამ უამბო ქუთაისის დაბალი ფენის მოძრაობიდან; რომ ქუთა-

ისში არის უკვე შემდგარი წრეები წერტილ-ფეხა ნოქრებისა და წრეებს ხელმძღვანელობენ განათლებული ახალგაზრდები; რომ ისინი დრო-დროთი იკრიბებიან და ეცნობიან რევოლუციურ ლიტერატურას, არაღებულურ გაზეთებს, პროკლამაციებს და მათ დიდი სიფრთხილით ავრცელებენ კიდევ მეზოვრებლებში; რომ ყველა ამავებს მეთაურობს ერთი მეტად საუცხოო, ნათელი პიროვნება — საშა წულუკიძე, რომელსაც ბესარიონი პირადად ეცნობს და ითვლება მის მეგობრადაც კი.

ბესარიონი უმტკიცებდა თავის მსვენელებს, რომ მომწიფდა დრო, როდესაც ყველა დაჩაგრულმა რუსეთის დიდ სახელმწიფოში უნდა ამოიღოს ხმა მისი მზაკვრელების წინააღმდეგ, უნდა დაარაზნოს, შეიარაღდეს, გამოვიდეს, ბრძოლის ველზე და დაამხოს, უწინარეს ყოვლისა, თვითმპყრობელობა. მან ძალა უფლება თავის ხელში უნდა ჩაიგდოს და ამის შემდეგ ადვილად მოერევა ხალხი იმ მტარვალებს რომლებიც მას ზურგზე აზის — კაპიტალისტებს, ბურჟუებს და თავდა-აზნაურობას და სასულიერო წოდებასაც, ყველა ამ მაჯლაჯუნებს, რომლებიც ხალხის სისხლს სწოვენ და მშობლების მთელი მონაგარის უდიდესი ნაწილი მათ აქვთ მითვისებული.

ამის შესახებ განსაკუთრებით ხარნამ და ცოტაოდნად სხვა დამსწრებმაც იცოდნენ კიდევ. ოღონდ მათ უნდოდათ გაეგოთ, თუ როგორ შეიძლებოდა ამის მოგვარება, და ჰკითხეს კიდევ ბესარიონს.

„ვის დავიძახებინა, თქვი ოკო გოჯუმაფა! * 1

ამან ყველა გაამხიარულა და ლევამ მაშინვე შემოსძახა ბრატურული ლაშქრული. კარგი სიმღერა იცოდა იმანაც

* 1 ჰეის რომ დავიძახებენ, იქ უნდა გამტრობა!

და ეგვიპტე, რადგან მთელი ბანძა თავისი თავადაზნაურებით ყოველშემთხვევისათვის სულ სხვადასხვა პანგიით იყო ამღერებული. არც ესენი იყვნენ ჩამორჩენილი. ესენიც ფაღავებისებურად მღეროდნენ. ხალხური, მკეპარე სიმღერები უფრო ღილინში იყო გადატანილი, რაფინირებული იყო. სასიამოვნო იყო მათი მოსმენაც, მაგრამ ერთგვარად ხალხურ, სტიქიურ ძალას მოკლებული იყო.

ეს იგრძნო ბესარიონმაც და ჩააფიქრა მათმა სიმღერამ. შემდეგ წარმოთქვა:

— რა ამბავია, ლევა, რომ შენ და ეგი და სხვა გლეხებიც ბანძაში ფაღავებივით მღერით?

ამას არაფერი არ მოელოდა, ყველა გაოცდა.

— მერე რა არის აქ ცუდი?

ბესარიონმა პირდაპირი პასუხი არ გასცა. თავისი სათქმელი სულ სხვა გზით წაიყვანა:

— აი, შენ და ეგის თავადებივით გაცივით, გახურავით, მიხვრა-მოხვრა, საქციელიც მათებური გაქვით...

ამან კიდევ უფრო გააოცა ყველანი.

ლევა გაკვირვებით შეეკითხა:

— რას გვეუბნები, ბესარიონ? ჩვენ ხალხი არა ვართ თუ? თუკი შევძლებ და თავადურად ჩავიცვამ, დავისურავ, თავადებივით განათლებულად ვიცხოვრებთ, ეს კარგი არ იქნება?

— თავადობა განათლებულობას კი არ ნიშნავს. განათლებული კაცი სულ სხვა ხასიათისაა, სხვა მიდრეკილების, ჩვენი თავადობა კი საერთოდ მარტო ჩაცმა-დახურვაზე, ქეიფსა და ღრეობაზე, ქალების არშიყობაზეა გადაგებული...

ლევას ახალგაზრდა ცოლი ემსახურებოდა სტუმრების სუფრას და ბესარიონის სიტყვები რომ გაიგონა, ერთხანს შედგა და ყური დაუგდო.

ბესარიონი განაგრძობდა:

— აი შენ, ლევა, რამდენადაც ვიცი, ამ ბოლოხანებში სულ ფაღავებებში ხარ გარეული... არა, ვიცი რომ ყანავერც კარგად მუშაობ და ოჯახსაც რიგაინად უვლი, მაგრამ უმეტეს ნაწილად თავადებში ყოფნა ხეირს არ დაგაყარის — შენ დაეჩვევი უსაქმურობას, სიზარმაცეს, მუქთაზრობასაც, ღვინის სმას, ქალებთან არშიყობას...

უეცრად გაისმა ლევას ცოლის ხმამაღალი შეძახილი:

— უი, შენი ჳირი შემეყაროს, ბესარიონ!

ბესარიონს გაეცინა:

— რაო ვითომ? გენიშნა, ჩემო რძალო?

— ჰოო... — გადაიხარხარა ლევამ — ჩემი ცოლი ცოტა ეკვიანია...

ამ სიტყვებზე კი ლევას ცოლი დამფრთხალი შევლივით კარში გავარდა.

— ასეა, ასე... — დინჯად საუბრობდა ბესარიონი. — „ხარი ხართან დაბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსო!“ ზომ გაგიგონია. თავადების ზნე კი თქვენთვის, მშრომელი გლეხებისათვის, გამოსადეგი არ არის...

— შენ თუ გინდა მართალი ხარ, ბესარიონ, — ახლა ეგიმ ამოიღო ხმა, — თავადების წაბაძეა ყველაფერში არ გვარგებს, მაგრამ კარგი ტანისამოსი, კარგი, ზრდილობიანი საქციელი და, თუ გინდა, თავადური, ლამაზი, სიმღერაც ჩვენ, გლეხებმა, რატომ არ უნდა შევიფეროთ?

— მე სულ სხვა რამე მაქვს მხედველობაში, ჩემო ეგი. კარგი გარეგნობის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, ან თუნდა კარგი სიმღერისა, მით უფრო, განსაკუთრებით, ჩვენი კუთხის ქართველებს როგორც სიმღერა, ისე სხეულივით ტანისამოსის სიფაქიზე და ლამაზი, სხარტი მიხვრა-მოხვრა, მხოლოდ მუდამ თავადებში ტრიალმა გარეგნობის გარდა აზროვნებაშიაც შეიძლება შეიტანოს და შეიტანს კიდევ იმ არასასურველ მიმართულებას, რომე-

ლიც მომავალი ჩვენი ბრძოლებისათვის ჩვენ არ გამოგვადგება... კაცო, აგერ რამდენიმე წუთის წინათ თვითმპყრობელობის დამხობაზე, თავდაზნაურობისა და, საერთოდ, პრივილეგიური წოდების მოსპობაზე გვექონდა ლაპარაკი და თქვენ კი გინდათ, თქვენი საუკუნოებით მტრების ბანაკში იყოთ მოკალათებული?

— რატომ მტრების ბანაკში, — ისევ ლევამ წარმოთქვა, შემდეგ ღიმილით დააყოლა, — „ეის რომ დავეიმახებენ“, მაშინ მოეძებნით ჩვენს გზას...

— შენს პირს შექარი, მაგრამ გაგიჭირდებათ... განსაკუთრებით შენ, ლევა ვინ იცის, რამდენი მეგობარი გყავს ფალავებში... მეგობრობა კი ზოგჯერ ისე გაგიჯდება კაცს ძვალსა და რბილში, რომ საჭიროების დროს მისი უკუგდება ძნელი დასაძლევია.

— რას ჩააცვიდი, ბესარიონ, ამ ფალავებს! მე ვისაც ვმეგობრობ, ისეთი ბიჭები არიან, რომ ყველა მე გამომყევა. „ეის“ დაძახილზე. მე კი ვერ გამოყოლებენ, ისინი გამომყევიან...

— ჰა, ჰა! აი ზედავ, ლევა, როგორ აზროვნებ... თავადების იმედი გაქვს... ლევამ არ დააცალა:

— მერე კიდევ ზოგიერთი ახალგაზრდა ფალავა ბათუმში მუშაობს როტშილიის ქარხანაში... შენისთანა ახალი თაობის კაცები არიან...

— რასაკვირველია, კარგსა და ავს გარჩევა უნდა, მაგრამ საქართველოს ერთი დიდი მწერალი ჰყავს — ილია ჭავჭავაძე, რომელსაც ნათქვამი აქვს, რომ „თავადი კარგი რა არის, ავი რა იყოსო!“ საერთოდ, თავადებთან, ჩვე-

ნებურად რომ იტყვიან; „შეთელერება“, მათ ზნეჩვეულებასთან შეხება, აზროვნებასაც დააჩენს თავის დაღს...

— რა დაღს, რა! — არ ტყდებოდა ლევა, — თუ მამულიშვილობას იტყვი, რამდენადაც ვიცი, საერთოდ ჩვენი თავადები და მათ შორის ფალავებიც, სამშობლოს დიდი მოყვარულები არიან... მზად არიან კიდევ, რომ მისთვის თავი გასწირონ...

— ეგ, ჩემო ლევა, სულ სხვაა. მათი სამშობლოს სიყვარული ის არის, რომ რუსეთის სულ ჩამოშორდნენ და თავიანთი საკუთარი მეფე იყოლიონ...

— მეფეზე მათგან არაფერი გამიგონია!

— არ გაგიგონია, რადგან ამაზე გარკვევით ჯერ არაფერს არ ლაპარაკობენ, მაგრამ მათი აზროვნების მიმართულება კი რუსეთთან ჩამოშორებისკენ მიდის... რუსეთის თვითმპყრობელობა, რასაკვირველია, უნდა დაემხოს, და ეს უნდა მოხდეს რუსეთის ხალხთან ერთად. ჩვენი მოწოდებაა, ჩვენი მოვალეობა, რუსეთის მუშათა კლასთან ვიყოთ ერთობაში. მარტო საქართველოს სიყვარული და მისთვის ბრძოლა — საზიანოა მუშათა კლასისათვის, მაშასადამე, ყველა ჩვენი მშრომელებისათვის, ჩვენ საერთო ძალით უნდა გამოვიდეთ. თავადებისა და ბურჟუების მოსაზრება ცალკე საქართველოს სამეფოს დაარსებისა ჩვენ ძალებს აქუცმაცებს, თიშავს ერთიმეორისაგან, ეს მკენებელია საერთო საქმისათვის. უნდა გახსოვდეთ კარგად, რომ ყველა ჩვენ რუს ხალხთან ერთად უნდა ვიბრძოდეთ საერთო თავისუფლების მოსაპოვებლად.

(დასასრული იქნება).

ორი ლექსი

★

გიმლარი თბილისს

ქუჩებს და ხიდებს და სახლებს შენსას
თავს დასტრიალებს ჩემი ფიქრები.
გიმლერი იმას, რაცა ხარ დღესა
და უფრო მეტად — რაც ხვალ იქნები!

ჩემო თბილისო,

ოცნების წყაროვ,
ძველთაგან მოგდევს ძალა მიუბურო,
უბედნიერეს მომავლით ვხარობ
შენს ნათელ ხვედრზე ჩაფიქრებული...

მე არა ერთი გზა გადავლახე,
ბევრი ოცნება გულით ვატარე,
ქვეყნად რამდენი ქალაქი ვნახე,
ყველა, თბილისო, შენ შეგადარე!

სად არ მიმიღეს და შემოიკედლეს
შენი შემკვიდრე და მობინადრე.
ქვეყნად რამდენი შემხვდა სიკეთე,
ყველა, თბილისო, შენთვის ვინატრე!

შენთვის ვინატრე საღამო ზღვასთან —

ცის დასავლეთზე კიაფი გემთა,
მაგრამ სიცოცხლე ოცნებას გასცდა:
ზღვა თავის ფეხით მოვიდა შენთან!

და როცა ვნახე, მოსკოვის მეტრომ,
როგორ გაჰკვეთა შუქით უკუნი,
ვინატრე —

შენი მიწის ქვეშ ერთ ღროს
მეც გამეგონა მეტროს გუგუნნი...

მთავარი ინჟინერი



★

ჩვენი თბილისის ერთ-ერთი მკვიდრი —
თავმდაბალია,

 არ უყვარს ტაში,
აქვს გალიმება საოცრად მშვიდი
და ნადრევი ჭალარა თმაში...

ცოლს და პატარებს ჯერ კიდევ სძინავთ,
მას უკვე კართან უცდის შოფერი,
ადგება, ჩუმად დასტოვებს ბინას
მთვარის გვიანი შუქით მოფენილს.

მიეშურება ნაცნობ ქუჩებით,
სახეზე ზრუნვის დაპყრავს იერი —
ყურში ჩაესმის ხმა ჩაქურების
და ბულდოზერის სუნთქვა ძლიერი.

მიეშურება ახალ ხიდისკენ —
სურს წუხანდელი მუშებს აუწყოს,
ნაეარაუდევ ბურჯების სისქემ
ხიდის სიმძიმეს უნდა გაუძლოს...

დამთავრდეს! სიტყვა გადიქცეს საქმედ,
ესაა მისი ზრუნვის საგანი...
მიჭირის მანქანა. მშვიდობის ვახტზე
იჩქარის ერთი — მრავალთაგანი.

მეგობრობა*



რაიკომის მდივნის მანქანა გზის პირად, ყავრით გადახურულ ფარდულთან შეჩერდა. ბრიგადირ ივანე ბერიძეს მაგიდაზე შრომის წიგნაკები და ტაბელეები გაეშალა, გრძელ ცხვირზე საკმაოდ დაძველებული სათვალე შეესკუპებია. სათვალე ყურებზე ბაწრით ჰქონდა დამაგრებული. პერანგის ამარა იყო, მოღვლილ მკერდზე, სახეზე და თავზე ოფლის ნიჟები კორფლივით დასხმოდნენ, მაგრამ ივანეს შუა დღის პაპანაქება არ აწუხებდა, ხგი ისე იყო გატაცებული თავისი საქმით, საანგარიშო ქვებს ისე გამალებით და მკაბედ აჩხაკუნებდა, რომ იგი ერთ კილომეტრზე ისმოდა. ამიტომ ვერ გაიგო ივანემ მანქანის ხმა და რაიკომის მდივანი, აკაკი იმნაიშვილი და თავმჯომარე მხოლოდ მაშინ შენიშნა, როცა ისინი ფარდულში შემოვიდნენ.

წამოხტა ივანე.

— დმერთო, კი მომკალი, — წამოიძახა, — მობრძანდით თქვენი ჰირიმი, — სათვალეზე იტაცა ხელი. უნდოდა მოეხსნა, მაგრამ ბაწარი ისე მაგრა ჩასკვნოდა ყურებში, რომ ვერ მოიცილა. შერცხვა, ახლა ხელი ჰკრა სათვალეს და შუბლზე შეიგდო. — დაბრძანდით, თქვენი ჰირიმი, ამ გაგანია სიცხეში არ გელოდით სწორეთ, — პერანგის საყელო შეიკრა, შუბლზე მკლავი მოისვა.

— დასაჯდომად არ გვცალია, ივანე, — უთხრა რაიკომის მდივანმა ბრიგადირს, — გზად ჩამოგიარეთ...

— მეშვიდე ბრიგადაში მიბრძანდებით, ალბათ, ამხანაგო დავით.

— რატომ მეშვიდე ბრიგადაში?

— ისაა, ბატონო ახლა ჩვენი თვალისჩინი. ჯერჯერობით არც ერთ ბრიგადას არ აქვს ისეთი მაჩვენებლები, როგორც არჩილისას.

— მერე როგორ ურიგდებით სხვა ბრიგადები ამას?

— კარგი დედმამის შვილი ხარ, მოდი, და ნუ შეურთიგდები. გვეჯობნიან, თქვენი ჰირიმი და რა ვქნათ. ჩვენ თავს ხომ ვერ გადაეხტებით? მონდომება არ გვაკლია, რაც შეგვიძლია კი ვაკეთებთ.

— მართალი ხართ, საყვედური არ გეთქმით, — უთხრა მდივანმა მოწონების ღიმილით ბრიგადირს და მაგიდაზე დალაგებულ შრომის წიგნაკებიდან ერთ-ერთი აიღო. „ცუცა ზედობანიძე“, წაიკითხა და ივანეს შეხედა. — ეს ილიკოს ქალიშვილია?

— ილიკოსი გახლავთ, თქვენი ჰირიმი. ორმოც კილოგრამს კრეფს ყოველ დღე.

— ორმოც კილოგრამს, — გაიმეორა მდივანმა და გაიღიმა. — ცუცა ზედობანიძე კრეფს ორმოც კილოგრამს? რამდენს კრეფდა ეს ბავშვი შარშან?

— ათ კილოგრამს, თქვენი ჰირიმი.

— გამოდის, რომ ცუცა ზედობანიძემ თავის თავს გაასწრო.

— ჰო, დიას, — ცხვირზე წამოისკუპა ივანემ უნებლიეთ სათვალე და ისე შეხედა მდივანს. — სხვებიც გვყავს ჩვენ ცუცასთანა მკრეფაეები, თქვენი ჰირიმი.

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 2.

მდივანმა რამდენიმე წიგნაკი გასინჯა. ტაბელსაც გადახედა. ივანე თავმომწონედ შეჰყურებდა რაიკომის მდივანს. იცოდა, სანიმუშოდ ჰქონდა მოწესრიგებული ტაბელი და შრომის წიგნაკები.

— თვეში რამდენჯერ ადგენ ტაბელს გამგეობაში?

— ხუთ დღეში ერთხელ, თქვენი ჰორიმი.

— რამდენი კილოგრამი ფოთლას მოკრეფაში ეწერება შრომადღე კოლმეურნებს? — ჰკითხა აკაკიმ ბრიგადირს.

— ოცი კილოგრამის მოკრეფაში მუხუთე თანრიგით ჩემს ბრიგადაში. — უპასუხა ივანემ.

— როგორ თქვენს ბრიგადაში? განა სხვა ბრიგადაში სხვა ნორმებია?

— სხვა ნორმები გახლავთ თქვენი ჰორიმი, — ივანემ თავმჯდომარეს შეხედა, ამ კითხვაზე შენ უკეთ გასცემ ამ ხალხს პასუხსო, ეუბნებოდნენ მისი თვალები სანდროს, მაგრამ დაინახა, რომ რაიკომის მდივანი და აკაკი მას შეჰყურებდნენ, მისგან ელოდნენ პასუხს და განაგრძო: — მართალია, ჩვენ რაიონიდან გამომუშავეების ნორმები მივიღეთ, მაგრამ ამ ნორმებში ჩვენ ცვლილებები შევიტანეთ. ზოგ ბრიგადაში შევამცირეთ ნორმა, ზოგში კი გავადიდეთ. თანრიგი კი ყველგან უცვლელი დავტოვეთ.

— რით ხელმძღვანელობდით თქვენ, როცა ზოგ ბრიგადაში ამცირებდით გამომუშავეების ნორმებს და ზოგში ადიდებდით? — მიუბრუნდა აკაკი თავმჯდომარეს, მაგრამ როლში შესულმა ივანემ სანდროს არ აცალა.

— იმით, თუ ბრიგადის ნაკვეთი რა ხნისაა, როდისაა გაშენებული, არის თუ არა სრულმოსავლიანი. ვითვალისწინებდით ნიადაგის თვისებებს. ჩემს ბრიგადაში თუ ოცი კილოგრამია ნორმა, არჩილის ბრიგადაში ოცდახუთია. ისეთი ბრიგადებიც გვყავს, სადაც ნორმა თხუთმეტი და ათი კილოგრამია. ჩვენ

გვაქვს ისეთი ნაკვეთები, რომელზედაც ჰექტარზე სამი ათასი კილოგრამი ფოთლოლი მოგვყავს. ამავე დროს ნესტეფიც გვაქვს, სადაც ხუთას კილოგრამზე მეტს ვერ მოიწევს.

— დიდებულად გაქვთ დაყენებული შრომის აღრიცხვის საქმე, — უთხრა აკაკიმ სანდროს და რაიკომის მდივანს მიუბრუნდა: — ეს პირველი კოლმეურნეობაა თქვენს რაიონში, რომელსაც ასე სანიმუშოდ აქვს დაყენებული შრომის აღრიცხვის საქმე.

— რატომ პირველი, — უთხრა სანდროს აკაკის. — „განთიადში“ და „ბრლშევიშიაც“ ამგვარადაა დაყენებული შრომის აღრიცხვა. ჩვენთან თითქმის ყოველდღე მოდიან ამ საქმის შესასწავლად სხვა კოლმეურნეობებიდან.

რაიკომის მდივანს, აკაკის და სანდროს ის იყო — ივანე პლანტაციაში შეუძღვა, რომ ბრიგადის ზარის ხმა გაისმა. დასასვენებლად უხმობდა ზარი კოლმეურნეებს. ფერდობებზე და ბორცვებზე შეფენილი მკრთავეები თავთავიანთ რგოლის ფარდულისაკენ გაემართნენ. გაიკრიფა პლანტაციიდან ქალი და კაცი. მხოლოდ ერთ ნაკვეთში მოსჩანდა ბუჩქებზე დახრილი ხუთი ადამიანი. ისინი გამაღლებით კრეფდნენ ჩაის. მათ თითქოს არც გაეგონათ ზარის ხმა.

— ვინ არიან? — ჰკითხა დავითმა ივანეს და შეჩერდა. — რატომ არ მოდიან პურის საჭმელად?

— ილიკო ზედობანიძის ოჯახი გახლავთ, თქვენი ჰორიმი, — უთხრა ივანემ მდივანს და გაეღიმა. ალბათ ილიკომ გაიგო, რომ რაიკომის მდივანია მოსული პლანტაციაში და იმიტომ არ ანებებს თავს მუშაობასო, გაიფიქრა.

ეს მართლაც ასე იყო. ილიკოს უმცროსმა ბიჭმა ბუჩქნია რაიკომის მდივნის მანქანა მაშინვე შეინშნა, როგორც კი ის ფარდულის წინ შეჩერდა. ბუჩქნია ამ დროს წყლის მოსატანად იყო

წასული და წყაროდან ბრუნდებოდა, იგი სირბილით გაეშურა ნაკვეთში.

— მაშა... რაიკომის მდივანი, თავმჯდომარე და კიდევ ვიღაც კაცი მოვიდნენ. ივანესთან შევიდნენ ფარდულში, — უთხრა სირბილისაგან გულამოძვდარმა ილიკოს.

ილიკომ იცოდა, რომ რაიკომის მდივანი პლანტაციას ნახავდა.

— აბა, დაეტრიალდეთ, გამოვიჩინოთ თავი, — შესძახა ილიკომ ცოლსა და შვილებს. — რაიკომის მდივანი მთელ ოჯახს ერთად რომ გენახავს გამალუბულ მუშაობაში, გაეხარდება. მოგვიწონებს, შეგვაქვებს. რომელია სოფელში მეორე ასეთი ოჯახი, ცოლ-შვილიანად უკლებლივ მუშაობდეს კოლმეურნეობაში. ვუჩვენოთ სტახანოველები, დამკურელები რომ ვართ.

დესპინემ თმები შეიკეცა თავსაფარში, კალათები უფრო კოხტად დაიკიდა წელზე. ცუცას თვითონ გაუსწორა ქალოფის ქუდი, ოფლი მოსწმინდა.

— შეიკარი საყელო, ილიკო, ქუდი გაისწორე, — მიუბრუნდა ქმარს. — ხახუტია, ბუკუნია, ცხვირი მოიწმინდეთ. სად მიახიე, შე შეჩვენებულო, შარვალი? — გაუწყრა ხახუტიას, — შენ შორს დადექი, არ დაენახვო რაიკომის მდივანს. არ იტყვის ის კაცი, ხუთნი მუშაობენ კოლმეურნეობაში და შარვალი ვერ უყიდესო ბავშვს?

სავსე გოდრები გზის პირზე დადგეს ილიკომ და დესპინემ. ცუცა ნაკვეთას თავში დააყენეს, რომ პირველად მისი მუშაობისათვის შეეხედა მდივანს, თვითონ შორიასლო ჩადგნენ ბუჩქებში და ბავშვები უკან დაიყენეს. ცალი თვალი ფარდულისაკენ ეჭირა ილიკოს და ისე მუშაობდა. იცოდა რაიკომის მდივანი და თავმჯდომარე უსათუოდ ჩამოივლიდნენ მის ნაკვეთზე და ამიტომ ზარის დარეკვის შემდეგაც არ შეუწყვეტია მუშაობა. არც დესპინე გაუშვა სასადილოდ და არც ბავშვები.

— მოდიან, — წახუნდნულა დესპინეს, გზაზე გამოსული რაიკომის მდივანი რომ დაინახა. თავისი ნიშნულია. არ შეამჩნევია რაიკომის მდივანი, რომ დაინახა. თითქოს მუშაობით იყო გართული.

— არიქა, დესპინე, არიქა, ჩემო სტახანოველებო, ცუცუნია, ხახუტია, ბუკუნია! დასცხეთ თქვენებურად! ორივე ხელით ელენესავით, მისი ჰირი შეეყაროს ილიკო ზედობანიძეს. აგვაშენა ორი ხელით კრეფამ. აგვივსო ოჯახი.

რაიკომის მდივანი, აკაკი და სანდრო ისე წაადგნენ თავზე ილიკოს და მის ცოლშვილს, ვითომც იმათ არც გაეგოთ მათი მოახლოება. სანდრომ იგრძნო, რატომ არ წავიდა ილიკო სასადილოდ, რატომ მუშაობდა დასვენების დროს ასე გამალუბით და რატომ ვერ ამჩნევდა რაიკომის მდივანს, აკაკის და მის მოსვლას. მე შენ ბევრი ახირებული საქციელი მოგაშლევინე, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრია შენში არაწესიერიო, გაიფიქრა სანდრომ და დაწინაურდა. ილიკოს უხმო.

— ჰაიტ, ეს რა დამემართა, — შესძახა ილიკომ და მწყრივიდან გადმოხტა სირაქლემასავით აწოწილი, — რაჯე გავერთე მუშაობით, რამ დამიფსო თვალები, რომ ვერ შეგნიშნეთ, ამხანაგო დავით, — სწრაფად მოიხადა დაძველებული, მზისა და წვიმისაგან გახუნებული ქილოფის ქუდი და დაბლა თავის დაკვრით მიესალმა მდივანს, — კაი გამარჯობა თქვენი, ამხანაგო დავით, — უთხრა, ხელი შარვალზე შეიწმინდა და ისე ჩამოართვა ჯერ მდივანს და შემდეგ აკაკის.

— თავმჯდომარეს რატომ არ ჩამოართვი ხელი, ხომ არ ემდური, ილიკო? — ჰკითხა მდივანმა ილიკოს.

— რას ბრძანებთ, ამხანაგო დავით. ემდური კი არა, მის მზეს ვფიცულობთ დღე და ღამე მთელი ოჯახი. არ ხედავთ, რაეა აგვამუშავა. თავზე დატრიალებს შინ და გარეთ ყველა ოჯახს.

ყველა კოლმეურნეს. დღეს სამჯერ იყო ჩემს ნაკვეთში და ამიტომ არ მივესალმე.

თავმჯდომარე დღეს ერთხელაც არ ყოფილა ილიკოსთან. სანდროს გულისმოსაგებად იტრუა ეს ილიკომ. გაბრაზდა თავმჯდომარე: „რისთვის სპირდებდა ეს. საიდან მოიგონებს ასეთ ტყუილს. არა, არა, მოგიყვან მე შენ ჭკუაზე, ილიკო ზედობანიძე“.

რაიკომის მდივანმა გოდრებს გადახედა. გოდრები სულ პირველი ხარისხის ფოთლით იყო საესე. ილიკომ იგრძნო, რომ მდივანს ფოთოლი მოეწონა. თავმომწონედ გადაისევა უღვაშზე ხელი.

— დიდებული ფოთოლია, ილიკო. ეტყობა გვალვა აღარ გიშლის ხელს, — ლომილით უთხრა მდივანმა. მოაგონდა, ილიკო ბრიგადირად ყოფნის დროს თავისი ბრიგადის ჩამორჩენას გვალვას რომ ამბობდა.

— უკეთეს ფოთოლს კაცი ვერ ინატრებს, ამხანაგო დაეით. არ შეიძლება მიწამ შრომა არ დაუფასოს ადამიანის შეილს. რასაც მიწას მისცემ, ასწილად დაგიბრუნებს უკან. შეხედეთ ამ ბუჩქებს. რას გვანდნენ ისინი შარშან? დანიავებულნი, დაგლაზავებულნი. შეხედვა გეზარებოდა მათი, — დაზეპირებულივით ჩაარაკრავა ეს სიტყვები ილიკომ. გვალვაზე წაუყრუა, თითქოს არც გაეგონოს.

— წვიმას რომ არ უჩანს პირი რა გვეშეკლება, ილიკო. ვაი, თუ გვალვები დაიჭირა ისევე შარშანდღევით. მაშინ ისევე დაჩივდებიან და დაგლაზავდებიან ბუჩქები. შენი თქმისა არ იყოს შეხედვა შეგეზარება.

— ისევე არ გაგიჭირვოთ თქვენ ღმერთმა, რავარც გვალვა ამათ არაფერს დააკლებს. თუ კაცი ეპატრონა მიწას, არც გვალვა შეაწუხებს ამ დალოცვილ ჩაის და არც წვიმა. კაცის ხელმა რომ არ გააკეთოს, ისეთი არაფერია ქვეყანაზე, თუ გულით და მოფიჭ-

რებულად ვიმუშავებთ. რამდენი ხანია წვიმა არ დაცემია მიწას, მაგრამ ეტყობა რაძე ბუჩქს? ხუთჯერ უმჯობესად აოხნილი პლანტაცია. წყლისწინაა წრუპავს წყალს ფესვები. არა, ბატონო, ახლა კი ვიცი, რომ გვალვა არაფერ შეუამი იყო. ჩემი ცოდვა ჰქონდეს, ვინც მე მაშინ ამიყოლია. თავსაც ვაწე, საქმესაც ვაწე. — გაჩუმიდა, გული აუჩუყდა, თითქოს არ უნდოდა თავისი სიგლახის გახსენება, მაგრამ ლაპარაკის მოყვარულ ილიკოს და ისიც რაიკომის მდივანთან რა შეუკრავდა პირს, როგორ გაუშვებდა ხელიდან თავის გამოსაჩენად ასეთ შესანიშნავ შემთხვევას. — ცოდნას და მონდომებას არაფერი დაუდგება წინ, ამხანაგო დაეით. უხვი მოსავლის მიღებისათვის მარტო ეს როდი კმარა, რომ პლანტაციას მოუხარო; დროზე გადაბარო, სასუქი შეიტანო. გათოხნო, გასხლა, კრეფა? თუ დროზე არ მოკრიფე ფოთოლი, წყალში ჩაგყვრება მთელი წლის შრომა. ზოგს ჰგონია, კრეფა ყველამ იცის. ცდებიან, ბატონო. ჩემი ცუცუნია, — ილიკო შეილისაკენ მიბრუნდა, — მოდი აქ, გოგო, ვერ ხედავ, რაიკომის მდივანი გეისრომბრა, ისე გაიხაროს თქვენმა კეთილებმა, რავარც თქვენი მოსვლით გაგვახარე, ამხანაგო დაეით.

ცუცა მამის გვერდით შედგა. წელზე აქეთ-იქით ხასხასა ფოთლით საესე კალათები ეკიდა. შემკრთალი და დარცხვინილი იდგა იგი. ეშინოდა, მამას რაიმე უადგილო არ ეთქვა.

— აბა, ამ ფოთოლსაც შეხედეთ და ჩემ მოკრეფილ ფოთოლსაც — თქვა ილიკომ და ახლო მიიწია მდივანთან, ვერ მარცხნივ დაკიდებული კალათი უჩვენა და მერე მარჯვნივ. — თვალის ერთი გადავლებითაც შეატყობ კაცი განსხვავებას ცუცუნისა მოკრეფილ ფოთოლსა და ჩემ მოკრეფილს შორის. ახლა რაოდენობა იკითხოთ. ცუცუნია დღეში ორმოც კილოგრამ ფოთოლს ჰკრეფს, ჩვენ ოთხნი კი სამოცს. აი, რას

ნიშნავს ოსტატობა. ამენდეს კირილე ავეანდაძის ოჯახი. ელენემ ასწავლა, ბატონო. ჯადო ჩაუყენა ხელში იმ დამოცილებმა, ჩაის კრეფის უნივერსიტეტი დამთავრებია. მე რომ კაცმა მკითხოს, ელენეს პროფესორად დაენიშნავდი. მთელ საქართველოს შემოვტარებდი, რომ ყველა მეჩაიხსათვის ესწავლებია ჩაის ფოთლის მისებურად კრეფა.

რაიკომის მდივანმა და აკაკიმ ერთმანეთს გადახედეს.

— სხვები როგორ ჰკრეფენ ბრიგადაში? — ჰკითხა მდივანმა სანდროს.

— ჯერ ყველა ვერ დაუფლა ორი ხელით კრეფას, — უთხრა სანდრომ.

— რატომ მერე? რატომ არ მიამაგრეთ მათთან გაწაფული მკრეფეებო. აი, თუნდაც თქვენ, ცუცა, — შეხედა მდივანმა ცუცას. — თქვენ ორი ხელით კრეფა ელენემ გასწავლათ. როგორც მამა ამბობს, ფოთლის კრეფის უნივერსიტეტი დაგამთავრებიათ. თქვენ ბრიგადაში თურმე ორი ხელით კრეფას ჯერ ყველა ვერ დაუფლებია. რატომ არ მოეხმარეთ მათ?

ცუცა გაწითლდა, თვალი აარიდა მდივანს. იცოდა, დაეით მას შეჰყურებდა და მის პასუხს ელოდა. დაინახა ეს ილიკოშაც. უხერხულად ჩაახველა. მასაც აღმური მოედო სახეზე. ან მას უნდა გაეცა პასუხი, ან ცუცას.

— ჩემი ბრალია, ამხანაგო დავით, — დაიწყო ენის ბორძიკით ილიკომ. — რამდენჯერ მთხოვა გამოშვი, მამა, ამხანაგებს უნდა წაეუხმარო სხვა ბრიგადებში, სხვა რგოლებშიო.

— მერე?

— ვერ გავუშვი. რაფერ გავუშვა ამის შემხედვარმა? — ილიკომ პლანტაციას გადახედა. — ზღვასავეით მოდრს ფოთოლი. ცუცა რომ სხვასთან გავუშვა, ჩვენ მარტონი ვერ აუვალთ ამ ფოთოლს. სიხარბედ ნუ ჩამომართმევთ, ამხანაგო დავით, შეცდომა მომივიდა, უნდა გამეშვა ცუცა.

— უნდა გაეშვა, ილიკო, — უთხრა

რაიკომის მდივანმა ილიკოს და ცუცას შეხედა. — მე თქვენს ადგილზე არ დავუჯერებდი მამას. ასეთი მკრეფეა ბევრია თქვენს კოლმეურნეობაში და აი, რომელიღაც რგოლში, რომელიღაც ბრიგადაში ვერ ასწრებენ შემოსული ფოთლის კრეფას და უხეშდება ნაყოფი. ფუჭდება არა მარტო იმ რგოლის და იმ ბრიგადის საქმე...

— მართალსა ბრძანებთ, ამხანაგო დავით, — შეაწყვეტინა მდივანს ილიკომ, — ჩვენი საერთო საქმე ფუჭდება. პირობას გაძლევთ გამოვასწორებთ ჩვენს შეცდომას. ხვალვე გავგზავნი ცუცას, სადაც სანდრო საქიროდ დაინახავს.

— აბა, გისურვებთ წარმატებას, — უთხრა მდივანმა ცუცას და ხელი ჩამოართვა, — სწავლობთ, რომელ ჯგუფში ხართ? — ჰკითხა, ხელში ეჭირა ცუცას ხელი და ისე შეჰყურებდა, როგორც მამა შეიღს.

— მეცხრე ჯგუფში გადავედი, — უთხრა ცუცამ.

— პატარები თუ სწავლობენ?

— ორივე ფრიადოსნები არიან, ამხანაგო დავით, — გასცა პასუხი ცუცას მაგიერად ილიკომ. — ბუკუნია, ხახუტია, ახლო მოიწიოთ. რაიკომის მდივანი კითხულობს თქვენს ამბავს.

ბუკუნია ბუნჯს გადაახტა და ცუცას ამოუდგა გვერდში. ხახუტია არ განძრეულა, დედამ რომ დააყენა იმ ადგილას იდგა ისევ. იქ, სადაც შარვალი ჰქონდა გახეული, კალათი აეთარებოდა და შეშინებული თვალებით ხან რაიკომის მდივანს შეხედავდა და ხან დედას.

დაეითმა შენიშნა, რომ ბავშვი არაბუნებრივად გაჭიმული იდგა, რომ კალათს ისე ჩაფრენოდა და ისე მიეკრა გვერდზე, თითქოს ეშინია, ვინმემ არ გაშოსტაცოსო.

— მოდი აქ, ბიჭიკო, რა შორს დამდგარხარ.

— მორცხეია, ბატონო, თანაც ჯიუტი, — წინ აეთარა ხახუტის ილიკო, —

ხანდახან ისე გაოჩნდება, ფეხს ვერ მო-
აცვლევიანებ ადგილიდან. ეს კია, რომ
მუშაობაში და სწავლაში თავს არავის
დაუდებს.

მდივანს გაახსენდა: შარშან ილიკომ
რომ გაიგო, ელენე ორი ხელით კრეფს
ფოთოლსო, ბუკუნია და ხახუტი გაგ-
ზავნა. ელენეს ნაკვეთში შედით, მიეპა-
რეთ ელენეს და ნახეთ, როგორ კრე-
ფავს ორი ხელით. არ დაგინახოთ, თო-
რემ მერე ახლოს აღარ მიგიკარებთ. თუ
ეს საიდუმლოება შევისწავლეთ, ძალი
არ დაჰყევს ჩვენს ბედსო. არავის უჩ-
ვენებს თურმე ის წყეული გოგო ორი
ხელით კრეფას. ღამე მიდის ნაკვეთში
და დილაძღე, სანამ ხალხი მოვიდოდეს
პლანტაციასში, ორი ხელით კრეფავს,
როგორც კი ვინმე გამოჩნდება, მიატო-
ვებს ორი ხელით კრეფას და ისევ ერ-
თი ხელით კრეფსო. ჩაპარულან გათე-
ნებისას ბუკუნი და ხახუტი ელენეს
ნაკვეთში, გაწოლიდან მუცელზე ბუნ-
ჭების მწკრივებშუა და ხოხვა-ხოხვით
მიპარვიან ელენეს. კრეფს ელენე ორი
ხელით ფოთოლს და სულგანაბული
ბავშვები თვალს არ აშორებენ, გაფე-
ციციებით და გულისყურით შესცქერიან.
ელენე უცებ შემობრუნდა და იმ
მწკრივს გაჰყოლია კრეფით, სადაც ბავ-
შვები იყვნენ ჩაწოლილები. შეშინ-
დნენ ბუკუნი და ხახუტი. არ იციან, რა
ქნან. რომ წამოდგნენ, დაინახავს ელენე,
არა და საცაა თავზე წაადგებათ. ამ
ფიქრში და გასაჰირში მყოფთ დიდი ხა-
ნი არ დასჭირებიათ ლოდინი. მოახ-
ლოვდა ელენე, დაინახა ცვარში ამოწუ-
წული და მიწით გულმკერდ და სახე-
შეთხუზული ბავშვები, ადამიანის ფე-
რი არ ეღვათ მათ და შეშინებული თვა-
ლებით შეჰყურებდნენ ელენეს, რო-
გორც დანაშაულზე წასწრებულები. გა-
კვირებისაგან ერთხანს ხმა ვერ ამოუ-
ღია ელენეს. აქ რატომ ჩაწოლილხარო,
რა დაგემართათ ბუკუნი და ხახუტი?
უკითხავს ბავშვებისათვის. მათ არ დაუ-
მალათ, რისთვის გამოგზავნა ისინი აქ

მამამ, ყველაფერი დაწერილებით უამბე-
ნიათ ელენესათვის. ბევრი უცინია ელე-
ნეს. მერე წამოუყენებია ბავშვები, თავ-
საფრით შეუწმენდია მათი ვახტვარილი
სახე, გულმკერდი, ხელები. მერე მიუყ-
ვანია ბუნჩთან და დაუწყია ორი ხელით
კრეფის სწავლება. ბავშვებს რომ
შეგვიანებიათ, შეშინებია ილიკოს.
თითონ წასულა ელენეს ნაკვეთში და
რას ხედავს: აქეთ-იქიდან ამოუყენებია
ელენეს ბუკუნი და ხახუტი და ასწავ-
ლის ორი ხელით კრეფას. სირცხვილი-
საგან ენა წართმევია ილიკოს. დაუჩო-
ქია ელენესათვის. არ გამამზილო, თავი
არ მომპრა, არსად თქვა ჩემი ამბავიო.
ელენემ კი შეუნახა საიდუმლოება, მაგ-
რამ თვითონ ილიკოს ოჯახში ვერ შე-
ნახა. მთელი კვირა დაცინოდნენ დე-
პინე და ცუცა ილიკოს; ხომ გეუბნებო-
დით, ელენე ისეთს არაფერს გააკე-
თებს, რომ ხალხს დაუმალოს. საიდუმ-
ლოდ იმიტომ ინახავდა ორი ხელით
კრეფის ამბავს, რომ ჯერ თვითონ გა-
წაფულიყო, ეშინოდა თურმე, ვაი თუ
არ გამიმართლდეს და სირცხვილი ენა-
ხოვო.

— როგორ შეეჩვიეთ ორი ხელით
კრეფას? — ჰკითხა მდივანმა ბუკუნისა.

— ცალ ხელზე უკითხვად, — მკვირ-
ცხლად მიოგო ბუკუნია.

— სხვებს თუ ასწავლე ორი ხელით
კრეფა?

— ჩემს კლასში ყველას. ხახუტიამაც
ასწავლა.

— ყოჩაღ, ყოჩაღ. ძმებს უჯობნიათ
ცუცასათვის.

— ილიკოს ბრალია, ბატონო, — გა-
მოიქონა შვილს დესპინე. — მოუყე-
დეს ცუცას მამამისის თავი, რავარც ამ
საქმეზე მაგან ეს ბალანა გაამწარა. არ
მოეშვა ასასივით. ფეხი არ გადაადგმე-
ვინა ამხანაგების ნაკვეთში.

— დესპინე, — შეუბღვირა ილიკომ
ცოლს, — ნუ აქაჩანდი, აქ ხელმძღვანე-
ლი ამხანაგები არიან და საქმეზე ლაპა-
რაკობენ.

— მეც საქმეზე მოვასხენებ მათ, — შეუტია ქმარს დესპინემ, — ჩემქმრად კი ასწავლა, ბატონო, ცუცამ ამხანაგებს კრეფა. სანამ ჩვენ ავდგებოდით, საუზმეს შევკამდით და ნაკვეთში მივიდოდით. ცუცა ბარე ორი საათით აღრე დგებოდა და ამ ხნის განმავლობაში რასაც ასწრებდა, კი ასწავლიდა...

ილიკომ ეს ამბავი პირველად გაიგო ახლა და სახტად დარჩენილი ხან ცუცას შეამტერებოდა და ხან რაიკომის მდივანს. ცრემლი მოადგა თვალებზე.

— მოგიცდეს შენი ბაბაია, ცუცუნა, — უთხრა ლულულღით ილიკომ ქალიშვილს. — დღეიდან მთელი თვით გამიშვიხარ ვისთანაც გინდა, შეილო.

ახლა კი ვხედავ, რომ კიდევ ვერ მისწავლია ჰკუა მე უბედურს და თქვენ იცით, ამხანაგო დავით, თუ მაპატიებთ. ბუკუნისა და ხახუტიასაც კი ჰქონიათ ჩემზე მეტი შეგნება.

სხვა ბრიგადებში და რგოლებში დაენახათ რაიკომის მდივანი და შეუმჩნეველად შეგროვდა ილიკოს ნაკვეთში ასამდე ქალი და კაცი. აქ იყო ელენე თავისი რგოლით, აქ იყვნენ კირილე, ვერტეხი, მარო ჩხაიძე, შალვა და არჩილი. ილიკომ ამდენ ხალხს რომ შეხედა, მთლად წახდა სირცხვილისაგან. ამიტომ რაიკომის მდივანმა სხვა საგანზე გადაიტანა სიტყვა.

— მე გავეცანი გასული თვის ყველა ბრიგადის ნამუშევარს. კარგი მიღწევები გაქვთ, ამხანაგებო. თქვენ აღარა გყავთ ახლა არც ერთი ჩამორჩენილი ბრიგადა. დიდი საქმე გააკეთა უკრაინელთა გამოწვევამ. არა მარტო თქვენთან, მთელს რაიონში. თქვენ ალბათ ყველა კითხულობთ ჩვენს ცენტრალურ გაზეთებს. ჩვენი რაიონი ჩაის ფოთლის კრეფაში პირველ ადგილზეა უკვე. გაუგებდით ალბათ ამასწინათ, „პრავდამ“ და „იზვესტიამ“ ფართოდ გააშუქეს გენიჩესკელებისა და თქვენი მეგობრობის, შეჯიბრების და წარმატებების ამბები.

მდივანი ნელა უახლოვდებოდა იმ საკითხს, რისთვისაც ჩასთვიდა დღეს აქ. იგი ყოველთვის იმსახურებოდა, რომ იმ საქმის გაკეთების შესახებ რაც საქმის იყო, საკითხი დაბლიდან წამოეჭრათ. ამიტომ ყოველსაირად ცდილობდა ხოლმე ამისათვის როგორმე შეუმჩნეველად მოემზადებია ნიდაგა.

— ჰო, — მობრუნდა იგი შალვასაკენ, — მოხსენებები თუ ჩაატარეთ უკრაინის ხალხის ისტორიაზე.

— როგორ არა, ამხანაგო დავით, ლეონიდე იყო რაიკომიდან. თბილისიდან დოცენტი გიორგიძე მოვიწვიეთ. სამი მოხსენება წავვიკითხა უკრაინის წარსულზე და დღევანდელ საბჭოთა უკრაინაზე.

— ვინმე თქვენთაგანი თუ არის ნამყოფი უკრაინაში, ან თუ იცნობს უკრაინელს?

— ქსენია ნიკოლაევა, ჩვენი სკოლის რუსული ენის მასწავლებელი სწავლობდა და მუშაობდა ძველად ხარკოვში, — უთხრა არჩილმა დავითს.

— მე ვიცნობდი ძველ დროში ერთ უკრაინელს, დამაშენკოს, — წინ წამოდგა ივანე, — ნატანების სადგურში მუშაობდა ეანდარმად.

ივანეს სიცილი დააყარეს: კარგი ნაცნობი გყოლიათ.

გაეცინა მდივანსაც.

— მართალია რევოლუციამდე ჩვენ არ გვქონდა საშუალება გავცნობოდით უკრაინელ მშრომელებს, მაგრამ ახლა აღარაფერი გვიშლის ხელს ახლო გავიცნოთ ისინი.

ელენე დამბული ყურადღებით უსმენდა მდივანს. უცებ თვალები გაუბრწყინდა, გულმა აჩქარებით დაუწყო ცემა. მიმოიხედა, უნდოდა არჩილს შეკითხებოდა კარგი იქნებოდა თუ არა ეთქვა, ის რაც ახლა გაიფიქრა. არჩილი რამდენიმე ნაბიჯით უკან იდგა. ელენემ ნელნელა დაიწია მისკენ.

— არჩილ, — უთხრა ჩურჩულთ და უნებლიეთ მკლავზე წაავლო ხელი. —

არ გინდა პირადად იცნობდე ვალოდია ლიაშენკოს?

— პირადად ვიცნობდე ლიაშენკოს?! — გაკვირვებით შეხედა არჩილმა ელენეს შემკრთალ და გაბრწყინებულ თვალებს. — როგორ, ელენე, იცი რამდენი ასეული კილომეტრითაა დაშორებული მისი სოფელი ჩვენგან.

— მერე რა ვუყოთ, ფეხით ხომ არ გამოვიდის ამ კილომეტრებს. მატარებელი არ გვაქვს, თვითმფრინვაი, თუ მანქანა.

არჩილის სახე ღიმილმა მოიცვა.

— ელენე, ეს რა დიდებული აზრი დაგებადა, — უთხრა ელენეს და წინ წამოიწია. — ამხანაგო დავით, — მიმართა უცებ რაიკომის მდივანს. — ელენეს აქვს ერთი კარგი წინადადება.

ყველა ელენესკენ მიბრუნდა.

— გისმენთ, ელენე, — უთხრა მდივანმა ელენეს.

ელენე დაიბნა, არ ელოდა არჩილი ასე უცებ თუ გაამხელდა. ხედავდა, ყველა მას შესცქეროდა და უცდიდა.

— მე არაფერი წინადადება არა მაქვს... ჩემთვის გაეფიქრე მხოლოდ, რა ბედნიერება იქნება ჩემთვის ერთი რომ შემახედა ნასტია შუმილოსათვის-მეთქი.

— კარგი წინადადებაა, — თქვა მდივანმა და განაგრძო: — თუ ასე გინდა მისი ნახვა, ადექი და მისწერე. აი, მე ვხედავ არჩილსაც გაეზარდება, ვალოდია ლიაშენკო რომ გვესტუმროს.

ყველა სულგანაბული უსმენდა რაიკომის მდივანს და როცა მან სიტყვა დაასრულა, ერთხმად აღაპარაკდნენ:

— კოლექტიური წერილი გავუგზავნოთ გენიჩესკელებს.

— მოსავლის აღების დროს გვეწვიონ.

— თავის თვალთ ნახონ ჩვენი საქმე. ერთდროულად ყველა ბრიგადაში გოისმა ზარის ხმა. დასვენების დრო გასულიყო. სამუშაოდ ეძახდნენ ხალხს. რაიკომის მდივანი და აკაკი გამოემშვიდობ-

ნენ კოლმეურნეებს. არჩილმა, ელენემ და ივანემ ისინი მანქანამდე მიჰყვებოდნენ.

— ესტატე გელოდა ზამსუცხრის წყნარას, — უთხრა დავითმა ელენეს, მანქანასთან რომ მივიდნენ. — იყავით?

— არა, არ ვყოფილვარ...

უზასუხა ელენემ და გაწითლდა. მან რამდენჯერმე გადაწყვიტა ესტატესთან წასვლა, მაგრამ არჩილმა ყოველთვის გადაუღო. ხან რა მოიღვა მიზეზად და ხან რა. ეშინოდა, ელენეს ერთი კვირით წასვლა ბრიგადიდან უკან დასწევდა მის საქმეს. მის ბრიგადას პირველი ადგილი ეკირა კოლმეურნობაში და არ უნდოდა არჩილს ეს პირველობა სხვისთვის დაეთმო. ახლა ისიც დაემატა, რომ ვალოდია ლიაშენკოს ბრიგადას ეჯობებოდა მისი ბრიგადა. ერო პატარა შეფერხებას შეეძლო საქმის წახლენა. მითუმეტეს ახლა, როცა პლანტაციაში გახურებული პიკია.

— რატომ არ წადით?! — გაუკვირდა მდივანს. — ის თქვენ გელით. თქვენ მას სიტყვა მიეცით. ხომ იციო, რა არის სიტყვის გატეხვა?

— ვიცი, ამხანაგო დავით... მე წავალ...

— რამ შეგიშალათ ხელი, რატომ არ წადით აქამდე?

— არაფერმა... მე წავალ...

არჩილი ხედავდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ელენეს შემოფოთებულ სახეს. გრძობდა, რომ თვითონ იყო დამნაშავე ამასი. უნდოდა ეთქვა ეს დავითისათვის, მაგრამ ელენე დროზე მიხვდა და ანიშნა გაჩუმებულიყო.

მანქანა რომ წავიდა და ელენე და არჩილი მარტონი დარჩნენ, ერთხანს ხმას არ იღებდნენ. ელენე გაფითრებული იყო, თავდახრილი მიაბიჯებდა არჩილის გვერდით. ხელის თითები ერთმანეთისთვის ჩაეჭიდა, რომ შეეკავებინა თრთოლეა, დაეფარა შინაგანი მღელვარება, რომელმაც მისდაუნებურად ასე ძლიერ აიტანა მთელი მისი სხეული. „ხომ იცი, რას ნიშნავს სიტყ-

ვის გატეხვა“. ესმოდა ისევ დავითის ხმა. „მე დავიმსახურე, დავიმსახურე. რატომ მოვიქეცი ასე სულელურად, რატომ დაუჯერე არჩილს?“ ფიქრობდა ელენე და ეშინოდა არ ატირებულყო. თანდათან უჩქარებდა ნაბიჯს. უნდოდა, მალე მისულიყო თავის ნაქვეთში და დაცილებოდა არჩილს. იცოდა, რომ არჩილი მწვევედ განიცდიდა იმ წუთში თავის დანაშაულს. იცოდა, რომ არჩილი ეძებდა მის დასამშვიდებელ სიტყვებს.

მიუახლოვდნენ ელენეს ნაკვეთს. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ელენე მიატოვებს არჩილს. უნდა უთხრას რაიმე არჩილმა. ასე ხომ არ დაცილდება.

— ელენე...

ელენე შედგა. არ აუწყვია თავი, არ შეუხედავს არჩილისათვის. იღგა და ელოდა, რას იტყოდა არჩილი.

— მიწვრები, ელენე?

— არა... არა, არჩილ...

— ელენე... თუნდაც ხვალვე წადი. რამდენი ხნითაც გინდა...

— კარგი, არჩილ.

— რატომ არ უთხარი დავითს, რომ მე არ გაგიშვი, რომ ჩემი ბრალია.

— რა საჭირო იყო... განა გამომართლებდა მე ეს? გამოასწორებდა ჩემს შეცდომას?

— ვინც გინდა, ის წაიყვანე და წადი ხვალ, ელენე.

ელენემ არაფერი უპასუხა. სირბილით დაეშვა ფერდობზე. ჩაურბინა თავის რგოლის წვერებს. ქალიშვილებმა ერთმანეთს გადახედეს. რა დაემართაო, ეკითხებოდნენ მათი თვალები ერთმანეთს.

ელენემ კალათებთან მიიჩინა, სწრაფად დაიკიდა წელზე და ბუჩქზე დაიხარა.

ზე გავიდა. დავითი მემანქანის გვერდით იჯდა, აკაკი და სანდრომ უკან. გზის ორივე მხარეს სახლები იყო მწყრივებული.

— კარგი სოფელი გაქვთ, სანდრო, — დაარღვია სიჩუმე დავითმა, — მოხიბლულები დარჩებიან უკრაინელი სტუმრები. რამდენჯერ არ მოვალ აქ, თითქოს პირველად ვხედავო, სულ უფრო ლამაზად მეჩვენება ყოველი კუთხე, სად ნახავ ასეთ ეზოებს!

— სოფელი კარგი გვაქვს, ამხანაგო დავით, — უთხრა სანდრომ, — მაგრამ კოლმეურნეობის კანტორა არ გვივარგა. გენიჩესკელებს ორსართულიანი კანტორა ჰქონიათ, აგურით ნაშენი, თუნდაც გადახურული, თორმეტ ოთახიანი. ჩვენ კი ეს ფიცრული ხეხულა აგერ-აგერ წამოგვექცევა თავზე. ასეთ შენობაში დავხვდეთ უკრაინელებს? რას იტყვიან, თავი მოგვეჭრება. ასეთი შეჯიბრება არ ივარგებს, ამხანაგო დავით.

— გეთანხმები, — უთხრა მოწონებით დავითმა, მაგრამ სანდრომ არ აცალა:

— არც რადიოკვანძი გვაქვს. ვთქვათ და წამოდგა დილით ვალოდია ლიაშენკო, ან ნასტია შუმილო და უკანასკნელი ცნობების მოსმენა მოისურვა. ხომ გავწითლდით. გვეტყვიან, თქვენ ჰურმა მჯდარხართ, ნუთუ არ გაინტერესებთ რა ხდება თქვენს ცხვირს იქითო.

— გეტყვიან, უთუოდ გეტყვიან, სანდრო, — დაუდასტურა მდივანმა, — მართლაც სირცხვილია ამოდენა სოფელს, ასეთ მოწინავე კოლმეურნეობას დღემდე რადიოკვანძი, რომ არა აქვს. რატომ აქამდე არ იფიქრეთ ამაზე?

— აქამდე, — თქვა დაფიქრებით სანდრომ, — აქამდე განა ცოტა გვეონდა საფიქრებელი. მთავარი იყო ფეხზე წამოვმდგარიყავით.

— მე ხვალვე აღვირავ შეამდგომლობას საზემოსაბჭოს წინაშე რადიოკვანძის შესახებ, რადიო ყველა კოლ-

რაიკომის მდივნის მანქანამ პლანტაციები უკან მოიტოვა და სოფლის გზა-

მეურნეს უნდა ჰქონდეს. კანტორის საკითხი გამგეობაზე განიხილეთ. თქვენს განკარგულებაში სამი თვეა სტუმრების ჩამოსვლამდე. პატარა დროა, მაგრამ თუ მოინდომებთ მოასწრებთ.

სანდრო ჩაფიქრდა. ხუმრობა როდესაც ასეთი დიდი მშენებლობის დაწყება მშენებლობაში გამოუცდელი კაცსათვის. „სამ თვეში ქვიტკირის შენობა დიკრულს ხომ არ ავაგებთ აბა? ჩვენი კანტორა არაფრით არ უნდა ჩამოუვარდებოდეს გენიჩესკელებისას. საჭიროა გამოცდილ ინჟინერს შევადგენიოთ პროექტი. ისეთი შენობა უნდა ავაშენოთ, რომ არა მარტო დღესა და ხვალ გამოგვადგეს. მაგრამ, როგორ, ჯერ ჩვენ ხეირიანი ბოსლები არ ავჯიშენებია. სადა გვაქვს საშენი მასალა?“

— რატომ დაფიქრდით? — ჰკითხა რაიკომის მდივანმა სანდროს. — ვერ მოასწრებთ სამ თვეში? ვინ იფიქრებდა შარშან ამ დროს, რომ ქალი დღეში სამოც კილოგრამ ჩაის ფოთოლს მოკრეფდა. მაგრამ დღეს კრეფენ.

— საშენი მასალა მიჭირს, ამხანაგო დავით. სად ვიშოვოთ აგური, ცემენტი, კირი? ერთხელ სათბურის ასაშენებლად რაისაბუკოს თავმჯდომარეს ცოტა კირი და აგური ვთხოვე და უარი მითხრა. ჩვენ ქალაქის მოთხოვნილებასაც ვერ ვაკმაყოფილებთო.

— მართალი უთქვამს, კარგად მოქცეულა, რომ უარი ვითხრათ, — უთხრა რაიკომის მდივანმა სანდროს. დაინახა, რომ მისმა სიტყვამ ძლიერ გააკვირვა სანდრო და განაგრძო: — რატომ მიმართეთ კირისა და აგურისათვის რაისაბუკოს?

— აბა ვისთვის უნდა მიგვემართა, ამხანაგო დავით?

მდივანმა მანქანის ფანჯარაში გაიხედა. გზის პირზე ჩამწყობებულ სახლების ბუნრის თავებს და ქვის, ცემენტით შელესილ განიერ კიბეებს შეავლო თვალი.

— რით არის აშენებული ეს ბუნრები და კიბეები, სანდრო? *ეროვნული* სანდრომ უნებლიეთ *ფანჯარაში* შეხედა. ერთბაშად ვერ გაიგო, რას ეკითხებოდა მდივანი.

— რა ბრძანეთ?...
— რისგან არის-მეთქი აშენებული ბუნრები. ეს ვეებერთელა კიბეები?
— აგურისაგან...
— რაისაბუკომ მისცა სოფელს აგური?

— არა, ამხანაგო დავით.
— აბა?
სანდრო მიხედა, რას ეკითხებოდა და რატომ ეკითხებოდა მდივანი.
— წინათ სოფელს თავისი აგურის საწვავი ჰქონია.

— რატომ ახლა არა გაქვთ. გაგითადათ სააგურე მიწა თუ?
— მიწა იმდენია, ასს სოფელს ეყოფა.

— აბა რაშია საქმე? არა მგონია, კირიც ცხრა მთას იქიდან მოეტანოთ მოცენარელებს.

— მგონი კირსაც სწვავდნენ ერთ დროს აქ, — გახალისდა სანდრო.

— აი, ხომ ხედავთ, თქვენ კი უცუბ გაიჭირვეთ. მიმოიხედეთ, კიდეც ბეჭრი სხვა მასალა აღმოგაჩნდებათ ადგილობრივად. ხე-ტყე ბევრი გაქვთ. ქვით მდინარე სეფა მდიდარია. დანარჩენ მასალის შოვნაში დაგეხმარებით. — შეხედა სანდროს. — გაგიჭირდება მაინც?

სანდრო დარცხვენილი სდუმდა ერთხანს. „განა ცოტა საშუალებაა ჩვენთან ადგილობრივად მასალის დამზადებასათვის. რატომ ვერ დავინახე მე ყველფერი ის, რაც თვალის ერთი გადავლებით შენიშნა დავითმა?“

ტელეგრაფისტი ვალერიან ქორიძე, ყოველთვის გაჯავრებული და აღრენილი იყო. ყოველთვის რაღაცაზე ნაწყენს და ვინმეზე უკმაყოფილოს სახე-

ში ვერ შეხედავდი. იჯდა თავის მორ-
ზეს აპარატთან და ისე დაიწყებდა და
გათაყუბდა თქვენთან ლაპარაკს, არც
კი შეყოფხედავდათ. სარკმლის კარს
ცხვირწინ ტკაცხით მიგიხურავდათ.

ვალერიანს ყველა შეეჩვია. მას ერთ-
გარი სიბრაღულით ექცეოდა დიდი და
პატარა. იგი ოჯახურ ბედნიერებას მოჰ-
ლემბული კაცი იყო. არ ჰყავდა შვილი,
არც ძმა. მთელს რაიონში უღამაზესი
ქალის მთელზე იყო. გაგიყვებით უყვარ-
და ცოლი, მაგრამ საოცრად ექვიანობ-
და და ამის გამო თვითონაც გამწარე-
ბული ჰქონდა სიცოცხლე და ცოლს
ხომ სულ მოშხამული. ეს იყო მიზეზი
იმისა, რომ ვალერიანი ერთი შეხედვით
კაცთმოძულეს ჰგავდა, მაგრამ, ვინც მას
ახლო იცნობდა, კარგად იცოდა მისი
გულკეთილობის ამბავი. ვალერიანი
სხვისთვის პერანგს გაიხდიდა, წყალში
გადავარდებოდა. ამა ასეთ კაცს ვინ
გყოლებოდა უმადური და უმწყაო-
ფილო.

დღეს არაჩვეულებრივად მზიარუ-
ლი სჩანდა ვალერიანი. ასეთ ხასიათზე
იგი დიდი ხანია არ ენახა არავის. სახე
გაბრწყინებული, სუფთად გაპარსული
და საგარეო ტანსაცმელში გამოწყობა-
ლი, იგი მორზეს აპარატთან იჯდა, წინ
ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურ-
ნეთა წერილი გეშალა და დიდი სიამა-
ყით და რიხით გადასცემდა:

„უკრიანა, ზერსონის ოლქი, გენი-
ჩესკის რაიონი!

სტალინის სახელობის კოლმეურნეო-
ბის თავმჯდომარეს ამხ. ვ. პ. ილენ-
კოვს!

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენთან, მო-
ცენარში, ორჯონიკიძის სახელობის
კოლმეურნეობაში დიდი ბრძოლაა გა-
ჩაღებული იმისათვის, რომ პირნათ-
ლად შევასრულოთ თქვენთან შეჯიბ-
რებით აღებული ვალდებულებანი. სა-
ნიმუშოდ მოვლილი ჩაის პლანტაციე-
ბი თავისი უხვი მოსავლით სიამით
გვივსებს გულს. უხვ მოსავალს გვიპირ-

დება ციტრუსების ნაკვეთები, ვენახი,
სიმინდის ყანები.

ჩაის მწვანე ფოთლებზე ვერცხვს
ში 130 პროცენტით შევასრულეთ.
70 ტონა მწვანე ფოთლის მაგივრად
100 ტონა ხარისხოვანი ფოთილი მოვ-
კრიფეთ.

არჩილ სირაძის მეშვიდე ბრიგადამ
თავისი გეგმა 180 პროცენტით შეას-
რულა. ელენე ავთანდიძის რგოლმა სა-
მი ტონა მწვანე ფოთლის ნაცვლად,
ექვსი ტონა მოკრიფა. სასახელოდ
იმუშავეს რგოლის წევრებმა ტატიანა
იობაშვილმა, ნინო გოგოლაშვილმა, ავ-
რაფინა ბედენიძემ და მამო ჩიტაი-
შვილმა. ისინი დღიურ გეგმას ორასი
პროცენტით ასრულებენ.

სამი თვის შემდეგ დაიწყებთ ჩვენ
ყურძნისა და ციტრუსების აღებას.
ჩვენი კოლმეურნეობის ყოველი წევ-
რი დიდ ბედნიერად ჩათვლის თავის
თავს, თუ შექვენ გვეწვევით სტუმრად
ამ დროისათვის. უფრო ახლო გავეცე-
ნოთ ერთმანეთს, შევამოწმოთ როგორ
სრულდება ჩვენს მიერ აღებული ვალ-
დებულებები.

ჩვენ დარწმუნებული ვართ უარს არ
გვეტყვიით და გვესტუმრებით. მოუთ-
მენლად გელით, ძვირფასო ამხანაგებო!

მოცენარის ორჯონიკიძის სახელო-
ბის კოლმეურნეობის კოლმეურნეთა
დავლებით კოლმეურნეობის თავმჯ-
დომარე სანდრო მეგრელიძე, პარტიუ-
ლი ორგანიზაციის მდივანი შალვა ჩა-
ჩავა, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე
ექვთიმე გოგოლაძე, კომკავშირის
ორგანიზაციის მდივანი ისილო კვაჭაძე,
მეშვიდე ბრიგადის ბრიგადირი არჩილ
სირაძე, მერგოლური ელენე ავთან-
დაძე.

გენიჩესკელებმა რომ მოცენარეუ-
ბის წერილი მიიღეს, გახურებულ მყა-
ში იყვნენ. მათ დაუყოვნებლივ უპასუ-

ხეს ქართულ მეგობრებს მოპატივე-
ბის წერილზე.

„დღეს რვა დღე შესრულდა, რაც
პურის აღებას შევუდექით. დღე და და-
მე არ სწყდება ჩვენს მინდვრებზე კომ-
ბანთა გუგუნნი და საღეწი მანქანების
ხმაური. საშუალოდ თითოეულ ჰექ-
ტარზე 22 — 24 ცენტნერ პურს ვიღებთ.

ვალოდია ლიამენკოს ბრიგადამ რომე-
ლსაც 114 ჰექტარზე უთესია ხორბალი,
ჰექტარზე ოცდაათი ცენტნერი მოიწია.
პირველ შვიდ დღეში ჩვენ უკვე შე-
ვასრულეთ სახელმწიფო სავალდებუ-
ლო ჩაბარების გეგმა. ელვატორამდე
საკუთარი ტრანსპორტით 6700 ცენტ-
ნერი ხორბალი მივიტანეთ. ავანსათ
კოლმეურნეებს შრომადღეზე ექვსი
კილოგრამი მარცვლეული გავეცით.
თქვენთან სოციალისტურა შეჯიბრე-
ბით აღებული ვალდებულებით მკა ორ
კვირაში უნდა დავამთავროთ. ჩვენ
ამას გაეკეთებთ. ჩვენს ყანებში რვა
მინდვრის ზომალდი, თხუთმეტი ტრაქ-
ტორი და თორმეტი ავტომანქანა მუ-
შაობს. ჩვენს მანქანა-იარაღებს ოცდა-
თხუთმეტი ტრაქტორისტი, ოცდახუთი
კომბაინერი, შვიდი მოტორისტი, და
თორმეტი შოფერი ემსახურება. ეს გუ-
შინდელი გლეხები დღეს შესანიშნავი
ისტატები არიან. ისინი ბრწყინვალეთ
ჰფლობენ უახლეს მანქანა-იარაღებს.
კომბაინერმა პეტრე ბარალომ ხუთ
დღეში ექვსას ორმოცდაათ ჰექტარზე
აიღო პური. ასევე სასახლოდ მუშაო-
ბენ კომბაინერები: ალექსი კოლოდა,
ზახარი ივანოვი და სხვები.

ჩვენ ვაპირებდით თქვენს მოპატივე-
ბას, ძვირფასო ამხანაგებო, მაგრამ და-
გვასწართ. ჩვენ ვესწრაფვით ვნახოთ
მშოური საქართველო, ბელადის სამ-
შობლო, თქვენი კოლმეურნეობა. ვნა-
ხოთ, როგორ მუშაობთ, როგორ ცხოვ-
რობთ. იმედი გვაქვს, ჩვენც გვიწვე-
ვით, გვხანავთ. ჩვენც ვიცით სტუმრის
მიღება, ჩვენებურად, უკრაინულად.

მოუთმენლად ველით თქვენთან შეხ-
ველას.

ეროვნული
სტალინის სახელობის კოლმეურნეო-
ბის წევრთა საერთო კრების დაკალე-
ბით კოლმეურნეობის თავმჯდომარე
ვ. პ. ილენკოვი“.

უკრაინიდან პასუხის მიღებამდე ვაი-
შალა მოცენარში კანტორის შენობის
მშენებლობისათვის საშაღისი. კოლმე-
ურნეობის საერთო კრებაზე ერთხმად
იქნა მიღებული დადგენილება კოლმე-
ურნეობის განუყოფელ ფონდიდან
300.000 მანეთის გამოყოფის შესახებ.

მშენებლობის ხელმძღვანელობა საბ-
ჭოთა არმიიდან დემობილიზებულ
ახალგაზრდა ინჟინერს ვალიკო გორდე-
ლაძეს მიანდეს. მიუხედავად იმისა,
რომ ვალიკო ჯარიდან ორი-სამი დღის
დაბრუნებული იყო, მეორე დღესვე შე-
უდგა საქმეს. მისი რჩევით კანტორის
პროექტის შედგენა გამგეობამ ძველ,
გამოცდილ ინჟინერს თადა თოდუას
მიანდო. მოცენარში თოდუას ყველა
იცნობდა. იგი რამდენიმე წლის წინათ
ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზის მშე-
ნებლობაზე მთავარ ინჟინრად მუშაობ-
და. ბევრი მოცენარელი მუშაობდა იმ
დროს მასთან. იცოდნენ საქმი-
სადმი მისი თავდადების ამბავი. თო-
დუა კარგად იცნობდა მოცენარის ყო-
ველ კუთხეს, კოლმეურნეობას, ოჯა-
ხებს. იგი არა ერთი და ორი შესანიშ-
ნავი არქიტექტორული ნაგებობის ავ-
ტორი იყო. ამჟამად თოდუა ბათუმის
მთავარ ინჟინრად მუშაობდა. ვაი, თუ
ვერ მოიკალოსო ჩვენთვის, ფიქრობ-
დნენ მოცენარში. გამგეობამ კორალე
ავეჩანდაძე, ევტიხი ყუფარაძე, არჩილი
და ვალიკო გორდელაძე გაგზავნეს თო-
დუასთან.

ისინი იმავე საღამოს დაბრუნდნენ
ბათუმიდან და სასიხარულო ამბავი ჩა-
მოიტანეს: თოდუა დათანხმებულა
პროექტის შედგენაზე და მრავალ სხვა
დახმარებასაც დაპირებია მოცენარე-
ლებს.

ორ კვირაში შევადგენ პროექტს, მე თვითონ ჩამოვიტან, შენობის ადგილის არჩევაშიც მოგესმარებითო. თქვენ მანამდე ერთი საათი არ დაკარგოთ და დაუყოვნებლივ შეუდგებით სააღმშენებლო მასალის მომზადებასო. ძმები ქანკალაძეების აგურის საწვავის ნაგრეები ახლაც არის კუის ღელის პირას, იქ ააშენეთ ისევ სააგურე და ეს საქმე გიორგი ქანკალაძეს მიანდეთო. ოკარტის ღელის ქვისთანა ქვას მეორეს ვერ ნახავთ რაიონში. ღელის მარჯვენა ნაპირზე გარდაფხაძეების უკან აღმართული გორაკები ოთხ რაიონს ეყოფა. თუ კარგად იმუშავენ, ღღეში ორისამი ტონა კირის გამოწევა შეიძლებაო იქ.

ახმაურდა ოკარტეს ღღე. სახელდახლოდ გაკეთებულ ქურიდან ასული შავი კვამლი აიკლავა ჰაერში. მთელი ღღე ჯარასავით ტრიალებდა თუფილე სიხარულიძე. იგი ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ სწევდა კირს მოცინარში და ამ საქმის ოსტატად ითვლებოდა.

საკირე ნაკაშიძის იყო, თუფილე დაჭირავებული ჰყავდა მას ორ ძმასთან ერთად. ისეთ კირს წვავდნენ ძმები, რომ სიმარით ცემენტს არ ჩამოუვარდებოდა. მათი გამომწეარი კირის საყიდლად შორეული სოფლებიდან მოდიოდნენ. ნაკაშიძის კირი მთელი ოზურგეთის მაზრაში იყო განთქმული. ხოლო ძმები სიხარულიძის ხელიდან რომ გამოდიოდა ასეთი კარგი კირი, ეს მარტო ახლო-მახლო სოფლებში იცოდნენ.

ამიტომ იყო, რომ, როგორც კი საკირის საკითხი დაისვა გამგეობაში, მაშინვე ყველამ თუფილე სიხარულიძე გაიხსენა. იგი სამოცდაათ წელიწადს გადაიცილებული მოხუცი იყო, მაგრამ თავის ძველ ხელობას ისეთი გატაცებით შეუდგა, რომ ყოველ განვიითრებაში მოიყვანა. მოშაობის დაწყების მეექვსე დღეს საკირემ კოლმეურნეო-

ბას ათი ტონა კირი ჩააბნრა. ამ წარმატებით არ დაკმაყოფილდა თუფილე, იგი გამგეობის კრებიდან სადღაც წასაღებს და დღეს მადლობა გამოუცხადეს, სოფლის მალაზიაში წავიდა. იქ ერთი თუფი შპალერი იყიდა, იქიდან სკოლისაკენ გასწია ხატვის მასწავლებელთან და ასე დააწერინა შპალერზე მსხვილი ასოებით: «ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ უკრაინელი სტუმრების ჩამოსვლისათვის გამგეობის კანტორა აშენებული გექონდეს!»

„ჩვენ პირობას ვდებთ ყოველდღე სამი ტონა კირი გამოუწვათ!“ ეს ტრანსპარანტი თუფილემ საკირის ფარულზე გააკრა.

თუფილესთან საკირეში ათი ყმაწვილი მუშაობდა, ათივე კომკავშირელი. ბიჭებმა რომ ტრანსპარანტი წაიკითხეს, ერთხანს გაკვირვებულები შეჰყურებდნენ ერთმანეთს. თავის თვალს არ უჯერებდნენ. დაინახა ეს მოხუცმა და გული აუჩუყდა.

— შეგვიძლია ჩვენ ამის გაკეთება, შევიღებო, — უთხრა ყმაწვილებს თუფილემ, — აქ, ამ ღელეში დიდი სიმდიდრე წევს. ასეთ ქვას მეორეს ვერ ნახავ ჩვენს ქვეყანაში. მე სად არ გამომიწეავს კირი, საქართველოს რომელ კუთხეში არა ეყოფილვარ, მაგრამ ასეთი საკირე ქვა არსად არ შემხვედრია. წინათ ამ სიმდიდრეს გველი პატრონობდა. გველი იყო ნაკაშიძე. მოშაბული იყო ქვაც და ღელეც აქ მისი შხამით. ჩვენ კაპეიცის საფასურად გვეწვევინებდა კირს, თვითონ მამასისხლად ყიდდა. დღეს, შევიღებო, ყველაფერი ჩვენია აქ, ეს ღელეც, ქვაც, კანტორაც, ხომ ხედავთ, ყველა ისე ემზადება უკრაინელების შესახვედრად, თითქოს საკუთარ ოჯახში მოელოდნენ მათ. ამიტომ დაეწერე ეს, — გაიშვირა ხელი ფარდულისაკენ, — თუ მივცემთ, შილო, დღეში სამ ტონა კირს. — აშენდება კანტორა, არა და არ აშენდება.

— მივცემთ, ბიძია თუფილე.

— ჩვენც გვექონდა ასეთი ფიქრი, მაგრამ ვერ გავაძილეთ.

— გვექნება კანტორა სტუმრების ჩამოსვლისათვის.

— ამ ინიციატივას სხვებიც წაბაძავენ ახლა.

ერთხმად ალაპარაკდნენ ახალგაზრდები.

ხუთი ჰექტარი მიწა შემოლობეს სააგურესათვის. გამგეობამ დათა თოდუას რჩევა მოიწონა და სააგურეს ბრიგადირად გიორგი ჭანალაძე დანიშნეს. თავდაუზოგავად მუშაობდა გიორგის ბრიგადა. ყველა ერთი სურვილით იყო გატაცებული: უზრუნველყოთ მშენებლობა აგურით. მათი ქურაოცი ათას ცალ აგურს იძლეოდა ერთ გამოწვავზე. სანამ აგური იწვოდა, ბრიგადა ალოხს ამზადებდა და გამოწვვარი აგურის ამოლაგების დროისათვის მზად ჰქონდა სხვა ოცი ათასი გამოსაწვავად ჩასაწყობად.

საყირის ფარდულზე „თეოფილეს ლოზუნგის“ გაკერის დროიდან ერთი საათი არ იქნებოდა გასული და ეს ამბავი უკვე მთელმა სოფელმა იცოდა, მაგრამ თეოფილეს მოწოდების შესახებ ყველაზე ადრე მაინც სააგურეში გაიგეს.

გიორგის ბრიგადის წევრს მამია კუქელაძეს მთელი დამე ალიზზე ნამუშევარი ცხენი სეფაზე ჰყავდა წაყვანილი ტანის დასაბანად. იქიდან მობრუნებულმა საყირის ფარდულთან შეყრალი კოლმეურნეები დაინახა და ცხენი შეაყენა. წაიკითხა თუ არა თეოფილეს მოწოდება, ელდა ეცა, ისეთი ფერადედო, თითქოს რაღაც სამწუხარო ამბავი შეუცხადესო. „დაგვასწრო ბებერმა ტურამ, — გაიფიქრა მან შურით, — მაგრამ არა, ამას თეოფილეს რა მოაფიქრებდა. ეს კომკავშირლების ინიციატივა იქნება“. არ დაუყოვნებია, ცხენს ქუსლი ჰკრა და ადგილს მოსწყვიტა.

გაქაფული მიაგდო სააგურესთან. გულამომგდარმა სულამოცუტქმელად უამბო ბრიგადას, რაც ხდებოდა მთავრად თეოფილეს საყირეში.

— იმ სიგრძე პლაკატი, იმ სიმსხო ასობეზია, სოფელში კი არა, თბილისში არ მინახავს. ახლა სიტყვები აიღეთ. ბრძენის დაწერილი გეგონება. რაფერ დავიჯერო, რომ ეს თეოფილე სიხარულიძის მოფიქრებული სიტყვებია.

— თეოფილეს ნუ ეხუმრებთ, ძველ დროს ოთხი კლასი აქვს დამთავრებული, — ჩაერია ლაპარაკში ბრიგადის ერთ-ერთი წევრი.

— ძველი დროის ოთხი კლასი დამთავრებული კი არა, ზოგი უნივერსიტეტი დამთავრებული ვერ მოიფიქრებდა ამას, — მოუქრა მამიამ და განაგრძო: — არა, სიტყვები თავისთავად მაინდამაინც დიდი არაფერია, მაგრამ აზრი? საქმე იმაშია, რას გააკეთებენ ეს სიტყვები? რას და იმას, რომ ყველა გამოეხმაურება თეოფილეს მოწოდებას, ე. ი. თავის ფრონტზე ყველა ეცდება უზრუნველყოს მასზე დაუალბულის დროზე გაკეთება.

იმვე საღამოს სააგურის ფარდულზე ორ რიგად გააკრეს შპალერი. ერთზე ასე ეწერა: „ვეხმაურებით საყირე ბრიგადის ინიციატივას და პირობას ვდებთ კანტორის მშენებლობა მთლიანად უზრუნველყოთ ჩვენს შიერ გამოწვვარი მალაღზარისხოვანი აგურით!“

„ამავე დროს ჩვენ ვალდებულებას ვდებთ, მშენებლობის დაწყების დღიდან, ორი მუშახელი დაეხმაროთ ჩვენი ბრიგადიდან კალატოზებს!“

მეორე დღეს მალაზიაში ერთი თოფი შპალერი აღარ იყო. ახალი ვალდებულებები აიღეს არა მარტო მშენებლობისათვის მომუშავე ბრიგადირებმა. შპალერს მოწოდებებით თქვენ ნახავდით მეჩაიეთა და მეციტრუსეთა ბრიგადებში, სიმინდის ყანებში, სანერგეში, გზის მშენებლობაზე, მეცხოველეო-

ბისა და მეფრინველების ფერმებში, მვეწინაბეებთან და მებილეებთან.

ინჟინერმა თადა თოდუმ კანტორის პროექტი დანისნულ დღეს ჩამოიტანა. პროექტმა ყველა ალტაცებაში მოიყვანა. ორსართულიანი სამოცდაათი მეტრის სიგრძის და ოცი მეტრის განის ქართული არქიტექტურის სტილით შესრულებული პროექტი მართლაც თვალწარმტაც შენობას წარმოადგენდა.

— ასეთი სახლი რაიონის ცენტრშიც არა დგას.

— სახლი კი არა, სასახლეა.

— ასეც უნდა იყოს, ბიძია. დღეისთვის კი არ ვაშენებთ მართა. ამ შენობის ჩვენ ორმოცი წლის შემდეგაც არ უნდა შეგვტყვევს.

— ეს კი მოეწონებათ უკრაინელებს.

ამბობდა ხალხი.

— ეტო უნას პერვენეც ვრაიონე, — უღვაშების გრეხით გაიძახოდა აბესალომი.

სახლის დასადგამი ადგილი სოფლის ცენტრში აირჩიეს. ხუთ ჰექტარზე იყო აქ ტრიალი მიწა და გადაქიმული. მიწდორს შუაზე ჰყოფდა მდინარე სეფა. მიწდორს გარს წიფლნარით დაფარული გორაკები ერტყა. მარჯვნივ ამართულ გორაკის ძირში წყარო გადმოსჩქეფდა. წყაროს ასწლოვანი წიფლის ხე ედგა თავზე დარაჯად. მიწდორის აღმოსავლეთ მხარეს სოფლის გზა გადიოდა.

საძირკველის ჩადგმის პირველ დღეს მთელი კოლმეურნეობა მუშაობდა კანტორის მშენებლობაზე. გადაწყვიტეს ყოველ კვირა დღეს გამოსულიყო კანტორის მშენებლობაზე ქალი და კაცი, დიდი და პატარა. კალატოზთა ბრიგადას ხელმძღვანელობდა მთელ რაიონში თავის გამოცდილებით ცნობილი კალატოზი იოსებ ქალელი. მისი მადლიანი მარჯვენა დაუღალავად მუშაობდა მთელი დღე. მას არც ძმები მათე და

სერაფიონ არობელიძეები ჩამოიწებოდნენ.

ეროვნული

ვალეო გორდელაძეს მუშაობდა და არც ღამე. ერთი საათითაც არ ტოვებდა მშენებლობას. კვირაში ერთხელ ბათუმიდან თადა თოდუმაც ჩამოდიოდა. იგი განცვიფრებული იყო მშენებელთა ენთუზიაზმით. სიხარულით ევსებოდა გული. ისიც ვალიკოსთან ერთად ჩაებმებოდა მუშაობაში და გვიან საღამოს ისე დაბრუნდებოდა ბათუმში, რომ ჰურის საკმელადა ვერ მოიცლიდა.

მთელი სოფელი ფეხზე იდგა, უკრაინელი სტუმრების შესახვედრად ემზადებოდა. ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრებოდა, რგოლი რგოლს, კოლმეურნე კოლმეურნეს. გზებზე, პლანტაციებში, სოფლის შუკებში, ყველა თვალსაჩინო ადგილზე მოწოდებები იყო გაკრული.

„ღირსეულად შეეხვედეთ უკრაინელ ძმებს!“

„მოცენარელებო, ახლოვდება უკრაინელთა ჩამოსვლის დღე!“

ყველას უნდოდა კარგი მიღწევებით დახვედროდა უკრაინელებს. დღითიდღე მოთმინება ეკარგებოდათ, დღეებს ითვლიდნენ მილოდინში. ბავშვები მშობლებს ახალ ტანსაცმელს აკერვინებდნენ. ძველ ტანსაცმელში ვერ დაეხვედებითო სტუმრებს. ისინი მშობლებთან ერთად რიყრაქზე მიდიოდნენ პლანტაციაში ჩაის ფოთლის საკრეფად. ხშირად გოგოები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მე ელენე ავქანდაქე ვარ, მე ნასტია შუმილოვო.

სკოლის გამგე, პროვიზორი, ექიმი, სოფლის მალაზიის გამგე, ფოსტის გამგე და ყველა ის, ვინც რაიმე თანამდებობის პირი იყო სოფელში, თავს დასტრიალებდა თავის საქმეს, რომ უკრაინელებთან სირცხვილი არ ექამა, რაიმე ნაკლი არ შეემჩნიათ. სტუმრებს მუშაობაში.

დღეები სწრაფად მიდიოდნენ.



შავი ზღვა ბორგავდა და მძვინვარებდა. ყალუზე შემდგარი ტალღები შორს იჭრებოდნენ ნაპირზე. ქარი ფაფარს აგლეჯდა მათ, წივილითა და შუილით იჭრებოდა მოცენარის შეკებში, პლანტაციებში. მიწამდე ზრიდა ხეებს, აწყდებოდა სახლებს, ღობეებს.

ელვა ზედიზედ იკლაკნებოდა ზღვაზე და განუწყვეტლივ ისმოდა ყრუ გრგვიწნა და ძლიერი ქექა-ქუხილი. არც ერთს სახლიდან არ გამოკრთოდა სინათლის შექი: დახურული იყო დარბაზები, ჩაკეტილი იყო კარები. გარეთ სულიერი არ ჰკავანებდა.

კირილე და ელენე ახალი დაწოლილები იყვნენ. როცა აივნებიდან ყეფით წამოვარდა ძაღლი და ეზოში ჩაიჭრა.

— ვინ უნდა იყოს ასეთ ამინდში?! — თქვა გაკვირვებით კირილემ და ლოგინში წამოჯდა.

ძაღლი გაათრებოდა მიეტანა ვილაცას. თითქოს ასი პირით ყეფდა და ღრინავდა, ისე ისმოდა ქარის წივილში და ქექა-ქუხილში მისი ხმა.

— გაგლიჯა ვილაც, მამა! — გამოსძახა თავისი ოთახიდან ელენემ მამას.

კირილეს შარვალი უკვე ჩაცმული ჰქონდა, გადაიცვა ხალათიც და სწრაფად წამოდგა. ქარი ისე ძლიერ აწყდებოდა სახლს, რომ კარი ძლივს გააღო. აივანზე გავიდა და მოაჯირს გადაეყრდნო. ისეთი სიბნელე იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდით.

— რომელი ხარ, ნენა? — გასძახა კირილემ სიბნელეში.

ძაღლი პატრონის ხმაზე უფრო გულგულ მიეტანა მოსულს. მაგრამ კირილემ ყეფაზე შეატყო, პირუტყვი უკან იხევდა. ეტყობოდა, უცნობი მარადიდ იგრიებდა ძაღლს და სახლისაკენ მოიწევდა. მას კირილეს შეძახილი არ გაუგონია. კირილე მიხვდა, რომ ქარის წივილში და ძაღლის ყეფაში ვერ გაიგონებდა მის ძახილს.

ეზოში ჩავიდა.

— ეი, ვეფხვია! — შეუწყნარებლად სიბნელეში ძაღლი და ადამიანს შეტრატებული მოეჩვენა.

მთელი ტანით აღმართული და კბილებით ჯოხს ჩაფრენილი ვეფხვია უკან გადმოხტა, ყეფითა და წკმუტუნით გამოიქცა პატრონისაკენ.

კირილეს ქარი სახეში აყრიდა ზღვის შეფხსა და ქვიშას. მოხუცი მკლავით იფარავდა სახეს.

— არჩილი ვარ, კირილე.

— რა ამბავია, ნენა? რაიმე ხომ არ შეგემთხვა?! —

— მაპატიე, კირილე... ასეთ დამეში სხვის სახლში არ მისვლდება, მაგრამ ისეთ გულზე ვარ...

მეტი ვერაფერი თქვა არჩილმა. გაჩუმდა. ელვამ გაუნათა სველი და გაფითრებული სახე. არ წვიმდა, მაგრამ თავიდან-ფეხებამდე სველი იყო ქარის მოტანილი ზღვის წყალით. ხალათი ტანზე შემოკვროდა.

კირილემ იცოდა, რომ ასეთ ამინდში და ასე გვიან არჩილი უბრალო საქმეზე არ მოვიდოდა.

— წამოდი სახლში, არჩილ, — უთხრა და წინ გაუძღვა. კბეზე ისეთ გამებრტბით დაეძგერათ ქარი, რომ ორივე კინალამ გადაჩხა.

— წარღვანს ხომ არ აპირებს, ნენა? — თქვა კირილემ და მოაჯირს მოეკიდა. — აქეთ, არჩილ, — მიუბრუნდა არჩილს და ხელი მოკიდა. — ასეთი გაავეებული ზღვა ჯერ არ მინახავს. ასე მგონია, ეს-ეს არის ნაპირზე გადმოვამუთქი.

წინა ოთახში გამოსული ელენე კარებთან იდგა საცვლების ამარა, არჩილის სახელი რომ გაიგონა, შებრუნდა და თავის ოთახში გავიდა. „რა მოხდა, რამ მოიყვანა ამ დროს არჩილი?“ შემფოთებით გაიფიქრა. ოთახის კარი ნახევრად მიხურული დატოვა, რომ მამისა და არჩილის საუბარი გაეგონა.



დინეობის ჩატარების მეორე დღეს ასო-ცი პროცენტით ასრულებდა გეგმას. ეს-ტატეს, ელენეს აქ ყოფნის ყოველი საათი მილიონად უღირდა, ამიტომ არ შორდებოდა, ამიტომ დასტრიალებდა თავზე სამივე ქალიშვილს. დღეს უკა-ნასკნელ მეცადინეობას ატარებდა ელენე. საღამოს მოცენარში უნდა დაბრუნებულყო.

ელენეს „ბოლშევიკში“ წასვლის მე-სამე დღეს არჩილს დედა ავად გაუხდა მძიმედ. უკიშმა ურჩია დაუყოვნებლივ რაიონის საავადმყოფოში წაეყვანა. არჩილი ქალაქიდან მხოლოდ მეოთხე დღეს დაბრუნდა და აქ გულისგასახეთქი ამბავი დახედა. მისი ბრიგადა ფოთლის კრეფაში ჩამორჩენილიყო. ელენე, ნინო და ტატიანა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულყვნენ „ბოლშევიკიდან“.

„დამღუბა ელენემ, საქვეყნოდ მომჭრა თავი“. თქვა გულში ტკივილით არჩილმა. არ დააყოვნა; ცხენს მოახტა და „ბოლშევიკში“ მოჰქუსლა. ქარივით მიაფრენდა ცხენს. გზაზე არავის ამჩნევდა, წინ მიმავალს უსწრებდა, შემხვედრს გზას არ უთმობდა. დაინახავდნენ თუ არა შორიდან „თავზეხელა-ლებულ“ ცხენოსანს, გზიდან უხვევდნენ. ამ კაცის თავზე რალაც ფარსავაიო, ფიქრობდა ყველა.

ერთი საათის შემდეგ არჩილი „ბოლშევიკში“ იყო. გამგეობაში არ მისულა, მეველისაგან გაიგო, რომელ ბრიგადაში იყო ელენე და პირდაპირ ნაკვეთში მიაგლო ცხენი.

ელენემ პლანტაციის ცხენით შემოჭრილი არჩილი რომ დაინახა, შიშმა აიტანა. იგი ბუნჩქზე იყო დახრილი ორ ქალიშვილს კრეფას ასწავლიდა, ნაკვეთში ცხენის ფლოკეების თქარა-თქური რომ შეესმა, თავი ასწია, იცნო თუ არა არჩილი, ბუნჩქს თავი მიანება და სიბრძილით მიეგება.

— რა ამბავია, არჩილ?! — დაუძახა შორიდან.

არჩილი ცხენიდან გადმოხტა, სულს ძლივს იბრუნებდა. გაფითრებული და გაოფლიანებული იყო. *სამსუქი მთქან*
— ელენე... შენ აქ... — სიტყვა გაუწყდა. — ჩამოვრჩით, ელენე. დღეს ოცდარვაა და...

— დამშვიდდი, არჩილ, რა დაგემართა? — შეწუხდა ელენე. — რა ფერი გადევს?

სახეზე ხეითქი ჩამოსდიოდა არჩილს. საბერველივით სუნთქავდა.

მოირბინეს ტატიანამ და ნინომ.

— არჩილ!

— ცუდი ხომ არაფერი შეგემთხვა?

— რა შემემთხვა ამაზე ცუდი, ჩამოვრჩით ფოთლის კრეფაში. თვიური გეგმა ოთხმოცდაათი პროცენტით გვაქვს შესრულებული. თქვენ კი აქ სხვას ეხმარებით.

ამ ამბავმა თავხარი დასცა ელენეს, ნინოს და ტატიანას. ერთხანს სამივე ჩუმად იდგნენ, ხმას ვერ იღებდნენ.

— ივანე ბერიძის ბრიგადამაც კი გვაჯობა.

— რას უდგევართ, — შეხედა ტატიანამ ელენეს. — ეკამეთ სირცხვილი და ესაა. ხვალ-ზეგ უკრაინელი სტუმრები კარზე მოგვადგებიან და ასეთი შაჩვენებლებით დავხვდეთ? რა ვუთხრაო, რატომ დავმარცხდით სოცშევიბრებაში? სხვა კოლშეურნეობას ვეჩმარებოდით, და ჩვენი თავისთვის არ გვეცალავო. წავიდეთ, ახლაც წავიდეთ, ელენე.

— დაიცა, ტატიანა, — თქვა ჩუმად და აღელვებით ელენემ.

შემკრთალი და გარინდებული იყო, ორი კალათი კოხტად ეკიდა ვიწრო და მოქნილ წელზე. ჩითის ქრელ კაბაში ჩამოსხმულივით მოსჩანდა ნისი ასხლეტილი და მკერივე ტანი. კაცი თვალს ვერ მოაშორებდა ისეთი მომხიბლავი იყო იგი იმ წუთში. მაგრამ არჩილი იმდენად აღელვებული იყო ახლა, რომ ვერ ხედავდა ამას, მხოლოდ გეგმების

შესრულების მაჩვენებელი დაფა ედგა თვალწინ.

— კიდევ დაცდას აპირებ, ელენე?! — გაოცდა არჩილი.

ელენემ თავისი ქვიან თვალები შეანათა არჩილს.

— დღეს ჩვენ უკანასკნელ ბრიგადაში ვმუშაობთ აქ, არჩილ. სალამომდე ვერ მოვრჩებით ჩვენს საქმეს.

— ვის საქმეს, ელენე? ჩვენი საქმე ჩვენ იქა გვაქვს, ჩვენს კოლმეურნეობაში.

— არჩილ... — შიშით მიმოიხედა: ელენემ, — არ გავგიგონონ, სირცხვილია...

— რა არის სირცხვილი? ის რომ ჩვენი გაფუჭებული საქმის საშველად გეძახი? შენ სხვისმა საქმემ შენი საქმე დაგაფიწყა...

— სხვისმა საქმემ... ნუთუ სხვისი საქმეა ის, რასაც ჩვენ აქ ვაკეთებთ, არჩილ? სამწუხაროა, რომ ჩვენი ბრიგადა ჩამორჩა, მაგრამ აბა, იკითხე აქ რა ხდება. რა გავაკეთეთ ჩვენ აქ ერთი კვირის განმავლობაში. არჩილ, ყველა ბრიგადაში ახლა აქ თითქმის ორჯერ უფრო მეტ ფოთოლს კრეფენ. და ეს ჩვენ გავაკეთეთ, მე, ტატიანამ, ნინომ, შენ, ჩვენმა კოლმეურნეობამ, — სიყვარულით გაუღიმა არჩილს, — ჩვენ ამ სალამოს დავბრუნდებით, არჩილ.

— არა, თქვენ ახლავე წამოხვალთ. ელენემ გაკვირვებით შეხედა არჩილს.

— ელენე, შენ ისე მელაპარაკები, თითქოს მე არ ვიცოდე, რას აკეთებთ თქვენ აქ, ვის საქმეს აკეთებთ, — თქვა ცივად არჩილმა. იგი ისე იყო აღელვებული, ვერ ხედავდა ელენეს გაკვირვებას. მის შემკრთალ და შეწუხებულ თვალებს. — მე კარგად ვიცი ეს. მაგრამ ახლა მე ჩემი საქმე მაწუხებს. ჩემს ჩამორჩენილ ბრიგადაზე, ჩემ გავგმაზე ვფიქრობ.

— ამ გეგმაზე ჩვენ ყველანი ვფიქრობთ, არჩილ.

— მე არ ვხედავ ამას. თქვენს საქმით ეს არა სჩანს. ბავშვებს დავტოვებ რგოლი. მთელი კვირაა აქ ჩამოხვეწილი. ახლაც არ გინდათ თავი შეიწუხოთ, თითქოს მე სხვისი ამბავი მეთქვას და არა თქვენი ბრიგადის. სალამომდე ვერ წამოვალთო.

— ვერა, ვერ წამოვალთ, არჩილ. რას ემსგავსება ეს?..

— შენ ის გაწუხებს, რას ემსგავსება შენი საქციელი, თუ რამდენიმე საათით ადრე მიატოვებ ესტატეს ბრიგადას და არ ფიქრობ იმაზე... — სიტყვა გაუწყდა, ვერ ფარავდა მღელვარებას. ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და აბნეულად. — არ ფიქრობ იმაზე, რომ უკრანელები ჩვენთან დიდი მაჩვენებლებით და წარმატებებით ჩამოვლენ და მე მათ დამარცხებული უნდა დავხედე, — პირველად შეხედა მთელი ლაპარაკის განმავლობაში ელენეს. — ელენე, რა თვალთ შეხედავ ნასტია შემოიღოს? რას ეტყვი, ნუთუ იმას, რომ სხვა კოლმეურნეობას ეხმარებოდით და ამიტომ ჩამორჩი. სხვის წისქვილზე ვუშვებდი წყალს და შენი კი...

— სხვის წისქვილზე?!

— დიახ, სხვის წისქვილზე. — მოუტყრა არჩილმა. — ესტატეს კოლმეურნეობა ჩემთვის ახლა სხვისი კოლმეურნეობაა. სხვისია იმიტომ, რომ მე, ჩემი მიჭირს, იმიტომ, რომ მე ჩამოვრჩი და ჩემი დახმარებით ის სხვა წინ გაიჭრა. ახლავე უნდა წამოხვიდეთ ბრიგადაში, მე ვიბრძანებთ.

— არჩილ! — ელენემ განცვიფრებით შეხედა. — არა გაქვს უფლება მიბრძანო ეს, არჩილ.

— მე არა მაქვს უფლება? კარგი, — შესძახა ბოღმამორეულმა არჩილმა. — მაშ მე გამგეობაში მივდივარ და ვამოვარკვევ, მაქვს თუ არა უფლება ვუბრძანო ჩემს მერგოლურს ის, რაც მე საჭიროდ მიმაჩნია ბრიგადისათვის, საქმისათვის. — თქვა ეს და სწრაფად შებ-

რუნდა, მისწვდა ლაგამში ცხენს და მო-
აღრიდა.

— არჩილ!

დაუძახა ელენემ. არჩილმა არ მოი-
ხედა. სწრაფად დაუშვა ცხენი დაღ-
მართზე.

ელენე გაფითრებული იდგა. ძლივს
იკავებდა თვალბზე მომდგარ ცრემ-
ლებს.

ელენემ არ იცოდა, რა უთხრეს არ-
ჩილს გამგეობაში და ახლა დაჭიმული
ყურებით უგდებდა ყურს არჩილის
ლაპარაკს.

— მე ძმასავით ვუღგევარ თავმჯდო-
მარეს მხარში, -- განაგრძობდა არჩი-
ლი, — არა მართო ჩემი ბრიგადის საქ-
მეს ვაკეთებ. ჯარასავით ვტრიალებ
დღე და ღამე. რა მიქნა სანდრომ. ივა-
ნეს და ილიკოს დასაციანად გამიხადა
საქმე. — გაჩუმდა წამით, ცდილობდა
დამშვიდებით ელაპარაკა და ვერ ახერ-
ხებდა. — კირილე, მე შენ მამად მიმაჩ-
ნობარ. არ შემეძლო შენთან არ მოვსუ-
ლიყავი. ესეც რომ არ იყოს, შენ ბრიგა-
დის წევრი ხარ. ბრიგადის სირცხვილი
შენი სირცხვილია. — სახეში შეჰყუ-
რებდა კირილეს და უკვირდა, რომ ასე
დამშვიდებით უსმენდა მოხუცი, — კი-
რილე, არც შენ გაწუხებს ჩვენი ჩამორ-
ჩენის ამბავი, თუ ყველამ ჩემს წინააღ-
მდეგ შეჰკარით პირი.

— მთელმა კოლმეურნეობამ იცის
ჩვენი ჩამორჩენის ამბავი, ნენა, — ცი-
ვად უპასუხა კირილემ და თუთუნის
გაბგევის შეუდგა. არჩილს არ უყურებ-
და, თითქოს მას თავისი ფიქრი ჰქონდა.

არჩილს გული უფრო აემღვრა.

— როგორ არ ეცოდინებათ, ყველამ
ნახა ამ დღით ბრიგადების მაჩვენებლე-
ბი. ივანე ბერიძის ბრიგადა — 110%,
ტარას მეხუზლას ბრიგადა — 103%,
აქვსენტის — 100%; ჩვენი კი — 90%.
მასწავლებელთა ბრიგადა ჩამორჩა ბუქ-
სირზე ავიყვანითო, ეტრაბახებოდა და-
ფასთან გაკომული ივანე ხალხს. მე რომ
დამინახა, ენა მუცელში ჩაუვარდა. რა-

მდენი დღე მუშაობდა მაგ უსინდისის
ბრიგადაში ელენეს რგოლი. ^{კახლა} ^{ქვე}
ტატეს კოლმეურნეობას გვედგებოდა
ზე. ელენეს და ჩემი საუბრის შესახებ
გეტყვოდა ალბათ ელენე. ელენედან წა-
შოსულს მინდოდა ესტატესთან მივსუ-
ლიყავი. მინდოდა მეთხოვა დამანებე
ჩემი ბრიგადის წევრები მეთქი, მაგრამ
შემრცხვია...

— მართლაც სირცხვილი იქნებოდა
ამის გაკეთება, ნენა, — უთხრა კირი-
ლემ და თუთუნს მოუკიდა.

არჩილმა თითქოს ვერ გაიგონაო, ამა-
ზე არაფერი უპასუხა და უფრო ყრულ
განაგრძო:

— გამგეობაში წავედი, თავმჯდომა-
რეს მიუვარდი. ვთხოვე, ახლავე გაგ-
ზავენ ელენესთან კაცი-მეთქი, ქვა ააგ-
ლო და თავი შეუშვირა. ელენე ხალა-
მომდე უნდა დარჩესო ესტატეს კოლმე-
ურნეობაში.

კირილე ჩაფიქრებული შეჰყურებდა
არჩილს. მკაცრი და სერიოზული იყო
მისი სახე. განაგრძევ, ეუბნებოდნენ
მისი თვალები.

— თავს ვანებებ ბრიგადას, კირი-
ლე, — ისე თქვა არჩილმა, თითქოს
გული თან ამოაყოლოთ ამ სიტყვებს.
სახე გვერდზე მიაბრუნა.

განაბული იდგა კარების უკან ელე-
ნე. „არჩილი თავს ანებებს ბრიგადას“. ^{წაიჭურჩულა} ^{შეშფოთებით}. „რას ეტყ-
ვის მამა? მე ვარ არჩილის წასულის მი-
ზეზი. მე ვარ, მე“...

დიდხანს სდუმდა კირილე. გარედან
ზღვის შუილი და ქარის წივილი ისმო-
და. ფანჯრების მიწებს ზღვის შხეფე-
ბი აწყდებოდა.

— მაშ ბრიგადას თავს ანებებ? —
თქვა დიდი ხნის დუმილის შემდეგ კი-
რილემ და სახეში შეხედა არჩილს.

— სირცხვილს ის მირჩვენია, სულ
წავიღე სოფლიდან.

— დაიცა, დაიცა, ნენა. არ მეხმის
მე შენი სიტყვა. გაკირვების ეამს უნდა

მიატოვო ბრიგადა და გაიქცე? სირცხვილს ეს მირჩევენიაო...

— ჰო, — დაბნევიტ უპასუხა არჩილმა, — სხვა რა გამოსავალი მაქვს?

— გაქცევის მეტი?

— როცა ბრიგადაში შენი ყველაზე უფრო ახლობელი ადამიანიც კი არ გიჭერს მხარს...

— არ ვარგა, ნენა, თუ მხარს არ გიჭერს ის შენი ყველაზე ახლობელი ადამიანი.

არჩილს ისე მოეჩვენა, თითქოს კირილემ ეს სიტყვები დაცინვით თქვა. შეხედა მოხუცს. დაფიქრებული შეჰყურებდა იგი.

ელენეს გული შეუქანდა:

„ნუთუ სწორედ არ მოვიქეცი მე? არა, ყველა ასე მოიქცეოდა ჩემს ადგილზე“.

— სად იყავი აქამდე, ნენა. რატომ დროზე ვერ გაიგე, რომ ჩამოვრჩენილ ვართ? სამი დღე დარჩა თვის გათავებამდე და ახლა... — სიტყვა ვერ დაასრულა კირილემ, წამოდგა, ისე შეაწუხა თავისი ბრიგადის ამბავმა, რომ ადგილს ვერ პოულობდა. ხუთი დღეა ტყეში იყო ჭიგოების დასამზადებლად წასული და დღეს დაბრუნდა. ვახშამზე უთხრა ჩამოვრჩენის ამბავი ელენემ, მაგრამ კირილე ისე იყო დაღლილი, რომ გულთან არ მიუტანია. ახლა კი მეხივით დაატყდა თავზე. — ელენეს მაინც სად ჰქონდა თვალი? — ელენეს ოთახისკენ მიბრუნდა, უნდოდა დაეძახა შვილისათვის, მაგრამ გადაიფიქრა. — ორივეს მიგიძღვით ბრალო, — თქვა მკაცრად. — მაგრამ შენ, ნენა... რამ გაფიქრებია ბრიგადიდან გაქცევა? ამის სათქმელად მოხვედი ამ შუალამზე ჩემთან? ვერა, ვერ მოგიწონებ ამ საქციელს. გარბიხარ და ბრიგადას ტოვებ? ჩამოვლენ უკრაინელები. მოიკითხავს ვალოდია ლიაშენკო ბრიგადირს. რა ვუთხრათ, ჩვენ ნენა? ვერ შეასრულა სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებული ვალდებულება და გა-

იქცაო? იცი, რას ნიშნავს, ნენა, ბრძოლის ველიდან გაქცევა?

— ვიცი, — თქვა არჩილმა ისევ, თითქოს სილა გააწნესო და წამოდგა.

— მერე?!

არჩილმა არ უპასუხა. კირილე მიხედა, თუ რა ცეცხლი ტრიალებდა ქაბუტის გულში. არ მოერიდა მაინც.

— შენ სამჯერ შეცდი, ნენა. ერთხელ როცა შენი ბრიგადის ჩამოვრჩენის ამბავი ასე გვიან გაიგე. მეორედ, ბრიგადიდან წასვლა რომ გადასწყვიტე, და მესამედ ახლა, — დაჯდა და, დაჯექო, ანიშნა, არჩილს. — რამ გაფიქრებია, რომ მე მოგიწონებდი ამ განზრახვას?

არჩილს არც უპასუხნია, არც დამჯდარა, იდგა შუა ოთახში და დამნაშავესავით შეჰყურებდა კირილეს. არ იცოდა კირილემ არჩილის დედის ავადმყოფობის ამბავი. არც ის რომ არჩილი დღეს დაბრუნდა რაიონიდან და ამიტომ გაიგო გვიან, რომ ბრიგადა ჩამორჩა.

— სამი დღე დაგვრჩა კიდეც, ნენა. კიდეც ეშველება საქმეს. არ შეიძლება ჩვენ ყველაზე სასახელოდ არ დავხედეთ უკრაინელ სტუმრებს. არა გვაქვს ამის უფლება: ხომ ხედავ, რა ხდება სოფელში, ბავშვებიც კი ეჯიბრებიან ერთმანეთს. მთელი რაიონი ემზადება უკრაინელებთან შესახვედრად.

არჩილი კარებისკენ შებრუნდა. აღარ შეეძლო მეტის მოსმენა:

— ძილი გაგიტეხე, კირილე.

— რა დავგაძინებს. ნენა: დასაძინებლად გვაქვს საქმე? აწი არც დღე უნდა იყოს ჩვენთვის და არც ღამე. თავი უნდა მოვიკლათ და გამოვასწოროთ ჩვენი წამხდარი საქმე.

— მივდივარ, კირილე! — შესძახა გაგუდულივით არჩილმა და კარს ეცა. გავიდა.

კირილემ იცოდა, რომ ძალღი აივანზე იყო და გამოიყვა არჩილს.

ჭარი ჩამდგარიყო. მხოლოდ ზღვა ბობოქრობდა ისევ. შავი და მძიმე ღრუბ-

ლები ისე დაბლა დაშვებულიყვნენ, რომ ხეების კენწეროებს ეხებოდნენ დაბერილი და მძიმე მუცლით.

— ამინდიც ჩემს ბედზე გაავდა. საცა გაწვიმდება, — თქვა არჩილმა.

— წვიმა მუცელში არ ჩაგვივა, ნენა, — დამშვიდა კირილემ. — ხვალ, ვისაც პირში სული უდგას, ყველა უნდა გამოიყვანოს საკრეფად. წადი ახლა, დალილი ხარ. იქნებ ერთი პირი მაინც გამოიძინო. ხვალ ცხარე დღე გვექნება.

ძალდი აივანზე იწვა, კუთხეში. არ წამომდგარა, პატრონს შეჰყურებდა. როცა არჩილი კიბეზე დაეშვა, მაშინ წამოიწია ქურდულად, მაგრამ იგრძნო, კირილემ რომ შენიშნა, და ისევ დაწვა.

შუალამე გადასული იყო, ცამ რომ ერთბაშად გახსნა პირი და კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

ელენეს თვალებს ძილი არ მიჰკარებია. „ჩემი ბრალია ყველაფერი, ჩემი ბრალია“. ფიქრობდა იგი. თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. „რა გვეშველება ახლა? ოთხ-ოთხი ხელი უნდა გამოვიბათ, რომ სხვებს გაეუფროთ. ეს რა გიფიქრია, არჩილ? ბრიგადა უნდა მივატვირო, სოფლიდან უნდა წავიდეთ. მე გაგიხადე ასე საქმე. მე მიმიძღვის ბრალი“.

მეორე ოთახიდან მამის თანაბარი და მშვიდი სუნთქვა ესმოდა, და როგორღაც აწყნარებდა, ამშვიდებდა ელენეს აფორიაქებულ გულს, გონებას. ფანჯრის ჰუჭურუტანებიდან ოთახში ელვის შუქი იჭრებოდა, უმაღლვე ჭეხილის ხმა მოყვებოდა თან.

წვიმა თანდათან მატულობდა. თითქოს ელენეს აწვიმდა, თითქოს დამწვარზე მღელღარეს ასხამდნენ. „ასეთ თავს ხმაში ვინ გამოვა საკრეფად? ჩემი რგოლის წევრები თავს არ დაზოგავენ, მაგრამ სხვები? არა, ყველა, ყველა უნდა გამოვიდეს!“

ჩაიკვა. ფეხაკრეფით გავიდა წინა ოთახში, ჩაუარა მამის ლოგინს, ფრთხი-

ლად გადააბრუნა გასაღები. გაიღო კარი და აივანზე გავიდა.

ძალდი აივანზე იწვა, კუთხეში. არ წამომდგარა, პატრონს შეჰყურებდა. როცა არჩილი კიბეზე დაეშვა, მაშინ წამოიწია ქურდულად, მაგრამ იგრძნო, კირილემ რომ შენიშნა, და ისევ დაწვა.

— ჩუმაღ, ვეფხვია, — თავზე ხელი გადაუსვა ელენემ ძალს.

წვიმა ასხამდა აივანზე. სველდებოდა ელენეც და ძალდიც, მაგრამ ორივე უმოძრაოდ იდგა და სიბნელეს ვაკუურებდნენ. ზღვისა და წვიმის გააფთრებულ შუილს უსმენდნენ. თქრიალით ეცემოდა წვიმა მიწაზე, მოაჯირზე, იატაკზე. წყლის შავი კედელი ედგა თვალწინ ელენეს.

შიშმა აიტანა, ხელი ჩასჰიდა ძალს.

— არაფერია, მალე გადაიღებს, ვეფხვია, — უთხრა ძალს.

ძალდი მიეკრა ელენეს. ხელებს ულოკავდა, წმუტუნებდა, გრძნობდა, რომ პატრონი ამ თავსხმაში სახლიდან გასვლას აპირებდა და სწუხდა.

— არა, არა, სიგიჟეა ახლა პლანტაციაში წასვლა, — ჩურჩულებდა ელენე. უნდოდა შემობრუნებულიყო ოთახში, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდა. თავიდან-ფეხებამდე სველი იყო. გრძნობდა, გრილი წყალი როგორ ჩამოსდიოდა სახეზე, მკერდზე, კისერზე, როგორ ეწებებოდა კაბა ტანზე. — დაე, სიგიჟე იყოს, დაე დამციონ, ნურავინ მოვა. მე ხომ მაინც... — არ დაასრულა სიტყვა — წავიდეთ, ვეფხვია... პლანტაციაში, გამიძეიხი, — უთხრა ძალს.

ძალდი ზანტად მოშორდა ელენეს. კუდს იქნევდა, იგრინებოდა. ადგილიდან არ იძვროდა.

— ვეფხვია! — შეუწყრა ელენე.

ძალდმა თავი ჩალუნა და ისე ჩავიდა კიბეზე, თითქოს გააგდესო. ჩაჰყვა ელენე. ვეფხვია სამზადისკენ გაემართა, თან უკან იხედებოდა, მომყვება თუ არა ელენეო. იცოდა, ელენე სამზადის კედელზე ჰკიდებდა კალათებს.

ელენემ ერთი კალათი თავზე გადაიხურა, მეორე ზურგზე გადაიკიდა და ეზოდან გავიდა. ისეთი ხმაურით ეცემოდა წვიმა კალათს, ეგონა, წვიმა კი არა, სეტყვა მრდისო. მაგრამ აი, გამაყრუებელი ხმაური ერთბაშად შეწყდა. შედგა ელენე, კალათი მოიხადა. გაკვირვებით ახედა ცას.

არ წვიმდა. ალიონის მკრთალი ნათელი შემფენოდა ბახმაროს მხრიდან ზეცას. შუთხელბულიყო იქ ღრუბელი.

— იქნებ აღარ იწვიმოს, ვეფხვია, — წასჩურჩულა ძალღს სიხარულით ელენემ, — ვიჩქაროთ! — შესძახა და ადგილიდან მოწყდა. — გადაილო, გადაილო! — გაიძახოდა და გარბოდა. თბრილებიდან გადმოსულ წყალს მთლად დაეფარა შუკა. ელენე არ გრძნობდა სიცოცხეს, სირბილისაგან თანდათან გათბა. გადაუხვია პლანტაციისაკენ, დაღმართზე დაეშვა.

ქვემოთ კუის-ღელე ხმაურობდა.

„ვთუ ხიდი წაიღო წყალმა“. გაუელვა თავში. კალათები ერთმანეთს აწყდებოდნენ ზურგზე. ფეხქვეშებიდან ატყორცნილი წყლის შხეფები შორს იფანტებოდა...

ღელესთან შედგა. გაცოფებული მოგელავდა შავი ლანჩქერი. აღარ იყო ხიდი. შედგა ძალღ. ჯერ წყალს დახედა და შემდეგ ელენეს.

— რა ვქნათ, ვეფხვია? — აღმოხდა ელენეს.

შეჰყეფა ძალღმა და ნაპირთან მივიდა, მაგრამ წყალში შესვლა ვერ გაბედა. უკან გამობრუნდა, წკმუტუნებდა. დამნაშავესავით ხრიდა თავს.

„დიდი, დიდი წელამდე მომწვდეს, ვერ წაშაქცევს, გავალ“. ელენემ კარგად იცოდა, სად რომელი და რა ზომის ლოდი იღო. „აი, იქ შავ ლოდთან წყალი მალდა ხტის, შუაში მორკევივით ტრიალებს, იქ ღრმაა. ზევიდან ჩაეუვლი იმ ადგილს“.

შევიდა წყალში. მაშინვე ეჭგრა გააყვებული ღელი. შექანდა ელენე, ფეხი

დაუსხლტა სიბ ქვებზე. ჩაიკეცა, წყალი მკერდამდე მოსწვდა. გაფორფორე უმალ, მაგრამ ისევ დაუსხლტა ფეხში წყალზე ატიტივებული კალათები დაღმა ეწეოდა.

ძალღი მეორე ნაპირზე გავიდა, წრიალებდა. შემოდინოდა წყალში, შეჰყეფდა, ისევ ნაპირზე გავიდოდა.

— ნუ გეშინია, ვეფხვია! — შესძახა ელენემ უფრო თავის გასამხნეველად: იგი მიდიოდა პირდაპირ, მკერდამდე სცემდა ტალღები. კიდევ ორი, სამი ნაბიჯი და გავა ნაპირზე. შეატყო ძალღმა, შესწყვიტა ყეფა, შეიბერტყა ტანი.

გავიდა ელენე, არ შემდგარა. ზედ ღელის ნაპირზე იწყებოდა მისი ბრიგადის პლანტაცია. გარბოდა ჩაის ბურქების მწყრივთა შუა. ტანზე გაკრული სველი კაბა სირბილს უშლიდა.

შიორბინა ცაცხვის ხესთან. მისწვდა ბრიგადის ზარის თოქს, ჩამოკრა.

გაისმა ზარის საგანგაშო რეკვა. მეშვიდე ბრიგადის ყველა სახლში აინთო შუქი. აქრიალდნენ კარები და დაბრახები. ახლო მუზობლები ერთმანეთს ეძახდნენ: რა ამბავია, ცეცხლი ხომ არ გაჩენია ვინმესო.

კირილემ პირველმა გაიგონა ზარის ხმა. სწრაფად წამოჯდა ლოგინზე.

— ელენე, ნენა! — გასძახა შეილს. პასუხი არ მიიღო; წამოდგა. შეილის ოთახში გავიდა. ელენე იქ რომ ვერ ნახა, გაოცდა. „სად წაიდიოდა?“ სასწრაფოდ ჩაიკეცა და აივანზე გავიდა.

ზარი განუწყვეტლოვ რეკდა. თითქოს წვიმასა და ზღვის შუილს ეჯიბრებოდა.

„ელენე რეკავს“, გაიფიქრა კირილემ. ამ დროს შუკაში არჩილმა შემოიბრინა. პლანტაციისაკენ გარბოდა. კირილე რომ დანახა შედგა.

— რა ამბავია, კირილე, ვინ ატეხა განგაში?

— არ ვბცი, ნენა. პლანტაციაში გეძახის ყველას ზარი. გაიქეცო, მეც ახლავ მოვდივარ.

კირილე ოთახში შებრუნდა. საწვიმარი მოისხა. უკანა ოთახიდან კალათი გამოიტანა, კარი გამოიხურა და ეზოში ჩამოვიდა.

— ჰეი, კირილე!

შემოსმა კირილეს გაღმა ფერდობიდან ტატიანას მამის — ყარამანის ხმა.

— რა ამბავია, კირილე, რა გაუჭირდა ბრიგადას?

— არიქა ყარამან, ტატიანა გააღვიძე, ნინოს გაღუძახე, მარო ააყენოს. ჩამოვრჩით, თავი მოგვეკრა, — სწრაფად მიდიოდა და თან გზის პირას ჩამწკრივებულ სახლებს შესძახებდა: — გამოდით ხალხო, ყველა-ქალი და კაცი, დიდი და პატარა!

კირილე სოფელს გასცდა. ესმოდა, თუ როგორ ეძახდა თავისი მყვიანა ხმით ნინო მეგობრებს. სოფლის ყოველი მხრიდან ისმოდა გადაძახილები. ატყდა ძაღლების ყეფა, ამოძრავდა მთელი მოცნარი. კაცს ეგონებოდა სოფელი იწვისო, ან რაიმე საშიში ნადირი შემოიჭრა და ხალხი ფეხზე დაუყენებიაო.

საწვიმარმოსხმული, ქოლგამომარჯვებული და თავზე კალათგადახურული ყველა პლანტაციისაკენ გარბოდა. გამოჩნდნენ ცხენოსნები, ურმები, რომ ხალხი კუს-ღელეზე გადაეყვანათ.

ზარი კვლავ მოუხმობდა კოლმეურნეებს.

პირველმა არჩილმა მიიჩინა ელენესთან.

— რა ამბავია, ელენე, რა მოხდა? — ჰკითხა სირბილისაგან გულამომჯდარმა.

ელენემ არ უპასუხა. გაუწოდა ზარის თოკი. თვითონ წელზე კალათები დაიკიდა და ისე გაემართა თავის ნაკვეთისაკენ, რომ არჩილისათვის არ შეუხედავს.

არჩილი მიხვდა ყველაფერს.

— ელენე! — წაიხურჩულა აღტაცებით და ისე მაგრა შემოჰკრა ზარს, თით-

ქოს მთელ ქვეყანას უნდა ამცროსო ელენეს ამბავი.

ახლა კი მოიხედა ელენემ, როგორ მოხდა რამ შემოაკრევეინა ასეთი სიმღიერით ზარისათვის არჩილს და გაიღიმა. მაგრამ არჩილს არ დაუნახავს. იგი იდგა გამართული, მხრებგაშლილი და გახარებული რეკავდა ზარს, გაყურებდა პლანტაციას.

კოლმეურნობაში გაფანტვით შემოდიოდნენ ჩაის ბუჩქთა მწკრივებში. ყველა თავის ნაკვეთებისაკენ მიეშურებოდა, ვხადავს კალათებს იკრავდნენ წელზე. თავსაფარს ისწორებდნენ. წინ კირილე მიუძღვოდა და თავისი ომახიანი ხმით გასძახოდა მარცხნივ და მარჯვნივ:

— ვისაც კალათები არ წამოვიღიათ, კალათაში ჰკრიფეთ.

აღმოსავლეთის ცის კიდური თანდათან მოიწმინდა.

გათენდა.

თვალისმომჭრელად აღაპლაპდნენ ჩაის კრიალა ფოთლები.

ყველა თავაუღებლად კრეფდა. კრეფდა კირილე, არჩილი...

რგოლებმა შეგებობაში გამოიწვიეს ერთმანეთი. რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, ყველამ დღეს შევასრულოთ თვის გეგმა. ხვალ და ზედ კი გეგმის ზევით მივცეთ ქვეყანას ფოთოლიო.

სხვა ბრიგადებში დილით სამუშაოდ გამოსული კოლმეურნეები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა სჭირდა მეშვიდე ბრიგადას, ზარს რომ რეკდნენო. ხომ არავინ დამწვარა, ცეცხლი არ ჩანდა, მაგრამ ხანძარს კი ჰგავდაო.

თავმჯდომარის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ელენეს ეს მაგალითი მთელი რაიონის მისაბამი შეიქნებოდა.

შუა დღეზე ბრიგადამ შეიდასოთხმოცი კილოგრამი ფოთოლი აწონა. ღლიური ნორმა შესრულებული იყო. ამ შენანიშნავი წარმატებით აღტაცებული კოლმეურნეები ერთმანეთს უღიმოდნენ.

არავის შეუხვენიო, არავის ეცალა თავი-სი სიხარულის გამოსათქმელად.

კლიდნენ კალათებს, ივსებოდა გოდ-რები. ჩაის ფოთლით დატვირთული ურმები ზედიზედ გადიოდა პლანტაციი-დან. აქ იყვნენ პარტორგანიზაციის მდი-ვანი შალვა ჩაჩავა და სანდრო. ურმე-ბის დატვირთვაში შევლოდნენ არჩილს.

— შეისვენეთ ცოტა, ისაუზმეთ. უქ-მელი კაცი კი არა, მანქანა არ ვარგა, ნენა.

ეუბნებოდა კირილე კაცსა და ქალს, მაგრამ მუშაობას არაეინ ანებებდა თავს. მოხუცი ხელში აჩეჩებდა მკრეფავებს კერძით სავსე ჯამს, პურს, ყველს, ღვი-ნოს.

დღემ ისე გაიარა, არავის შეუტყვია. გვიან საღამოს ფოთლის უკანასკნელი პარტია აწონეს. ყველა განცვიფრდა: ბრიგადას ორიათასხუთასი კილოგრამი ფოთოლი მოეკრიფა. პირადად ელენეს ორასოცდახუთი კილოგრამი ჰქონდა მოკრეფილი.

არჩილმა რამდენჯერმე გადასწყვიტა მისულიყო ელენესთან. ეთხოვა პატიუ-ბა, ეთქვა მადლობა, მაგრამ ვერ ახერ-ხებდა. ელენე კი ელოდა, მოუთმენ-ლად, აღელვებით. აი, ახლა მოვა არ-ჩილი, გაიღიმებს თავისი კეთილი ღი-მილით და მეტყვის, ელენე... გადაურ-ჩით სიბრცხელს. აღარ გიწყურები. რაც იყო-იყო. ელენეს თვალწინ ედგა არ-ჩილის სიხარულით ანთებული სახე, გაბრწყინებული თვალები. გრინობდა, რომ არჩილს ერიდებოდა მასთან მისე-ლა, უნდოდა, თვითონ მისულიყო არ-ჩილთან, მაგრამ ვერც ის ახერხებდა ამას.

კირილე ორივეს ადევნებდა თვალს და უღვაწებში ეღიმებოდა. მას არასო-დეს უგრძენია ისეთი სიამაყე და ბედ-ნერება, როგორც დღეს განიცადა თა-ვისი ქალიშვილის საქმით.

როცა კოლმეურნეებმა პლანტაციაში მოიბრძინეს, ზარს არჩილი რეკავდა და

ამიტომ ყველას ეგონა, რომ განგაში მი-ს. ატეხილი იყო.

კირილე ნერვიულობდა, რატომ არ ეტყვის არჩილი ხალხს, თუ ვინ მოუწო-და მათ. გადაწყვიტა თვითონ ეთქვა ეს ბრიგადისათვის, მაგრამ თავი შეიკავა. დაეცდი კიდევ, ელენეს საქმე არ და იმალებათ.

გვიან ღამე კოლმეურნეობის კანტო-რის წინ დაფაზე კოლმეურნეობის მდი-ვანმა მსხვილი ასოებით დაწერა:

ბრიგადა № 7 — გეგმა შეასრულა 115% -ით.

ილიკო ზედობანიძემ ერთი კი შეხედა დაფას და ხელი ჩაიჭნია. თფუი, დასწ-ყველოს ეშმაქმაო, წამოიძახა და ის იყო შინისაკენ წასასვლელად შებრუნ-და, რომ არჩილი დაუდგა წინ:

— რა იყო, ილიკო, რად წაგიხდა გუ-ნება? ეს დღეს 115 პროცენტი. ხეალ უყურე შენ და მერე ვნახოთ, ბუქსირი ვის დასჭირდება, — ჩაულაპარაკა ილი-კოს და დაფის წინ შეყრილ კოლმეურ-ნეებს გადახედა.

— ხალხო, თქვენ ყველამ იცით, რომ ჯერ ყიდევ გუშინ ჩვენი ბრიგადა ჩა-მორჩებოდა, — დაიწყო არჩილმა. — ელენეს რგოლის „ბოლშევიკში“ მუშა-ობის დროს ჩვენ მეტი დაძაბულობით უნდა გვემუშავა, ჩვენ ვერ გავითვა-ლისწინეთ ეს, დავუშვით შეცდომა... მე დავუშვი შეცდომა... — ლელავდა, პირი უშრებოდა და თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ ცხვირსახოცს ისევამდა სახეზე. — სირცხველი თითქმის გადაუ-ვალი იყო, მაგრამ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო... დიახ, რაც უნდა მომხ-დარიყო... საქმის სიყვარულმა, შუა-ღამეზე ლოგინიდან წამოაგდო ელენე... მარტოდ-მარტომ გადასცურა ადიღე-ბული კუის ლელე...

ხალხი სულგანაბული უსმენდა არ-ჩილს.

ელენე წინა რიგში იდგა. არჩილს შეჰყურებდა და მასთან ერთად ლელა-

— ვშმაკმა წაიღოს მაგათი თავი, — ეუბნებოდა გულზეგახეთქილი დილით ცოლშვილს, — მათი მჯობნი ბრიგადა ჩვენში კი არა, უკრაინაშიც არ იქნება ალბათ. გამიკვირდა ზარს რატომ არ რეკავენ, ნუთუ გუშინდელი წარმატებით დაკმაყოფილდნენ-მეთქი. თურმე ნუ იტყვი, რად უნდათ ზარი. ის ოჯახ-აშენებულები პლანტაციაში არ დარჩენილან? აგერ კიდევ ცისკრის ვარსკვლავი არ იყო ამოსული, რომ კრეფას შედგომიან. ურმის ქრიალი რომ გვესმოდა გათენებისას, თურმე პირველი პარტია ფოთოლი მიჰქონდათ. მოდი და დაეწიე ასეთ ხალხს. რა ქნეს იმ გოგომ და ბიჭმა, ფეხზე დააყენეს ბრიგადა.

— ფეხზე კი არ დააყენეს, მეორეს ვერ ნახავ რაიონში მაგისტანა ბრიგადას, — უთხრა ცოლმა ილიკოს.

— რა გიკვირს, შე ქალო. მომეცი ბრიგადაში ელენე და არჩილი და გიჩვენებ, ვინა ილიკო ზედობანიძე, მაშინ ნახე ჩვენი ბრიგადა.

მესამე დღეს გაზეთ „ლენინის დროშის“ პირველ გვერდზე იყო დაბეჭდილი მოცენარელთა უმაგალითო წარმატების ამბავი.

„უკრაინელი ძმების მოლოდინში გმირულად იბრძვიან მოცენარელები“.

„ხუთი ტონა ფოთოლი დღეში გვემის გადამეტებით“.

„მიუბამოთ მოცენარელებს“.

ასეთი სათაურით დაბეჭდილი წერილები ქება-დიდებას ასხამდნენ განსაკუთრებით მეშვიდე ბრიგადას. ცენტრალური გაზეთებიც გამოეხმაურნენ ამ ამბავს. „კომუნისტმა“ და „ზარია ვასტოკამ“ ელენესა და არჩილის სურათებიც კი დაბეჭდეს.

რადიოკვანძის დადგმის სამუშაოების დაწყებისთანავე შეუდგნენ მოცენარეში კოლმეურნეთა ოჯახებში რადიოქსე-

ლის გაყვანას. ილიკო ზედობანიძე სოფელში ყველაზე განაპირას სახლობდა. მაგრამ მან პირველმა შეაყვინა ხაზი, დაიდგა რეპროდუქტორი და ერთი სული ჰქონდა, სანამ კვანძი ამუშავდებოდა. რეპროდუქტორი საწოლთან, გამკვეთრულ კედელზე ჩამოეყიდა და ბავშვები გააფრთხილა, არ მიჰკარებოდნენ, ხელი არ ეხლოთ.

— აგი რადიო ხმას რომ ამოიღებს და ქვეყნის ამბავს შეგატყობინებს, იმ დღეს ჩემს ოჯახში ერთი ჩაფი ლენინი უნდა დაილიოს. კამპანია უნდა გავმართო ჩემს ჯარგვალში, კამპანია, — უთხრა ერთხელ ილიკომ ცოლშვილს, — შენ არ იცი, დესპინე, მაგის ფასი, რის შემძლეა, რა ჯადო აქვს. ცუცას კი აქვს მახარაძეში მოსმენილი. ერთ წუთშიც თბილისი რომ გელაპარაკება აგერ, მეორე წუთში მოსკოვი ჩაგირუსულებს. ხან გესაუბრებიან, ხან ლექციას გიკითხავენ. ახლა არ იკითხავ რაზე: პოლიტიკაზე გინდა, მედიცინაზე, ჩაიზე, პურზე, როგორ უნდა მოწველო ძროხა, რა უნდა აკამო წიწილებს, რითი უნდა გაასუქო ღორი. ხან ქვეყნის ამბებს გიყვებიან, შენსას. ზაგრანიცისას: გერმანიაში რა ხდება, სულძალი პიტლერი რას აღირებს, ანგლიას და ამერიკას რა ვშმაკობა უტრიალებთ თავში, იაპონიას რა აქვს გულში. აგერ ამ ამბებს, რომ გელაპარაკებიან, ან რაც შენ სულსა და გულს გაეხარდება იმას, რომ გამღეროიან, ეგერ შენს ამბავსაც გეტყვიან. სტახანოველმა დესპინე ზედობანიძემ ამდენი და ამდენი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფაო. თურმე მახარაძეში დღე ისე არ გავა, ჩვენი კოლმეურნეობის ამბავი არ თქვას რადიომ. ელენეს, არჩილოს, ცუცას და ჩემი სახელი არ ახსენოს. — ამაყად მოიღერა კისერი, — ჩვენი ამბავი კი არის სახსენებელი, მაგრამ მოდი და ნუ გაიკვირებ, თურმე სულ ზეპირად იცის რაიონმა, თუ რამდენ აგურს აწყობენ დღეში ჩვენი კანტორის კედლებზე.

დღედაღამეში ორჯერ ისმენს იოსება ქალელის ამბავს ქვეყანა. გადაირევა ცაცი, აბა, რა მოუვა. აგურის დაწყობა თუ რადიოში გადასაყვამი ამბავი გახდებოდა, მაგას რავე ვიფიქრებდი.

— რატომ, მამა! — გაუყვირდა ცუცას. — თუ ჩაის კრეფის ამბავს გადასცემენ რადიოში, კალატოზის ხელობა რითია ჩვენს საქმეზე ნაკლები. ვერ ხედავ რალაც ორნახევარი თვის განმავლობაში რა სასწაული მოახდინეს კალატოზებმა, უზარმაზარი სასახლე ააშენეს.

— ჩაის საქმე მაინც სხვა საქმეა, ცუცუნია, — არ დაეთანხმა ილიკო ქალიშვილს, — აგურს ჩვენს ქვეყანაში ადამის ქამიდან აწყობდნენ. ჩაი? ვინ იცის მთელს საბჭოთა კავშირში ჩაის საქმე ჩვენს გარდა. საქართველოს იქით არსად არ ხარობს ჩაი და ციტრუსი.

— ახლა არ ხარობს, მამა, მაგრამ დადგება დრო და უკრაინის მიწაზედაც ნახავ ჩაის ბუჩქს, ციტრუსს, ლიმონს და მანდარინს.

— შაქარი შენს პირს, შვილო, — მოუწონა შვილს სიტყვა ილიკომ, — ღმერთმა ჰქნას ილიკო ზედობანიძე მაგ დღესაც შეისწროს. ხო, ხო, ხო! რამდენ რამეს ვასწავლით მაშინ უკრაინელ ძმებს. ჩვენ იმდენი ვიცით ახლა და იმ დროისათვის, თუ მართლა ახლა შენი სიტყვა, ცუცუნია, კიდევ იმდენს შეეისწავლით, რომ უცებ ჩაის პროფესორებად გავხდით უკრაინელებს. ჰო, იმას ვამბობდი, მეჩაიეს საქმე სხვაა, კალატოზის სხვა-მეთქი. იცი შვილო, რა მამასისხლად ყიდულობდა ჩაის ზაგრა-ნიციდან, ჩიენი ქვეყანა. რამდენ ჩვენს ოქროს ინხრიალებდნენ ჯიბეში ის სულწაწყმედილი კაპიტალისტები. ახლა ოქრო კი არა, ერთი კაპიციკ ვერ მიართქვეს. ილიკო ზედობანიძემ, დისპინე ზედობანიძემ, ცუცუნია, ბუკუნია და ხახორიამ. ეს ოქროები ქე დაუზოგეს სახელმწიფოს. ამ ოქროთი ახლა მაშინებს ვყიდულობთ. მაგრამ მალე ისიც

ჩვენი გვექნება, გარედან არაფრის შემოტანა არ დაგვირდებია. მთელს ქვეყანაში ვლაპარაკობდი და სად წაქვლილს ვხედავ, აგერ ჩვენს კანტორაში ილიკო ზედობანიძე და გინდა უკრაინელებს წაუკითხავს ჩაიზე ლექციას და გინდა უზბეკისტანელებს.

— კარგი ახლა, მთლად ნუ იქეცი ტრაბახად, მამა, — უთხრა ცუცუნია ილიკოს, — ჯერ არ ამუშავებულა ჩვენი რადიოკვანძი და შენ უკვე ლექციებს უკითხავ უკრაინას და უზბეკისტანს.

— ამუშავდება, კიდევ რამდენიმე დღე და ამუშავდება.

ვერ დაესწრო ილიკო ზედობანიძე რადიოკვანძის ამუშავებას. არ დალეულა იმ დღეს მის ჯარგვალში ჩაფი ღვინო. რადიოკვანძის ამუშავების დღეს იგი დილით რაიონში გაგზავნეს კანტორის გადასახური თუნუქის ჩამოსატანად და შინ ღამის სამ საათზე დაბრუნდა. ისეთი დაღლილი იყო, რომ ძლივს მიიტანა ლოგინამდე თავი. არაფერ გაუღვიძებია, არ უეახშმია. გაუხდელად დაწვა და ბალიშზე თავი დადო თუ არა, მკვდარივით დაეძინა.

ორი საათიც არ გასულიყო, რომ ილიკოს თავზე ისეთი ძლიერი ტკაცატკუცი გაისმა, თითქოს რამდენიმე დამბაჩა ერთად დასცალესო. ილიკო ტყვიანაკრავივით წამოვარდა.

— მოგვეკუს, დაგვხოცეს! — შესძახა სიბნელეში. ამ დროს ტკაცატკუცი შესწყდა.

„ლაპარაკობს თბილისი. დილამშვიდობისა, ამხანაგებო!“

გაისმა ჯარგვალში მამაკაცის ხმა. ეს ოიქტორის ხმა იყო. რეპროდუქტორი ჩართული დარჩენილათ წუხელ ბუკუნისა და ხახურის.

არა მარტო ილიკო წამოიჭრა თავზარდაცემული, მთელი ოჯახი ფეხზე იდგა. შეშინებულმა და ნამძინარევმა ილიკომ დაბნევის გამო დიქტორის პირ-

ველი ორი სიტყვა, ვერ გაარჩია და მარტო „დილამშვიდობისა“ გაიგონა.

— რაო, რომელი ხარ? სული არ შე-
მარჩინე კაცს და ახლა დილამშვიდობი-
სას მეუბნები? — დაიღრიალა ილიკომ
და კარს ეცა. მაგრამ სანამ გააღებდა,
ველავ გაისმა იგივე ხმა:

„ვიწყებთ ჩვენს გადმოცემებს. მუ-
შაობენ რადიოსადგურები ათასხუთას,
ორმოცდათორმეტ და ორმოცდაცხრა-
მეტ მეთოდ ტალღებზე!..“

— რაიო?!

შემოტრიალდა ილიკო და მთლად
წამხდარი და დამფრთხალი კარს მიეკრა
ზურგიით. „დაქალაქის სატრანსლიაციო
ქსელი, — განაგრძობდა დიქტორი. —
თბილისის დროით ექვსი საათი და ხუ-
თი წუთია. მოისმინეთ უკანასკნელი
ცნობები!“

— ნუ გეშინია მამა, რადიოა, —
შესძახა ბუკუნია ილიკოს და ტახტი-
დან ჩამოხტა, მამასთან მიირბინა, ხელი
მოჭიდა. — რადიოა, რადიო ლაპარა-
კობს მამა.

— რადიო კი არა, გვესროლა ვილა-
ცამ, ბიჭო.

— არა, მამა, ყური დაუგდე. ნამდვი-
ლი კაცი ლაპარაკობს. გუშინაც ის ლა-
პარაკობდა, — კარი გააღო ბუკუნია,
რომ სინათლეზე თავისი თვალით დაე-
ნახა ილიკოს რეპროდუქტორი.

ალიონის მკრთალ შექმნე ილიკოს
ისედაც გაფითრებული სახე, უფრო
ფერწასული მოსჩანდა. დაინახა ეს ცუ-
ცამ. მივიდა რეპროდუქტორთან და გა-
მოთიშა. ჯარგვალში სიწყნარე გამეფ-
და. ერთ წამს არც დესპინე იღებდა
ხმას, არც ცუცა და არც ბავშვები. ყვე-
ლანი სმენად ქცეულნი იდგნენ და ხან
რეპროდუქტორს შეხედავდნენ და ხან
ილიკოს.

— ახლა ხომ დარწმუნდი, მამა, რომ
რადიოა, — უთხრა ცუცამ ილიკოს და
ნაცარში შეხვეული ნალვერდალი გაა-
ჩაღა, ფიჩხი დააყარა. უცებ წაეკიდა

წიფლის ხმელ ტოტებს, ალი აბრიალ-
და.

ბავშვებმა ტანზე ზაღმა დააწყეს,
დესპინეს უკვე ჩაეცვა და ცუცხლს მი-
უჯდა.

— რადიო თუ დილამშვიდობისას მე-
ტყოდა, არ მეგონა სწორედ, — თქვა
ილიკომ და კერის მეორე მხარეს დაჯ-
და ძელსკამზე. — რა კარგ დროს გა-
გვალეძა. საათიც რომ გვითხრა, რო-
მელიაო. ტალღებზე რას ამბობდა, ვერ
გავიგე, შვილო, — მიუბრუნდა ცუცას.

— ეგ ვერც მე გავიგე, მამა.

— როდის აამუშავეს კვანძი?

— გუშინ ზუთ საათზე და იცი, რა
თქვა პირველი სიტყვა...

— რაო, რა თქვა, თუ გიყვარდე? —
დანიტერესდა ილიკო, — მე კი დილა-
მშვიდობისა მითხრა პირველი, — გუ-
შინ რა თქვა?

— რაო და ამ საღამოს უკრაინიდან
სპეციალური მატარებლით საქართვე-
ლოში გამოემგზავრნენ უკრაინელებიო.

— მაშ უკვე გამოსულანი! — წამოი-
ძახა ილიკომ. — მერე, მერე რას შეე-
ბიან აქ?

— დღეს კრება ჰქონდათ გამგეობა-
ში. შეხვედრის გეგმა შეიმუშავეს. კან-
ტორის შენობაში თავმჯდომარის ოთა-
ხი უკვე მზად არის, დარბაზში პარკე-
ტის დაგება მოათავეს, ხვალ ფანჯრებ-
ში შუშებს ჩასვამენ, იქ უნდა გაშალონ
სუფრა.

— ხო, ხო, რა ქეიფი იქნება.

— ისიც კი გადაწყვიტეს, ვის ოჯახ-
ში ვინ დააწვიონ, — განაგრძობდა ცუ-
ცა. — თორმეტი ოჯახის სიაა შედგე-
ნილი.

— ვინ არიან სიაში?

— ვინ გინდა რომ არ იყოს; კირილე,
არჩილი, შალვა, სანდრო, ევტეხი, ნეს-
ტორი...

— ჩვენ? — მოთმინება არ ეყო
ილიკოს.

— არა, მამა. ჩვენ საიდან ვიქნებით?

— როგორ თუ საიდან? მე მათ ისე მოველი, რომ სიზმარში ვხედავ ყოველ ღამე. თავი მოვიკალი კაცმა, ვის, რომელ ოჯახს აქვს გამომუშავებული ჩვენდენი შრომადღე?

— შრომადღის მიხედვით არ შეუდგენიათ სია? — ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ დესპინემ.

— აბა რითი, ამით ფასდება ახლა აღამიანი.

— სტუმრები იმათთან გაათევენ ღამეს, ვისაც კარგი სახლი და ეზო აქვს, — ნიშნისმოგებით უთხრა დესპინემ. — აბა ამ გამჭვარტლულ ჯარგვალში შემოგვიყვანდნენ იმ განათლებულ ხალხს.

— ახლა ვახდა გამჭვარტლული ჩემი სახლი, ახლა დაარქვი ჯარგვალი. ერთ დროს სასახლედ გეჩვენებოდა...

— წავიდა ის დრო, — მოუჭრა დესპინემ, — ჩვენს შუი არავინ ცხოვრობს ასეთ ბინაში მთელ სოფელში.

ცოლს ვერაფერი უპასუხა ილიკომ და ცუცას მიუბრუნდა.

— არა, მე ამას ასე არ დაეტოვებ. ეს ხაზის გამრუდება ნამდვილად. მდიდრებთან მიყავთ სტუმრები, — ენა დაეხდა, — პოლიტიკურ შეცდომას აქვს ადგილი. წავიდა მდიდრების დრო, — წამოვარდა და დოჭი აიღო, — პირი დამაბანე ბუკუნია, — უთხრა შეილს და აივანზე გავიდა, მკლავი დაიკაპიწა. — მე ვაჩვენებ მაგათ, როგორ უნდა ხაზის გამრუდება, — შეისხა წყალი სახე-

ზე, — სამარცხვინო ოჯახად უცვნიათ ჩემი ოჯახი, არა? დამაცადონო მერე მით გათ, — შეისხა კიდევ წყალი და მერე პირსახოცი გამოგლიჯა ცუცას, რომელმაც ის იყო გამოუტანა აივანზე, — შენ ვერ ამოიღე ხმა? პირველი ქალი ხარ ელენეს შემდეგ კოლმეურნეობაში. რამ დაგამუნჯა?

— არა გვაქვს ხმის ამოსაღებად საქმე, მამა.

— ენახოთ თუ არა გვაქვს, ვაჩვენებ მე თავმჯდომარეს, თუ არა გვაქვს, — შესძახა, პირსახოცი მიუგდო ცუცას, აივნის კედლიდან ყაბალაბი ჩამოხსნა, მხარზე გადაიგდო და ჭიშკრისაკენ გასწია.

— სად მიხვალ, კაცო? — მიძახა ცოლმა.

— თავმჯდომარესთან.

— ვერა ხედავ, არ გათუნებულა, ჯერ არ იქნება თავმჯდომარე გამგეობაში.

— სახლში მივალ, ლოგინიდან წამოვაგდებ, — გავიდა ეზოდან და ჭიშკარი ისე მოაჯახუნა, თითქოს მასაც მიუძლოდა ბრალი, რომ ილიკოს სტუმრები არ მისცეს. — ხაზის გამრუდება, აბა რაა. კულაკური სულისკვეთებაა ნამდვილად. მდიდრებს ვახლოთ სტუმრები. შეძლებული და მდიდარი ყოველთვის ქე იყო სტუმრობა-მასპინძლობაში, ახლა ჩვენი დრო დადგა, მგონია, და უყურეთ, რას მიშვებია. — ისმოდა შეუკამი ილიკოს ხმა.

(გაგრძელება იქნება).

მე ვუიქრობ შენზე



კომუნისტურო
ჩემო პარტიავე,
ჩემო თკებ,
ვიცი მიგონებ
შენსკენ გრძნობით
მე ხელებგაწედილს.
დიდებულ შუბლზე
ცხელი ნახმლევით
და მშრომელთ ხელზე
ბორკილთ ნაკვლევით
მიდგახარ თვალწინ.

შენ მიაბიჯებ
ქედმოუხრელი,
მტკიცე, ვით რვალი.
შენა ხარ ჩვენი
დღე გუშინდელი,
დღე დღევანდელი,
ნათელი ხვალის...

ჩვენ, შემოქმედებს,
შენ უდიდეს მიზნებს გვისახავ.
ტვინი ხარ ჩვენი,
რკინის მუშტი, —
რამ შეგვაჩეროს.
მსოფლიოს მებრძოლ
მხარეთ რჯულის და სისხლისა ხარ,
ძმა ხარ უმცროსი
საკ. კ. პ. (ბ)-სი,
თკებ-ჩემო.

ჩემს სიცოცხლეში
სიამაყის უსაზღვრო ზღვა ვარ,
რომ შენს მებრძოლსა
და უძლეველ რიგებში ვდგავარ.
ჩემო სტამბოლო,
მე ვფიქრობ შენზე.
ო, როგორც ჩემს დას,
შენც თვალები გშვენის ცისფერი.
ჩამჯდარხარ ზღვისპირა,
მზერას ღელვით აფრენ ტალღებზე,
შენს ნავსადგურში

ამერიკულ ხომალდს გასცქერი.
მოწყურებულო ტრამალებო,
თქვენზე მწარე
ფიქრები მიპყრობს.
კავებით მოგხნეს,
მოაღწია მოსავლის დრომაც,
თუმც ცუდი იყო მოსავალი,
მაინც ხომ იყო, —
ამერიკელმა თქვენ გაქციათ
ჰაეროდრომად.

ო, ვხატეცილო, გრძელო,
შენზე მე ვფიქრობ ახლა,
ვერ გაგაცოცხლოს
ქარავანთა უღარუნა ზარმა;
შენით მოდიან
მტაცებლები,
სიკვდილი ახლავთ
მათ თანამგზავრად.

მე შენზე ვფიქრობ,
ხარატო რაჰიმ,
იქნებ ამდილით
შენი სახლისკენ
ყანდარმთა ჯგუფი
ბილიკს მოიკვლევს!
იქნებ ტყვედა ხარ
ცივ საკანში სისხლიან სახით..
ვიცი არ იტყვი:
ვინ მოგცა წიგნი —
„გზა მშვიდობისკენ“.

მე შენზე ვფიქრობ,
შემო ჰასან ჰუსეინ-ოღლო
შენ ჯარისკაცო,
ალარ ვიცი რომელ ნაწილის.
არ მიესალმე ლეიტენანტს —
იმ ელამ კოლოს,
და მუშტებს გიშენს ის უწყალოდ.
ყური გიწივის...
იღებერტირებ, მტკიცედ მჯერა



მოკვდები, —
 ოღონდ
 ძმის მოსაკლავად
 კორეისკენ
 არ წახვიდე
 მახვილწვედილი.
 კლავ შენზე ფიქრით ახლა ვიწვი,
 დეიდა ჰათჩე,
 მე შენს სახეზე, —
 უმოსავლო,
 ყამირი მიწის,
 ო, არა მიწის, —
 უმიწობის მსგავსებას ვამჩნევ.
 ხუთი შეილიდან ორი დაგრჩა,
 ვიტირის გული.
 და ახლა გლეხებს
 წინ მიუძღვი,
 რომ იხსნა მიწა,
 ჟანდარმთ ხიშტებით
 შემომესრული.
 სტუდენტო გოგოვ,
 შენზე ვფიქრობ!
 წელია უკვე
 საკანში ზიხარ.
 მჯერა მზის შუქს
 სამ წელს ვერ ნახავ!
 შენ ჩემს სტრიქონებს
 კითხულობდი,
 ქალწულის გულმკერდს
 ლელვა გირხვედა...
 მე შენი ხმა
 ჩამესმის ახლაც!
 მე შენზე ვფიქრობ
 დღეს, ხარაზო ისმაილ უსტა,
 მარშალმა ბრძანა,
 აგიკრძალეს შრომა ალალი.
 დაჰკეტე შენი სახელოსნო,
 აკნესდი სუსტად.
 ყილდი ბარათებს,
 მათხოვრობდი გზად დამავალი;
 შემდეგ კი ქლექმა
 გაგიტყდა უფლო მაგარი...
 უწყალო სენმა

ამოსწყვიტა
 შენი სახლ-კარიც.
 ო, შენზე ვფიქრობ,
 ჩემო დედავ,
 ფიქრით გეხვევი!..
 ჩემო მეუღლე, შენზე ვფიქრობ,
 ხმა გამიგონე:
 ძუძუ გაგიშრა?
 მშიერია ჩემი მიძმედი?
 ოთახის ქირა თუ მიეცი?
 მეც თუ მიგონებ?..
 მტრედისფერ ღრუბლებს
 მოუხატავს ცა მოსკოვისა —
 ოქროს გუმბათთა,
 თეთრ ქონგურთა,
 ქარხანათ ზემოთ.
 გავსცქერ ფანჯრიდან,
 შენ მაგონდები
 და ოცნება ფრთებს რომ შეისხამს,
 ჩემო მხარე, ვ,
 თურქეთო ჩემო!
 თურქეთო ჩემო!
 სულ წამითაც
 აღარ სტოვებ
 ჩემს მახსოვრობას
 და შენზე ამ დარდს,
 გეფიცები ვერც ავიტანდი, —
 ბედნიერება რომ არ იყოს
 მოსკოვს ცხოვრება,
 რომ არ სტანჯავდეს
 მოსკოველთაც ეს ჩემი დარდი;
 დღე ერთია და,
 უთვლელ ბარათს
 რომ არ ვიღებდე,
 შენი მოკითხვა
 არ ატკობდეს
 ჩემს გულის ძახილს;
 დიდ საბჭოთა ხალხს
 შენც, თურქეთო, რომ არ უყვარდე,
 როგორც მე მიყვარს
 საბჭოთა ხალხი!

ჯ ი ლ ლ ო

★

როდესაც ინსტიტუტის კარისკაცი თვედორე ეუუენამე სცენაზე გამოიძახეს, მთელს დარბაზში ტაშის გრიგაღმა ჩაიქროლა.

ჩვენი ინსტიტუტის დაარსებიდან ოცდახუთი წლისთავის იუბილეს იხდიდნენ. კლუბი სავეს იყო სტუმრებითა და სტუდენტებით. სცენაზე დიდ მაგიდას პროფესორები უსხდნენ. სტუმრები უმთავრესად ინსტიტუტის მიერ აღზრდილი ინჟინრები ვიყავით. ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვედით რათა მონაწილეობა მიგვეღო ზემოში.

ვინ არ იცნობდა თვედორეს. იგი ინსტიტუტში ოცდახუთი წელი უცვლელად ასრულებდა მეკარის მოვალეობას.

ტაში დიდხანს არ დამცხრალა. ტაშს უკრავდნენ პროფესორები, სტუმრები და ყველაზე მეტად სტუდენტები. თვედორე შუა სცენაზე იდგა, თავი ძირს დაეხარა აღელვებულს და გაფითრებულს. არ იცოდა, ხელებისათვის რა მოეხერხებინა. ხან ჯიბეში ჩაიდებდა, ხან უღვაშებზე გადაისევამდა, ხან გულზე მიიკრავდა.

თვედორეს გამოუცხადეს, რომ იგი დაჯილდოვებულია მედალით „შრომით მამაცობისათვის“. თვალზე ცრემლი აუციმციმდა. მას პროფესორი თუხარელი მიუახლოვდა. გრძნობით ჩამოართვა ხელი და გადაეხვია. თვედორე დაიხარა და პროფესორს მოწიწებით გულზე ეამბორა.

ხუთი დღით გამათავისუფლა ჩემმა მშენებლობამ. წასვლის დღეს დილით

ინსტიტუტში გავიარე. ჩემი პროფესორი უნდა მენახა. ეწყინებოდა, რომ არ მივსულიყავი. ასე იცოდა: ქალაქში მისი ნამოწაფრების ყოფნისას ერთგვარ გამოცდას იბარებდა იმ საქმიანობის შესახებ, რასაც ჩვენ ვეწეოდით. ჩვენს მუშაობას ეცნობოდა, რჩევა-დარიგებებს გვაძლევდა.

ინსტიტუტის შესასვლელ დერეფანში თვედორეს სტუდენტები შემოხვევოდნენ და რალაცას ემუდარებოდნენ. დამინახა და უმაღლე ჩემსკენ გამოსწია.

— გამარჯობა გია! — მომმართა და თვალით კარებთან შეჯგუფულ ახალგაზრდებზე მიმითითა. — უკანასკნელი კურსის სტუდენტები არიან. ნაწილი მათი ამხანაგებისა დღეს აბარებს სახელმწიფო გამოცდას. ამათ კი ზღალ აქვთ დანიშნული. არ მაყენებენ, გამიშვითო, მეხვეწებიან. რომ გაუშვა, კარებთან აეტუზებიან და გამოცდის მსვლელობას ხელს შეუშლიან.

— არაფერიც! — შეეკამათა შევეგრემანი თმახუქუქა ვაჟი. — ჩვენ ხმასაც არ ამოვიღებთ.

— ჩუმად ვიქნებით!

— გაგვიშვი! ალაბარაკდნენ დანარჩენებიც.

— ტყუილუბრალოდ ნუ მეხვეწებით. წესრიგს ვერ დაეარღვევ. — უპასუხა თვედორემ და კვლავ მომიბრუნდა: —, რას იტყვი, გია, ერთნაირია ყველა დროის სტუდენტი? არ გახსოვს, არც თქვენ მასვენებდით გამოცდების დროს. რასაკვირველია, გია, ჩემი უარი შენ არ

გეხება, შეგიძლია წახვიდე, ალბათ პროფესორი თუხარელი უნდა ნახო, ხომ? იგი ამჟამად სახელმწიფო გამოცდას იბარებს, ცოტა ხნით დაცდა მოგიხდება.

— კეთილი, აქვე დავიციდი, — უბასუხე და კედელში ამოკრილ ნიშზე ჩამოვეჯექი.

— შენი ნებაა, — მითხრა და თავის ადგილს დაუბრუნდა. სტუდენტები უფრო მკიდროდ შემოერთყნენ გარს.

— ძია თევდორე, შენ გენაცვალე, გავიშვი.

— აი, ხომ ხედავ, ერთხმად გვედობით, მუხლმოყრილნი.

მაგრამ თევდორე ამჯერადაც მაგრა დაუდგა.

— თქვენი გულისათვის პროფესორს ვერ ვაწყენინებ, — მტკიცედ თქვა, მაგრამ ჩანდა, რომ ამეზარ სტუდენტებთან კამათი ეხალისებოდა — ოცდახუთი წელია ერთად ვმუშაობთ, ინსტიტუტის დაარსების დღიდან. იცით, რას ნიშნავს რომ ერთი მეორეს იოტის ოდენაც არ აწყენინო? მე და პროფესორი ძველი მეგობრები ვართ. ხომ ნახეთ, იტბილევზე როგორ გადაამეხვი და ახლა თქვენი გულისათვის...

მაგრამ გოგონამ აღარ აცალა სიტყვის დამთავრება.

— განა შენს ხელში გაზრდილები არა ვართ? უკვე ხუთი წელია, აქ ვსწავლობთ. ახლა უკანასკნელად ვართ და ამის ხათრით მაინც გავიშვი.

— მერე! — აყვირდა თევდორე. — რას იტყვიან სხვა კურსის სტუდენტები! სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს არავითარი პროტექცია არა მწამს!

— მაგრამ პატივეცემულ ინჟინერს ხომ უშვებდი, — უთხრა შევეგრემანმა ვაჟმა და ჩემზე მიუთითა.

თევდორემ ისტიბარი არ ვაიტყვებ და მაშინვე მიახალა:

— რაო, რა ბრძანე! ხომ ხედავ, შენც „პატივეცემულს“ უწოდებ. მაშასადამე, პატივი უნდა ვცეთ. ეგ იცი, რა ინჟინერია.. ისეთ შენობებს აგებს, სიშპრადაც არ გეძნება ნახული, აბა!..

— სწორია, ასეც უნდა, ძია თევდორე, — შეაქო გოგონამ.

ალბათ სურდა მისი გული მოეგო და მალულად გამომხედა.

სტუდენტებს შორის ერთი ერია, ყავარჯნიანი. სამხედრო ტანსაცმელი ეცვა. სამხრეები მოეხსნა. გოგონამ მშერა უცბად ამარიდა თევდორეს ყავარჯნიანზე მიუთითა.

— ვახტანგი მაინც გაუშვი. ხომ ხედავ, ფეხზე დგომა უჭირს.

თევდორე ჩაფიქრდა. ამ შემოტევას ველარ გაუძლო და ყავარჯნიანს მიმართა:

— წადი, წადი, მხოლოდ კარებთან არ აიტუშო, კუთხეში დაჯექი.

ყავარჯნიანმა მალღობა გადაუხადა და კარისაკენ გაემართა.

ორი ამხანაგი გვერდით ამოუდგა, თითქმის დასახმარებლად, და ამ ფანდით სურდათ გაპარვა, მაგრამ თევდორე მიუხედა ეშმაკობას. ყავარჯნიანი გაუშვა, ისინი კი დააკავა.

— ტყუილად ცდილობთ, მაგას ნუ უყურებთ. ხომ ხედავთ, ფეხი ტყევა. სამამულლო ომის ინვალიდია. თქვენც რომ გტყიოდეთ მაშინ კიდევ...

უცბად იმ ოთახიდან, სადაც გამოცდა მიმდინარეობდა, სახეაჭარხლებული ვაჭი გამოვარდა. თევდორე ყველას დაეიწყადა, მას შემოეხვივნენ და კითხვები სხაპასუხებით მიაყარეს:

— ეანო, უკვე მორჩი?

— ჩააბარე?

— რა ნიშანი მიიღე?

— რას შეგეკითხნენ?

— მოგილოცოთ?

მან კი, ვანოს რომ ეძახდნენ, დოინჯი შემოიყარა, მაღლიდან გადახედა მეგობრებს (ტანითაც მათზე მაღალი იყო) და მშვიდად მიმართა თევდორეს.

— ა, რას იტყვი, ძია თევდორე. ჩემთან საუბრის უფლება აქ დამსწრეთაგან მხოლოდ შენ გაქვს. მე ახლა უკვე ინჟინერი ვარ. ზომ ხედავთ, მეგობრებო, — პათეთიკურად უთხრა ამხანაგებს. ერთი დღით თქვენზე ადრე დავამთავრე ინსტიტუტი.

— ერთი დღით ადრე დამთავრებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, — უპასუხა თმახუტუშა ვაჟმა. — საქმე ის არის, ვინ როგორ დავამთავრებს.

— შენ რაც გინდა, ისა თქვი მე კი ტყავი გამაძერეს, რა არ შემეკითხნენ.

— ნახაზები მოეწონათ? — შეეკითხა გოგონა.

— ძალიან მოეწონათ, მაგრამ მანინც ოთხი მივიღე.

— ოთხიანი მიიღე? — შეუხვირა თევდორემ, — არც კი გრცხენია. ესენი აქ შენი გულისათვის ღელავდნენ, შენ კი ოთხიანი!

— რა მექნა, ძია თევდორე, — თავი იმართლა ვანომ — პროფესორი ისე ჩამაცივდა...

— აი კიდევ ახალი ამბავი! — უფრო გაცეცხლდა თევდორე, — რას სულელობ, ყმაწვილო, რას ჰქვია — ჩაგაცივდა.

უცბათ თევდორე გოგონამ მოახედა.

— ძვირფასო თევდორე, აი უკანასკნელიც გავიდა გამოცდაზე. რასა ჰგავს ბოლოს და ბოლოს შენი გიგანობა. უცხოსთან თავს იწონებ თუ?.. გავვიშვი.

თევდორემ კეფა მოიფხანა. შემჩნეული მქონდა, ეს უკვე კარგი ნიშანი იყო. ცოტათი ჩაფიქრდა და შემდეგ გადაწყვეტით თქვა:

— წადით, ოღონდ არ იხმაუროთ?...

ახლაგაზრდები ვივილ-ხივილით შეცვივდნენ შორე ოთახში. თევდორემ სტუდენტების მიერ არეულ-დარეული

დერეფნის დალაგება დაიწყო და თან მე გამომელაპარაკა:

— დაამთავრებენ და შეწყვეტენ შეიძლება არც კი მომიგონონ შენსადრე. მერე-და როგორ მიყვარს თითოეული მათგანი. მოვლენ, გაიცნობ, შეეჩვევი, შეგვიყვარდება. ამასობაში დაამთავრებენ და წავლენ. ყოველ გამოსაშვებ გამოცდებზე გული ბოღმით მევესება.

უცბად მომცრო ტანის გოგონამ ჩაირბინა ჩემს წინ. ხელში მატრიკული ეჭირა. (მაშინვე ვიცანი ფერთ). თევდორეს გვერდით აუარა.

— შენ, ეი, კულრაქავ! სად მიხვალ, უკან გაბრუნდი!

გოგონა შედგა, უკან დაიხია და დაბეჯითებით თქვა:

ძია, ახლავე დავბრუნდები. ჩვენი დეკანი მინდა ვნახო მატრიკულში ნიშანი ჩავაწერინო.

— არ შეიძლება, გოგონი, — ტკბილად უთხრა თევდორემ, — ზომ იცი, დეკანატში მიღება თორმეტი საათიდან იწყება. შენი გულისათვის წესრიგს ვერ დავარღვევ.

გოგონა არ შეეპუა.

— ეგერ რამდენი ხალხი დგას და რა იქნება, მეც რომ...

ასეთ საყვედურს არ მოელოდა თევდორე. გაბრაზდა.

— რაო, რა ბრძანე, ქალბატონო? რომელ კურსზე ხარ?

— პირველზე.

— ისინი კი თითქმის ინჟინრები არიან. — გოგონას ხელში მატრიკული შეამჩნია. — ეგაა შენი მატრიკული? აბა, მაჩვენე.

გოგონამ ყოყმანით გაუწოდა მატრიკული. თევდორემ სათვალე გაიკეთა, მატრიკული გადაშალა და ხმამაღლა წაიკითხა:

— სამი... სამი... სამი... სამი... რას ჰგავს ეს? — შეუხვირა გოგონას. — არსადაც არ გაგიშვებ! ფრიადოსანი რომ ყოფილი-

ყავი, კიდევ პო... იცადე თორმეტ საათამდე.

ჩალას იზამდა გოგონა.

— არწივებს, — მომმართა მე, — ინტრიგასაც რომ უწყობს. აგერ შენი პროფესორიც. გამოცდა დაუმთავრებია წადი, გია, წადი...

პროფესორს მივაშურე...

ორი საათის შემდეგ უკან ვბრუნდებოდი. დერეფანში რომ გავედი, ეხედავ, თვედორე სამიანების მქონე პირველკურსელ გოგონას ეკამათებოდა, მაგრამ უფრო ალერსიანად.

— შენ რაო, კულრაქავ! თორმეტი საათი ჯერ არ შესრულებულა. რად მოხვედი?

კედლის საათს შევხედე. მისი ისრები თორმეტის ნახევარს უჩვენებდნენ. გოგონა არ ეშვებოდა:

— გამიშვი რა, ძია. თორმეტს ოცი წუთი აკლია. შემდეგ შეიძლება ჩემი დეკანი სადმე წავიდეს.

— ჯერ ერთი, გოგონი, — ღიმილი უპასუხა თვედორემ, — თორმეტს ოცდაცხრა წუთი აკლია და, მეორეც, უშენოდ დეკანი ნაბიჯს არ გადადგამს.

— ძია, ცალკე მინდა ვნახო. თორმეტი საათიდან ქვეყანა დაეხვევება... თვედორემ კეთა მოიტანა და დღეს უკვე შეორულ.

— გაგიშვებ, გოგონი, მხოლოდ ერთი პირობით. აწი შენს მატრიკულში სამიანი არ ვნახო. აბა რასა ჰგავს! შესახედავად კარგი გოგონა ჩანხარ და სწავლით თავს არ იწყუებ. რომ მოვიწოდო, სამიანებზე მეც კი დავამთავრებ ინსტიტუტს. ოთხიანზე ნაკლები ნიშანი არა მწამს.

— პოდა, ძია, სწორედ მთავარი საგანი ოთხზე ჩავაბარე... სანამ პროფესორს მატრიკულში ნიშანს არ ჩავაწერინებ...

— შერე, ასეთ სასიხარულო ამბავს მიმაღავდი? აქამდე, გაგიშვებდი.

— წავიდე?

— წადი, კულრაქავ, წადი — ტკბილად გაისტუმრა.

გოგონა რომ კარებს იქეთ გაუჩინარდა, თვედორე მე მომიბრუნდა:

— ა, რას იტყვი, მეც ხომ ვზრდი ჩემი ქვეყნის ახალგაზრდობას! ტყუილად კი არ დამაჯილდოვა მთავრობამ მედლით, აბა!..

გმიერთა სისხლით *



პოლკის მშვერავები დაბრუნდნენ მორიგი საბრძოლო ოპერაციიდან და თან ნადავლიც მოიტანეს. მშვერავთა ოცეულის მეთაურმა ბარსუკოვმა დაწვრილებით მიამბო, თუ რა პირობებში წამოიღეს ეს ნადავლი.

— რკინიგზის ხაზზე ვიყავით ჩასაფრებულო, — დაიწყო მან, — უეცრად სივრცეში ბუნდოვანი წერტილი შევამჩნიეთ. ეს წერტილი თანდათან დიდდებოდა, ახლოვდებოდა.

— ურიკა! — ჩურჩულით მეუბნება გვერდში მდგომი მშვერავი.

— სწორია, აბა საჩქაროდ ჩავსაფრდეთ. მოახლოვდება თუ არა ორმოცორმოცდაათ მეტრზე, ჩემს ნიშანზე ერთდროულად დავაყაროთ ტყვია!

ურიკა დიდი სისწრაფით მოიწვედა წინ. აჰა, სულ ახლო მოვიდა. ნიშანი მიეცეოდა და ავტომატებმაც იგრიალეს, ურიკაში თურმე ჯარისკაცები და პოლიციელები ისხდნენ. ისინი ლიანდაგზე გამოვითრიეთ. ჩანთებში დახოცილებს მრავალი დოკუმენტები აღმოუჩნდათ, ერთ გერმანელს რძისფერი ფოტო-ნეგატივებით გავესო ჩანთა. ნეგატივები ფოტოს მოყვარულს — ვერშიგორას გადავეცით.

— საჭიროა ამ ნეგატივების დამუშავება, ისე რამის გავება შეუძლებელია. ამის გასინჯვის დრო და მოცლა ახლა არ გვაქვს, დამთავრდება ომი და მაშინ ვნახავ, — მითხრა პეტრომ.

ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც მოსკოვში ვერშიგორა ვინახულე, მან

მოიგონა ნეგატივების ამბავი. პეტროს გაესინჯა ეს მასალა და აღმოჩენილიყო, რომ გერმანელებს თურმე გადაეღოთ პარტიზანთა მიერ აფეთქებული ხიდები და დამსხვრეული მატარებლები.

კვლავ სოფელ ლუკოვაში ვიმყოფებით, ისეთი სიჩუმეა, თითქოს ამ არემარეზე მტერს ფეხი არ დაედგას. მაგრამ ეს სიჩუმე და მყუდროება ქარიშხლის წინამორბედი. ამიტომ ყველა დაძაბულია, იარაღს განუწყვეტლოვ სინჯავენ და წმენდენ. შესამოწმებლად ხელიდან ხელში გადადის აწყობილი შაშხანები და ავტომატები. ეშინიათ ბიჭებს განსაცდელის წუთებში არ უღალატოს იარაღმა.

აგერ ხუთი-ექვსი პარტიზანი სათივე ფაცხის უკან განმარტოვებულან, ცხარედ საუბრობდნენ. უცებ მათ თვალი შეასწრეს ცნობილ მშვერავ მიხელენკოს და იხმეს. მიხელენკო ახალი დაბრუნებული იყო საბრძოლო ოპერაციიდან. ის ხალისიანად მიესალმა პარტიზანთა ჯგუფს.

— მოგილოცავთ მშვიდობით დაბრუნებას, ვშიშობდით, რამე ფათერაკი არ გადაეციდოს ჩვენს ბიჭებს-მეთქი! — უთხრა ერთმა პარტიზანმა.

— მართლაც, რომ მოსალაოცია, — უპასუხა მიხელენკომ, — ყოველგვარ ზემორობის გარეშე გეუბნებით, ცოცხლად თუ გადავარჩებოდით, ვერ წარმოგვედგინა!

— რაო, ბევრი ძალა მოაყარა მტერმა ჩვენს ირგვლივ?

— კრაზანებივით არიან შემოსეული, ჯარისკაცებით დატვირთული მანქანა

მანქანას ასკდება. შეიარაღებას ნუ იკითხავთ... აუარებელი ტყვიამფრქვევები, ტანკები და ნაღმმტყორცნელები მოუტანიათ. მძიმე მდგომარეობაა!

— მოსახლეობა რას ფიქრობს, როგორია მცხოვრებლების სულიერი განწყობილება?

— მოსახლეობა ძალზე დაშინებულა. ბინებიდან კარში თავი არ გამოჰყვით ქუჩებში არ განახოთ გამოსული, თორემ სიცოცხლე არ გიწერიათო, — ყოველ საათსა და წუთში ჩასჩინებენ პიტლერელები.

— ალბათ გაგიძნელდათ ასეთ პირობებში სადაზვერვო ცნობების შეკრება! მიხალენკომ წეკოს პაპიროსი პირიდან გამოიღო და ერთბაშად წამოიძახა:

— რის ცნობები, რა ცნობები! ვისთან მივიდოდით ცნობების მისაღებად, ან ვინ მოგვეცემა ცნობებს! დღისით ტყიდან ცხვირი ვერ გამოგვეყო, ღამითაც სოფლებს პატრულები თავს დასტრიალებენ... სოფლელები — დიდი და პატარა — სახლებში იყვნენ ჩაკეტილი აკი გითხარით, ისიც საკვირველია, რომ ცოცხლებმა გამოვადღიეთ...

საერთოდ სხვა დროს პარტიზანთა ბანაკში გართობა-მხიარულობას ბოლო არა ჰქონდა ხოლმე. ახლა კი საამისოდ არავის ეცალა. ყველა მოსალოდნელ დიდ ბრძოლებზე ფიქრობდა, მხოლოდ ამაზე-ღა მსჯელობდნენ, ბრძოლის სამხედრო იყვნენ. მარტო ერთ პარტიზანს ისე ეპირა თავი, თითქოს აქ ირგვლივ არაფერი ხდებოდა, ის ძალზე მხიარულ განწყობილებაზე იყო. ეს პარტიზანი საერთოდ ადრევე მუდამ მხიარული, ენაწყლიანი, ოხუნჯი და სიტყვა-მახელი კაცი იყო. უმრავლესობამ მისი სახელი და გვარი არც იცოდა, ყველანი „ვესიოლის“ ეძახდნენ. როგორც იტყვიან ხოლმე, მას ცა ქუდად არ მიეჩნდა და დედამიწა ქალამნად. საბრძოლო დახასიათება „ვესიოლის“ კარგი ჰქონდა, ბრძოლებში მუდამ მამაცობას იჩენდა, ამხანაგს განსაცდელში არასო-

დეს არ მიატოვებდა. ხოლო თავისუფალ დროს, როგორც ვთქვეყ, მუდამ ხუმრობისა და მასხარობის კაზანქი იყო. თუმცა ხშირად რატომღაც მოიწყენდა და მთლიანად შეიცვლებოდა ხოლმე, გუნება მოედრებლებოდა და უხალისოდ იყო. მაგრამ ხასიათი სძლედა და მალე ისევ ხუმრობას იწყებდა.

აი ეს „ვესიოლი“ მომხედა უცებ თვალში, როცა ეზოში გამოვედი. ის ადლიანი ნაბიჯებით მოალაგებდა და ხელში გაშლილ წერილს მოაფრიალებდა.

— რა ამბავია, ბიჭო! ასე ერთბაშად რამ გაგახარა? — შეეკითხნენ მას პარტიზანები.

— აბა უკეთესი რაღა შემემთხვეოდა. რომ იცოდეთ, რა ამბავი მივიღე სახლიდან, რა სასიხარულო ამბავი. ჯერ ომი არ იყო დაწყებული, როცა ცოლი ამხიარდა, საშველი აღარ მომცა; ცამდე მართალი ვიყავ და ეს ალალი კაცი...

— სახლიდან გაგაგდო? — დამთავრა მისი სიტყვა რომელიღაც პარტიზანმა. ამ სიტყვაზე ყუმბარასავით იფეთქა საერთო სიცილი.

— სწორია, სრული სიმართლეა, მართლაც რომ გამაგდო. პირველ ხანებში ხალხში გამოჩენა მიჭირდა, თითოთ საჩვენებელი გავხდი. ნაცნობი თუ უცნობი, ჩემს დანახვაზე, ყველა იძახდა, აგერ ის კაცი ცოლმა სახლიდან გამოაგდო. ახლა კი დახეთ, — წამოიძახა „ვესიოლი“ და ხელში წერილი შეათამაშა — აგერ წერილი მივიღე. თავგამოდებითა მოხივს — როგორც ომი დამთავრდეს. შინ დაბრუნდრ, შენს ოჯახს მოხედო, შენს ოჯახსო, გაიგე... ზომ ხედავ, როგორ ვუყვარვარ... აი, დახეთ წაიკითხეთ, — ატრიალებდა „ვესიოლი“ თავის წერილს, თითქოს ეშინოდა, არ დაიჯერებენო.

— რაშია საქმე, ასე რამ მოუბრუნა შენზე გული? — გაკვირვებით იკითხა ერთმა პარტიზანმა.

— ალბათ გაიგო მაგისი ვაჟკაცობის ამბავი! — განმარტა მეორემ.

— მაშ, მაშ, როგორ გგონიათ, ალბათ გაიგო... ისე ხმასაც არ გამცემდა.

— ახლა შენ როგორ მოიქცევი?

— მაგას დაფიქრება სჭირდება, — სერიოზულად წარმოსთქვა „ვესიოლიმ“, — ვნახოთ, იქნებ ვაპატიო ყველაფერი, -- ამ სიტყვებმა ისევ სიცილი გამოიწვია.

— მაინც რა მიზეზით გაგაძევა სახლიდან?

— აბა რა ვიცი, ქალის კაპრიზები ხომ მოგეხსენებათ. საზოგადოებაში თავის დაჭერა არ იცი, სერიოზული არა ხარო, ისეთ გრძელსა და უშინაარსო საუბარს გაბამ, ზოლმე, რომ სტუმრებს შენი მოსმენა უჭირთო. დაიწყო ჯერ ასე და შერე, ვინ იცის, რა ჯურის ბრალდება არ წამომიყენა.

— უხერხემლო მიზეზებია, — უთხრა ისევ იმ პარტიზანმა.

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა „ვესიოლიმ“ — უდიერად არას დროს არ ვეპყრობოდი. ერთი ხამალალი სიტყვა არ ახსოვს ჩემგან. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი არას დროს არ მომიკლია. თუ დავედვი, უხმოდ მიგწვებოდი ტახტზე და გამოვიძინებდი!

— ჩანს დიდი მომღურავი არ ყოფილა, თორემ ახლა ამ სატრფიალო უსტარს არ გამოგიგზავნიდა!

ამ ამბავმა პარტიზანებს-თითქოს წუთით გადაავიწყა დაძაბული ვითარება, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით. თანაც თავისთავად საგულისხმო ამბავი იყო. ამ ერთი კაცის სიხარული თითქოს ყველას გადაედო... ეს ნათლად ჩანდა პარტიზანთა ზუმრობაში. ჩვენი პარტიზანები ხომ ძლიერ გულისხმიერი ადამიანები იყვნენ.

დივიზიის შტაბიდან კაცი მოვიდა, ცნობა მოიტანა ცხრაშეტი საათისათვის ვტოვებთ ლუკოვოს და სამხადისს შეუდექითო. დანიშნულ დროზე დივიზია სრული წესრიგით გავიდა სოფლიდან.

ახალი გასული ვიყავით სოფლიდან, მშვერავები რომ შემოგვეყვებინა და გაგვაფრთხილეს: გზის მთელ მანძილზე მტერია ჩასაფრებული და მარცხს ერიდეთო. თავიდანვე დაეჭირეთ თადარიგი, წინ მშვერავთა გაძლიერებული რაზმები გავგზავნეთ, მშვერავთა ჯგუფები კოლონის მარჯვნივ და მარცხნივაც წავიდა. მშვერავებს ნაბრძანები ჰქონდათ საგულდაგულოდ შეესწავლათ გზის ახლო-მახლო მიდამოები. რკინიგზის ხაზზე უნდა გადაგვეყო. როგორც სხვა დროს, ახლაც ჩემს პოლკს დაევალა უზრუნველყო დივიზიის უშიშარი გადასვლა რკინიგზის ხაზზე. როდესაც ხაზს დავეუახლოვდით, თადარიგს შევუდექით: პოლკი ორი-სამი კილომეტრის დამორებით დაეაყენე და ადგილმდებარეობის შესამოწმებლად მშვერავებთან ერთად მეც წავედი. მალე ლიანდაგიც გამოჩნდა.

— არავინ ჩანს ლიანდაგის ახლო-მახლო! — მეუბნება მშვერავთა ჯგუფის მეთაური. — მახეს ხომ არ გვიგებენ?

— მაგათ დაგებულ მახეში მარტო ბრმა თუ გაებმება.

ადგილმდებარეობის დათვალიერების შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ რკინიგზის ხაზზე სულიერი არ კაპანებდა, უხიფათოდ შეიძლებოდა გადასვლა. ამის შესახებ სასწრაფოდ დივიზიას ვაცნობე. დივიზიამ ხაზი უცნებლად გადაიარა, ჩემი პოლკი დივიზიას უკან მოექცა. სანამდე დივიზიას გამოვუდგებოდით, რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე ლიანდაგი ავაფეთქეთ.

— ის-ის იყო გათენდა, როცა სოფელ ბონდიქში შევედით. აქაც ისე, როგორც რკინიგზის ხაზზე, სრული მყუდროება იყო.

— არიან თუ არა თქვენს სოფელში გერმანელები? — ვეკითხებით გლეხებს.

— ამ ქამად არ არიან! — გვპასუხობენ ისინი.

— როდის წავიდნენ?

- გუშინ გაიქცენენ!
- როგორ თუ გაიქცენენ?
- ფაცი-ფუციტ შეკრეს ბარგი და სოფელი დატოვეს.

ჩვენ კარგად ვიცოდით, რის მომასწავებელი იყო ეს „გაქცევა“: მტერი თვალთმაქცობდა, მას სურდა პარტიზანებისათვის თვალი აეხვია, მოეტყუებინა, ვითომ გავიქვეციოთ, სინამდვილეში კი ამ დროს ძალების კონცენტრაციას ახდენდნენ ჩვენზე გამოსალაშქრებლად.

— ნუ თუ ისე წაიდინენ სოფლიდან, რომ არაფერი უთქვამთ თქვენთვის, — ვეითხებით გლეხებს.

— სოფლის კომუნდანტმა გაგვაფრთხილა, რუსი პარტიზანები მოვლენ სოფელში, ყველამ — დიდმაც და პატარამაც თავს უშველეთ, სადმე შორს გადაიმალეთო!

— რად უნდა დავიმალეთო, არა ჰკითხეთ?

— ყველაფერს აიკლებენ, სარჩოსაბადებელს წაგართმევენო.

— მერე, თქვენ დაიჯერეთ, რასაც ისინი ამბობდნენ?

გლეხებს გაელიმათ. „გერმანელების ტყუილებს კარგი ხანია შევეჩვიეთ“, გვითხრეს მათ.

სოფლელებმა გადმოგვეცეს, რომ გერმანელებმა სოფლიდან გასვლის წინ დიდძალი სურსათ-სანოვანე გადამალესო. გლეხებმა გვიჩვენეს, თუ სად იყო დამალული სანოვანე. დიდი ძებნა არ დაგვიტოვებია, საწყობები მალე აღმოვაჩინეთ. იმავე გლეხების მეშვეობით გავიგეთ, რომ სოფლის მახლობლად მუშაობდა ხე-ტყის დამამზადებელი სახერხი ქარხანა, რომელიც სამხედრო შეკვეთებს ასრულებდა. მეორე პოლკმა კულბაკას მეთაურობით სახელდახლოდ განადგურა სახერხი ქარხანა. მზერავებმა ამბავი მოიტანეს, რომ ბონდიეიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარე მოზრდილ დაბაში, კრასნობრლდში თავი მოიყარეს

ადგილობრივმა ნაციონალისტებმა, ამ ხროვას გერმანელებმა დააქვეყნეს ნებართვანების წინააღმდეგ მტრულად ახლა ისინიც ემზადებიანო. მათს შესაძლებლად მეორე პოლკი გაიგზავნა. ადგილზე მოსვლისთანავე კულბაკამ დაბას ალყა შემოარტყა და ბანდიტებს ცხელი დღე დააყენა. ნაწილი გაწყვიტა, ნაწილმა ტყეს შეაფარა თავი, თრმოცდაშვიდი კაცი იგდო ხელთ ცოცხლად და დეიზიაში მოიყვანა.

კულბაკას ბონდიეში დაბრუნება და ამ სოფლის თავზე მტრის სააეიაციო ესკადრილის გაჩენა ერთი იყო. სოფლის თავზე ქორებივით დაიწყეს ტრიალი თვითმფრინავებმა, მაგრამ ისე კარგად ეიყავით შენიღბული, რომ ამ სოფელში ჩვენს ყოფნაზე ეჭვის მიტანაც კი შეუძლებელი იყო. მტრის მფრინავები დარწმუნდნენ სოფელში არავინ არისო, აქ-იქ ჩამოყარეს რამდენიმე ცალი ყუმბარა, შეტრიალდნენ და გზას გაუდგნენ.

მიუხედავად ამისა, მტერს შეეძლო სულ ჩქარა გაეგო ჩვენი აქ ყოფნა. ამიტომ აქ გაჩერებას შესაძლოა საბედისწერო შედეგი მოჰყოლოდა. წასასვლელად გავეშხადეთ, ამ დროს ისეთი თოვა დაიწყო, რომ თვალის გახელას ვერ ვახერხებდით. შტაბიდან ცნობა მივიღე. ბონდიეში ჩვენი თვითმფრინავი მოვა და მიიღეთო. წინადადება მომცეს თვითმფრინავის მისაღებად თადარიგი დამეჭირა. სოფლიდან გასვლის წინ მეორე ბატალიონი გამოვეყავი და თვითმფრინავის შესახვედრად ადგილზე დავტოვე. ბონდიეიდან გასვლის შემდეგ გვზი ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ ავიღეთ. ახლა მთავარი იყო ირგვლივ ტყედ შემომდგარ მტერს ხელიდან გავსხლტომოდეთ, ხაფანგისათვის თავი დავედწია.

მტრისათვის გზა-კვალის დაბნევის მიზნით გადაწყვიტეთ ისევ კასაბუდაში შეგვიხვია და იქ დაეხანა ცოცხალიყავით. ამ სოფელში ჩვენ დაახლოებით

ორი კვირის წინ ვიდექით. მტრისთვის წარმოუდგენელი იყო, თუ ჩვენ ისევ კასაბულაში დაებრუნდებოდით. ბონდიში თვითმფრინავის მისაღებად დატოვებული ბატალიონიც დაგვეწია. უამინდობის გამო თვითმფრინავის გამოგზავნა არ ზერბდებოა, რადიოგრაფით ეცნობებოდა ცენტრალურ პარტიზანულ შტაბს კიევიდან. ის-ის იყო ნაცნობი სოფლის საზღვრებს მიუვახლოვდით, როცა შტაბიდან შემდგომი მოქმედების გეგმა მივიღე: ბინები უნდა დაგვეკავეთ და თავდაცვა მოგვეწყოს იმ წესრიგით, როგორც ახლო წარსულში, ამ სოფელში ჩვენი ნაწილის ყოფნის დროს. ამ გეგმის თანახმად დივიზიის შტაბი და პირველი პოლკი სოფელ კასაბულაში დაბანაკდნენ, მეორე პოლკი კი მეზობელ სოფელ ვერხოვიცში მოეწყო, მესამე — სოფელ ვეპშეც-ზარეჩიში. ატალახიანებული გზა ქვემეხების და აღალების გადავლით მთლად მოიხნა და დაისერა. შტაბმა განკარგულება გასცა მტრისათვის კვალის დასაბნეველ სოფლების მისასვლელებსა და გზებზე თოვლი დაეყარათ. მტრის თვითმფრინავებს ამ სოფლებში პარტიზანების მოსვლაზე ექვი არ უნდა მიეტანათ.

კასაბულაში ფაშისტების გაზეთის ნომერს წაეაწყდით. ამ გაზეთს „სტრაუნალ ბუგამი“ ერქვა. იგი სოფლებშია გადმოგვეცეს. გაზეთის ეს ნომერი მოწმობდა, თუ როგორ აფორიაქებული იყვნენ გერმანელები. პარტიზანების პოლონეთის ტერიტორიაზე შემოსვლას მანამდე უდარდელად მყოფი პიტლერელები მწვეველ განიცდიდნენ; „პოლონელებო! — წერდა ეს, უკაცრავად პასუხია, გაზეთი — დიდმა და პატარამ აისხით იარაღი, გავრეკოთ პარტიზანებიო“. ვინ მოსთელის რაებს არ ჩმახავდნენ, რაებს არ რომაედნენ ფაშისტები, მაგრამ მათი პროპაგანდა ჩვენს წინააღმდეგ მიზანს ვერ აღწევდა.

თავდაცვის მოწყობას ჩემი პოლკის განლაგების მიდამოებში, ყურადღებულად ვხელმძღვანელობდი. მსახრისთვის საზღვრებზე თავდაცვას ჩამოვუარე და ბინაზე დაებრუნდი თუ არა, ქვემეხების შორეული ქუჩილი, ნაღმტყორცნელთა ყეფა, ტანკების ღრკიანი გავიგონე. თავზარდაცემული მცხოვრებლები საჩქაროდ ბინებში შევიდნენ და კარები ჩაიკეტეს.

— იწყება, რასაც მოველოდით! — მეუბნება ბერეენოი. ორივენი სასწრაფოდ ცხენებზე შევსხედით და თავდაცვის პოზიციებისაკენ გავქანდით. მოხვედრულმა მტერმა პირველ რიგში მთელი სისასტიკით მეორე და მესამე პოლკებს შემოუტია. ამ დროს პირველი პოლკის პირველი ბატალიონი შედარებით უშიშარ ადგილზე იდგა, მეორე ბატალიონი შარა გზას იცავდა. მოწინააღმდეგე მთელი სისასტიკით მეორე ბატალიონს ეკეთა და ცეცხლში გახვია. ამ ბატალიონის პირველი ასეულის მეთაური დოროფევი იყო. ჩვენებმა მომხდურებს მედგარი ცეცხლით უპასუხეს, მაგრამ რიცხობრივად ქარბ მოწინააღმდეგეს პირველმა ასეულმა ვერ გაუძლო და ნელ-ნელა უკან დახევა დაიწყო. როცა ეს ამბავი მომახსენეს, სასწრაფოდ ბრძოლის ადგილზე გავეშურე. „შესდექით, ნაბიჯი არ წარსდგათ უკან!“ — შევძახე მეზობლებს; იმავე წუთს მტრის ტანკები გამოჩნდნენ, ნელ-ნელა მოიზღაზნებოდნენ წინ. მეორე ბატალიონის მეორე ასეულს ვუბრძანე დოროფევისათვის საჩქაროდ ტანკმებრეტი იარაღი მიეწოდებიათ. უკვე თითქმის მთელი დივიზია ბრძოლაში ჩაება, სამკედრო-სასიცოცხლო შეტაკება გაჩაღდა.

ასეთი დამაბულობის დროს ვხედავ, რომ სანიტარები საკაცით ჩვენსკენ ვილაცას მოარბენინებენ.

— ვინ დაიჭრა! — შევეკითხე მათ შორიდანვე.

— დოროფევი მძიმედ დაიჭრა, ფეხში და ხელში...

აგერ მტრის თვითმფრინავებიც გამოჩნდნენ, ყუმბარები დაგვაყარეს. მაგრამ მარტო ამას როდი დაგვაჯერეს, მაშხალეებით ანიშნეს თავის არტილერიას პარტიზანების დაცვის ადგილმდებარეობა, არტილერიამაც ზუსტად იწყო ჩვენსკენ ყუმბარების გზაენა.

ისევ გამოჩნდა საკაცები, კვლავ გამოჰყავთ სანიტრებს დაჭრილი პარტიზანები. ჩქარა პირველი ბატალიონიც მთლიანად ჩაება ბრძოლაში, ამ ბატალიონს ტოუტი ხელმძღვანელობდა.

— დამხმარე ძალები მოგვაშველეთ! — შევატყობინე დივიზიის უფროსს.

— აბა საიდან და როგორ, სადა გვეყავს დამხმარე ძალები, მთელი დივიზია, დიდი და პატარა ბრძოლაშია ჩაბმული, — ასეთი იყო ვერშიგორას პასუხი.

— იარაღი მაინც მომაწოდეთ, არტილერიაა აუცილებელი! — განმეორებით შევატყობინე შტაბს.

— არტილერიას გიგზავნიით... რა ფასადაც არ უნდა დაგიჯდეთ, შელამებამდე შეაჩერეთ მტერი... ღამით მოვახერხებთ მტრის თავდაცვის გარღვევას და ალყიდან თავის დაღწევას, — მიბრძანა ვერშიგორამ.

პარტიზანებს ვუბრძანე ცეცხლი თანდათანობით შეენელებინათ და ბოლოს სრულებით შეეწყვიტათ. ასეც მოიქცნენ. ფაშისტები მოტყუდნენ, მათ ეგონათ პარტიზანებმა ვერ გაუძლეს ჩვენს ცეცხლს და მოკურცხლეს, ბურთი და მოედანი ჩვენ დაგვრჩაო, ამიტომ იყო, რომ გათამამებული გერმანელები გაშლილი შეტევით წამოვიდნენ. ტანკებმა ზღაზენით იწყეს წინსვლა, მათ უკან ქვეითი ჯარისკაცები მოსდევდნენ. ჩვენმა მენაღმებმა აქა-იქ შესძლეს შეუშინებლად გზის დანაღმვა. როგორც კი გერმანელები მოახლოვდნენ, ჩვენები ამოცვივდნენ ჩასაფრე-

ბიდან და ახლომოსულ მტერს მთელი ძალით შეუტიეს. მტრის ქვეითი ნაწილი იძულებული გახდა უკან დაეხია. მტრის ტანკები კი არ შესდგნენ, გზისევ განაგრეს. ამ დროს ზედაზედ გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა.

— რა მოხდა?! — ვკითხებთ მეკავშირეს.

— მტრის ორი ტანკი ჩვენს ნაღმზე აფეთქდა, — მომახსენა მან.

როგორც კი შეამჩნიეს წინ წამოსული ტანკების აფეთქება — მომყოლნი შედგნენ, ადგილიდან დაიწყეს სროლა.

— ამხანაგო, უფროსო! — სხაპა-სხუპით მელაპარაკება მეკავშირე, — ეს ეს არის ჩვენმა ქვემეხმა პირდაპირი დამიზნებით მწყობრიდან გამოიყვანა მტრის კიდევ ერთი ტანკი!

სამი ტანკის ზედიზედ განადგურება ასეთ უთანასწორო ბრძოლაში, პარტიზანებისათვის დიდი მიღწევა იყო.

მტერს შეუწელებლად მოსდიოდა მაშველი ძალები. მათი თვითმფრინავები სევეებივით ტრიალებდნენ პაერში, ყუმბარებს ჰყრიდნენ დაბლა. მტრის ქვეითი ნაწილიც, წყლან რომ უკან იხვედა, ახალი ძალებით შეესებინა და გადაჯგუფების შემდეგ ისევ გაშმაგებით მოგვაწყდა. მეორე ბატალიონი ამ დროს ორცეცხლშუა იყო მოქცეული, ბრძოლის სიმძიმის გადატანა მას უხდებოდა. იძულებული გაეხდით ერთი ასეული მეორე ბატალიონის მისაშველებლად გადამესროლა. ამ განსაცდელის წუთებში პირველი პოლკის მოსაშველებლად კავალერიის ერთი ესკადრონი გამოჩნდა. დავინახე თუ არა ესკადრონის მეთაური გუძენკო, ვუბრძანე: მოახერხე და შესძელი, რომ მტერს ზურგში მოქცე. როგორც კი ამ ბრძანებას შეასრულებ — მაშხალით მაცნობე, ნიშნის მოცემისთანავე ბატალიონი შეტევაზე გადმოვა და თქვენც ამ დროს მტერს ზურგში დაარტყით-მეთქი. ასეთი მოულოდნელი დარტყმით მოწინააღმდეგეს ვაიძუ-

ლებთ წინსვლაზე ხელი აიღოს და უკან დაიხიოს. ჩემს წინადადებაზე ესკადრონის მეთაური შედგა და დაფიქრა.

— რალას ფიქრობ, საქმეს შეუღდექი, ახლა ყოყმანის დრო არ არის, ყოველი წუთი ძვირფასია, — ვეუბნები ესკადრონის მეთაურს.

— არის, ამხანაგო უფროსო! მე მხოლოდ იმაზე დაფიქრდი, თუ როგორი წესრიგით გავიდე აქედან.

— აბა, შენ იცი... ახლა ყველაფერი შენს სიპარჯეზეა დამოკიდებული... ზურგიდან და შებლიდანაც მოულოდნელად უნდა დავარტყათ შტერს!

იმ წუთებში ჩვენს მებრძოლებს შტერის ოფიცერი დატყვევებინათ, იგი შტაბში მოიყვანეს. ტყვეს რატომღაც ისე თავისუფლად და უდარდელად ექირა თავი, თითქოს სადარბაზოდ ყოფილიყოს მოსული, დაკითხვას შეევუღდექი. ამ დროს ვერშიგორას განკარგულება მივიღე — ტყვე გერმანელი საჩქაროდ გამოგზავნეო. ოფიცერი გადავგზავნე, თანაც ბერეჟნოის ვთხოვე; ტყვის დაკითხვას დაესწარი-მეთქი. თუ ის რაიმე საყურადღებოს იტყოდა, მოკავშირის საშუალებით ბერეჟნოის ჩემთვის უნდა ეცნობებინა. ბერეჟნოის მკაცვით აღარ დასკირებია. მან თვითონ სიტყვა-სიტყვით გადმომცა დაკითხვის შინაარსი: ტყვეს თურმე გერმანული ენის კარგად მცოდნემ, ვალტერ ბრუნმა დაკითხვა:

— ოფიცერი ხართ? — ეს იყო პირველი შეკითხვა.

— დიახ! ოფიცერი ვარ! — უპასუხა გერმანელმა.

— რომელ ნაწილს ეკუთვნით?

— „ვიკინგის“ დივიზიას.

— საიდან მოხვედით?

— ზამოსტიეში იდგა ჩვენი ნაწილი, იქიდან გადმოგვისროლეს.

ვერშიგორას შეკითხვაზე, თუ ვინ იბრძვის თქვენი ნაწილის გარდა დღეს ჩვენს წინააღმდეგო, ტყვეს თანმიმდევ-

რობით ჩამოეთვალა: ასმეთხუთმეტე პოლკი, რომელიც ადრეუკანდელაში იყო დაბანაკებული, ვესელები პირველი პოლკი, კელცის პოლიციელების პოლკი, ესელები ოცდამეექვსე პოლკი ლიუბლინიდან, ოცდა მეორე პოლკი ლვოვიდან და მეორე პოლკი გალიციიდან. ამათ გარდა ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა კრაკოვის ახლად ჩამოყალიბებული სატანკო პოლკის მეორე ასეული.

— ეგ ნაწილები მთლიანი შემადგენლობით იბრძვიან, ჩვენს წინააღმდეგ? — შეეკითხა ვერშიგორა გერმანელ ოფიცერს.

— მთლიანად არა, ერთი ნაწილი ქალაქების და სოფლების დასაცავად ადგილებზე დაეტოვეთ.

— რა გითხრეს, როცა მოჰყავდით, ვის წინააღმდეგ უნდა გებრძოლათ, იცოდით თუ არა ეს?

— ვიცოდით! რუსეთის პარტიზანები გყავს ალყაში მომწყვედელი, ერთი დაკვრით უნდა გავსრისოთო, ასე გვითხრეს.

— მერე და ასე შტეციელ საიდან დარწმუნდით, რომ გავსრისდით, იქნებ პირიქით მოხდეს, ამაზე არ ფიქრიათ.

— არა, არ გვიფიქრია, — წარმოსთქვა გერმანელმა, — არ გვიფიქრია და აი რატომ: დიდძალი ჯარი მოვიყვანეთ აქ, არტილერია, ტანკები, ავიაცია და ნაღმმტყორცნელები ჩვენი ჯარის განკარგულებაშია. უთუოდ გეცოდინებათ, რომ თქვენ ფოლადისებურ ალყაში ხართ მოქცეული! — წყნარად და მშვიდად ლაპარაკობდა გერმანელი. ამ ოფიცერს პარტიზანები თითქმის დატყვევებულად მიაჩნდა და ამიტომ იყო ასე მშვიდათ და უდარდელად რომ ზაისობდა.

შეტრომ დამთავრა ტყვის დაკითხვა და საბოლოოდ მას ასე უთხრა: „ამ საღამოს ჩვენ გავარდევთ თქვენს ალყას“

და აქედან გავალთ. იცოდე, შენ წინ გაგვიძღვები და ისეთი გზით გაგვიყვან, სადაც შედარებით ნაკლები წინააღმდეგობაა მოსალოდნელი!"

— ვერ დაგპირდებით, ალყის გარღვევა შეუძლებელია, ეს ამოოცუნება!

პეტრომ წარბები შეიკუმუნა და დამჯავითებით უთხრა გერმანელ ოფიცერს:

— შენი საკუთარი თვლით დაინახე, რომ ეს ასე მოხდება. შენ თვითონ მოწმე იქნები, როგორ გავალთ სამშვიდობოზე!

— მე მაინც ვიტყვი, რომ ძალიან გაგმინელდებით.

— ვერ გავალთ, არა? მაშ ჩვენთან ერთად შენც მოკვდები! ეს იცოდე.

— რა ვუყოთ, — ბრძვეულად წამოიხროლა გერმანელმა, — მე ხომ რკინის ჯვარი მაქვს მიღებული, ესეც მეყოფა.

მზვერავმა მიჩკომ კუთხისაკენ დაიწია, იქ რკინის ჯვრები ეყარა ნაგავთან ერთად. ათიოდე მოხვეტა და ტყვეს მიაყარა. თანაც უთხრა: შენთვის ერთი ჯვარი უბოძებიათ, ჩვენ კი შეგვიძლია რამდენიმე ათეული ჯვარი ჩამოგვადოთ მუნდირზეო!

მიჩკოს ამ სიტყვაზე სიცილი წასკდათ ბიჭებს, მიჩკომ ტყვეს რამდენიმე ჯვარი დაჰკიდა გულზე. ფაშისტი ხმას არ იღებდა, პირიქით, ეს რეგვენი დაცინვას ვერ გრძნობდა, კმაყოფილების ნიშნად ჯვრებზე ზეღუბს ისევამდა და იღიმებოდა.

ტყვის დაკითხვა პეტროს დასრულებული არა ჰქონდა, რადიოს მშვეპარე ხმა რომ გაიშმა. ყველა სმენად გადავიქცით.

— ალლო, ალლო, პარტიზანებო! თქვენ მოგმართავთ, ისმინეთ! ამ ქამად სამწყება ალყად გარს გარტყიათ ჩვენი ჯარი. თუ არა გსურთ სავსებით განადგურება, 'იარალი დაჰყარეთ და დაგვმორჩილდით. გარანტიას გაძლევთ, რომ ყველა პარტიზანს სიცოცხლეს

შევუნარჩუნებთ... უზრუნველყოფთ ტანსაცმელით, ფეხსაცმელით, კრწქული სისმელებით—სულზე ორ ზანტისქონსაა გულ შამპანურს და ორ კოლოფ სიგარეტს გავცემთ დღეში. მიიღებთ ჩვენს წინადადებას — მოიგებთ, არა და თავს წააგებთ!

ამგვარ ფრაზებს ალბათ კიდევ ბლომად მოჩმახავდა მტრის რადიო, მაგრამ ბიჭებმა ყური აღარ დაუგდეს... ცეცხლივით აფთნენ ყველანი, წამდაუწყუმ ისმოდა წამოძახილები: „რას მიჰქარავენ ეს ძაღლები, რამდენიც უნდა იყუფონ, მაგათი დღეები მაინც დათვლილიაო“. პარტიზანების მრისხანებას საზღვარი არა ჰქონდა. მათ გრიგალისებური ცეცხლი დაუშინეს მოწინააღმდეგეს, მტერმაც საპასუხოდ ყველა საბრძოლო უბანზე ერთდროულად შემოგვიტია.

მართლაც მძიმე განსაცდელის წუთები დაიწყო... მე და ბერეჟნოი ბრძოლაში ჩავებით.

უცერად შტაბის მეკავშირე მოვიდა ჩვენთან: „გაუძელით, უსათუოდ გაუძელით, არაფრის გულისათვის უკან არ დაიხიოთ, საღამო აბლოვდება, შეღამდება თუ არა, მტრის რკალს გავარდევით და სამშვიდობოზე გავალთო“, — განმეორებით გვიბრძანებდა ვერშიგორა. ამასთან ისიც გავიგეთ, რომ მეორე პოლკი მტერს წარმატებით იგერიებს და მათ მტრის თვითმფრინავიც ჩამოგვდით. მეორე პოლკის წარმატებამ გაგვაშინევა და უფრო მეტი თავგანწირვით ვიწყეთ მტრის იერიშების მოგერიება. ცოცხალი ძალების შენარჩუნების და მომარჯვებული პოზიციების დაკავების მიზნით ახალ ადგილზე გადავინაცვლეთ. შეღამებული იყო, როცა შტაბმა ახალი მეკავშირე აფრინა ჩვენთან: „მტრის ალყა გარღვეულია, მოემზადეთ ალყიდან ბრძოლით გასასვლელადო“. მტერი მიხვდა თავის მარცხს, უფრო გაცოფდა და კრაზანებივით შემოგვესია. შტაბის განკარგუ-

ლება ასეთი იყო: სანამდე დივიზია მტრის ალყადან მთლიანად არ გავიდოდა, პირველი პოლკი ადგილზე უნდა დარჩენილიყო და განეგრძო მტრის მოგერიება. ქუჩა დაჰკარგა მოწინააღმდეგე, ვერ შეუტრიგდა იმ ამბავს, რომ ხელიდან ვუსხლტებოდით, გააფთრებით იწყო იერიშებზე გადმოსვლა. განსაკუთრებულად ჩავარდა პირველი პოლკი; მას ხომ ყველაზე დიდი მოვალეობა ეკისრა: ერთდროულად მტრის მოგერიება და დივიზიისათვის უხეფათოდ სამშვიდობოს გასვლის უზრუნველყოფა.

გერმანელებმა სოფლის განაპირა სახლებს ხანძარი გაუჩინეს, ცეცხლის ენები აღიმართნენ კასაბუდას საზღვრებზე. პარტიზანულმა დივიზიამ მდგარი შეტევით გააჩრდია მტრის რკალი და იწყო სამშვიდობოზე გასვლა. დივიზიის შეჩერება ახლა უკვე შეუძლებელი იყო. ამ ცხარე ბრძოლის წუთებში ჩემთან პარტიზანმა მობირბინა და სულმოუთქმელად მომასხენა:

— ამხანაგო უფროსო, ჩვენი მენაღმე მუშაობის დროს მტრის ტანკმა გასრისა!

მალე მეორე პარტიზანი მოვიდა და მითხრა:

— ამხანაგო უფროსო, მესამე პოლკის ბიჭებმა გადმომცეს, რომ მათი პოლკის მეტყვიამფრქვევე მტერმა ალყაში მოიქცია, მან ვერ შესძლო ტყვიამფრქვევის სამშვიდობოზე გამოტანა, მაგრამ მტერს არ დანებდა ცოცხლად, ხელში არ ჩაუვარდა და შებღში რევოლვერის ტყვია იკრა.

ასე იბრძოდნენ ჩვენი პარტიზანები. პოლონეთის მინდორ-ველები მოირწყო გმირთა სისხლით.

მალე მეორე და მესამე პოლკები მტრის ალყიდან უკვე გავიდნენ. ჰვემებების ჰეჰა-ჰეზილში დასტოვა ჩვენმა დივიზიამ კასაბუდას მისადგომები და ბრძოლით მის საზღვრებს გასცდა. დაბურულმა ტყემ და კუბრით შევ-

მა ღამემ ხელი შეგვიწყო, მტრის რკალი უმნიშვნელო მსხვერპლებს კვლავით გაეარღვიეთ. ფაშისტებმა ჩვენს ტყვეებს თუ როგორ გაეუსხლტით ხელიდან, ამიტომ იერიში იერიშზე მოჰქონდა, მაგრამ ამოდ!.. ჩვენი მტრის მოგერიებას ახერხებდნენ და ერთდროულად წინ მიდიოდნენ.

პირველი პოლკის ცხენოსანი დაზვერვა, სამოცი კაცის შემადგენლობით, კასაბუდადან გამოსვლის წინ სოფელში დაეტოვეთ. მანხალეობით გაშუქებულ მტრის ჩასაფრებას ჩვენმა მზვერავებმა სასტიკი ცეცხლი დაუშინეს.

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა თითქოს შეტევისათვის ვეშაადებოდით. სინამდვილეში მტრისათვის გზის აბნევა გეწადა. თუ ზოგჯერ ჩასაფრებიდან მტერი ამოძვრებოდა და დაგვედევნებოდა, მას მზვერავები ტყვიამფრქვევებით და ავტომატებით ცელავდნენ.

ახლა მთავარი ის იყო, რომ მტრის გზა აგვენია, მისთვის შეუძინეველნი გაემხდარიყავით, მაგრამ ყველა შარაგზა და სოფლის ბილიკი მტერს მაგრად ჩაეკეტა. ამოყრიდით თუ არა ჰიტლერულ ყორნებს ერთი ჩასაფრებიდან და წინ წავიწევდით, ისევე ახალ ჩასაფრებას წაეაწყდებოდით ხოლმე. ეს დაუსრულებელი ჩასაფრებები იძულებულს გვზდიდა წამდაუწყებ ბრძოლაში ჩავბმულიყავით, ამას კი ცოცხალი ძალის დაკარგვა მოსდევდა. ამიტომ ჩვენ სრულიად აეუარეთ გვერდი მთავარ გზებს და ტყე-ტყე სიარული დაიწყეთ. ამ ჩვენს ტაქტიკას მტერმა ალლო აულო, ამიტომ მათ არტილერიის და ნალმტყორცნელების ყუმბარები, ახლა ტყეს დაუშინეს. ტყე პარტიზანების მეუდამ საიმედო თავშესაფარი იყო და ამჟამადაც, ცხადია, ის ასეთად დარჩა: ყუმბარების ცეცხლი ასწლოვან მუხებს და ფიჭვნაძენარს ასკდებოდა, პარტიზანები კი უვნებლად ვრჩებოდით და წინ მივიწევდით.

— რას ჩაფიქრებულხარ? — ეკითხება ტყვე ჰიტლერელ ოფიცერს თარჯიმანი ბრუნი. ბრუნი და გერმანელი ოფიცერი ალაღზე ისხდნენ.

ტყვე ერთხანს ჩუმად იყო. ბრუნი კვლავ ეკითხებოდა:

— ჰა, ამოიღე ხმა, რას იტყვი, გავაღწიეთ თუ არა თავი თქვენს ალყას?

— ჰიტლერელმა მხრები აიჩიჩა.

— რა ვიცი, რა მოგახსენო? — წარმოსთქვა მან.

— როგორ? ნუ თუ კიდევ ვეპი გეპარება?

— არა, აქ საეჭვო აღარაფერია, მხოლოდ ეს ჩემთვის საესებით მოულოდნელი ამბავია.

— შენ ხომ ასე ამბობდი, ფრთები რომ გამოისხათ, აქედან ვერ გახვალთო. ჩვენ არც ფრთები დაგვეკირდა და თქვენი პოლკებიც საფუძვლიანად მოგებეგვეთ და შევთახელეთ.

— თქვენ რომ გენახათ, თუ რა აუარებელი ჯარები მოგეყარეთ თქვენს ბანაკს — იმასვე იტყოდით, რასაც მე დაკითხვის დროს ვამბობდი. ჩვენებს ბეჯითად და უტყუარად ჰქონდათ თქვენი დატყვევება გაანგარიშებულნი; ამ ბრძოლის შემდეგ პარტიზანების შტაბი და მეთაურები ბერლინში უნდა გადაგვეგზავნა, მაგრამ დახეთ, ჩვენი გეგმები სულ ყირამალა დადგა, — ჩაილაპარაკა ოფიცერმა.

მივდიოდით წინ და ახლა მტრის ჩასაფრებანიც ძალზე იშვიათად გვხვდებოდა. აღარ ისმოდა ქვემეხების ქუსილი. ბატალიონების და ასეულების მეთაურებს გამოეუძახებ, ყველა მებრძოლი ხომ ადგილზე არის-მეთქი ვიკითხე.

— ესეც არის, ტყეში გაფანტულები საბოლოოდ შეეერთდით და აღრიცხვაც ჩაეატარეთ. ყველანი უკლებლივ ადგილზეა, ერთი პარტიზანი არ გვაკლია, — იყო პასუხი. ამის შემდეგ მე და ტოუტმა პირადად ჩამოეთარეთ და

შევამოწმეთ ნაწილები, მებრძოლები უკლებლივ აღმოჩნდნენ. ერთხანს ამასობაში ცხენოსანნიც ჩამოგვეწია. იგი უკან იყო დატოვებული, რათა მღვერისათვის გზა გადაეღობა. როგორც ჩვენ, მეორე და მესამე პოლკებსაც ჩამოეტოვებინათ უკან მზვერაეები. ესენი ერთმანეთს დაკავშირებოდნენ და თავდაცვიდან ერთად მოხსნილიყვნენ. დაზვერვის ხელმძღვანელმა გვიამბო:

— დიდი გაჭირვებით შევძელით სოფლიდან გამოძრომა, ჩვენი წამოსვლა და სოფელში ტანკებით მტრის შემოჭრა ერთი იყო. აურხაურმა მოიცვა სოფელი, დაკოდილი მხეცებივით ასკდებოდნენ ტანკები იქაურობას, ჩანდა ჩვენზე სანადიროდ ემზადებოდნენ.

სინანულით ვიგონებდით განვლილ ზამთარს. ზამთარში გზები და მთლიანად ნიადაგი ყინვისაგან ისე იყო შეკრული, გეგონებოდა ასფალტი დაუგიათო. ახლა კი, ამ გაზაფხულზე, ყველგან გაუვალი ტალახი იდგა. მხოლოდ წვრილი ქვიშით მოკირწყლული შარა გზები-ლა იყო მშრალი, მაგრამ ეს გზები მტერსა ჰქონდა დაკავებული. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სატანჯველი იქნებოდა მუხლამდე ტალახში, ტყე-ტყე ალაღებით მოგზაურობა. მოგვექანცა ტალახიდან ალაღების წარამარა ამოთრევემ, მზად ვიყავით მხარზე გაგვედო ისინი და ისე გვეტარებინა. კიდევ უფრო მძიმე იყო ასეთ პირობებში დაკრილ-დაავადებულთა მდგომარეობა, მათ ხომ ჩვენ მუდამ ალაღებით ვატარებდით!

— დავით ილიას-ძე, დავით ილიას-ძე! — მომესმა ყრუ ხმა, — აქეთ, აქეთ, დავით ილიას-ძე, აქეთ გამოიხედე.

ალაღზე მწოლიარე ავადმყოფს დავატყერდი და გრიგოლ ღორთფევე ვიცანი.

— შენთან დავით ილიას-ძე, ერთი სათხოვარი საქმე მაქვს, — ძლივს-ძლი-

ვობით წარმოსთქვა მან, თან ჩალურჯებული მშრალი ტუჩები მოილოკა. მის თავთან ახლო, ალაღზე მჯდარმა ეწთანმა ავადმყოფს შეშით წყალი მიაწოდა. დოროფევემა წყლის ორი ყლუპით სული მოიბრუნა.

— ისეთი რა უნდა დამავალო, ჩემო გრიშა, რომ ვერ შეგისრულო, — ვეუბნები დოროფევეს.

— სიტყვა მომეცი, რომ ჩემს დავალებას, ჩემს თხოვნას შემისრულებ!

— რათ გინდა ამდენი თხოვნა, მითხარი!

— თქვენ კარგად გახსოვთ, თუ როგორ ვიბრძოდი!

— კარგად მახსოვს.

— მე მტრისათვის არასოდეს ზურგი არ მიჩვენებია!

— არასდროს!

— მე ხელჩართულ ბრძოლაში დავიჭერი!

— ესეც მართალია!

— მძიმედ, სასიკვდილოდ!

— მძიმედ დაიჭერი და არა სასიკვდილოდ!

— არა, ნუ მანუგეშებ. მე ამის შემდეგ კაცად და მებრძოლად აღარ გამოვდგები.

— რატომ ფიქრობ ასე, განიკურნები და შენ ისეთივე გრიგოლ დოროფევეი იქნები, როგორც წინათ იყავი.

— არა, ეს ასე არ იქნება, მე უძვე მკვდრების სიაში ვწერია... მე არ შემოძლია თქვენს ბრძოლებს გულგრილად ვუცქირო, უმოქმედობა მკლავს, სულს მიხუთავს!

ქხედავდი, რომ დოროფევეი საშინლად ნერვიულობდა; ექიმებს კი მისი განკურნების იმედი დაკარგული არა მქონდათ.

— დაწყნარდი, დამშვიდდი, ჩემო გრიშა, ყველაფერი კარგად იქნება.

— მაშ, ჩემს თხოვნას არ შემისრულებ?

— აკი გითხარი, მზადა ვარ-მეთქი.

— ჰო, და, რადგანაც ასეა, ჩემი ძმური და მეგობრული ვაჟი იქნება, განკარგულება გასცე ზედღმერთმოდონ!

— როგორ თუ ბოლო მოგიღონ, არ მესმის რას ამბობ?

— ერთი ტყვია გაიმეტეთ ჩემთვის!

— ეს, ჩემო გრიშა, მე საბოლოოდ დაერწმუნდი, რომ შენ ორნაირი მკურნალობას საჭიროებ, კრილობისა და ნერვების, უფრო კი ნერვებისას.

გრიგოლ დოროფევეი, მართალია, მძიმედ იყო დაჭრილი, მაგრამ მას კრილობა იმდენად არ აწუხებდა, რამდენად თავისი ხვედრი — უმოქმედობა, მებრძოლთა რიგებიდან გამოთიშვა.

როგორც შემეძლო, დავაწყენარე შემოთიშული მებრძოლი და კვლავ პოლკს გამოვუდექი, თავში მოვექეცი.

ნელი ნაბიჯით განვაგრძობთ წინსვლას, ტალახი თითქოს უფრო მატულობს, მოძრაობა გეიჭირს... ისევ დავეწია მტერი, კვლავ მოგვდევს, მისი მოწყვეტა არ გვიხერხდება. ნაცად საშუალებას მივმართეთ: ყველა პოლიკიდან ცხენოსანი ნაწილები გამოვყავით და ლიუბლინის მიმართულებით დივერსიების ჩასატარებლად გავისტუმრეთ. ეიცოდით მტერი ამ ნაწილებს გამოეკიდებოდა და ჩვენ შეღავათს ვიგრძნობდით.

დადლილ-დაქანცული ალაღზე გადავჯექი, თავზე საწვიმარი წამოვისხი და ელემტრო ნათურათი რუკას დავაცქირდი.

ადგილმდებარეობაში მალე გავერკვიე. წინ მდებარე რკინიგზის ხაზი, გადასარბენი და პატარა სადგური გავარჩიე.

მაშ რკინიგზის ხაზს მალე დავუახლოვედებით, გადასასვლელზე მოგვინდება გადარბენა, გადაგვიშვებენ კი ასე ადვილად? მტერი უთუოდ ბრძოლას გაგვიმართავს! მაგრამ ჩვენს მიხილოვებას იქნებ ის არც მოეღოს, მაშინ უბრძოლველად გადავირბენთ ხაზზე, ბრძოლას თავიდან ავიციდნით. ამ

ფიქრებში ვიყავ გართული, როცა კოლონიის თავში ქექა-ქუხილი გაისმა და ჩვენები მტერთან ბრძოლაში ჩაებნენ. მიუახლოვდა თუ არა კოლონა გადასარბენს, ჩასადრებული მტერი მას ძლიერი ცეცხლით შემოხვდა. იქვე, მახლობლად, სადგურზე, მტრის ტანკებით დატვირთული ეშელონი მდგარიყო. ტანკისტებმა დია პლატფორმებზე შეაბრუნეს ქვემეხები და სროლა დაგვიწყეს. კულბაკა თავის პოლკით ქვემეხების ცეცხლის არეში მოექცა. პარტიზანებმა მოახერხეს და ტანკაწინააღმდეგო ყუმბარებით რამდენიმე ტანკი მწყობრიდან გამოიყვანეს. ტანკების მარცხმა მტერი დააბნია, ამ შემთხვევით ჩვენებმა ისარგებლეს და ხაზზე გადაბრუნა დაიწყეს. მტერმა ახლა მოტრასირე ტყვიები დაგვიშინა, მაგრამ ხაზზე ჩვენი გადასვლის შეფერხება მაინც ვერ შესძლო.

ღამე დასასრულს უახლოვდებოდა. აღმოსავლეთით ცა ჯერ მოიფერცლა, შემდეგ წითელი ზოლებით დაისერა. ის იყო ირივრეა კიდეც. როცა სოფელ კონტრატს მივალწიეთ. როგორც სხვაგან, კონტრატშიაც მოსალოდნელი იყო მტრის ჩასაფრება, ამიტომ პირველ რიგში სოფელში ცხენოსანთა ესკადრონი შეიჭრა. ესკადრონის მეთაურმა ლენკინმა მოიარა სოფლის ყველა კუნძული და მტერი ვერსად აღმოაჩინა. სხვათა შორის ლენკინის ესკადრონი ამჟამად რეგულიარული ცხენოსანი ჯარის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ჩვენს დივიზიაში მას საპატიო ადგილი ეჭირა. პარტიზანული შენაერთის ჩამოყალიბების პირველ პერიოდში ლენკინის ცხენოსანთა პატარა ჯგუფს კომისარი რუდნევი ცოტა არ იყოს ეპყის თვალთ უცქეროდა, „იესოს კავალერიას“ ეძახდა მას. მკითხველი ალბათ იკითხავს, თუ რატომ იყო რუდნევი ცხენოსანთა ჯგუფზე არა სახარბიელო აზრისა: იმიტომ, რომ პირველ ხანებში ცხენოსანთა ჯგუფი ძალზე

მცირე იყო და ის რამდენიმე გამხდარი, „სამფეხა ცხენი“ სამხედრო ფელა სავრისით, არავითარ დინამიტურქმებს არ წარმოადგენდა. პირველ რიგში ამას რუდნევი კარგად ხედავდა, მაგრამ კოვბაკის ხათრით არაფერს ამბობდა, მხოლოდ დრო და დრო თუ იკითხავდა: „სად არიან ნეტავი“ იესოს „ცხენოსნებით“.

რუდნევის ასეთ კითხვას ერთხელ ყური მოჰკრა ლენკინმა, უღლაშები გაისწორა, ჩაახველა და რუდნევის მიმართა: „ჩვენ პარტიზანები ვართ. იესოსთან არაფერი საერთო არა გვაქვსო!“ ლენკინის საყვედურზე კომისარმა თვალები ძირს დახარა, სახეზე დიმილმა გადაურბინა. ახლა კი ცხენოსანი ნაწილის როლი ჩვენს დივიზიაში იმდენად გაიზარდა, რომ ბევრ შემთხვევაში მის გარეშე ნაბიჯის წინ გადადგმა გვიძინდებოდა. ლენკინმა კონტრატში არსებული ვითარების შესახებ შტაბს აცნობა და კოლონამაც გაბედულად იწყო სოფელში შესვლა. ცუდი ამინდისა და გზების გამო დივიზია რამდენიმე კილომეტრზე იყო გაბმული. მე ჩემი პოლკით კოლონის ბოლოში ვიყავი მოქცეული. სოფლამდე მიღწევა გავგიჟიანურდა, კონტრათი მოზრდილი სოფელი აღმოჩნდა, თანაც მთავარიანი და ამ შემთხვევაში ჩვენთვის ხელსაყრელი. კარგათ მოვეწყვეთ, აქ რამდენიმე დღე დავეყავით. მტერი თითქოს საბოლოოდ მოგწყყდა, ამასობაში ქალაქ ლიუბლინის რაიონში გაგზავნილი სადივერსით ჯგუფებიც დაბრუნდნენ.

ერთ-ერთ სადივერსით ჯგუფს თან მოჰყვა ოთხმოცი კაციდან შემდგარი პარტიზანული რაზმი. ეს რაზმი საკონტენტრაციო ბანაკებიდან თავდაღწეული საბჭოთა არმიელებისაგან შესდგებოდა. პარტიზანებს პოლონეთში ჩვენი დივიზიის მოსვლა და ჩვენი ბრძოლების ამბავი გაეგოთ. თურმე დღედაღამე ჩვენს რიგებში ჩაწერაზე

ოცნებობდნენ. შეუიარაღებელი და სანახევროდ შიშველ-ტიტველი იყვნენ, მათს შტაბის უფროსს კაზიკს ეძახოდნენ. ამ კაზიკს მე შორიდან მოვაველე თვალი: საშუალო ტანის იყო, მოშავგვრემანო. თუ რომელ ერს ეკუთვნოდა, დიდხანს ჩემთვის და ალბათ სხვისთვისაც გაუგებარი იყო, ვინაიდან მისი ლაპარაკის აქცენტი რუსული არ იყო. ვინ იყო ეს კაზიკი, ამაზე დაწერილებით ქვევით მოგახსენებთ.

ეს კაზიკი ვერშიგორამ შტაბში მიიხმო.

— პარტიზანების ხელმძღვანელი ხარ? — შეეკითხა მას ვერშიგორა.

— დიან, აგრეა, ხელმძღვანელი ვახლავართ!

— რა ხალხია თქვენი პარტიზანები, საიდან მოხვედით?

— ოთხი კაცის გარდა, სამკოთა ქვეშევრდომები ვართ.

ის ოთხი ვინ არის?

— პოლონელებია, ჯარისკაცები, სურვილი განაცხადეს ჩვენს რაზმში ჩაწერაზე, ჩვენც მივიღეთ, კარგი ბიჭები არიან.

პეტრომ კაზიკს დაწერილებით გამოკითხა, თუ როგორ ურთიერთობაში არიან პარტიზანები პოლონელ ხალხთან, ვინ აწვდის მათ საზარდოს, იარაღს და ტანსაცმელს, როგორ იბრძოდნენ დღემდე, აწყობდნენ თუ არა დივერსიებს მტრის წინააღმდეგ.

კაზიკმა პეტროს ყველა შეკითხვაზე ამომწურავი და სრულიად დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა, მან თქვა:

— მოუხედავად იმისა, რომ გერმანელები პარტიზანებთან კავშირისათვის მოსახლეობას სასტიკად სჯიდნენ, გლეხები მაინც ახერხებდნენ ჩვენიან ურთიერთობის დამყარებას, შელამისას იხმობდნენ ხოლმე თანამემამულე პარტიზანებს, სურსათით დატვირთავდნენ და გამოისტუმრებდნენ. პოლონელმა პარტიზანებმა დიდი ამაგი დაგვდეს, ჯერ თუნდაც მარტო იმით, რომ ენა

იკოდნენ, ადგილმდებარეობაში შედმიწეენით კარგად ერკვეოდნენ. რომ ესენი არა, პოლონეთში ვრდნა მკლან გაგვივირდებოდა.

ჩვენი სადივერსიო ჯგუფები მეტწილად რკინიგზის ხაზის აყრაზე, «ფოლვარკების» და ხიდების აფეთქებაზე მუშაობდნენ.

კაზიკმა ფრიად საინტერესო ამბავი გადმოგვცა; მან გვითხრა: «გერმანელები პოლონელების გულის მოსაგებად ათასგვარ ფანდებს მიმართავენ, მაგრამ პოლონელ ხალხს მაინც ჭირივით სძულს დამპყრობლები. ერთხელ ფაშისტებმა ლიუბლინელ მოსახლეობას გამოუცხადეს: ხვალ, დღის თორმეტ საათზე ჩვენები მატარებლით ტყვეებს ჩამოატარებენ, ტყვეების მეტი ნაწილი პოლონელები არიან. ჩვენ არ დაგიშლით თუ კი სურსათ-საწოვავით შეხვდებით ტყვეებს! დატრიალდა ხალხი, — ნამცხვრით, რძით, კარაჭით და ხილით გამოვიდნენ სადგურზე, ტევა არ იყო, სადგურის წინა და უკანა ბაქანი გაიქედა მცხოვრებლებით. მოთმინება არ ჰყოფნიდათ, ზოგი ქმრის, ზოგი მამის, ძმის და ზოგიც ნაცნობ-მეგობრის გამოჩენას მოელოდა. უცრად სადგურის თანდარმებმა ხალხს ბაქნების დატოვება უბრძანეს, ჩვენ თავის დროზე გაცნობებთ მატარებლის მოახლოებას. ორმა მატარებელმა ჩაიარა და შემდეგ კომუნდანტმაც განკარგულება გასცა: მატარებლის შესახვედრათ გაემზადეთო! ხალხი კვლავ ბაქანზე გამოვიდა, ატყდა ჭურჭლების რახარუხი, ფუნთუშებიანი თევშები კალათებიდან ამოალაგეს. მატარებელიც ჩამოდგა და მოულოდნელად ფანჯრებიდან და კარებიდან გერმანელი ჯარისკაცების და მეთაურების თავები გამოჩნდა, ერთდროულად კინოაპარატი ამუშავდა, სურათის გადაღებას მიჰყევს ხელი. პოლონელი, და საზოგადოდ ტყვე, არავის თვალთ არ უნახავს, ასე მოატყუეს ხალხი. მოგვი-

ნებით, შემდეგში მოსახლეობამ გაიგო, რომ გერმანელების კინო-ქრონიკამ დიდი ხმაურით და რეკლამებით გამოაქვეყნა ეს ფილმი. სხვათა შორის ასეთი ონები ფაშისტებმა უკრაინა-ბელორუსიაში ყოფნის დროსაც გაითამაშეს, ეს ჩვენ აღრეც გვექონდა გაგონილი.

კაზიკმა განაგრძო: ჩვენს რაზმში რიცხებოდა პოლონელი მეკავშირე ქალი. რაგინდ რთული დავალება არ უნდა მიგვეცა მისთვის, ყოველთვის დროულად და ზუსტად შეასრულებდა. ამ ქალის წყალობით მუდამ ვიცოდით, თუ რას აკეთებდა მტერი, როგორი იყო მისი განზრახვა. ქალი უტყუარად გვეტყოდა ხოლმე, თუ სად რა რაოდენობით იდგა პიტლერელების ცოცხალი ძალა, რა იარაღი გააჩნდათ მათ, სად გადინაცვლეს წინადლით და ა. შ. ჩვენ ესარგებლობდით ამ ცნობებით, საჭირო ზომებს დროზე ვიღებდით, სახიფათო არე-მარეს დროულად გავეცლებოდით. მეკავშირეს სიტყვა გამართლებოდა და მტერი ჩვენს მიერ ლატოვებულ ადგილს გარს შემოერთებოდა-ხოლმე. დიდი მითქმა-მოთქმა იყო ამ მეკავშირე ქალზე ჩვენს სამოქმედო რაიონში. ამ ქალის ამბავმა გერმანელების ყურამდე მიაღწია. დიდი სასყიდლის გაღების შემდეგ ის ცოცხლად იგდეს ხელთ ფაშისტებმა და მას ასეთი კითხვა მისცეს:

— თქვენ იკისრეთ, ქალბატონო, საბჭოთა ქვეყნის პარტიზანების მეკავშირეობა?

ქალი პირველად გაჩუმებულიყო, შემდეგ ეპასუხა: „დიახ, ეს ასეა?“

— მერე და რატომ გახდით მტრის მეკავშირედი?

— მე ისინი მტრებად არ მიმაჩნია!

— აბა, მოყვრები არიან?

— დიახ, ისინი ჩემი სამშობლოს დამსხნელები არიან!

— ახლავე გაათრიეთ ეს არამზად და ლუკმა-ლუკმა აკუწეთ! — გაცეკომენდანტს განკარგულეზბარქინენულ ჯარისკაცებს ქალი საშხნელ წამებით მოეკლათ.

დაზვერვიდან დაბრუნებული ბიჭები შტაბში ვიხმე. „რა ჰქენით, რა ზარალი მიაყენეთ მტერს?“ — შევეკითხე მათ.

— სამუდამოდ დავამახსოვრეთ თავი, დიდხანს ვერ მოიშუშებენ ჩვენს მიერ მიყენებულ ჰეროობებს! — მიპასუხა ბოკარევიძე.

ჯგუფის ხელმძღვანელს სერდიუკს წაღების ძირი გაეარდნოდა და გამოსაცვლელად თავის ბატალიონში შეეწელო, ამიტომ გამოძახებისთანავე პირველად ჩემთან ბოკარევი შემოვიდა.

— იცით, ამხანაგო მეთაურო, — მითხრა ბოკარევიძე, — ჰანის ერთი ისეთი სასახლე დავარბიეთ, რომ ციხე-სიმაგრესა ჰგავდა. გლეხები გაოცდნენ, ვერ წარმოედგინათ ისეთი დიდი კერპის ასე მალე დამსობა, როგორც მათი მემამულე იყო.

— ბინაში იყო მემამულე? — შევეკითხე ბოკარევის.

— დიახ, ბინაში იყო. ავტომატით შემოგვიტია, იარაღში ჩასხმული მცველები ფეხზე დააყენა. ჩვენც პირველ რიგში პანი დავატყვევეთ. სულ უკანასკნელი ოთხი ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწის პატრონია ჩვენი პანი და ერთი ამდენივე ტყისაო, — გვითხრეს გლეხებმა.

სახნავ-სათესი მიწების ხსენებაზე ბიჭების ერთმა წყებამ განზე იწყო ცქერა და ჩემი სიცილი აუტყდათ. ზოგმა ტუჩზე ხელი აიფარა და ჩემად იცინოდა. მზვერაების ამ საქციელმა ცოტა არ იყოს გამოაცა.

— რას იღიმებით, რა მოგივიდათ? — შევეკითხე ბიჭებს.

— არაფერი, ამხანაგო უფროსო, რაღაც მოგვაგონდა და იმაზე გავფიცინა!

— მაინც?

— უთხარი, ამხანაგო ბოკარე, დასამალავი არაფერია!

ამ ლაპარაკის დროს სერდიუკი შემოვიდა.

ბოკარემა განაგრძო: როდესაც გლეხებმა გვიტარეს, ჩვენი პანი დიდი შემამულეაო, ამხანაგმა სერდიუკმა წინადადება მოგვცა: მოდი, ბიჭებო, პანის მიწები გლეხებს შორის გაუანაწილოთ! სავსებით სამართლიანი წინადადება იყო, მაგრამ აბა ჩვენ სადა გვექონდა იმისი დრო, ან იმდენი ჩწმუნება ვინ მოგვცა, რომ ერთი ბატალიონის ძალებით მიწის რეფორმის განხორციელება დაგვეწყო. ამიტომ ბატალიონის მებრძოლმა ზინჩენკომ სერდიუკს ასე მიმართა: „Це, товарищ Комбат, политика не баталионного масштаба“, ზინჩენკოს გონებაშეხილურ სიტყვაზე ბევრი იცინეს ბიჭებმა.

სხვათა შორის, ჩვენს, პოლკში პარტიზანი ზინჩენკო ცნობილი იყო, როგორც მოსწრებული და მახვილი სიტყვის პატრონი.

კვლავ კონდრატში ვსხედვართ და ვისვენებთ. მეტად დროული, საჭირო და სასარგებლო იყო ეს დასვენება: ამ უკანასკნელ დროს ისეთი ქარცეცხლი გავიარეთ, რომ ძარღვები მთლად აფორიაქებული გვექონდა.

სწორედ ამ ხანებში პოლკის პარტიზანგანზიანების მდივანმა ამხანაგმა ნეპომნიასშიმ მითხრა: რამდენი ხანია, ამხანაგო დავით ილიას-ძვე, მას შემდეგ, რაც პარტიული კრება არ მოგვიწვევია. პარტიაში მისაღებ ამხანაგების ბევრი განცხადებები დაგროვდა, გარჩევია საჭირო, დღეს გვაქვს კრების მოწვევა განზრახული!

— უკეთეს დროს ვერ შევარჩევთ, — ვუპასუხე მას.

კრება შესდგა. გულდასმით განვიხილეთ განცხადებები, დიდი და საინტერესო კამათი გაიმართა პარტიაში მისაღები ამხანაგების ორგვლივ. მიღე-

ბა შესდგა, შედეგით ყველა კმაყოფილი დავრჩით. კრებას ამხანაგი მოსკალენკოც ესწრებოდა.

თითქოს დაეიწყა მტერს ჩვენი არსებობა, აგერ მეოთხე დღეა კონდრატში ვართ და სოფლის ახლო-მახლო ერთხელაც არ გამოჩენილა.

ერთ საღამოს ბინდი ჩამოწვა. ატყდა ფუსფუსი პარტიზანთა ბანაკში: „ასეული, მწუბარში ჩადექ!“ — გაისმა მეთაურების ბრძანება. სრული წესრიგით გავედით სოფლიდან და სოფელ ოტრატჩში დავბანაკდით. უკან არც ერთი ზიდი არ დაგვიტოვებია გაუნადგურებელი.

შემკული სოფელია ოტრატჩი, მთაგორიანი, ლამაზი, განიერი ქუჩებით. შენობები ბალ-ბოსტნებითაა გარემოცული. დივიზიის შტაბიდან ბრძანება მივიღე საჩქაროდ გამომეყო სადივერსიო ჯგუფი და ახლო მდებარე სამხედრო ობიექტების გასანადგურებლად გამეგზავნა, ერთდროულად სურსათ-სანოვაგის შექმნაზე უნდა მეზრუნა. სადივერსიო ჯგუფი დანიშნულების ადგილზე გავგზავნე და თან მწე ბოგოლიუბოვი სურსათის შესაძენად გავაყოლე.

ახლა ყველაზე მეტად დაჭრილ-დაავადებულების მდგომარეობა გვაწუხებდა. მკურნალობის თვალსაზრისით ყველა ავადმყოფის საერთო ქვაბიდან კვება შეუძლებელი იყო. აქ ძლიერ შეგვიწყვეს ხელი პოლონელმა გლეხებმა. მათდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ყოველ დღეს უსასყიდლოდ მოჰქონდათ ავადმყოფებისათვის რძე, ნალები, კარაქი და კვერცხი.

— მიირთვით, ფეხზე დადექით, მტერთან ანგარიში გაასწორეთ და ოჯახში მშვიდობით დაბრუნდითო, — თბილად მიმართავდნენ ამ სიტყვებით დაჭრილ-დაავადებულებს. პოლონელი ღიასახლისები.

რამდენადაც მოსახერხებელი იყო ჩვენს პირობებში, პარტიზანები მტე-

ცნდ ვიცავდით ჰიგიენურ წესებს: ოტ-რანში ყოფნის დროსაც კარგად დავსუფთავდით, წვერი გავიპარეთ. რიგითი მებრძოლებს წესრიგიანობის მაგალითს ამ შემთხვევაში მეთაურები ვაძლევდით. საკმაო იყო დასვენების პერიოდში მეთაურს პარტიზანისათვის სხეულის ან ტანსაცმელის გაქუქვიანება შეენიშნა, დაუყოვნებლივ სისუფთავეს მოთხოვდა.

ოტრანის მყუდრო ღამე იყო. სოფელთან ერთად პარტიზანებიც მშვიდად ისვენებდნენ, ფხიზლად იდგათათვის საგულშაგოზე პარტიზანების თავდაცვა, ბუზის გაფრენაც კი არ გამოეპარებოდათ. დრო და დრო სასტვენით აცნობებს ერთი გულშაგი მეორეს — მტერი არსად ჩანს, სიწყნარეთ. მეორეც პირველს იმავე ნიშნით გამოეხმაურებოდა. პარტიზანი გულშაგები მუდამ შეგნებულად უცქეროდნენ თავიანთ დიდ მოვალეობას.

შავი ღრუბლებით გაუპრული ცანელ-ნელა ცრიდა წვიმის წვრილ წვეთებს. სწორედ ამ დროს გულშაგებს შორეული განგაში შემოესმათ, აურზაური თანდათან გაძლიერდა და მოახლოვდა, ატყდა სასტვენების საგანგაშო ხმაური. გულშაგებმა თოფები მოიძარჯვეს. თურმე სოფელს მტერი უახლოვდებოდა, ჩვენზე ახალი თავდასხმა გაწეზარა. ღამის პირველი საათი იყო, როცა ჰიტლერელებმა ოტრანს შემოუტყეს, მომხდურებთან გამკლავება შესამე პოლკს ხედა წილად. სამკედრო-სასიციოცხო ბრძოლაში ჩაბმის ამჟამად აზრი არა ჰქონდა. ერთი პარტიზანის დაკარგვაც დიდი უაზრობა იქნებოდა, ამიტომ ოტრანი დაეტოვეთ და სოფლიდან გავედით. მომხდურ მტერთან გამკლავება შესამე პოლკის მეექვსე ბატალიონს მიენდო. ამ ბატალიონს ცემბალი მეთაურობდა. ციმბალმა ექვსჯერ ზედისხედ მოიგერია მტრის მიერ მოტანილი იერიშები.

ბრძოლამ გათენებამდე გასტანა. ამ ბრძოლაში მტერმა ორასამდე მებრძოლი დაკარგა. ცხრა მარტსი დღეისა და ერთი საათისათვის ჩვენი დივიზია ნაწილ-ნაწილ დაიყო და ცალკე სოფლებში — ბისკუპში, ზოკევეში და ნიკოდემოვეში დაბანაკდა. პირველმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

— არუთინოვის ასეულმა თავი ისახელა ოტრანშიის ბრძოლაში, თნის ჯოგვივით დაიფრინეს ჰიტლერელებით, — მიაშბო ციმბალმა. ეს ამბავი ყველას გვესიამოვნა. არუთინოვის ასეულს პარტიზანული ბრძოლების ხანმოკლე პრაქტიკა ჰქონდა და მიუხედავად ამისა, მან საერთო ყურადღება მიაქცია. არუთინოვი დივიზიის უფროსმა იხმო და მამაცობისათვის მადლობა გადაუხადა.

— უღაოდ თავის სიმაღლეზე იდგნენ ჩემი ასეულის პარტიზანები, მამაცად და მედგრად იბრძოდა მეტყვიამტრქვევე ზინობი მეტრეველიცო, — გადმომცა არუთინოვმა. მის ასეულშივე ირიცხებოდა აკოფიანიც. იგი ომამდე ენშიაძინის რაიონში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყოფილა. ახლაც, ომის შემდეგ იმავე რაიონში ის სოფელ მეწამორის კოლმეურნეობას თავმჯდომარეობს.

აკოფიანმა, სერგო არუთინოვთან ერთად, ომის შემდეგ ხანებში თბილისში მინახულა: გავიხსენეთ წარსული, განვლილი ბრძოლები. აკოფიანი თავის კოლმეურნეობის წარმატებაზე მელაპარაკა. კოლმეურნეობაში მას სოციალისტური შრომის გმირები ჰყოლია. სერგო არუთინოვი კი ამჟამად თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის დირექტორია. აკოფიანი ისევ ყავარჯნით ხელში დადის. იგი ერთ-ერთ ბრძოლაში ფეხში დაიჭრა.

ჩვენი თანამებრძოლები დღეს, მშვიდობიან დროსაც, თავგამოდებით იბრძვიან შრომის ფრონტზე, ისე როგორც

პარტიზანობის დროსაც, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ახალი დაბანაკების ადგილი ძალზე მყუდრო იყო. დღემ მშვიდად ჩაიარა. საღამო ეამს ლიუბლინის რაიონში გაგზავნილი სადივერსიო ჯგუფი დაბრუნდა.

— ზუსტად შევასრულეთ დავალება, — მომახსენა სადივერსიო ჯგუფის ხელმძღვანელმა, — ხიდები ავაფეთქეთ და სპირტის ორი ქარხანა განადგურეთ!

ლიუბლინის დივერსიებმა მიიქცია მტრის ყურადღება, იქით გაიტყუა მღვევარი მტრის ნაწილები, ამით ჩვენ შეღავათი ვივრძენით.

მოწინააღმდეგე კიდევ შეძლო ჩვენი დაბანაკების ადგილის აღმოჩენა. მან კბილებამდგე შეიარაღებული ათას ხუთასი ჯარისკაცი მოაყარა ჩვენს თავდაცვას. აქაც გვერდი ვუქციეთ მტერს, ბრძოლა არ მივიღეთ და გზა განვაგრძეთ. მტრისათვის კვალის დასაბნევედ და მისი თავიდან მოსაწყვეტად ოთხმოცკილომეტრიანი მანძილის გავლა იყო გათვალისწინებული. ამ ჩვენს განზრახვას ისევ ცუდი და გაუვალი გზები უშლიდა ხელს. ცხენები ტალახში მუცლამდგე ეფლობოდნენ, ყოველ ხუთეკვს კილომეტრზე ოფლით გასაბნულ პირუტყვს ალალებიდან გამოვსხნიდით და ახლებით შეეცვლიდით ზოლზე.

გათენებისას დიდი ვაი-ვაგლახით განმარტოვებულად მღებარე პატარა სოფელს მივალწიეთ და იქ დაბანაკდით. არც ეს მივარდნილი სოფელი აღმოჩნდა უხიფათო ადგილი. იქაც მოგვანო მტერმა. როდესაც დღე და ღამე უგრებოდა, მტრის დაზვერვა ჩასაფრებიდან გამოძვრა და სოფელზე დასარტყმელად წამოვიდა. ჩვენმა საღამოო ჯგუფებმა დროულად შეინიშნეს მზურაეების მოძრაობა და მოახლოვება.

გეზი ლიუბლინის მიმართულებით ავიღეთ, უინციანდენტოდ გადავლახეთ.

რკინიგზის ხაზი და შარა-გზა. გარე-რაჟზე კულიკის რაიონის კოფეფულ-მი-დან-სტრელჩის მივალწიეთ და იქამდგე პანაკდით.

XXIV

მოკლედ რომ შევაჯამოთ ჩვენი პარტიზანულ დივიზიის მიერ პოლონეთის ტერიტორიაზე წარმოებული ბრძოლების შედეგები, თვალწინ მეტად საყურადღებო სურათი გადაგვეშლება: პოლონეთში ყოფნის პერიოდში მტრის მრავალი კომუნიკაცია მოეშალეთ, რკინიგზის ლიანდაგი, საწყობები, ხიდები, სამხედრო მნიშვნელობის და დანიშნულების ობიექტები განადგურეთ და მწყობრიდან გამოვიყვანეთ, ათასობით მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი გავფლიტეთ, ადგილობრივი პარტიზანული რაზმები შევიაარადეთ და მოსახლეობას დამპყრობლებზე გამარჯვების იმედი შთაუვნერგეთ, მტრის წინააღმდეგ დარაზმეთ ისინი, ყოველივე ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რატომ ასე თავგამოდებით გვიტევედა მოწინააღმდეგე, რატომ მოაყარა და კრახანასავით შემოგვისია ჯარის ნაწილები.

პიტლერელები არ ცხრებოდნენ, დღე-დღე აძლიერებდნენ ჩვენს საწინააღმდეგო რეპრესიებს: საითაც უნდა გადაგვედგა ფეხი, ყველგან მტრის თავდაცვას ვაწყდებოდით, ბრძოლაში ჩაბმა გვიხდებოდა.

მტერს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ჩვენი დივიზია განადგურებინა პოლონეთის ტერიტორიაზე, მაგრამ პიტლერელებს აქაც იმედი გაუტრუვდათ. ამ ქვეყანაში ჩვენი მისია პირნათლად შევასრულეთ. ამიტომ სამჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გადაწელება გადაწყვიტეთ და გეზი მდინარე ზუგის მიმართულებით ავიღეთ. ამ მდინარეზე უნდა გადავსულიყავით. დივიზიის მთელი შემადგენლობა ფეხზე



დადგა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით დაიძრა. ფრთხილად მივიწვედი წინ, ყოველი ფეხის გადადგმაზე შესაძლებელი იყო მტერს წაეწყდომოდით. მალე წინ გაგზავნილი მხვერარეები დაბრუნდნენ და გვითხრეს, რომ ბუჯის გადასასვლელები მტერს ყველგან შეუკრავსო. საგონებელში ჩავევარდით, მარშრუტი შევცვალეთ და სამხრეთისაკენ დაეხვიეთ. ამასობაში რკინიგზის ხაზს მივადექით და ლიანდაგზე გადასასვლელად მზადებას შევუდექით. დივიზიის გადასვლის უზრუნველყოფა მეორე პოლკს მიენდო. როდესაც ლაშის წყვილადში კოლონებმა ელვის სისწრაფით იწყეს ხაზზე გადაბრენა, ორთქლშავალმა მოაკივლა, იმავე წუთს მტრის საბარგო მატარებელიც გამოჩნდა. ჩასაფრებულმა მეორე პოლკის ბიჭებმა მატარებელს დაუშინეს, მათ ცხენოსანი ესკადრონის მებრძოლებიც წამოეხმარენ. საშინელი კექა-ქუხილი დადგა, მაგრამ ჩვენდა გასაოცრად მატარებელმა განსაცდელს თავი დააღწია, ხელიდან გაგვისხლტდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ღია სემაფორში შემავალი ორთქლშავლის ხმა მოგვესმა. „ცის ტატნობზე გაკრული თვითმფრინავი ჩამოგვიღია და ამხელა მატარებელი ხელიდან როგორ დაგვიძვრაო?“ — ამბობდნენ გაოცებული პარტიზანები.

იმ წუთებში სიმონ ვასილის-ძეს რუდნევის სიტყვები გამახსენდა: „ცბიერ მტერთან გეაქვს საქმე, მტერი ეშმაკია, ამიტომ საქმეს ფხიზლად მოვეციდითო“...

— ახლა კი?..
დასრულდა ლიანდაგზე გადაბრენა, ვერშეგორამ ნაწილების უფროსები ისმო და მათთან თათბირი მოაწყო. ცუდ დღე დააყენა პეტრომ ნაწილების უფროსებს, — სად უნდა გამოყოთ ამის შემდეგ თავი, დივიზიის თითქმის მთლიანი შემადგენლობა ებრძოდა მატარებლის ბრიგადას და მისი განად-

გურება ვერ შეძელითო. ვერც ერთი უფროსმა თავის გამართლებას ვერ შეძლო, აბა ვის რა უნდა ეფიქსიონაშა

ყოველი მხრიდან მოაწყდნენ რკინიგზის ხაზს პიტლერელები და ბრძოლა გაგვიმართეს. მეორე პოლკის ნაწილები ხაზის მცველებს მარჯვედ იგერიებდნენ, ამასთან ერთდროულად პარტიზანები შეუწელებლად განაგრძობდნენ ხაზზე გადაბრენას. ვხედავ ამ მძიმე წუთებში ბიჭებმა ვილაციებს ხელი დასტაცეს და ალაღზე დააწინეს.

— ვინ არიან? — შევეციობზე პარტიზანებს.

— ერთი, მეორე პოლკის მებრძოლია და ორი კი ფრანგი არტილერიისტები არიან. — იყო პასუხი.

— როგორ, ორივენი დაიღუპნენ?

— ღიახ, ორივენი, თითქმის ერთდროულად!

შეეწუხდი. ესენი ის ფრანგი ტანკისტები იყვნენ, რომლებიც ჩვენთან ნებაყოფლობით მოვიდნენ, როდესაც სოფელ კასაბულაში ვიდექით. ისინი მას შემდეგ დღემდე თავგამოდებით იბრძოდნენ პარტიზანების რიგებში.

შეწუხდნენ მებრძოლები, სინანულს გამოთქვამდნენ.

— კარგი ვაეკაეები იყვნენ, ფაშისტები სძულდათ, გახსოვთ როგორ მოაგდეს ჩვენთან ტანკი? ტანკით გამოპარვა არ არის ადვილი საქმე. ასეთი ნაბიჯს მხოლოდ თავგანწირული ადამიანი თუ გადადგამს.

ამათა სასაფლაოზე დაღუპული უკრაინელი და ფრანგი ამხანაგები პარტიზანული წესით დაეასაფლავეთ. დაღუპულ უკრაინელ პარტიზანს კარგი წარსული ჰქონდა. კოვბაკის პარტიზანული რაზმის ჩამოყალიბების პირველი დღიდან მედგრად და თავგამოდებით იბრძოდა ის ჩვენს რიგებში.

რკინიგზის ხაზზე დივიზიის გადასვლა დასრულდა და გზა მშვიდათ განვაგრძეთ.

— ხედავთ, ბიჭებო ამ უზარმაზარ ქვითყარის კედელს? დასასრული არ უჩანს!

— ეს გოლიათი ხეები? აქ უთუოდ დიდი მემამულის საბრძანებელი იქნება, აბა სხვაგვარად როგორ წარმოვიდგინოთ, ამ კეთილმოწყობილ ბაღში გლეხი ხომ არ იდგომება?

პარტიზანების ამ საუბარმა ყველას ყურადღება მიიქცია და გაფაციცებით კიწყეთ ამ შემკული კარმიდამოს თვალიერება.

გზიდან ნახევარი კილომეტრით თუ იქნებოდა პანის მამული დაშორებული. გლეხებს ჩვენი მზვერავებისათვის ეთქვათ, — ამ ეზოში უზარმაზარი სასახლეა, შოგ დიდი მემამულე ცხოვრობსო.

იმ ზანებში სურსათ-სანოვაგის კრიზისს განვიცდიდით, მარაგის შევსება იყო საქირთ. სახელდახელოდ გამოყვებით მებრძოლთა ჯგუფი და პანის მამულში გავგზავნეთ. მათ პოლკის დაზვერვის პოლიტელი კოვალიოვი თან ახლდათ. მემამულეს მცველები ფეხზე დაეყენებინა და ჩვენებს ცეცხლით შეხედროდა, მაგრამ მალე იმულებული გამხდარიყო წინააღმდეგობაზე ხელი აეღო და იარაღი დაეყარა.

— ის იყო ბრძოლა დამთავრდა, ბიჭებმა ალაღებზე სურსათ-სანოვაგის დალაგება დაიწყეს და ამ დროს მეტად უცხო და საინტერესო სურათი დამიდგა თვალწინ, — მიამბო პოლკში ახლადდამბრუნებულმა ტუტერევმა, — სასახლის მეორე სართულის გრძელი და განიერი დერეფნის ბოლოში კოხტად ჩაემულ-გამოპრანჭულ ქალიშვილებს შორის ნაცნობი მამაკაცის სახე შევამჩნიე. დავაკვირდი და კოვალიოვი შემჩნა ხელში. ფარჩის ტანსაცმელში მორთულ-მოკაზმულ ქალიშვილებს შუა ჩამდგარი კოვალიოვი ლარის ძაფივით გაკიმულიყო, ფართოდ შლიდა ხელებს და ისე დარდიმანდობა, რომ ამ სურათის დანახვაზე კინალამ სიცილი წამ-

სკდა. უადგილოდ და უდროოდ შემეჩვენა ეს სცენა, თითბებულან გავძვიერი და მოსაუბრეთა შეუქმნელიად მათი მახლობელი ოთახის კარი ოდნავ შევალე, ქალეაეთა საუბარს ყური დავუგდე. კოვალიოვი ოდნავ აღერსნარევი კილოთი ქალიშვილებს ტუქსავდა:

— ეინც არ შრომობს და ღირებულებას არ ჰქმნის, სხვის ნაოფლარს ითვისებს, ის საზოგადოებისათვის ზედმეტი ბარგია, გავკადნიერდები და ეიდეე უფრო სწორად ვიტყვი, საკუთარ სახელს ვუწოდებ საზოგადოების ასეთს უნაყოფო წევრს: ის პარაზიტია, ანუ კიდეე სხვანაირად რომ ეთქვათ, მუქთაზორაა!

— აგიტაციას ეწვეა-მეთქი, გავიფიქრე გულში. ნაზმა არსებებმა შეურაცხყოფილად იგარძნეს თავი. ერთმა უფრო გაბედულმა ქალიშვილმა კოვალიოვს მკეახედ უბასუხა:

— შრომა და ღირებულების შექმნა მამაკაცს მოეთხოვება და არა ქალს. ქალი ოჯახს უნდა ამშვენებდესო.

— უკაცრავად, — წამოიძახა კოვალიოვმა, — ქალიც, მამაკაცთან თანაბრად უნდა შრომობდეს, ერთიც და მეორეც საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან. საბჭოთა კავშირში ქალები მამაკაცებთან უფლებრივად გათანაწორებული არიან. ქალი მამაკაცის თანაბრად ეწვეა შრომას და პოლავწიობას.

— გასაოცარია, როგორ შესძლებს ქალი ამას?! ჩვენ ისიც გვითხრეს, რომ თქვენი ქვეყნის პარტიზანთა რიგებში ქალები თოფით ხელში ისე იბრძვიან, როგორც მამაკაცებიო!

— მაშ, მაშ, ასეა სწორედ! დღესაც ჩვენს რიგებში რამდენი ქალია, თოფით ხელში რომ იბრძვის. ვისაც თავის ქვეყანა და ხალხი უყვარს, ასეც უნდა მოიქცეს!

ამ საუბრის დროს პრონია შეეჩვენკო შესულიყო იმ ოთახში, სადაც კოვალიოვი მემამულის ქალიშვილებთან გა-

ცხარებით კამათობდა. პრონიას კოვალიოვისათვის უთქვამს, ოპერაცია დამთავრებულია და წასასვლელად ვემზადებითო. შეიარაღებულ სამხედრო ფორმაში გამოიწყობილ პრონიას პოლონელი ქალების ყურადღება მიექცია: აი ჩვენი ქვეყნის მებრძოლი ქალიო, — უთქვამს მათთვის კოვალიოვს.

პოლონელი პანის ქალიშვილებმა თურმე განცვიფრებით დაუწყეს ცქერა პრონია შეეჩვენოს.

— გიკვირთ? — უთხრა მათ კოვალიოვმა, — ტყუილად გიკვირთ, აქ თქვენს ქვეყანაშიაც მოიპოვებიან მებრძოლი ქალები, ისინი ჩვენს რიგებში ჩაეწერნენ და ამჟამად ჩვენთან ერთად ებრძვიან საერთო მტერს.

ამ სიტყვებთან ერთად, კოვალიოვი უცებ შეტრიალდა, ქალებს უქანასკნელად ღიმილით თვალი შეავლო და შესძახა: ეცადეთ შრომას მიეჩვიოთ, ცხოვრების აზრი, შრომაშიაო, — თქვა ეს და საჩქაროდ კარში გამოვიდა.

ფქვილიანი ტომრების გორაკები დაედგათ ბიჭებს ალალებზე, წამოსასვლელად გავემზადეთ, დავტოვეთ სასახლე და ფართოდ გაღებულ ალაყაფის ქიშკრიდან რიგ-რიგობით გამოვედით ქუჩაშიო, მითხრა ტუტერევმა.

დაბრუნდნენ თუ არა ბიჭები, სურსათ-სანოვავით დატვირთული ალალები დივიზიის კოლონებმა შუაში მოვიქციეთ და გზა განვაგრძეთ.

ცუღმა გზებმა ისევ გაგვიჭირა საქმე, კუს ნაბიჯით მივიწვიეთ წინ, დივიზია ათი კილომეტრის მანძილზე გაიჭიმა. ანასობაში განთიადიც მოახლოვდა, დილის ნიავეს დაუბერა, სოფლებში მამლებმა ყვირილი იწყეს.

— მამლების ყვირილი უტყუარია, მალე გათენდება, ალბათ ამ სოფლებში მოგვიხდება შესვლა, მეტი რა გზაა, დღე აქ უნდა დავალამოთ, — მეუბნება ტოუტი.

პირველსავე შეხვედრილ სოფლებში შეეუხვეთ და მოვეწყვეთ. ჩემი

პოლკი და დივიზიის შტაბი სოფელ დომბრომისში დაბანაკდნენ, დანაკრები ახლო-მახლო სოფლებში დაიქვემდნენ. შიშველ ტახტზე გულაღმა წამოწოლილი ფიქრებმა წამიღეს. „ნუ თუ ერთ დღეს ვერ შევძლებთ თავისუფლად ამოვიუსუნთქოთ, დომბრომისი მყუდრო ადგილს ჰგავს, მე მგონი აქ მტერმა ვეღარ უნდა მოგვაგნოს-მეთქი, ვფიქრობდი, ყოველ შემთხვევისათვის ბინის პატრონი ვიხმე.“

— რუსული ენა თუ გემარჯვებთ? — ვეკითხები მოხუც პოლონელს.

— საკმაოდ. გავიგებ და გაგაგებინებთ! — რატომღაც სიცილით მიპასუხა ჰარხალივით სახეწითელმა მოხუცმა, — ჩვენ ძველმა თაობამ რუსული ენა ვიცით!

— ხშირი სტუმრები თუ არიან თქვენი გერმანელები, დომბრომისში თუ დადიან?

მოხუცი შეკრთა, აღარ იცოდა რა და როგორ ეპასუხნა.

— რათ შეშინდით, მე ხომ სამტროდ არ გეკითხებით, სიძარტლე მითხარიო, თქვენი პასუხი ჩემს იქით არ წავა.

მოხუცი დამაცქერდა და კვლავ გაიცინა:

— სწორედ გამოიცანით, შეეკრთი. ერთი ფეხით გაგასწრეს გერმანელებმა, ბეერნი არ ყოფილან, ცოტანი იყვნენ. წასვლის წინ დაგვემუქრენ, ასე გვითხრეს: ქვას ქვაზე დავადლებთ. ენას გახურებული შანთით ამოგწვავთ, თუ ვინიცობაა თქვენს სოფელში საბჭოთა პარტიზანები მოვლენ და მათ ჩვენი აქ ყოფნაზე და საერთოდ ჩვენს საქმიანობაზე რაიმეს ეტყვიოთ!

— ეს საიდუმლოდ გითხრეს, თუ საჯაროდ ილაპარაკეს?

— საიდუმლოდ, საიდუმლოდ! — ძლივს შესძლო მოხუცმა ამ ორი სიტყვის წარმოთქმა და სიცილისაგან დახველისაგან წამსკდარი ცრემლების ლურჯი ტილოს ცხვირსახოცი ვმყნ-

და იწყო. — ისიც უნდა მოგახსენოთ — განაგრძო მან — რომ კვერცხიდან და კარაქიდან გაგვცალეს. „ჩვენ კომუნისტებიდან გიცავთ, სამაგიეროთ თქვენ ჩვენს მომარაგებაზე იზრუნეთ“, გვეუბნებოდნენ.

ვიღაცამ კარებზე გაბედულად დააკაკუნა. „შემოდით!“ — შეეძახე.

მეკავშირე ოთახში შემოვიდა და მიხურულ კარებს ზურგით გაეკრა: — ამხანაგო უფროსო, — დაიწყო მან — ეს არის მწვერაკები მოვიდნენ და ცნობა მოიტანეს, მეზობელ სოფელ სედლიშიჩეში და დაბა ტრავნიკში მტერი ძალების კონცენტრაციას ახდენს და ჩვენზე თავდასასხმელად ემზადება!

საჩქაროდ შტაბში გამოვცხადდი. იქ დაადსტურეს, რომ არა ნაკლები ათას რვაასი ჯარისკაცისაგან შემდგარი მტრის ჯგუფი, ტანკებით და არტილერიით შეიარაღებული ფეხზე. დგას დაბა ტრავნიკში და ჩვენზე გამოსალაშქრებლად ემზადება.

სრულ თორმეტ საათზე სოფელ სტრელნიკში დაბანაკებულ ჩვენს მესამე პოლკზე მოწინააღმდეგემ არტილერიით და ტანკებით იერიში მიიტანა. ერთდროულად სოფელ მაიდანში მყოფ მეორე პოლკსაც მოადგა მტერი. როგორც კი ეს შევიტყვეთ, სოფელ დომბროვისიდან პირველი პოლკის თავდაცვამ მტერს ზურგიდან დაარტყა. ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. პირველი ბატალიონის მამაცმა მეთაურმა სერდიუკმა ამ ბრძოლის დროს ზედმედ მტრის რამდენიმე იერიში მოიგერია. ლომებივით იბრძოდნენ ამ ბატალიონის პარტიზანები, მათ პირველი პოლკის სხვა ნაწილები წამოეშველნენ, მებრძოლთა ამ გაერთიანებამ მედგარი შეტევით მტრის თავდაცვა გაარღვია და მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგე თხის ჯოჯოვით დაიფრინა. როგორც შემდეგ პოლონელებისაგან გავიგეთ, ამ ბრძოლაში მტერმა დაპირილ-დახოცილების სახით ოთხასამდე მებრძოლი დაკარგა.

მიტლერელები ადვილად როდი შეურბენენ თავიანთ ენდამტაცებას. მტერმა საჩქაროდ დამსწრე მსალები გამოითხოვა და რეგულარული ჯარის პოლკებით შეავსო პარტიზანების წინააღმდეგ მომქმედი ნაწილები.

სოფელ მაიდანთან ბრძოლაში განსაკუთრებით თავი ისახელეს ჩვენი დივიზიის არტილერისტებმა და ნაღმ-მტყორცნელებმა: მათ მტრის ტანკების იერიშები მარჯვედ მოიგერიეს და მათი წინსვლა შეაჩერეს.

მოწინააღმდეგის არტილერიამ ვერცერთხელ ვერ შესძლო ჩვენი არტილერიის ჩაჩუმება. მთელ დივიზიაში ცნობილი მეტყვიაიმფრქვევე ბარადი მაიდანის ბრძოლაში დიდი წარმატებით მართავდა ტყვიამფრქვევეს, იგი მონებრებულად ჩასაფრდა და იერიშზე წამოსული მოწინააღმდეგე ბალახივით მოცელა. მტრის ტანკისტებმა იერიში მიიტანეს ამ ჯაღოქარივით მარჯვე მეტყვიაიმფრქვევეზე, სიტყვა-სავით დააყარეს მას ყუმბარები. მხოლოდ ბრძოლის დასასრულს, უკან დახევის დროს, შესძლო მტერმა სახელოვან მეტყვიაიმფრქვევის ჩაჩუმება, ის სასიკვდილოდ დაიჭრა. უკანასკნელ წუთებში ბარადიმ გულმშვიდად წარმოსთქვა: „მე ჩემი ვავაყოფ, შევასრულე მებრძოლის ფიცი, სამშობლოს და სტალინის წინაშე ვალმოხდილი ვარ“.

უაშუალოდ მტერმა სოფელ სედლიშიჩესკენ დაიხია. ყველას გვიანტერესებდა მესამე პოლკის ბედი, ის ხომ ჩვენთან ერთდროულად სოფელ სტრელნიკზე ალყაშემორტყმულ მტერს ეომებოდა! ფრიალ სანუგეშო და ამაღლელებელი ამბავი გავიგეთ: მესამე პოლკს თითქმის ჩვენზე აღრე გაეწორებინა ანგარიში მტერთან. ამ ბრძოლის შედეგად მხოლოდ მტრის მცირე ნაწილს დაელწია განსაცდელისათვის თავი და ტყეში მიმალულიყო. ახალი დაღამებული იყო, მტერზე გამარჯვებული დივიზიის ნაწილები „ვაშას“

ქუხილით ერთმანეთს რომ შეხედნენ. აქაც, ამ ბრძოლაში არუთინოვის ასეულმა ისახელა თავი. არუთინოვმა კიდევ ერთხელ დაიმსახურა დივიზიის უფროსის მადლობა.

ამხანაგმა ციმბალმა დაწვრილებით გვიამბო არუთინოვის ასეულის გვირულ ბრძოლაზე.

პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკა მოითხოვდა ახლა დაუყოვნებლივ გაცლოდით ამ არემარეს. დიდძალ ჯარს მოაყრიდა უთუოდ მტერი მეორე დილით სოფელს. მოპოვებული გამარჯვების შემდეგ მტერთან ახალ ბრძოლაში ჩაბმა — გაუმართლებელი იქნებოდა. ამიტომ ჩვენც წასასვლელად გავემზადეთ. ამასობაში წყვილიადი ჩამოწვა. ბიჭებმა დაიწყეს მზადება ცხენების შესაბმელად, მაგრამ დახეთ, როგორ არიდებენ თავს ცხენები ალაღებში შებმას. ალბათ ასხენდებათ ის წამება და ჭაბანწყვეტა, რომელიც მათ გამოიარეს და ახლა ისევ წინ უძევთ, უჭირთ მუხლამდე წებოვან ტალახში ტვირთიანი ალაღების თრევა. მუჯღღუღნით მიიყვანეს პარტიზანებმა საბრალო პირუტყვები და ალაღებს აქეთ-იქით ამოუყენეს. ასეთ უგზოობის პირობებში კოლონის წინა ნაწილის ბედი უკანა ნაწილისაზე გაცილებით უკეთესი იყო. წინა ნაწილი მანამდე უძლულ გზაზე, შედარებით ადვილად გადადიოდა, უკანა ნაწილს ატალახებულ გზაზე უხდებოდა გადავლა, ამიტომ მგზავრობის გასაადვილებლად, დაბანაკების ადგილიდან, ორ კოლონად გავედით: დივიზიის შტაბი თავისი ქვეგანყოფილებით და პირველი ბოლკი ერთ კოლონაში მოექცა, მეორე და მესამე ბოლკები მეორე კოლონაში. კოლონებმა ორი კილომეტრის დაშორებით პარალელურად იწყეს წინსვლა. გზა შედარებით ნაკლებად ატალახდებოდა, მგზავრობის მოსალოდნელი სირთულე და სიძნელე ამით საკმაოდ შენედა.

წვიმდა, ირგვლივ სქელი ნისლი იყო ჩამომდგარი, სიარული მეტინმეტად გაჭირდა და მეც ალაღზე დავუჯექი.

— ეი, ვალერია, რას გაჩუმებულხარ, ხომ არ გეძინება? ცხენებიც სადაც არის გაჩერდებიან, — მიემართავ პარტიზანს. ვალერია უეცრად, მოწყვეტით შეიჩხა, ცხენებს ზურგზე შოლტი გადაჰკრა და ჩაილაპარაკა: „უნებურად ჩავთვლიმე ცოტა, ამხანაგო უფროსო, როდი მძინებია!“

— მომწოდე შენი ჩიბუხი, წეკოს ჩაგიყრი, გაბოლება მოგიხდება, გამოგაფხიზლებს!

— ეხ, ეგ კარგი საქმეა, თუთუნი ძილს გაფანტავს...

— სადაური ხარ, ვალერია, რომელი ოლქიდან!

ვალერიას ვინაობა კარგად ვიცოდი, ბევრჯერ უამბნია ჩემთვის საიდანაც იყო, მაგრამ დროს მოსაკლავად თავს ვირთობ, თან ვალერიას ძილს ვეფროთობ. ეხედავ მეც თვალები მეხუჭება, ძილი მეპარება.

— ჩკალოვიდან გახლავარ, — მეხმის პარტიზანის პასუხი.

— ეს მეეტლეობა მაინცა და მაინც არ გემარჯვება როგორც გატყობ, შენ მებრძოლი უკეთესი ხარ, ვინემ მეეტლე!

— მართალსა ბრძანებთ, მე ავტომატს უფრო ვეგუები, ვიდრე ცხენს, მაგრამ ამისი პრაქტიკაც დიდი მაქვს.

— საიდან, როგორ?

— ჩკალოვის ოლქის ერთ-ერთი მსხვილი კოლმეურნეობის წევრად ვირიცხებოდი. ხშირად დღეში ნორმანახევარს, ორ ნორმა მიწას მოვხნავდი ბოლმე. მალე ბრიგადირი გავხდი, ოცი კოლმეურნის ხელმძღვანელობა დამაკისრეს. ყველანი კმაყოფილი იყვნენ ჩემი მუშაობით. ალაღები, ურიკები და ორთვალები ბლომად გვექონდა. ერთხელ კოლმეურნეობის გამგეობამ გიყი ცხენი შეიძინა, უზარმაზარი, ახმასი, სახლი რომ მისთვის ზურგზედ

წამოგეკიდათ, არაფრად ჩააგდებდა, როგორც ჩალის კონას ისე ატარებდა. დიდი გიჟი რამ იყო ის ტიალი, ურიკას ან ალაღს რომ გააჭროლებდა და გაიტაცებდა, მერე მშვიდობით... დანაკარგებში უნდა ჩამოგეწერა. ვინ მოსთვლის რამდენი ორთველა თხრილებში გადაჩეხა და დაამტვრია, რამდენ ბიჟს შეუღება სისხლით ცხვირპირი ერთ დღეს მეცხენეებმა კატეგორიულად განაცხადეს: ხელს ვიღებთ მაგ ცხენის მართვაზე, თავი არა გვაქვს მოძულებული, სიცოცხლე გვინდა! დავინტერესდი ამ გიჟი ცხენით, ორთველაში შევაბი და ზედ დავეკეი. ოი, გამაქანა. მაგრამ როგორ გამაქანა, პაერში აიტაცა ეტლი, ძლივს-ლა ვიმაგრებდი თავს, შეჩერება ვერ შევძელი. მკელავები შემომხედნენ გზაში, ცხენს ცელები აუქნიეს და შეაყენეს. იცოცხლეთ მე იმ გიჟს ძმარი ვადინე ცხვირში, სამუდამოდ დაეამახსოვრე თავი. მას შემდეგ ერთი-ორჯერ კიდევ მოვბეგვე. მოთვინიერდა, და ისე დამმორჩილდა, შემდეგში ჩემს დანახვაზე გაირინდებოდა ზოლმე. საკმაო იყო სადავე ოდნავ მომეწია და ადვილზე ფეხმოუცვლელად დადგებოდა. ასე დავიმორჩილე ეს გიჟი ცხენი. დანარჩენები მაინც ახლოს ვერ ეკარებოდნენ. ამ დროიდან ბრიგადირობასთან ერთად მეეტლეობაც შევითავსე. ამჟამად, როგორც ჰხედავთ, ავტომობილი ხელში ვიბრძვი და საჭიროების დროს ალაღზე დაც ვზივარ.

მეც და ვალერიც საუბარმა გამოგვაფიზლა.

ნაშუალამევეს წვიმა გაძლიერდა, ალაღზე გუბეები დადგა. ძირს ჩამოვედი და ქვეითად განვაგრძე გზა. გირეზივით ჩამოგეკიდა ფეხებზე ტალახი, ოფლში გავეწურე.

მტრედისფრად ინათლა, სოფელ ლეინო-ოქუხევესში მივალწვიეთ და იქვე დავბანაკდით.

სოფელ ლეინოში სრულიად მოულოდნელად, სატანოვსკის პარტიზანულ შენაერთის დაზვერვის მეთაურმა და პოლონეთის ერთ-ერთ პარტიზანული რაზმის უფროსს შევხვდი. როგორც სატანოვსკის შენაერთს, ისე პოლონურ პარტიზანულ რაზმს რეზიდენციად რაიონული სოფელი პარჩევი მიენიით. ორივე პარტიზანული რაზმის მებრძოლთა განწყობილება ძალზე ჯანსაღი იყო. მათს ურთიერთ მეგობრობასაც იდეური საფუძველი ელო. მათთან საერთო ენის გამონახვა არც ჩვენ გავუჭირებია.

— მოხარული ვართ თქვენთან შეხედრის, — გვეუბნებოდნენ ისინი — თქვენი ბრძოლების ამბავი ჩვენამდე აღწევდა. თქვენი გამარჯვებებით ჩვენ მუდამ აღტაცებული ვიყავით. ამხანად ვეშაადებოდით თქვენთან კავშირის დასაპერად და დღეს ამ ჩვენს განზრახვას ხორცი შეესხა. ამ ჩვენს ქვეყანაში, პოლონეთში, თქვენთვის დიდი სამსახურის გაწევა შეგვიძლია, ამავე დროს დახმარებას თქვენგანაც მოველოთ.

სატანოვსკის რაზმის დაზვერვის უფროსმა მართლაც საგრძნობი სამსახური გაგვიწია და რეალური დახმარება აღმოგვიჩინა.

ადვილობრივ პარტიზანთა რაზმებს მებრძოლთა დიდი რეზერვები გაჩნდათ. მხოლოდ იარაღი არ ჰქონდათ საკმაო. ვერშიგორას განკარგულებით ჩვენმა მესამე პოლკმა ასოცი შაშხანა და ხელის ორი ტყვიამტრქვევი გადასცა პოლონელ პარტიზანებს.

პოლონელ პარტიზანების ასეთი სუსტი შეიარაღება იმის შედეგიც იყო, რომ ისინი სისტემატურ ბრძოლაში არ იყვნენ ჩაბმულნი, თორემ ნადავლ იარაღს მაინც იშოვნებდნენ.

ჩვენმა პარტიზანებმა პოლონელ მშვერავებთან ერთად რამდენიმე ოპერაცია ჩაატარეს. საღამო უკან მშვერავები უკან დაბრუნდნენ.

— არაჩვეულებრივი მოძრაობაა ლიუბლინ - ვარშავის შარაგზაზე, — მოიტანეს ამბავი მწვერავებში. — მტერი ძალებს თავს უყრის და სალამქროდ ემზადება.

ამ ცნობის შემდეგ ლეინოიდან გასვლის სამზადისს შევუდექით, შეღამებისთანავე სოფლიდან გავედით და დამე უხიფათოდ ვიმგზავრეთ. გათენებისას ოპოლეს რაიონის სოფლებში — პოდიდვოჟიეში და გრამოვკაში დავებანაკდით.

ამ ბოლო ხანებში ჩრდილოეთის მიმართულებით ჩვენი გადანაცვლება და წინ წაწევა მტერს შეუმჩნეველი არ დარჩენია. ამიტომაც იყო, რომ პიტლერელებმა დაიწყეს ჩრდილოეთისაკენ ჩასაფრებების მოწყობა და გზების გადაჭრა.

ვიშნიცის რაიონში გაგზავნილ მწვერავებს ამ რაიონის მთავარ შარაგზაზე, — სახელდობრ ლებლიოვკა-ლუკოვიცაზე — მტრის ნაწილების დიდი მოძრაობა შეენიშნათ. შარაგზების დასაწინაღმდეგ და ზიდების ასაფეთქებლად საჩქაროდ გამოეყავით სადივერსიო ჯგუფები და საპასუხისმგებლო დავალებებით გავისტუმრეთ ისინი.

დაახლოებით დღის ორი საათი იქნებოდა, როდესაც მოწინააღმდეგე მთელს ჩვენს დივიზიას სასტიკი იერიშით შემოუტია. მტრის ერთი ნაწილი იაბლონი-პოდიდვოჟიეს შარაგზით წამოეპარა დივიზიის მწვერავების ჯგუფს. ატომატებით შეიარაღებული და მონებრებულად ჩასაფრებული მწვერავები გარინდული იყვნენ მანამდე, ვიდრე მტრის მოიერიშე ნაწილი თავზე არ დაადგათ. აქ, სრულიად მოულოდნელად მოიერიშეებს მწვერავებში სიტყვასავით დაეყარეს ტყვია. მტერმა უწყისრიგოდ უკან დაიხია. მწვერავების მისამველებლად დივიზიის შტაბმა ტყვიამფრქვევები და ნაღმმტყორცნელები გაგზავნა. ცეცხლში გახვიეს გაქცეული მტერი. თავზარდაცემულმა

პიტლერელებმა დასტოვეს სამხედრო საქურველი, ალალები და მსხვერპლები. ეს მწარე გაკვეთილი მტერმა გამოიყენა და დაიმახსოვრა: შემდეგში აღარ უცდია ამ მიმართულებით წამოსვლა. მხოლოდ მოწინააღმდეგის უფრო მსხვილმა ნაწილებმა, რომლებიც სოფელ ლინიუეში იყვნენ დაბანაკებული, ჩემს პოლკს დაუწყეს ბრძოლა. ადგილის გადანაცვლება ვერ მოვასწარი, ბრძოლის მიღება აუცილებელი გახდა, განკარგულება გავეცი საჩქაროდ თხრილები გაეჭრათ და ბრძოლისათვის მომზადებულიყვნენ. რუსილის მახლობლად მდებარე სოფელ დოლგოლისკს, სადაც ჩემი პოლკის ასეული იყო გამაგრებული, მტერმა ცეცხლმოსაკიდებელი ჭურვები დაუშინა. სოფელი ხანძარში გაეხვია. ასეულმა შესძლო უვნებლად დოლგოლისკიდან გამოსვლა და რუსილში მყოფ პოლკთან შემოერთება. პიტლერელებს ზედიზედ მოჰქონდათ რუსილზე იერიში, მაგრამ ამაოდ, დიდი ზარალით უზღებოდათ უკან დახევა.

რუსილზე იერიშებმა მტერს ზარალის მეტი არაფერი მოუტანა. ამ ბრძოლებში პირველი პოლკის თავდაცვამ მართლაც თავი ისახელა. ჩვენს თავდაცვას მტერმა ვერაფერი დააკლო. ახლა სოფელ გრამოვკიდან იყო რუსილში პიტლერელების შემოსვლა მოსალოდნელი, ამიტომ ამ სოფლის გასამაგრებლად ორი ოცეული გავგზავნეთ. ერთდროულად ამასთან ჩემი პოლკის დასახმარებლად შტაბმა მესამე პოლკის ასეული გამოგზავნა. ამ ასეულს არუთინოვი მეთაურობდა. ადგილზე მოსვლისთანავე მისხალით მაცნობა — მტერს ზურგში მოვექეციით. ამ ნიშნის შემდეგ ჩემი პოლკიც შეტევაზე უნდა გადასულიყო. სერგო არუთინოვმა მტერს ზურგიდან დაარტყა. პიტლერელების ბანაკში საშინელი პანიკა ატყდა. მათ ხომ ალყაში მოქცევის ეშინოდათ, ამიტომ საკმაო იყო

ზურგში პარტიზანების გამოჩენა და პიტლერელები ყოველთვის ცხერის ფარასავით გაიფანტებოდნენ ხოლმე. პირველი თავზარდაცემისა და შეკრთობის შემდეგ ოკუპანტებმა სცადეს ძალები მოეკრიბათ. ტანკები, არტილერია, ნაღმტყორცნები და ტყვიამფრქვევები ხომ მუდამ ყველა ბრძოლაში ჰქონდათ პიტლერელებს გამოყენებული, ამჟამად კი, ამ დიდ შეტევისათვისაც, თვითმფრინავები გამოეთხოვათ. ჰაერიდან და მიწიდან ერთდროულად გაძლიერებული ცეცხლის გაჩაღებით მათ განზრახული ჰქონდათ ჩვენი დივიზიის განადგურება. საფუძელიანი შეშხადების შემდეგ სრული სამხედრო წესრიგით დაიძრენ ადგილიდან ოკუპანტები. ისინი იერიშით წამოვიდნენ, როგორც არუთინოვის ასეულისაკენ, ისე სხვა პოლკებისაკენაც, მაგრამ არ გაუმართლდათ მოლოდინი, კვლავ სასტიკად მოტყუვდნენ. როცა ოკუპანტები მოახლოვდნენ — პარტიზანები თხრილებიდან ამოხტნენ და კონტრიერიში მიიტანეს მტერზე. ხაფანგში მოქცეული თავგების მსგავსად იწყეს პიტლერელებმა ფუსფუსი, ლობე-ყორეს აწყდებოდნენ.

ამ მწარე გაცვეთილ გვეგონა მოწინააღმდეგე კარგა ხანს დაიმხსოვრებდა, მაგრამ არა, წინდაუხედავობით გამოწვეულმა მარცხმა მტერი მთლად გაბოროტა. ბოლომთ და შურისძიებით შეპყრობილმა ფაშისტებმა განვლილი მარცხის შემდეგ სულ რაღაც ერთ-ორ საათში ნაწილები გადააჯგუფეს და ახლა მეორე მხრიდან დაიწყეს შემოტევა, განსაკუთრებული ძალებით იერიში მოიტანეს პირველ პოლკზე.

— მაშ, კიდევ არ ცხრებით, ისევ იერიშით მოდიხართ? ჩანს, კარგად ვერ დაგამახსოვრეთ თავი, მობრძანდით! — ერთხმად შესძახეს ბიჭებმა და გაშმაგებით ეკვეთენ მტერს. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ჩვენს წინააღმდეგ მტრის სამი პოლკი იბრძოდა.

ამას გარდა პიტლერელთა ჯგუფს ახალ-ახალი ძალები ემატებოდა. ჩვენც ძალები სასწრაფოდ უგადავდავსუფეთ, თანაც დივიზიის შტაბიდან დამახმარეს არტილერიის ბატარეა, რომელსაც ამხანაგი ტიუპოვი ხელმძღვანელობდა. ნაღმტყორცნელებიც გამოვიყენე ამ ბრძოლაში. მეთვალყურე პუნქტი სახლის სახურავზე მოვაწყეთ. მტრის განლაგებას ჩემმა ქვეითმა ნაწილმა ორივე ფრთიდან დიდი სიძლიერით დაარტყა. მოწინააღმდეგემ გაათვრებული იერიში მოიტანა არუთინოვის ასეულზე, მაგრამ პიტლერელებმა წინ წაწევა მაინც ვერ შესძლეს, პირიქით იერიშზე წამოსვლის დროს მნიშვნელოვანი ძალა დამკარგეს, ათეული ადამიანების სიცოცხლის ფასად უჯდებოდა მტერს ყოველი იერიში. სხვათა შორის ამ ბრძოლის დროს ჩვენ კარგად ვიყავით თხრილებით და სხვა საფარით გამაგრებული.

— არუთინოვი დაიჭრა! — გავრცელდა ხმები საღამოთი.

— როგორ, მიმედ თუ მსუბუქად? — ეკითხე ამხანაგებს.

— ჩანს მსუბუქად, ვინაიდან თავის ასეულთან დარჩა და ბრძოლას ისევ განაგრძობს, — იყო პასუხი.

როდესაც ბრძოლა დასრულდა და დამპყრობლები უკუიქცნენ, ნათელი გახდა, რომ განვლილ ბრძოლაში მათ დიდი ზარალი ნახეს. მტერმა ამ ბრძოლაში ორასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა. პარტიზანებმა ზეღთ ვიგდეთ სამი საბატალიონო ნაღმტყორცნელი, ოთხი ტყვიამფრქვევი, ავტომატები, რამდენიმე ათეული შაშხანა, ათიათასი ვაზნა და სხვა ნადავლი. არუთინოვი ვინახულე, მშვიდობით გადარჩენა მოვულოცე, დაჭრის ამბავი გამოვიკითხე, თანაც პოლონელი დიასახლისების მიერ მოძღვნილი ნამცხვრები მივუტანე.

მადლობა გადამიხადა, დიდხანს მელაპარაკა, ჩანდა ტყვია ძვალს არ შე-

ხეობდა, რბილში გაეგლო. დაწვრილებით გამოვკითხე განვლილი ბრძოლის ამბავი.

— თქვითი ვარ დაჭრილიო, — მითხრა.

— რით? — შევეკითხე.

— ავტომატის ტყვიით. როდესაც სალამო ეამს ბრძოლა შენელდა, ზეზე წამოვდექი, აღარ მეგონა თუ ახლოს ჰიტლერელი იქნებოდა ჩასაფრებული. თურმე ორმოცი-ორმოცდაათი მეტრის დაშორებით, ხის კუნძის უკან ფაშისტო იჯდა. ავტომატიდან მესროლა. უცებ შეეკრთი თქმო ამეწვა, ყრუ ტკივილი ეიგრაქენი ხელი მოვისვი, თითები სისხლით შეიღება.

— ამხანაგებო, დავიჭერი! — ვეუბნები მებრძოლებს. იმ წუთში ახლომახლო სანიტარული ნაწილის თანამშრომელი არ აღმოჩნდა. — აქ ვარ, ნუ გეშინია, ჭრილობის შეხვევა კარგად ვიცო, — მომშართა ჩემმა მებრძოლმა კრავჩენკომ. ფიცხლად ამოიღო ჯიბიდან ბინტი და დიდის მზრუნველობით

ჭრილობა შემიხვია. მეტად დროულიყო ეს პირველი დახმარება: სისხლის დენა შეწყდა, ბრძოლა კვლავ გაგრძელდა. ბრძოლის დასასრულს ექიმებმა გამოსინჯეს ჭრილობა, ერთ ტყვიას გაეგლო თქვითი, ისიც კარში გამოსულიყო. ჯუბა კი, რომელიც ტანთ შეცვა, ტყვიით აღმოჩნდა დაცხრილული.

— ახლა როგორ გრძნობ თავს? — შევეკითხე სერგოს.

— არა უშავს, მგონი გართულება არ არის მოსალოდნელი.

არუთინოვის დაჭრის შემდეგ განვლო ორმა-სამმა დღემ და ერთ-ერთ ბრძოლაში კრავჩენკო გმირულად დაიღუპა. მიუხედავად მძიმე პირობებისა, არუთინოვმა კრავჩენკოს ცხედარი ბრძოლის ქარცეცხლიდან გამოიტანა და სახელდახელოდ დაასაფლავა. არუთინოვმა ერთგული მებრძოლის და მეგობრის კრავჩენკოს წინაშე ეალი პირნათლად მოიხადა. პარტიზანების გულში დიდხანს დარჩა ამ ერთგული მეგობრების ურთიერთობის ამბავი.

(გაგრძელება იქნება).

მ. გარეჯაკიაძე

ქართული თქმულება

კოცმა

★

ეს ამბავი ქართველებმა
მე მიამბეს დილით —
როს მცხეთიდან გორისაკენ
დავადექი ბილიკს.

ჩვენს საუბარს ბანს აძლევდა
მოდუდუნე შტკვარი
და კლდე-ღრეებს მიაპობდა
პირზე ქაფმომდგარი.

მე მიამბეს: — როს ყრმა იშვა
ყველას საყვარელი,
ქართულ წესით და ადათით
ღედამ თავის ხელით

ახალნაშობს ჩაყოლა
სარეცელში რკინა,
რომ არ კრთოდეს არასოდეს
განსაცდელთა წინა.

ბალიშის ქვეშ ამოუღო
მარგალიტის თვალი;
რომ სპეტაკი იყოს, როგორც
მალალ მთის მწვერვალი.

არწივების მთელი გუნდი
დააფრინდა ერლოს;
თრიალეთიც ცისარტყელის
შვილივ ფერით ენთო.

ღედამ გულში ჩაიხუტა
თვალმაყვალა ბიჭი...
— ბედნიერი შემქენია,
არწივების ჯიშის.

ეს ამბავი ქართველებმა
მე მიამბეს დილით,
გორისაკენ მცხეთიდან რომ
დავადექი ბილიკს.

ცა აფეთქდა, მზის სხივებით
წითლად დაისრული,
დღე დაიწყო ჩვეულებრივ
საზეიმო, ბრძნული.

თრიალეთის მალღობებზე
ახასხასდა მოლი,
ნამნაკურმა ბალახებმა
გაიღვიძეს ყრვოლით.

გზად ურემი მიჰრიალებს,
მძიმე ტვირთი სძალავს,
თავდახრილი კამეჩები
რქით ბურჩქნიან ბალახს.

ჩერდებთან, მანქანა რომ
ჩაიქროლებს მალი, —
მტვრის ბურუსით იფარება
ურმის გზა და კვალი.

ფერღობიდან გადმომდგარან
ყუყუარყარა შვლები,
განთიადის მსუბუქ ნისლში
ბანაობენ შვებით.

ასწლოვანი ქადრებივით
ტანბრგე ბერკაცები.
აბოლებენ ყალიონებს
კაბუკური გზნებით.



საქართველოს
წიგნიერების
კავშირები

აგერ, შეხეთ, ის ჭარმაგი,
გონდ გასცილდეს ას წელს —
ერთხელაც არ ჩაიმუხლებს,
ისე აქა მთაზე.

ხელი კანკალს არ დაუწყებს,
სამკალში რომ გავა —
მალამოა ჯანისათვის
აქაური ჰავა.

მე მიაბნებს: ჭართველი რომ
ასი წლისა ხდება
და ყაზბეგის მწვერვალივით
თეთრად იფიჭება,

წელში მაინც არ იხრება,
გამართული დადის —
და მთის ლალი ირემივით
ნაბიჯი აქვს მარდი.

ეს ჰადარა მას სიბრძნის და
ჭკუის ბეჭდით ამკობს —
ათას ჭირზე, ათას ლხინზე
ყოველივეს ამბობს.

ეს ჰადარა ფერფლი არი
ანთებული გულის,
ვერცხლისფერი კვამლი არის
მოგიზგიზე სულის...

დახუნძლული ვაშლის ტოტი
დაიზნიქა დაბლა. —
მიჩურინი თუ ნახავდა
ასეთ ნაყოფს, ალბათ.

გეგონებათ, მოებნით
ოქრო-ვერცხლის ფერი,
და ვაშლები მოეხატოთ
ჯადოსნური ხელით...

ცა აფეთქდა, მზის სხივებით
წითლად დაისრული.
დღე დაიწყო ჩვეულებრივ
საზეიპო, ბრძნული.

შელამების ქამი იყო,
შუქს ანთებდა ხალხი,
ვიწრო ქუჩის შესახვევებს
დასდებოდა თალხი.

ცაზე ყურძნის მარცვლებივით
ჩანდნენ ვარსკვლავები;
გვიან სტუმარს გორის სიო
შემხვდა მოკრძალებით.

და მტევნები ხეივნიდან
გმატიყებენ თითქოს
— ჩვენკენ, მგზავრო, ჩამოგვწყვიტე,
ნასპინძლურად ვითხოვთ.

— სიმწიფისგან, სიმძიმისგან
ძირს დაცვივდეთ ლამის —
ჩვენი წვენიც გაამებათ,
თაედები ვართ ამის.

და ატამიც, ტუჩბუსუსა
ხელებს იშვერს აქეთ:
— ხინჯს ვერ დამდებთ ვერაფერში
ჩემი სიტბოც ნახეთ.

გზა განვაგრძე, შემომესმა
მოწკრიალე ხმები
ჩუ, „სულიკოს“ იმღერიან
ქართლის გოგონები.

მე მათ ვთხოვე: ეს სიმღერა
მართლაც მიყარს გულით;
მაგრამ, რა ვქნა, მას თანა სდევს
ქველი სევდა — წყლული.

საქართველოს აყვავების
სიმღერა თქვით, დებო,
დავქექით და სიხარულით
სისხლი ავიჩქვდეთ...

სურით ღვინო მოიტანეს,
თან სიცილი იწყეს:
როგორც დაღევ, სევდა-წუხილს
უმალ დაგავიწყებს.

თვით მზიარულ გუნებაზეც
მოგიმატებს ხალისს,
განა ღვინით, ალტაცებით
შეიქმნები მთვრალი!

გინდ არ სვამდე, სასურველო,
შეგვინახე ხათრი,
გრილ მარანში ერთი კიჭა
დაგვიღიე მაღლით.

კიჭა ხელში მოგიმარჯვე
ვადღეგრძელებ იგი, —
ვინც სამშობლოს დასტრიალებს
ღღე და ღამე ფიქრით.

ვინც ამშვენებს ჩვენს ქვეყანას,
ავსულთაგან იცავს
კავკასიის მწვერვალებს და
შორს ალტაის მიწას, —

სად აქლემთა ქარავნები
უდაბნოებს სერავეს
და დასიცხულ ღრე-ქვიშნარებს
გრიგალები ზევრავს.

მისი ზრუნვით მოლდაველიც
თავისუფლად დადის,
ბულგარელსაც მან აჩუქა
ქვეყნად განთიადი...

გულკეთილი მასპინძლების
ზრუნვით შემოსილი —
ამ სახლიდან გამოსვლისას
ვჭირჩხულებდი დილით:

—რომ რუსეთში არა მყავდეს
მშვენიერი ცოლი,
არ მიყვარდეს ბავშვობიდან
ქარი სტეპზე მქროლი,

არ მიყვარდეს არყის ხეთა
ღამით ჩუმი ფშვინვა,
მუდამ ნორჩი ნაძვები და
ჩვენი მკაცრი ყინვა,

სამუდამოდ ავირჩევდი
საცხოვრებლად ქართლსა
ისეთ ყურძნებს მოვყვებოდი
არ ენახოთ არსად.

თქვენთან ერთად ვიმღერებდი —
გულით, სულით თქვენი,
მაშინ ერთსაც ვისურვებდი,
რომ ის შექთამფენი —

ქურციკივით რომ გახტა და
ცხელი მზერა მტყორცნა,
მეგობრებო, სამუდამოდ
ჩემთვის დაგელოცათ...



და შევედი ნანატრ სახლში...
ბევრჯერ მომესმინა,
რომ უბრალო, ღარიბული
იყო მისი ბინა.

მაგრამ, იცით, ჩემი თვალის
თვითონ მე არ მჯერა, —
აქ შობილმა ნაკადულმა
როგორ იჩინაჩქერა!

ამ ბუდიდან აფრენილმა
არწივების ბარტყმა,
სად ისწაულა გრიგალებთან
ფრთების მძლავრად დარტყმა.

ყველა ბორკილდადებულის
ვით გაუგო სურვილს —
ვინც წყალს სვამდა ამ ქართული
თიხის კოხტა სურით.

აქ დარბოდა მთელი უბნის
მალხაზების თვალი;
გახსოვს, გორო, სკოლისაყენ
ჩანთით მიმავალი.

გორიჯვარის მალღობებო,
გახსოვთ ცქციტი ბავშვი,
შორს მზირალი, ჩაძირული
ღამაშ ოცნებაში.

გორის ციხეე! შენ იყავი
მისი გულის ჩქროლვა —
შენ ასწავლე მას პირველად,
თუ რას ჰქვია ბრძოლა.



სექტემბრობით, ვიმ, დილილმე,
ჩაურბენდა ატენს.
შეხაროდა, შესცინოდა
თითას — თავლის სანთელს.

შეხაროდა საწნახლებში
მოჩქაფუნე ღვარებს,
ქვევრებისკენ მომცრო ღარიით
ტკბილად მოწანწკარეს.

მეც ჩამოველ ამ ნეტარი
კუთხის სანახავად,
გზად შემომხედნენ ყმაწვილები.
მზით ნარუჯნი შავად.

„გამარჯვება“ — შემომძახეს, —
შემომცინა ყველამ —
„გაგამარჯოთ“, — მეც რუსულად
კუპასუხე წრფელად.

ნაომარი ბრგე ბიჭები
ანთებული თვალით —
გასცქეროდნენ, წინ ბრწყინვალე
ჩანდა მომავალი.

ბევრს იმათგან ხრამთან ნახავთ,
ზოგს სამგორის არხთან,
მათი ყველა ოცნება და
ყველა ნატვრა ახდა...

წყალვარდნილთა დატყვევება
კია ძნელზე ძნელი,
მაგრამ, აბა, რას არ სჩადის
მეომარის ხელი.

მთის ჩანჩქერებს ჰკეტავს კლდეში
ბეტონით და რკინით,
რომ ხრამქვის ბღღერიალისგან
ყველგან გაჰქრეს ჩრდილი...

შემდეგ აველ — „დანახვის ხე“¹
და მის მაღალ მთიდან,
შევყურებდი ცას დასავლეთით
ნაპერწყლებს რომ ყრიდა.

შორით ნისლი-თეთრი კვამლი —
მიცურავდა სადღაც —
და ხეობებს ჯანლის ფარდა
თავზე რძისფრად ადგა.

სიხარულით ერთ ადგილზე
გაქეავებულს მაშინ
ათასგვარმა ოცნებებმა
გამირბინეს თავში...

ის აქ იყო, ამ ცისქვეშე, —
სადაც დღეს მე დავალ —
და ატკბობდა ეს, — სურნელით
გაუღენთილი ჰავა.



საუკუნოდ მებსომება
ქართლის გულში მღგარი —
სანეტარო, საყვარელო
ეს სახლი და კარი.

მარმარილოს კოლონადით
შემოსილი კერა, —
მილიონთა სიხარული,
შეება, გულისძგერა.

ბევრი ეფურცლე მუზეუმში
ჩანაწერთა ტომი;
სტრიქონებმა მომაშუქეს
მზის სხივების კრთომით.

მართლაც ოქროს სიტყვებია!
ცეცხლოვანი, წმინდა! —
თითქოს სიომ შემოგებრათ
თბილი სამხრეთიდან.

დონელმა თუ ურალელმა,
— ვინც ეს სახლი ნახა, —
აქ ჩაწერა, ალალ გულმა
რა-ც-კი უკარნახა.

კიეველის, ტაშკენტელის
ჩანაწერი რილით —

¹ შთა, ატენის ხეობაში.

სიტყვები კი მცირე არი, —
აზრი, გრძნობა დიდი...

და ბომბეელ მუშას — მხოლოდ
ინდური რომ იცის, —

აქ რუსულად აღუბეჭდავს
„სტალინ“ როგორც ფიცი.

ის ამ ძვირფას დიად სახელს
ბავშვობიდან ეტრფის —
რომ ინდოეთს არ ჰქელავდეს
დამპყრობელის ტერფი.

ამ სახლიდან თან წაიღებს
ბრძოლის ახალ მარცვალს
და ანანებს გადამთიელს
განგის ველთა ძარცვას...

რას გაუგებ შენთვის უცნობ
იეროგლიფს, — ჩინურს —
მაგრამ მაინც ყოველივე
ხდება თვალსაჩინო:

მოიგონებ შაშხანაზე
შეკორძებულ ხელებს,
თავისუფლად, ლაღად მსუნთქავ
ჩინურ მთებს და ველებს.

გომინდანის ძონძადქცეულ
ყორნისფრთიან დროშებს —
და გაიგებ ამ სიტყვებში
რა გრძნობებიც მოჩქეფს...

დგას ეს სახლი მეგობრობის,
ხალხთა ძმობის ბურჯად.
აჰა, ბალი მისი შუის ქვეშ
რაარც გაიფურჩქნა.

ცად ატყორცნილ ვერხვებს წყნარად
აშრიალებს ქარი —
აი, ნაძვიც, ჩრდილოეთის
მკვიდრი ბინადარი.

ასწლოვანი ცაცხვი ყვითელ
ფერად შემეკულია
და სულ თეთრად გაპენტელი
მოჩანს მაგნოლია...

საჩრდილობელს მოვეჩრდილე
უნებურად წამით —
შემომესმა მცენარეთა
სანუკვარი ჩქამი.

სიო ბუჩქებს აერეოლებდა
მონაბერი ციდან, —
გეგონებათ, თვალმწიფი
წვიმის წვეთებს ცრიდა.

ცეცხლისფერი ყვავილების
შუქი საღ არ სწედება,
აქ ბუნებაც კი ზეიმობს
თავის დაბადებას.

თითქოს ისიც ჩვენთან ერთად
სიამაყეს გრძნობდეს,
ალტაცებით მთვრალი — ნაცნობ
ხეებს ვერც-კი ცნობდეს...

მადლიანი ქართლის მიწა
რა ღონიერად სუნთქავს,
მის წიაღში ფესვი მხოლოდ
ახოვანებს უღვათ.

რა ძალაა მის ძარღვებში,
რა სიცოცხლის წვენი,
აღმოსავლეთ — დასავლეთის
ბედის გადასცვენელი:

რომ ერთმანეთს შეაყვარა
ჩრდილოეთის ნაძვი
და სამხრეთის მაგნოლია
ყვავილოვან თასით...



სკოლის ახლო, გათლილ ქვაზე
ჩამოვჯექი ფრთხილად, —
ყვავილები, ყვავილები —
აქაც გადაშლილან.

ლაყვარდი ცა გახდა რაღაც
საოცნებოდ მკრთალი
და აღიახვი აელვარდა
როგორც ვერცხლის ხმალი.

აგერ პარკი, მისი ცქერით
თვალი ვერც-კი ძღება, —
უცებ ხის ქვეშ შევამჩნიე
ბიჭუნების წყება.

აღისფერი ყელსახვევით
მორთულ — მოკაზმულებს,
ბერიკაცი ამბავს უთბრობს
და უძგერებს გულებს.

ახლოს მიველ, მოთმინებას
ველარაფრით ვძლიე
და მოხუცის ნაუბარმა
მეც მოიხიბლა ძლიერ.

სიტყვა — სიტყვით დავიხსომე,
რაც გვიამბო მაშინ
ბერიკაცმა მე და ბავშვებს
ამწვანებულ ბაღში:

— ქვეყნად გაჩნდა ორი ღვიძლი
ძმა და მეგობარი —

ერთი იყო თვალმერცხალა,
სახეშავგერემანი;

გიშრისფერი გრუზა თმები
გადაპყროდა თავზე —
გამოხედდა მტკიცე ჰქონდა,
ვაჟაცობით სავსე.

მეორე კი ქერა იყო,
ოდნავ მომცრო ტანად —
ვინც სითეთრით რუსულ მიწის
არყებს დაემგანა.

მის გულშიაც მემამზინის
ცხელი სისხლი ჩქეფდა —
სიყრმიდანვე გასაოცარ
პკუას ამვლავნებდა.

და როდესაც მოიზარდნენ
განუყრელი ძმები —
ხალხებისთვის რომ ეპოვათ
სიხარულის გზები,

მაშინ შეიღებს მოუხმო და
დაარიგა დედამ —
სიმართლის გზით გველოთ, შვილო,
ღარიბს ჰყავდეთ მწეთა.

შეეშველეთ, ვისაც მძლავრი
უსამართლოდ ჩაგრაეს, —
გაგეთანტოთ ის წყვილიაღი,
ღარიბ ქოხს რომ აკრაეს.

გაემართნენ ღვიძლი ძმები —
როგორც უთხრა დედამ —
გადალახეს მთა და ბარი,
დაჩაგრულთა ბედად.

ჩაუარეს ვოლგისპირეთს,
მყინვარების მხარეს,

შშობლის თხოვნა შეასრულეს,
გული გაუხარეს.

თუმც ერთმანეთს გარეგნობით
არა ჰგავდნენ ძმები —
ერთნაირი გული ჰქონდათ,
ფიქრი, ოცნებები...

ტყუპებს გავდნენ გულით როგორც
წყალის ორი წვეთი —
ერთნაირად შეუყვარდათ
დედის თბილი მკერდი...

რა გრიგალმა ამოტყორცნა
ქვეყნად ორი გმირი —
რომ დათრგუნეს ხალხის ტანჯვა,
ხალხის გასაკვირი.

კაცის მკლავში ღონე ჩადგა
და ხალისი — მკერდში —
თავისუფლად შრომობს მუშა
და არავინ ერჩის...

უფროსმა ძმამ სულ უდროოდ
რომ დახუჭა თვალი —
მის კუბოსთან მკვიდრმა, ღვიძლმა
დასდო ფიცი რვალის —

რომ დაიციეს ვით თვალის ჩინს
შშობელ ქვეყნის მთაველს —
გადაიტანს განსაცდელს და
გაჰკვეთს ქარიშხალებს...

და რაცა თქვა, ასარულა
დასტურ გაიმარჯვა —
მთელ მსოფლიოს დაფრიალებს
ალისფერი ფარჩა...

აქ მოხუცმა ყალიონი
გააბოლა მძლავრად
და ჩვენ მივხვდით, რომ ამბავი
უკვე დაამთავრა.

ყველა ბავშვმა შემოსძახა:
— ვიცი, ლენინია,
ის პირველი — უფროსი ძმა,
ჩვენი დიდი ძია!

ყველას გვინდა ყველაფერში
დავემსგავსოთ ლენინს —
და ყოველთვის ვიყოთ მისებრი
მამაცი და ბრძენი.

ამის შემდეგ აყიყინდნენ:
— შავგვრემანსაც ვიცნობთ;
სტალინია, ლენინმა რომ
სამუდამოდ იძმო.

მისი აზრი ზღვაზე ღრმა და
კრისტალზეა წმინდა, —
ყველას მისი დღეგრძელობა
და სიცოცხლე გვინდა.

მათი დედა, აკენის, მრწევი,
სამშობლოა დიდი, —
ყვავილებით მოქარგული
მუდამ, ყოველ კილით...

მე მშვიდობა უთხარ ნორჩებს,
გაუწოდე ხელი, —
თბილი სიტყვა დაუტოვე
და გრძნობები წრფელი.

ყინულოვით ციცივ წყაროს
ვეცი როგორც ბავშვი,
გორის წყალი გადავისხი
ფრონტულ მათარაში.

შორ სივრცეებს დაეფრქვია
შხის სხივების ჩქერი, —
ისე მოჩანს თითქოს კრემლსაც
კი მისწვდები ხელით.

თითქოს აქვე — ამ სიშორით
დედა-მოსკოვს ხედავ, —
მის მოედანს, მის ქონგურებს
და მის მაღალ ბჭეთა.

სპასკის კოშკზე კურანტები
რა საამოდ ძგერენ —
მოციმციმე ვარსკვლავები
დაქათქათებს სერებს.

და მდუმარე მავზოლუმს
ხმა აღეძებს ფერხთა,
ეს იგია, ვინც მსოფლიოს
ბედი გამოსუქდა.

რუხ მახარით — მარმარილოს
კბეებზე დინჯად
ჩამოივლის, წითელ ალმებს
მშვიდად გადასინჯავს —

და მე რე კი მას დახედავს
როგორც ცოცხალს — კრძალვით...
აქ ზედეზიან ბელადები
ასე ჩუმი საღმით...

მოგონებებს მიეცემა,
მიეცემა დუმილს;
რამდენია ამ დუმილით
სამყაროსთვის თქმული!

ეუბნება თითქოს ილიჩს:
— ხედავ, ჩვენო ლეიძლო,
გადავლაზეთ გრივალები,
ორწოხები ვიწრო.

— გესმის, ძმაო, თავთუხიან
ყანის შარიშური,
შენი ხელით ნათესია,
ეს არსობის პური.

ნეტავ შესძლოს წამოდგომა,
გაახლოს თვალი —
ჩვენი აწმყოც გაახარებს,
ჩვენი მომავალიც...

მსუბუქ ნისლში მოკამკამე
მწვერვალები ჩანან...
წინ მივილტვით, სულ ახლოა
კომუნიზმის ხანა!

სამი ბიზნესი



თუ კვირადღეს სამუშაო კომბინე-
 ზონში გამოწყობილ ნაღვლიან ადა-
 მიანს შეხვდებით, იცოდეთ — იგი
 უმუშევარია. კომბინეზონი კვირადღეს
 ნიშნავს ფინანსურ კრახს: ერთადერთი
 საკვირაო კოსტუმში დიდხანია, რო-
 გორც უმუშევრები ამბობენ, „შეკმუ-
 ლია“. ხოლო თუ ეს ადამიანი პირმოუ-
 პარსაივც არის, ჩანს, მისი სამართებ-
 ლიც აგრეთვე „შეკმულია“.

სწორედ ამგვარ მდგომარეობაში შე-
 ვხვდით ჩვენ შემოდგომის ერთ ღრუბ-
 ლიან დღეს დიდი ქალაქის ქუჩაზე
 პენრი უაიტს. რომ გვეკითხა პენრისათ-
 ვის — საით მიათრევს ის თავის ფე-
 ხებს, გაუჭირდებოდა ამაზე პასუხის გა-
 ცემა. სამუშაო დღეებში ის დაეხეტე-
 ბოდა დაწესებულებებსა და საწარმო-
 ებში და სამუშაოს თხოულობდა. ხო-
 ლო დღეს, კვირას, პენრი ძალაუნებუ-
 რად დაწინააღმდეგებდა ქუჩებში: დასაწო-
 ლი ადგილი არსად ჰქონდა, დამჯდარს
 კი სიცივე და ნესტი აწუხებდა; სხვა
 გზა არ იყო, უნდა ემოძრავა. სიამოვნე-
 ბით გაატარებდა ის ამ დღეს ნაცნობ
 ცეცხლფარეშთან საქვაბეში, სადაც
 ადმინისტრაციისაგან ფარულად, ღამეს
 ათვდა. დღისით კი ეს სახიფათო იყო:
 ცეცხლფარეშს ამის გამო შეიძლება,
 ადგილი დაეკარგა.

შემოდგომის სუსხიანი ქარი თავი-
 სუფლად ატანდა პენრის ძველ ტანსაც-
 მელში და ყინავდა მის ისედაც გათო-
 შილ სხეულს.

პენრი მივიდა შადრევანთან, საიდა-
 ნაც წყლის კამარა ჩქეფდა და ირონი-
 ულად გაიღიმა (პუმორი მუდამ განუ-

შორებელი იყო მისთვის): „რა ამაღელ-
 ვებელი მზრუნველობაა! თითქმის ყვე-
 ლა ქუჩაზე არის შადრევანი უფასო
 საპირფარეშო, უფასო ჰაერი. არ არის
 მხოლოდ უმნიშვნელო რამ-უფასო
 პური“.

მან ავტომატურად დაადო ტუჩები
 შადრევანს, მოსვა წყალი და უკანვე
 დაიწია: ცივმა წყალმა „დაუწვა“ ცარი-
 ელი კუჭი. პენრიმ ბარბაცით განაგრძო
 გზა.. იგი რესტორანის ვიტრინასთან
 გაჩერდა; სალათის მწვანე ფოთლებს
 შორის, ძვირფასი ლენინობით შემორ-
 კალული, დიდებულად განისვენებდა
 დაბრაწული ქათამი, რომელსაც თავისი
 წაჭრილი ფეხები პენრისაკენ ჰქონდა
 გაწვდილი.

— მშვენიერებაა! — აღმოხდა პენ-
 რის. — კლეოპატრა ლანგარზე!

შიმშილისაგან კუჭი აეწვა. ლოყებზე
 აღმური მოედო. პენრის არ ესმოდა
 და არც ხედავდა თუ რა ხდებოდა მის
 გარშემო, ის თვალებით ჭამდა „კლეო-
 პატრას“.

— გასწი აქედან, მაწანწალაუ! —
 დაუყვირა რესტორანიდან გამოსულმა
 ოფიციატმა და უხეშად წაკრა ხე-
 ლი. — წაეთრიე ნუ ეფარები ვიტ-
 რინას!

პენრი გამოერკვა ოცნებიდან.

— რატომ აკეთებთ ასეთ მომხიბ-
 ველ ვიტრინას? — სუსტი ხმით შეე-
 კითხა ის.

— იმისათვის, რომ მოეხიბლოთ
 ჯენტლმენები და არა მაწანწალები.

— თუ ასეა მაშინ ჩამოკიდეთ ქათმის
 მკერდზე სათანადო განმარტება.

— უკანასკნელად გეკითხები: წახვალ თუ არა აქედან?

— მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დამისახლებთ კანონის იმ მუხლს, რომელიც უმუშევარს უკრძალავს ქათმის ცქერას.

— ოლ-რაიტ! მე შენ ახლავე გაჩვენებ ამ მუხლს... — და ოფიციალტი, მოტრიალდა რა მკვეთრად, მოსახვევისაკენ გაიქცა. ერთი წუთის შემდეგ ის ზორბა პოლისმენის თანხლებით უკვე დაბრუნდა. პოლისმენის ორადლიანი ფიგურა, მისი გამოზომილი და თავისი ღირსების შესაფერისი ნაბიჯი, მაგარი კეტი ხელში, ძალაუვნებურად იწვევდა ღრმა პატივისცემას კანონის წარმომადგენლისადმი. ჰენრის, რასაკვირველია, არ დაუდია სათანადო მუხლის განმარტებისათვის და სწრაფად გაშორდა იქაურობას.

სხვა რესტორანის ვიტრინასთან იგივე ისტორია განმეორდა, მხოლოდ ქათმის ნაცვლად ვიტრინაში გამოფენილი იყო უზარმაზარი ცვრიანი როსტბიფი.

ოფიციალტთან დიალოგს აქ ნაკლებ სადისკუსიო ხასიათი ჰქონდა. ჰენრიმ უბრალოდ შეუკურთხა მას, ხოლო როცა ზორბა ოფიციალტმა შეკრივის პოზა მიიღო, ჰენრიმ უცებ უკან დაიხია და მოქანცულად და ღონემიხდილად წარმოსთქვა:

— თქვენი ბედი, სერ, რომ გაძლიერებულმა დიეტამ ქანცი გამაცალა, მაგრამ როგორც კი ძალღონეს აღვიდგენ პირობას გაძლევ, მივიღებ თქვენს გამოწვევას.

ამის შემდეგ ის ვიტრინასთან აღარ მისულა. დაეკარგა მადა, მაგრამ როცა საღამო მოახლოვდა, ჰენრი მოიქანცა და ფეხებმა ველარ შეძლეს გამხდარი სხეულის ტარება, ჰენრი პირველსავე სკამზე ჩამოჯდა.

„რადას ველოდები? ვთქვათ, ხვალ სამუშაო ვიშოვე. განა შევძლებ საქმეს თავი გაეართვა? ხოლო, თუ გავითვალისწინებ უფრო შესაძლებელს, რომ

ვერ ვიშოვი ვერავეთარ სამუშაოს, ზეგხომ მიშმილით ფეხებს გაეჭიმე! დასვენა? ორივე შემთხვევა ერთსადაცა იმავს მიკარნახებს: უნდა ვკამო. და დაუყოვნებლივ... მაგრამ როგორ, რანაირად შევასრულო ეს?..“

უცებ მან თავი ასწია; თვალები გაუბრწყინდა: „იდეა! რას ვეარგავ მე?!“

მოსხლტა ადგილიდან. მყისვე მისი ფიგურაც კი გამოიცვალა. წელში გაიმართა, ნაბიჯს აუჩქარა და მტკიცედ გასწია წინ.

ჰენრიმ შეუხვია კუთხეში. მის წინ რესტორანი იყო. მინის კარები რესტორანში შეხედვის საშუალებას იძლეოდა: მშვენივრად მოვარაყებელი ჰერი, მდიდრული შპალერი, თოვლივით თეთრი სუფრები, ყვავილები, ტროპიკული მცენარეები... მედიდური ლედები და ჯენტლმენები მაგიდებთან ისხდნენ და საკმელს მიირთმევდნენ. ოფიციალტები საზეიმო და სერიოზულ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. მძლავრად დაიგრიალა ჯაშმა. ჰენრიმ თავი გაიქნია.

„არა! ჩემი სამუშაო სმოკინგი ერთობ ღარიბია ამ რესტორანისათვის...“ ამოიხსრა და ბარბაცით განაგრძო გზა.

ჰენრიმ გადაწყვიტა — შეეცვალა სტრატეგია: შეჭრილიყო ღრმა ზურგში. „ზურგად“ ის გულისხმობდა საკმაოდ ჩაბნელებულ ქუჩას უღიმღამო რესტორანებითა და ღარიბული ვიტრინებით, რომლებსაც ამშვენებდა ღორის ხორცი ცერცვით — ყველაზე პოპულარული და დემოკრატიული კერძი. რესტორანის შინაგანი მოწყობილობა სავსებით შეეფერებოდა ვიტრინას. აქ არ იყო სმოკინგები, ყვავილები და ჯაშო, მაგრამ სამაგიეროდ აქ შეიძლებოდა კიდევ უფრო დემოკრატიული საზრდოს მოპოება ოცდახუთ და, ასე გასინჯეთ ოც ცენტადაც კი, მაგრამ ჰენრი ამ რესტორანზე შეჩერდა. თუ დალუპვა მიწერია, გემო მაინც ჩავატანო! — გადაწყვიტა მან.

რესტორანში მხოლოდ მუშა ხალხი იყო და ამ ფონზე ჰენრი მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა.

მიუხედავად ამისა, კარებთან ის მაინც შებორძიკდა. ზღურბლზე გადაბოჯება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ჰენრი დიდხანს ტყეპნიდა ერთ ადგილს, გონება კუქს ებრძოდა. კუქმა აჯობა.

„რასა ვკარგავ!“ — ჰენრიმ მტკიცედ შეალო კარები.

საქმელის სუნმა თავბრუ დაახვია მას, და მოეჩვენა, რომ რესტორანის სტუმრები მაგიდებითა და სკამებიანად დაიძრნენ მის შესახვედრად, შემდეგ უკან დაიწიეს, მიაწყდნენ მარჯვნივ, მარცხნივ. მოეჩვენა, რომ იატაკიც ნელა ეშვება ძირს და შემდეგ კვლავ მალა იწევს, როგორც გემის ერდო. ჰენრი ძლივს მილასლასდა პირველსავე მაგიდამდე, მძიმედ ჩამოჯდა სკამზე და ერთი წუთით თვალები დახუჭა. როცა თვალები გააჭყიტა, ყველაფერი თავის ადგილზე აღმოჩნდა. ჰენრიმ ექვიანად მიმოიხედა გარშემო. მაგრამ სტუმრებს მისთვის არ ეცალათ. მათი თვალები ღრმა სერიოზულობით თეფშებისაკენ იყო მიპყრობილი. ჰენრი ცოტათი დამშვიდდა. მაგრამ, როდესაც გამოჩნდა გახუნებულპოჯაკიანი ოფიციანტი, ჰენრიმ რაღაც ციებ-ცხელების შემოტევისებური რამ იგრძნო — ერთგულა და საშინელი სისუსტე. რამდენადაც ოფიციანტი თეხების ტყაპუნითა და სალფეთქის ქნევით, ნელ-ნელა უახლოვდებოდა მაგიდას, იმდენად ჰენრის მაჯისცემა ხშირი ხდებოდა. ხოლო, როცა ოფიციანტი პირდაპირ მიადგა მაგიდას, ჰენრის საშინლად დაცხა.

— რას მიირთმევთ? — ზანტად შეკითხა ოფიციანტი.

ჰენრიმ უკანასკნელი ძალღონე მოიკრიბა და ძლივს წარმოთქვა:

— პპ... ორცია ბბივშტექსი...

— კიდევ რა? — შეკითხა ოფიციანტი.

— და... და... ერთი კიქა ლუდი.

ოფიციანტი წავიდა. ჰენრი წელში გაიმართა. თავისუფლად ფიქსიუნთქვა

ძნელია იმის გადმოცემა, ჰენრის იგრძნო, როცა ბივშტექსი დაინახა. პოეტები ხშირად ასწერენ შეყვარებულთა განცდებს, მაგრამ არა მგონია რომელიმე მათგანმა შეძლოს იმ გრძნობების გადმოცემა, რასაც ჰენრი განიცდიდა. იმ წუთებში მისი სახე გაბრწყინდა. მან კინალამ დაიყვირა სიხარულისაგან.

ჰენრიმ ბივშტექსი რამდენიმე ლუქმად ჩასანსლა ლუდთან ერთად. მაგრამ მაღა კამის დროს მოდის, ხოლო რაკა უმუშევარს უქმელადაც კარგი მაღა აქვს, ცხადია, ჰენრის არ შეეძლო ერთი პორციით დაემყოფილება. მან კარგად გემოს გაგებაც ვერ მოასწრო.

— კიდევ ერთი პორცია, სერ! — მიმართა მან ოფიციანტს.

ოფიციანტი სახტად დარჩა:

— უკვე?!

— როგორც ხედავთ — დაბნეულად უპასუხა ჰენრიმ.

— მაინც, — თავი გაიქნია ოფიციანტმა, — სწრაფად დაამუშავეთ... ჰამა კი არა, ნამდვილი ფოკუსია!

ჰენრიმ იგრძნო, რომ უხეში შეცდომა დაუშვა: ერთბაშად უნდა შეეკეოთ ორი პორცია, ანდა ცოტათი დეეყოვნებია. სასწრაფოდ უნდა მოეთიქრებია რაიმე თავის გასამართლებლად, მან კი წამოილულულა ის, რამაც პირველად ააუტლევა თავში.

— ექიმები ამბობენ, რომ მე არანორმალური კუჭი მაქვს...

— მართალი უთქვამთ ექიმებს, — ირონიულად დაემოწმა ოფიციანტი, ძალზე მოკუტა თვალები და შეათვალიერა ჰენრის წვერი. ჰენრის ცივი ოფლი დაასხა.

— გარდა ამისა მე თითქმის ორი დღედაღამეა, არა მიჭამია-რა... საქება განყოფილებაში მოხმდარი ავარიის გამო... სასწრაფოდ სამუშაო იყო. პირის გაპარსვაც კი ვერ მოვასწარი. პირდა-

პირ აქ მოვედი... საქვამე განყოფილებიდან...

— ჩვენ არ გვიინტერესებს თქვენი წვერი, თუნდაც ჭიბამდე იყოს ის. ჩვენ გვიინტერესებს თქვენი ფულუბი; — აშკარა არათავაზიანი ტონით გადაუყრა სიტყვა ოფიციალტმა.

— სწორია! — უპასუხა ჰენრიმ — ამიტომ... — დაამთავრა მან გაუბედავად — ჩქარა მომიტანეთ კარგი ბივშტექსი და თქვენ „საჩუქარს“ მიიღებთ.

ამ ხერხმა გასჭრა. ოფიციალტის სახე ერთბაშად გამოიცვალა. საბოლოოდ რომ გაეფანტა ექვები, ჰენრიმ დაუმატა:

— ზედმეტი მუშაობისათვის ჩვეულებრივზე მეტ ხელფასს იძლევიან; მაშ რატომ არ უნდა გაეახარო ჩემი ერთადერთი კუჭი?

— სავსებით მართალია! — მლიქვნელურად ჩაიხიბითთა ოფიციალტმა. — გვიბრძანეთ, სერ, კიდევ ერთი ჭიქა ლუდი?

— აუცილებლად!

ოფიციალტი ფეხების ფრატუნით წავიდა სამზარეულოსაკენ. „სერს“ სუნთქვა შეეკრა. რა სისულელეა! ამჟამად თავისი მადის სავსებით დაუკმაყოფილება სისულელე იქნებოდა...

...არქტიკული სიცივე ტროპიკული სიცხით შეიცვალა, როდესაც მაგიდაზე გაჩნდა მეორე ბივშტექსი — ცერიანი, წვენი. ეს პორცია ჰენრიმ შეჭამა მშვიდად, შენელებული ტემპით. და როცა მოათავა, დაფიქრდა: როგორ მოიქცეს? პასუხს, ხომ, სულერთია, აგებინებენ გინდ ორი პორციისათვის, გინდა სამისათვის. ხოლო კუჭში ჯერ კიდევ საკმაო თავისუფალი ადგილი იყო. მაშ, რატომ არ უნდა გაბედოს? ეხ, რაც იყოს, იყოს! — და ჰენრიმ ზარივით ახმაურა თეფში დანით.

— მრცხენია, ასეთი მალა რომ მაქვს! — მორცხვი ღიმილით მიმართა მან ოფიციალტს.

— არაფერია. ვის რა ესაქმება! — თავმდაბლად უპასუხა ოფიციალტმა.

— მაგრამ, იცით, ეს ბეჭედი რა მუშაო საქვამე განყოფილებაში... — განაგრძობდა ჰენრი.

— განა ღირს ამაზე ლაპარაკი გნებავთ ანგარიში მოგართვათ?

— მე მინდა მომართვათ... კიდევ ერთი პორცია...

ოფიციალტს კვლავ შეეცვალა სახის გამომეტყველება, მაგრამ ალბათ მოაგონდა დაპირება „საჩუქარის“ შესახებ, ისევ შეეცვალა თავისი ფიზიონომია პირვანდელ ყაიდაზე და, ასე გასინჯეო, ნაზად, ზრდილობიანად ჰკითხა:

— შეიძლება, სერ, ღორის ხორცს ისურვებთ — ცერცვით?

— არა გმადლობთ, მირჩენია ბივშტექსი და ერთი ჭიქა ლუდი, — თავმომწონედ სთქვა ჰენრიმ.

— როგორც ვხედავ, ეს თქვენი საყვარელი კერძი უნდა იყოს, — თავაზიანად გაიღიმა ოფიციალტმა.

— თავვანსა ვცემ!

მესამე ბივშტექსს ჰენრი მეტი გემოს ჩატანებით და ლაზათიანად შეეჭკეოდა, როგორც ნამდვილი გურმანი, როგორც ხელოვანი. ის ტკებოდა. ის განცხრომაში იყო. მისი ფერწასული ლოყები წითლად იყო აღაქვებულები, თვალბზე ბინდბუნდი გადაკვროდა, როგორც ნალვინე ადამიანს. ის მართლა „დაათრო“ ლუდმა და ზორცმა.

მაგრამ, დახეთ, შეჭამა უკანასკნელი ნაჭერი, გადაკრა უკანასკნელი ყლუპი, — ჰენრი მამდარია! რასაკვირველია, მას კიდევ შეეძლო მეოთხე ბივშტექსის მოთავსება კუჭში, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა. „არ გამოვა, — ჩაიცინა ჰენრიმ, — ცხადია, ამ ხარვეზის შევსება ფინჯანი ყავით მომიხდება“. და ბევრი არ დააყოვნა, დაუქნია ხელი იქვე მიმავალ ოფიციალტს.

— მეცით პატივი, მე კიდევ...

— კიდევ? — კინაღამ შეჰყვირა ოფიციანტმა.

— რასა ბრძანებთ, ღმერთმა დაგუაროთ! — შეზარხოშებული ღიმილით ჩაუქნია ხელი ოფიციანტს ჰენრიმ. — მე მინდოდა ფინჯანი ყავა.

— ყავა? სიამოვნებით.

— და ყავასთან ერთად კიდევ რაქ...

— კექსი?

— მოიტათ კექსი.

— ერთი, ორი?

— სამი... ოღონდ, გთხოვთ, ახალი იყოს.

ჰენრიმ ვერ შენიშნა, რომ ამჯერად ოფიციანტმა, — ვიდრე სამზარეულოსაკენ წავიდოდა, შეუხვია იმ ოთახში, სადაც კანტორა იყო მოთავსებული. და რამდენიმე წამის შემდეგ იქიდან გამოვიდა მეტად მრისხანე ბატონის თანხლებით. ეს იყო რესტორნის პატრონი, ოფიციანტმა ხელით უჩვენა ჰენრის ზურგი და წავიდა სამზარეულოში. რესტორნის პატრონი ჩადგა გამოსასვლელ კარებში.

ჰენრი არ დაეკვივებულა იმაში, რომ უკანდასახვევი გზა გადაჭრილი იყო. ის არხეინად იღიმებოდა თავისთვის, მოხდენილად ურევდა ჭიქაში პატარა კოვზს, და, როგორც ნამდვილი ჯენტლმენი, ყლუპ-ყლუპად სევამდა: სად ეჩქარებოდა! ის ცდილობდა გაეხანგრძლივებინა ეს დაუვიწყარი წუთები. აქ იყო სითბო და სიმშვიდე. იგი ისეთ ნეტარებას განიცდიდა, როგორიც დიდი ხანია მას არ განუცდია.

— რა ცოტა საჭირო ადამიანისათვის! — მსჯელობდა ის, — რაღაც სამიწვე ბიჭტექსი, და განწყობილება შეიცვალა“.

ჰენრის აკლდა მხოლოდ სასიამოვნო თანამოსაუბრე, რომელთანაც შეიძლებოდა ლაყბობა ბედის უკულმართობაზე.

...მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. ეს კი მას ოფიციანტმა მოაგონა.

— სულ ეს არის? — ჰკითხა მან ისე, რომ არ დაუცდია დაძახებისთვის.

— სულ! — სინანულის კლოთი უპასუხა ჰენრიმ.

— ორი დოლარი და ოცდაათი ცენტი.

— მნიშვნელოვანი რიცხვია, — ჩაიციხა ჰენრიმ.

— მადის შესაფერისად, — ეშმაკურად უპასუხა ოფიციანტმა.

ჰენრი ერთ წუთს ჩაფიქრდა.

— მითხარით... რესტორნის პატრონი გულისხმიერი კაცია?

ოფიციანტს სახე დაეკიშა.

— რა შუაშია ეს?

— იცით რა... მე მინდოდა მეთხოვა მისთვის, რომ ჩემზე დარჩენილიყო ვალად.

ოფიციანტი ისე შეხტა, თითქოს ლურსმანს დაჰკრა ფეხით.

— დიახ, ვალად, — საცხებით დამშვიდებულად განაგრძობდა ჰენრი, — მე შემძლია ხელწერილი მოგცეთ. საჭმე მხოლოდ ვადას შეეხება. რაც შეეხება თქვენთვის შეპირებულს...

ოფიციანტს აღარ დაუცდია ფრაზის დამთავრებისათვის. სწრაფად მოტრიალდა და კისრისტეხით გასწია თავის ბატონისაკენ. იქედან — ტელეფონისაკენ. რესტორნის პატრონს ბრაზისაგან სიყვითოლემ გადაჰკრა, და შეუტია ჰენრის.

— გადაიხადე, მაწანწალავ! — გააფთრებით მიმართა მან.

— ჩემდა სამწუხაროდ, მისტერ, ამეამად არა მაქვს ამის საშუალება. მე მხოლოდ ის შემძლია, რომ დაგაკმაყოფილოთ პატიოსანი სიტყვით და ხელწერილით.

— დამიფურთხებია მე შენს პატიოსან სიტყვაზე! როგორ გაბედე, შე ძაღლის ლეკვო, აქ შემოსვლა, თუ ფული არა გქონდა!..

— მაშ, როგორ მოიქცეოდით თქვენ, სერ, ჩემს ადგილზე, შიშნით მოიქცეოდით თავს?

— შეხვიდოდი სხვა რესტორანში! რატომ მინცდამაინც მე ამომიღე მიზანში?

— განა სხვა რესტორნებში მუქთად აკმევენ?

— არამზადავ! ძვირად დაჯიღდება ჩემი ბიუშტეკები! პირიდან ამოგთხრი ყველას!

— ვერ მოგართვით! რაც ჩემს კუჭშია, ის უკვე ჩემია.

— ნაბიჭვარო, — აღრიალდა რესტორნის პატრონი — მე შენ დაგაპატიმრებ!

— ეჭვიც არ მეპარება ამაში! — დამშვიდებული ღიმილით უპასუხა ჰენრიმ.

რესტორნის პატრონი გავარდა ქუჩაში. სტუმრებმა თავი ასწიეს.

— მე არ მეშინია, — გაიღიმა ჰენრიმ, — მაქლარი კუჭი საოცრად ამშვიდებს ნერვებს.

...უხვი საკმელი, დაღლილობა და განცდები, — ყოველივე ამან უმაღვე იმოქმედა ჰენრიზე. ის იდაყვით დაეყრდნო მაგიდას და ჩასთელიმა. მან ვერ დაინახა, როგორ მოხრიალდა პოლიციის მანქანა, რომელიც გამჟვარტლულ ვაგონს უფრო წააგავდა, როგორ შემოიჭრა რესტორანში პოლისმენი თავისი მძიმე ფიგურით, უზარმაზარი ყბებით.

პოლისმენმა მოუსმინა რესტორნის პატრონს, თავი დაუქნია, მივიდა ჰენრისთან და ნელა ჩაუკაკუნა თავში რეზინის ჯოხი. ჰენრიმ თვალები გაახილა „მებრძანდით“. — წარმოთქვა პოლისმენმა იქ მყოფთა გამაყრუებელ ხარხარში. პოლისმენსაც კი მოეღრცა სახე, რაც ღიმილს ნიშნავდა. მიოხეითაოდ ამისა, წმინდა ფორმალური მოსაზრებით, მან თავისი გრძელი თათები ჩაავლო დაპატიმრებულს საყელოში და გასასვლელისაკენ გაათრია.

— ასე მკაცრად ნუ, უფროსო! ასე გახელებით ნუ! — გაგუდუნდა ჰენრი — ლეხებდა ჰენრი, — მე არ ვაპირებ...

ოფიციალტმა ფართოდ გაუღო კარები ჰენრის, ეშმაკური ღიმილით მდამლად დაუკრა თავი: „გუდბაი, გენტლმენო!“ და საკმაოდ საგრძნობი პანდური ამოკრა ფეხსაცმლის წვერით. პოლისმენმა ერთი ხელით მანქანის კარები გააღო, მეორე ხელით კი ოდნავ ასწია ჰენრი ჰაერში და შეაგდო მანქანაში.

— ტყუილად იქცევით, თქვენ, უფროსო, ასე, — უთხრა ჰენრიმ, დაჯდა სკამზე და კისერი მოიწმინდა. — ეს არ იწვევს თქვენდამი არც სიყვარულს, არც პატივისცემას!

— ასეა საჭირო წესდების მიხედვით, — ქშენითა და ღრეკით, წაილულულა პოლისმენმა და ჰენრის პირდაპირ დაჯდა. იგი იმდენად უსანდომო შესახედავი იყო, რომ ჰენრიმ სწრაფად დახუჭა თვალები.

ჰენრიმ მომცრო კამერაში გაატარა დამე, ხის გაპრიალებულ ტახტზე. მაგრამ, მიუხედავად ამ უხეში სარეცელი-სა, ისე მაგრად ეძინა, რომ მის გასაღვიძებლად საჭირო გახდა პოლისმენის უხეში ხელი. დაპატიმრებული მშვენიერად გრძნობდა თავს. საუზმემ, რომელიც ერთი ფინჯანი მწარე, უშაქრო ყავისა და პატარა ნაჭერი პურისაგან შედგებოდა, კიდევ უფრო გაახალისა მისი განწყობილება.

— როგორი გულის ამაყუჩებელი მზრუნველობაა! — ლულულეხდა იგი. იმავე მანქანით, იმავე პოლისმენის თანხლებით, დაპატიმრებული სასამართლოს შენობაში მიიყვანეს. მისაღებ ოთახში ჰენრი სხვა პატიმრებს შეხვდა. მოჰყავდათ ახალახალი პატიმრები. ესენი იყვნენ „წვრილფეხა დამანაშვენი“: ქუჩაში მიმოსვლის წესების დამრღვევი შოფრები, სახედალურჯებული მოჩხებრები, ქურდ-ბაცაცები, კიბგირები, მათხოვრები, მემძევი ქა-

ლები; იმის და მიხედვით, თუ როგორ სწრაფად წყდებოდა „საქმეები“ სასამართლოს დარბაზში, შეიძლება დაგვესკვნა, რომ მოსამართლე დიდი გამოცდილების მქონე უნდა ყოფილიყო. და, აი, დადგა ჰენრის ჯერიც. ის შევიდა სასამართლოს დარბაზში. რიგელის იქით, უკანა პლანზე, მოსამართლე, მისი მდივანი და ჰენრის ნაცნობი — რესტორნის პატრონი იმყოფებოდნენ. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანდა, აქ მეორე კარებიდან იყო შემოსული. საქმეები ხალხისათვის ცარიელი იყო. მოსამართლე, კბილებში ჩიბუხგარკობილი, სავარძელში იჯდა და, როგორც ნამდვილი იანკს, ფეხები მაგიდაზე ჰქონდა დაწყობილი. პირველი, რაც თვალში მოხვდა ჰენრის, ეს იყო მოსამართლის ხალისიანი, დაეღაზა სახე. ჰენრიმ პირველი შეხედვითვე „დაადგინა“, რომ მოსამართლე ალბათ კარგად იკვებებოდა.

მოსამართლის გლუვად დავარცხნილი თმა შავად ბზინავდა. მისი შავი, ეშმაკური, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, მოგაიძვერო თვალები მხიარულად გამოიყურებოდნენ, ხოლო მოღიმარე სახე გულკეთილობის შთაბეჭდილებას ახდენდა. ეტყობოდა, რომ კარგი ცხოვრებისაგან მოსამართლე ვერ ისვენებდა თავის ადგილზე. ჩიბუხი წარამარა იცვლიდა ადგილს პირის ერთ კუთხიდან მეორეში. მარჯვენა ხელში ათამაშებდა ხის პატარა ჩაქუჩს, რომელიც შეერთებულ შტატებში თავმჯდომარის ხარის ნაცვლად არის შემოღებული.

ჰენრის დანახვაზე მოსამართლემ პირიდან გამოიღო ჩიბუხი, მაგიდიდან ფეხები ჩამოიღო, ჩაქუჩი გაიჭნია და, თითქოს თავის ძველ მეგობარს ესალმებო, წარმოთქვა.

— ალო!

მისალმებამ და მხიარულმა გაღიმებამ გააოცა ჰენრი. ასეთი ქცევა პოლიციის წესებს არ შეეფერებოდა.

...დაიწყო „საქმე“. რესტორნის პატრონმა ხელი ასწია მაღლა, რაც ფეხის მიღებას ნიშნავდა. ის მოკლედ მიხედა ისე მრისხანედ ლაპარაკობდა და ისე აბრიალებდა თვალებს, გვეგონებოდა. მოპასუხეს უმძიმესი დანაშაული ჩაუდენია და ელექტრონის სკამზე სიკვდილით დასჯის ღირსიაო. მაგრამ მოსამართლეზე მისმა სიტყვამ სულ სხვაგვარი ეფექტი მოახდინა. სავარძლის ზურგზე დაყრდნობილი, მოსამართლე მხიარულად იცინოდა, თითქოს საქმე რომელიმე კაფეში მიმდინარეობდა, სადაც მას მხიარულ ანეკდოტს უამბობდნენ.

— გენიალურია! სწორედ კეისარით ჩაუდენია: მივიდა, შევამა და ფული არ გადაიხდა! — ხითხითებდა ის და შეჭარბოდა მოპასუხეს. ის ისე გულიანად იცინოდა, რომ ასე გასინჯეთ, პოლისმენმაც კი გაიღიმა. არ ილიმებოდა მხოლოდ რესტორნის პატრონი.

— მაშ, დაიწყოთ! — მიმართა რამდენადმე დამშვიდებულმა მოსამართლემ „დამნაშავეს“. — რა გქვიათ თქვენ, ძვირფასო კეისარო?

— ჰენრი უაიტი, — იყო პასუხი.

— მეტად სასიამოვნოა, მისტერ უაიტ. თქვენი მისამართი?

— ქალაქი დენკერი, შტატი კოლორადო, ამერიკის შეერთებული შტატები.

— ეს თავისთავად გასაგებია, — ისევ გაიცინა მოსამართლემ, — მე მხედველობაში მაქვს თქვენი ბინის მისამართი.

— სამწუხაროდ, ასეთი ფუფუნებით არ ვსარგებლობ, აგერ უკვე მეოთხე თვეა. რაც შეეხება ჩემი მოსალოდნელი ბინის მისამართს, ეს თქვენ, მისტერ, უკეთ იცით.

— მახვილგონივრულად არის ნათქვამი, მეტად მახვილგონივრულად! — ხითხითებდა მოსამართლე. — თქვენი ხელობა?

— სამუშოს ვეძებ, პატივცემულო მოსამართლე!

— მაგრამ ეს ხომ ხელობა არ არის! — გაიციან მოსამართლემ. — მე თქვენი პროფესიის შესახებ გეკითხებით.

— უმუშევარი, თქვენო ბრწყინვალე ბავ.

— მაგრამ ეს არ არის პროფესია, აბამედ დროებითი მოვლენა გახლავთ.

— სამწუხაროდ, ეს მოვლენა იმდენად ხშირად მეორდება, რომ პროფესიად ჩდება ის.

— როგორ სამუშაოს ისურვებდით თქვენ?

— რომელიც ჩემი ძალღონის შესაფერისი იქნებოდა, პატივცემულო მოსამართლე.

— სახელდობრ?

— გამდილობიდან დაწყებული ცეცხლფარეშობამდე. მე მედიდური კაცი როდი ვარ.

— ხა-ხა-ხა! ეს მე მომწონს. ახლა გადავიდეთ უმთავრესზე, რამ გაიძულათ დანაშაულის ჩადენა?

— უღმობელმა აუცილებლობამ, პატივცემულო მოსამართლე. ხომ გაგიგონიათ, წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო...

— ამ შემთხვევაში ხავსი სამი ბიჭ-შტექსი აღმოჩნდა, თავისი დამატებებით?

— რა გაეწყობა, პატივცემულო მოსამართლე. ხანგრძლივი მარხულობის შემდეგ ეს არც იმდენად დიდი რამ არის. ჩემი ანგარიშით, ოთხ თვეში მე უნდა შემეჭამა ასოცი ბიჭ-შტექსი დამატებებით...

მოსამართლე ისე გულუკეთილად ხითხითებდა, რომ ჰენრის სურვილი აღეძრა — გადახვევოდა ამ მხიარულ ყმაწვილს.

— ასე რომ, — სიცილით განაგრძო მოსამართლემ, — თქვენი საქციელი შეიძლება კვალიფიცირებული იქნას, როგორც შეგნებული დანაშაული.

— როგორც შეგნებული საქციელი, მაგრამ არა დანაშაული, *კუკუ ვეუსწორა*
ბიბლიოთეკა

— მაშინ, როგორ-ღა უნდა იქნას შეფასებული ქურდობა?

— არასგზით არ შემიძლია დავეთანხმო ასეთ ანალოგიას — წამოიძახა ჰენრიმ, — ქურდობა, ჩადენილი ქურდის — პროფესიონალის მიერ ან უოლსტრიტელი ბანკირის მიერ, სულ სხვა საქმეა.

— მაგრად არის ნათქვამი, — შენიშნა მოსამართლემ და გადახედა მღოვანს, — მაგრად! მითხარი, გეთაყვა, მისტერ უაიტ, სად ისწავლეთ თქვენ ასეთი სტილით ლაპარაკი?

— წიგნებით, თქვენო ბრწყინვალე ბავ, წიგნებით, უმუშევარს, სანამ ის რიგიან კოსტუმს ატარებს, საკმაოდ რო აქვს ბიბლიოთეკაში სიარული-სათვის.

— დიდებულის! მაგრამ მაშინ გაუგებარია, თუ რატომ თქვენ, ინტელიგენტმა კაცმა, ჩაიდინეთ ასეთი უღამაზო საქციელი!

— იცით რა, მისტერ, ჩემი კუჭი არ კითხულობს წიგნებს. ის პურს ირჩევს.

— ანდა სამ ბიჭ-შტექსს, — თვალის ჩაყვრით შენიშნა მოსამართლემ.

— მას რომ ერთი ბიჭ-შტექსი ეჭამა, — მოულოდნელად ჩაერია საუბარში რესტორანის პატრონი, — მე, შეიძლება მეპატრიბინა მისთვის ორმოცდაათი ცენტრი, მაგრამ მან მიირთვა ორი დოლარისა და ოცდაათი ცენტრის საქმელი.

— აბა რა ვიცოდი, — მოუბრუნდა მას ჰენრი, — თუ თქვენ ჰუმანურობა მხოლოდ ორმოცდაათ ცენტრამდე გეყოფოდათ!

მოსამართლემ და მდივანმა ერთდროულად გადაიხარხარეს.

— ეს ყმაწვილი მე გარკვეულად მომწონს! — აღფრთოვანებით მიმართა მოსამართლემ მდივანს.

— სასაცილო ყმაწვილია, — დაემოწმა მდივანი, — და ცნობისმოყვარეობით აათვალ-ჩაათვალა ბრალდებული.

— ოჰ, მისტერ უაიტ, — მოსამართლე გასწორდა სავარძელში და მაგიდაზე დაკრა ჩაქუჩი, — რამდენადაც სასიამოვნო არ უნდა იყოს თქვენთან საუბარი, მაინც საქმე უნდა ვავათავოთ. იცით მისტერ, ჩვენი სასამართლო იმდენად არ სჯის, რამდენადაც ჭკუას ასწავლის. იცავს რა მოქალაქეთა სიმშვიდესა და საკუთრებას, ის ამავე დროს აფრთხილებს დამნაშავეს ხელახლა დანაშაულის ჩადენისაგან და, მამასადამე კიდევ უფრო მკაცრი სასჯელისაგან.

ამ ხიტყვების წარმოთქმისას მოსა-

მართლე თითქოს თავს იმართლებდა ბრალდებულის წინაშე, ხოლო მისი გაიძვერა თვალები — კვლავ მხოლოდ ბრწყინაედნენ.

— სასჯელის ზომა დანაშაულის ზომით განიზომება, — განაგრძო მან. — რაც შეეხება თქვენ მიერ ჩადენილ დანაშაულს, აქ სასჯელი განისაზღვრება საპატიმროთი, — ვადით ერთიდან სამ თვემდე. მაგრამ იღებს რა მხედველობაში თქვენს ინტელექტუალურ განვითარებას, სასამართლო ადგენს: ჰენრი უაიტს მიესაჯოს პატიმრობა ხუთი თვის ვადით...

თარგმანი შა. ბორობაძისა

სიუჟის ველი

ნარკვენი

★

თბილისი შორს მოვიტოვეთ. სოფელ ჩუმლაყში მიგვეჩქარება. გზა მთის კალთებზე მიიკლავება. მის მარცხენა მხარეს ტყით შეფენილი მაღლობებია, მარჯვნივ, დაბლობში, თვალწარმატაი ველია გადაჭიმული. ხოლო იქ, შორს, ვერცხლისფრად ელვარებს ალაზანი. შესანიშნავია ალაზნის ველი — ბაღებისა და ვენახების, ნაყოფიერი მინდვრებისა და ბოსტნების ეს კურობეული მხარე.

სულ უფრო სწირად გვხვდება სუფთა, ღამაში სოფლები... მხენელ-მთესველი, რომელიც ოდესღაც ძველისძველ, მამა-პაპურ კავში გაბმულ ხარბნსა და კამეჩებს მიერეკებოდა, ტრაქტორზე და კომბაინზე გადაჯდა. მმარგლავე — კულტივატორზე, მეურმე — ავტომანქანაზე, ალაზნის ველზე მიწა მანქანებით იხენება, ითვისება და მოსავალსაც მანქანებით იღებენ.

ალაზნის ველზე მოჰყავთ ძველი, ძვირფასი ჯიშის ზორბალი — დოლისპური, რომელსაც ხალხმა ქართული ველების დედოფალი უწოდა. ალაზნის ველი განთქმულია თავისი სურნელოვანი ხილით, ბოსტნეულით, საზამთროთი, ნესვით. მაგრამ განსაკუთრებულ სახელს უქმნის მას ვენახი. მევენახეობისა და სამრეწველო მეღვინეობის მხრივ მას პირველი ადგილი უკავია რესპუბლიკის რაიონებში. აქაური ღვინოები თავისი შესანიშნავი თვისებებით ცნობილია არა მარტო საქართველოსა

და მთელ საბჭოთა კავშირში, არამედ ჩვენი დიდი სამშობლოს საზღვრების იქითაც. აქ, ალაზნის ველზე, მოჰყავთ სახელგათქმული რქაწითელი, საფერავი, მწვანე, კაბერნე, ქინძმარეული, ოთხი რაიონის — გურჯაანის, სიღნაღის, თელავისა და ყვარლის რაიონების ვენახები განლაგებულია ალაზნის ველზე.

როცა თქვენ გომბორის ქედს შედგებით და მთას იქით გადახედავთ, თვალწინ წარმოგიდგებათ სიღნაღის ციხე. სიღნაღი, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი გადაჭიმულია მაღალ ციციბო კლდეებზე. ეს ბუნებრივი სიმაგრე, როგორც მიუდგომელი ბუნებრივი სანგრები, აღმართულია ალაზნის თვალწარმატაი ველის კარებთან. ეს სანგრებ-სიმაგრეები თვით ბუნებამ წარმოშვა აქ, რათა დაეცვა ქართველი ხალხის ბელელი მტერთა შემოსევისაგან. ადამიანის ხელმა სიღნაღის მაღლობები კიდევ უფრო მიუდგომელი გახადა, შემოარტყა რა მათ დაკბილული კედლები მაღალი კოშკებით. ამ კედლების ძირთან საუცხოო მწვანე ხავერდის ხალიჩად გადაჭიმულა ალაზნის ველი. — „ქალარა, ვითა თქმულება, ქორფა, ვით ნაზი სიმღერა“... ათასობით კვადრატული კილომეტრი უკავია ალაზნის მიწებს, რომელიც სარგებლობს „სოუხის ველის“ დიდებით.

ალაზნის ველები და ვენახები ძველთაგანვე სახელგანთქმული იყო, მაგრამ მისი პურის ყანები არაერთხელ გადაუთელნიათ მონღოლებს, ეაზებს კათავდ-

ნენ ირანელ დამპყრობთა სისხლიანი ზელები. სამშობლოს ბედ-იღბალზე ლიქრობდა დიდი ქართველი პოეტა ილია ქავჭავაძე, როდესაც იგი მწუხარებით მიმართავდა ალაზნს:

მდინარე, ჩემის მშობლიურ
მთის ცრემლით შემდგარო!
მე შენს კიდზე ვდგავარ,
ღამიქვე მუ, შეგობარო!

ტრაქტორისტების და კოლმეურნეების, აგრონომებისა და ინჟინერების შემოქმედებითი შრომა, ადამიანთა შეუპოვარი და გაბედული შრომა სახეს უცვლიან ალაზნის ველის ბუნებას, ახალი ცხოვრებისათვის აღორძინებენ ამ საოცარ მხარეს.

ახლისათვის მებრძოლთ წინ მიუძღვით მექანიზატორები. გზებზე სულ უფრო ხშირად გვხვდება სატრაქტორო ბრიგადების ბანაკები. ყოველ ხუთ კოლმეურნეობაზე ერთი სამანქანო-სატრაქტორო სადგური მოდის. და ყოველი მათგანი საიმედო დასაყრდენი პუნქტია უხვ მოსავლისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ადამიანებმა ოსტატური, მოხერხებული, გულმოდგინე შრომით კიდევ უფრო გააღამაზეს ბუნება. მათ ალაზნის წყალი არხებით წარმართეს ტურბინებისაკენ, გაელინთეს ამ წყლით მიწის ახალი მასივები, ელექტროენერგია და სინათლის შუქი მისცეს სოფლებს.

წინათ აქაურ გლეხთა უმეტეს ნაწილს ნავთის ლამპაც არა ჰქონდა. რომელ მათგანს შეეძლო მაშინ ეოცნება ელექტრონზე? ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ალაზანზე დაიწყო ომამდე, ხოლო დამთავრდა 1942 წელს.

ეს იყო ჩვენს ქვეყანაში სოფლის ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური.

შოფერმა — იგი გურჯაანის მცხოვრები, აღმოჩნდა — სიამაყით ეტყობოდა, რომ მევენახეობის ყველაზე მაღალმა იონმა — გურჯაანმა — პირველმა დამთავრა რესპუბლიკაში სოფლების ელექტრიფიკაცია, რომ აქ 40-ზე მეტი სოციალისტური შრომის გმირია.

რაიონული საბჭოს აღმასკომში ჩვენ შეგვატყობინეს, რომ ჩუმლაყის არტელის თავმჯდომარე, პარტიული აქტივის უკვე დამთავრებული რაიონული თათბირის მონაწილე, გურჯაანშია და რომ მასთან ერთად წაეალთ კოლმეურნეობაშიო.

რალაც ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ უკვე ვსაუბრობდით ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვლადიმერ ოსოშვილთან. ეს მაღალი, მხარბეჭიანი, დაახლოებით ორმოცდაათი წლის ვაჟკაცია. არმიაში მას არ უმსახურია, ხოლო მეომრის შეხედულება მან საცხენოსნო სპორტით გატაცების მეოხებით შეიძინა.

მანქანაში ჩაჯდომისას ჩვენთან მოვიდა ხანში შესული ქალი და გვთხოვა წაგვეყვანა. ეს იყო ოლღა ჩიგიტაშვილი, მუკუზნის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე. ოსოშვილმა გაგვაცნო ის და დაიწყო საუბარი ჩვენი თანამგზავრი ქალის შესახებ. ამბავმა ისე გამიტაცა, რომ მთელ ჩვენს, თუმცა არახანგრძლივგზაზე ვერ მოვახერხე შეკითხვა ოსოშვილისათვის იმ კოლმეურნეობის შესახებ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა.

ოლღა ჩიგიტაშვილის ცხოვრება იმდენად საინტერესოა, რომ ვლადიმერის სიტყვით რომ ვთქვათ, მასზე მთელი წიგნი შეიძლება დაიწეროს.

„ბედნიერი ოლღა“ — ასე უწოდებენ ჩიგიტაშვილს არა მარტო მშობლიურ სოფელ მუკუზანში, არამედ მთელს რაიონში.

ოლღას ბედნიერი იმიტომ კი არ უწოდეს, რომ ძველ დროს გაუბედუ-

რებული და უუფლებო ქალი დღეს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა.

ოლღა და მისი ქმარი ლადო ერთი იმთავანნი არიან, ვინც აქაურ ადგილებში ახალი საკომუნურნეო ცხოვრების პიონერები იყვნენ.

1923 წელს ლადო ჩიგიტაშვილი რაიონში პირველი კოლმეურნეობის ორგანიზატორი იყო. მაგრამ ძველი უბრალოდ ველად არ გვმორიდებოდა. საბოტაჟი, ხანძრები, ზურგში სროლა. საკომუნურნეო წყობილების მტრებმა, კულაკებმა, ვერაგულად მოკლეს კოლმეურნეობის პირველი თავმჯდომარე. მტრის გამოხდომას გლეხებმა იმით უპასუხეს, რომ კიდევ უფრო შეუპოვრად იწყეს შრომა საზოგადოებრივ მიწა-წყალზე, იწყეს კოლმეურნეობის განმტკიცება. მათ შორის პირველ რიგებში იყო ოლღა ჩიგიტაშვილი. იგი უვლიდა უდროოდ დაობლებულ ოთხ შვილს, მამაკაცებთან თანაბრად მუშაობდა ვენახებში, თესავდა პურს, მკიდა, სწავლობდა. მთელ რაიონში იცოდნენ მუკუნელი ბრიგადირის ოლღა ჩიგიტაშვილის სახელი.

1936 წელს ოლღა მოსკოვს გაემგზავრა საბჭოების სავანებში VIII ყრილობაზე, ინახულა კრემლი, მოუსმინა დიდ სტალინს. ყრილობის სხვა დელეგატებთან ერთად დაამტკიცა მან საბჭოთა ახალი სტალინური კონსტიტუცია, ხოლო, როცა მშობლიურ კოლმეურნეობაში დაბრუნდა, გლეხებმა მას ბედნიერი უწოდეს. „შენ ჩვენს შორის პირველმა მოუსმინე სტალინს“, — ეუბნებოდნენ მას.

ამხანაგ სტალინთან დაუეიწყარი შეხვედრის შემდეგ ოლღამ კიდევ უფრო უკეთ იწყო მუშაობა. ახალ შრომითს წარმატებებს ახალი ქება-დიდება აგვირგვინებდა. როცა მამაკაცები ომის დროს ფრონტზე წავიდნენ, კოლმეურნეობას სათვეში ოლღა ჩიგიტაშვილი

ჩაუდგა. ომის მძიმე წლებში იგი მშვენიერად აწარმოებდა მეურნეობას. ომის დამთავრების შემდეგ ოლღა ჩიგიტაშვილს მუკუნის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო მალე ამის შემდეგ — საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ამომრჩევლები თავიანთ არჩევანში არ მოტყუებულან: მათ კვლავ აირჩიეს იგი მეორე მოწვევის უმაღლეს საბჭოში.

ისე აღზარდა ოლღამ თავისი შვილები, რომ მათ ობლობა არ უგრძენიათ. ორმა მათგანმა უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა, ორმა კი საშუალო სკოლა. როგორ განსხვავდება ბედ-იღბალი ამ ქალისა, რომელიც ჩვენმა პარტიამ, საბჭოთა წყობილებამ სახელმწიფო მოღვაწის სიმადლეზე აიყვანა, ამერიკელ ფერმერთა იმ ადამიანების ბედ-იღბლისაგან, რომლებიც ლატაკდებიან, სტოვებენ თავიანთ ჩვეულ ადგილებს მუშაობის ძებნაში და რომლებიც უმუშევართა ისედაც მრავალმილიონიან არმიას ავსებენ.

გამოვემშვიდობეთ რა თანამგზავრ ქალს, ჩვენ ვლადიმერთან ერთად ჩუმლაყში ჩავედით.

ჩუმლაყი, ისევე როგორც ბევრი სხვა აქაური სოფელი, გომბორის მთის ტყვიან კალთებზეა გადაჭიმული.

სოფლის ქუჩებში სიწყნარე სუფევდა და არსად ადამიანის ჭკანება არ იყო. მხოლოდ რამდენიმე კაცი კოლმეურნეობის გამგეობის მახლობლად ხეებს რგავდა, იქვე კალატოხები ახალი შენობის მეორე სართულს აგებდნენ.

სოფელს გარეთ, დაბლობში, და ალაზნთან, სადაც კოლმეურნეობის ვენახები და ხორბლის ყანებია, გახურებული შრომაა.

რაიონულ ცენტრში ჩუმლაყის შესახებ გვითხრეს: რა გინდათ იქ? ჩვენ გაცილებით უკეთესი სოფლები და კოლ-

მეურნეობები მოგვეპოვება; ჩუმლაცი ჩვეულებრივი, რიგითი სოფელიაო.

მართლაც, ეს, შედარებით, პატარა კოლმეურნეობაა. მისი შემოსავალი ძლივს აღწევს ნახევარმილიონ მანეთს. აქ საკუთარი კლუბიც კი არა აქვთ: ჩუმლაცი ჯერჯერობით თავისი მეზობლების კლუბით სარგებლობს. და მაინც, რამდენი შესანიშნავი რამ მოიპოვება ამ „ჩვეულებრივ“ რიგით სოფელში.

ერთი ადგილი კოლმეურნეობის გამგეობის წინ, სადაც ხეებს რგავდნენ, გამოყოფილია პარკისათვის. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები დიდ შრომას ეწევიან სოფლის კეთილმოწყობისა და გალამაზებისათვის.

— მერხები პარკისათვის უკვე დაკეთილია, — განაცხადა თავმჯდომარემ, — აი აქ, — მიგვითითა მან დიდ შენობაზე, რომელიც იქ შენდებოდა, — კლუბი იქნება. პაინინო უკვე ვიყიდეთ, რაიონული ცენტრიდან მასწავლებელიც მოვიწვიეთ: ბავშვებს მუსიკას ვასწავლით...

კლუბის სამშენებლო მოედანზე დიდა თალის ქვეშ კრისტალივით წმინდა წყაროს წყლის მძლავრი შადრევანი მოჩქედს. არტეზიული ჭა ჩუმლაციელებმა პიტლერულ გერმანიაზე ჩვენი გამარჯვების წელს ააგეს და მას „გამარჯვების წყარო“ უწოდეს. ეს სიმბოლური სახელწოდება მათ მოაგონ ბდა არა მართო პიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების დღეს, არამედ ჩუმლაციელთა სამარადისო მტერზე — უწყლობაზე გამარჯვებასაც გაახსენებდა. აქაური მცხოვრებნი წყალს სახედრებით ეზიდებოდნენ. ახლა „გამარჯვების წყარო“ არა მხოლოდ მშენიერი სასმელ წყალს იძლევა, არამედ იგი კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკეთებებსაც რწყავს.

— აი ჩვენი სკოლაც — სოფლის სიამაყე, — თქვა ელადიმერმა და მრავალ-

ფანჯრიან აგურის შენობასთან შეჩერდით. აქ 510 ბავშვი სწავლობს, წინათ, საბჭოთა ხელისუფლებამდე, ეს ნაშენი მოსწავლე გურჯაანის მთელ რაიონშიც კი არ ყოფილა. საინტერესოა კიდევ, რომ ჩვენს სკოლაში ასწავლიან ჩვენი ადგილობრივი ადამიანები, რომლებიც ამავე სკოლაში სწავლობდნენ.

— გთხოვთ იცნობდეთ, — ამბობს თავმჯდომარე, — აი ის მასწავლებელი მირონ ბერიაშვილი — ჩუმლაციის მკვიდრი, რომლის შესახებაც გელაპარაკებოდით. იგი ფიზიკის მასწავლებელია. მისი ინიციატივით სოფელში შექმნილია გურჯაანის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ფილიალი. ბერიაშვილი ჩვენთან ლექციებსაც კითხულობს. ამას წინათ, ლექციის დროს, გვიამბო დიდი რუსი გამოამგონებლის ალექსანდრე პოპოვის შესახებ.

მასწავლებელმა სკოლაში მიგვიწვია, აქ მოთავსებულია ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის განყოფილება.

ნათელ, ვრცელ ოთახში მაგიდაზე მოთავსებულია ელექტროხელსაწყოები და რადიოაპარატურა. აქვეა დეტექტორული მიმღებნი, ტრანსფორმატორები, ამპერმეტრები, კონდენსატორები... ყველაფერი ეს გაკეთებულია ნორჩი ტექნიკოსების, ჩუმლაციის გლეხთა შვილების მიერ.

როცა სკოლას ეშორდებოდით, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ უთხრა მასწავლებელს:

— იცოდე, მირონ, რომ მალე ჩვენი კოლმეურნეობა მეზობელ კოლმეურნეობას შეუერთდება. საჭირო იქნება რადიოკვანძის მოწყობა. ამ საქმეში ჩვენმა ახალგაზრდობამ აქტიუობა უნდა გამოჩინოს.

— უეჭველად, ამხანაგო ლადო. რამდენსამე წუთს მდუმარედ მივდიოდით. მე ჯერ კიდევ ნახელის შთაბეჭდილებათა ქვეშ ვიყავი. რადიოკვანძი... ნორჩ ტექნიკოსთა სადგური... აპარატე-

ბი, მოდელები, მიმღებნი — ჩვენი სოფლის ბავშვების ხელით გაკეთებული... ესეც ხომ ახალი, ჩვენი სოფლისათვის წინათ უცნობი ცხოვრების ნათელი მტრინებია, რასაც ახალი ადამიანები ჰქმნიან. შესაძლოა ჩემი თანამგზავრიც ამაზევე ფიქრობდა.

— სულ სხვანაირი გახდა ჩვენი სოფელი, — ჩაფიქრებით თქვა მან. — საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ ყველა სახლში ელექტროშუქია, რომ ყველა კოლმეურნის ოჯახში ნახავთ ელექტროტურას, ელექტრონის უთოს. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა კოლმეურნებს, როგორც ბავშვებს, ახარებდათ ელექტროშუქი შინ ან ქუჩაში. აჰლა ჩვენ სულ სხვა რამ გვანტერესებს: როგორ გამოვიყენოთ ელექტრონი წარმოებაში, როგორ გავაადვილოთ გლეხის შრომა, გავადიდოთ მისი ნაყოფიერება. ზოგი რამ ჩვენ უკვე გავაკეთეთ, მაგრამ საჭიროა გაცილებით მეტის გაკეთება. ეს ჩვენ განსაკუთრებით ვიგრძენით ამას წინათ, როცა მოგვიხდა წერილობითი პასუხი გავცეცა მოსკოვის ერთ-ერთი სამეცნიერო დაწესებულების შეკითხვაზე. მოლოტოვის სახელობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის საკავშირო ინსტიტუტს ინტერესებდა, თუ რა გავლენა მოახდინა ელექტრონის დანერგვამ კოლმეურნეობის ეკონომიკასა და სოფლის კულტურაზე.

ჩვენ დაწვრილებით ვაცნობთ ინსტიტუტს, რომ მთელი რიგი პროცესების — თესლის შრობისა და წმენდის, სილოსის დაჭრის, ხე-ტყის დახერხვისა და მარცვლის დაფქვით ელექტროფიკაციამ შეგვიმცირა შრომადღებების ხარჯი, და თანაც დაეძინეთ, თუ რაოდენ უფრო სწრაფად შესრულდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ცხერის საპარსი ელექტრომანქანებისა და ელექტროსალეწების შესახებ კი, რომლებსაც უკვე იყენებენ ჩვენი მეზობელი კოლმეუ-

რნეობები, ჩვენ ვერაფრის მიწერა ვერ შევძელით... მალე ეს მანქანებიც გვექნება. გვექნება ელექტრომწვანებებიც, ელექტროსაწინებიც, ელექტროტრაქტორებიც.

— როგორაა მოგეარებული ვენახის სამუშაოთა ელექტროფიკაციის საქმე?

— მევენახეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შრომატევადი დარგია, ხოლო მევენახის შრომის მექანიზაციის დიდი წარმატება ჯერ არ უნახავს. ჩვენ მოველით ჩვენი მეცნიერებისა და სპეციალისტებისაგან ვენახის სამუშაოთა გამაადვილებელ მანქანებს.

ვაკებ დავეშვით. ჩვენ წინ გადაქიმულია საკოლმეურნეო ზერები. ამ აღგილს ეწოდება ხირხათევი. ზის ნაპირას ბოძზე მიკრულია პატარა დაფა:

„ბრიგადა № 2,

ბრიგადირი დათა მამათელაშვილი“.

— როგორ მუშაობს დათა? — ვკითხე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— საქმიანი და გამრჯელი ადამიანია. ისიც ისევე, როგორც სხვა ფრონტლები, წინ უსწრებს სხვებს. იგი ჩვენი იმ საუკეთესო ადამიანების რიცხვშია, რომელთაც სოციალისტური შრომის ზმირის წოდება მიენიჭათ.

მალე დათაც მოვიდა.

— კარგად გიხსენიებენ, დათა, — ვუთხარი მე მას.

— ეცდილობ, რაც შემძლია.

საკმარისია ყურადღებით გახედოთ ვენახებს, რომ გაიგოთ, თუ რას ნიშნავს ფრონტელის მონადობა. მწკრივთა შორისი ნიადაგი სუფთა და გაფხვიერებულია. მუხის მასიურ ჭიგოებზე გაკრულ მავთულებზე გეომეტრიულად სწორ ხაზებადაა გადახლართული ვაზები. ფოთლებში ყურძნის მტევნები მოჩანს. კიდევ რამდენიმე თვე, და ისინი გაახარებენ მშრომელებს უხვი მოსავლით. მამათელაშვილის ბრიგადა პირველად როდი იღებს უხვ მოსავალს. ზეს-

ტაფონელი კოლმეურნეები, რომლებიც გურჯაანელებს ეჯიბრებიან, შარშან შემოდგომაზე, როცა აქ იყვნენ, აღტაცებული დარჩნენ მამათელაშვილის გენახით. ზესტაფონელები თითონაც დახელოვნებული, ოსტატი მევენახენი არიან, მაგრამ ისინი განცვიფრდნენ იმით, რაც ხირხათევში ნახეს. იმ შემოდგომაზე ბრიგადამ პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა, რამაც ასახელა როგორც ის, ისე მთელი კოლმეურნეობა.

ახალი წარმატებებისათვის იბრძვის ბრიგადა წელსაც. ყველაფერს გულმოდგინე შრომისა და ეაზის მზრუნველური მოვლის ბეჭედი აზის. ნიადაგი აქ მუდამ შავი და საყმაოდ განოყიერებულია. ყოველ ბუნჩს გულდასმით ასხურებენ გოგირდს.

მეორე მწკრივთაშორისში ჩვენსკენ დაბალი ტანის მხარბეჭიანი კაცი მოდიოდა. ცხენი კულტივატორს მოათრევდა.

— სერგო მირველაშვილი, — წარმოგვიდგა იგი.

— მიწა ხომ სუფთაა, აქ ერთი ნამცეცი ბალახიც არსადაა და რაღად აფხვიერებთ კვლავ ნიადაგს?

— მე კი არ ვაფხვიერებ, — ეშმაკური ღიმილით მიპაუხა კოლმეურნემ, — არამედ ვრწყავ. — და, რაკი შენიშნა ჩემი განცვიფრება, უკვე სერიოზულად განმიმარტა: — იცით რა, ჩვენმა ბრიგადირმა გეითხრა, ხოლო მან აკადემიკოს ვილიამსის წიგნში წაიკითხა, რომ ერთი გაფხვიერება ერთ მორწყვას უდრისო. გაფხვიერებული ფენა თითქოს საბანს აფარებს ნიადაგს და საშუალებას არ აძლევს ტენს აიორთქლოს ჰაერში. აი რატომ ამბობენ: გაფხვიერება მორწყვააო.

— მართალია, სერგო, — თქვა თავმჯდომარემ, — ჩვენი მიწები რომ მომავალშიც იძღენსავე ყურძენს იძლეოდეს, რამდენსაც ახლა იძლევა, საჭიროა კარგად დახელოვნებული ადამიანის შრომა. განა ეს იგივე მიწა არ არის,

რაც წინათ იყო, საბჭოთა ხელისუფლებამდე და ვის ახსოვს, რომ აქ რდესმე თუნდაც 20 ცენტნერი ყურძენი შეიკრებოდა? ჩვენ კი მეტს ვაძლევს, ვიდრე მერგოლურმა ივანე ბერიაშვილმა შარშან თითოეულ ჰექტარზე 140 ცენტნერი ყურძენი აიღო, ხოლო წელს განზრახული აქვს აიღოს, სულ ცოტა, 150 ცენტნერი...

მზე დასავლეთისაკენ იხრებოდა. მუშაობა ვენახებში დასასრულს უახლოვდებოდა. მამათელაშვილი და მისი ბრიგადა დღევანდელი დღით კმაყოფილი არიან — ყველა კოლმეურნემ გადაქარბებით შეასრულა დავალება. ბრიგადირთან ერთად ჩვენც სოფელში დავბრუნდით.

— ერთი მითხარით, — მოულოდნელად მკითხა ბრიგადირმა, — მოგეწონათ ჩუმლაყი?

რა უნდა მეპასუხა? აქაური ბალებიც, საუცხოო ხორბალიც, ადიამიანებიცა და მათი მტკიცე სწრაფვაც ახლისაკენ — ყოველივე ეს ბრიგადირის შეკითხვის პასუხი იყო.

როცა ჩვენ დაბის ცენტრში შევედით, უკვე ბინდ-ბუნდი ეშვებოდა. ჩამობნელებულ ცაზე ვარსკვლავები აცმციმდნენ. სახლებში ზედიზედ ენთებოდა ელნათურები.

— შემობრძანდით ჩემთან, — მიმიწვია მამათელაშვილმა, — ნახეთ როგორ ცხოვრობს კოლმეურნეობის ბრიგადირი.

— რატომ შენთან და არა ჩემთან? — უთხრა თავმჯდომარემ. — მართალია, დათა თქვენი მეგობარია, და ეს მას უპირატესობას აძლევს, მაგრამ, ვფიქრობ, კოლმეურნეობის თავმჯდომარესაც აქვს უპირატესობანი...

— მე მინდოდა მენახა, — ვთქვი მე, რაკი მსურდა ჩქარა მომელო ბოლო ამ დავისათვის, — როგორ ცხოვრობენ რიგითი კოლმეურნეები. ვისთან შეგიძლიათ წამიყვანოთ? — მიემართე თავმჯდომარეს.

— თვითონვე აირჩიეთ.

— თუნდაც აი იქ, — მივეუთითე მე პირველ სახლზე, რომელიც თვალში მომხვდა.

ვეებერთელა კაკლის ხის გადაბარდნილ ტოტებში ილია კენკიშვილის ქვის სახლი იფარებოდა.

— გამოვეგებეთ სტუმრებს, მარიამ, — მხიარულად დაიძახა თავმჯდომარემ.

— მობრძანდით, — მოგვეგება დიასახლისი. — მობრძანდით, მობრძანდით, ქმარიც მალე გეახლებათ, — გვითხრა მან და შინ შეგვიწვია.

მე გულდაგულ ვეცნობი სახლის ნაგებობასა და მოწყობილობას. აქ არის საწოლი ოთახი, სასადილო და სამზარეულო. მას შემდეგ, რაც სახლში ელექტროდენი გაიყვანეს, სადილის კეთებას ელექტროქურით ვწევიან. საწოლ ოთახში ორი მონიკლებული საწოლი, საწერი მაგიდა და ტახტი იდგა, პატარა მაგიდაზე საკერავი მანქანა. მეორე პატარა მაგიდაზე რადიომიმღები მოჩანდა.

კუთხეში ბავშვები თამაშობდნენ. მათი დედა თამარი აქვე იყო და ხელსაქმობდა.

მარიამმა ბავშვებზე მიუთითა და თქვა:

— ამათი მამა, ჩემი შვილი მირონი, ინსტიტუტში სწავლობს, — მარიამს სახე დედობრივი სიხარულით გაუბრწყინდა.

— თქვენ კიდევ გყავთ შვილები?

— ქალიშვილი, ჩუმლაყის სკოლაში მუშაობს, მეორე ვაჟი სტუდენტია, ეკონომიურ ფაკულტეტზე სწავლობს.

— ნუ გიკვირთ, — შენიშნა თავმჯდომარემ, — ეს ოჯახი გამონაკლისს არ შეადგენს. თავმჯდომარემ ბევრი კოლმეურნის ოჯახი ჩამოთვალა, მათ შორის კენკიშვილის მეზობლები — გიორგი დურგლიშვილი, ნიკა ბერიაშვილი, ალექსი მამათელაშვილი.

— წინათ კი ჩუმლაყში მხოლოდ ერთი სტუდენტი იყო, და ისიც მემამულის შვილი. წინათ მეცნიერებრივნი მისათვის როდი იყო. მხოლოდ მხოლოდ ერთი ჩვენი მემამულე იყო ექიმი. ჩვენს დროში კი ჩუმლაყის თხუთმეტმა მკვიდრმა დაამთავრა ინსტიტუტი.

— აი ილიაც მოვიდა, — შეგვაწყვეტინა ლაპარაკი მამათელაშვილმა. გაჩაღებულ გაღურებაში სახლის პატრონი ამოდიოდა.

ილია კენკიშვილი სამოცზე მეტი წლისაა, მაგრამ შესახებდავად გაცილებით უფრო ახალგაზრდა ჩანს.

— კარგად ცხოვრობთ, — ეთქვი მე და ხელი ჩამოვართვი, — მალე ქალაქებსაც გაუსწრებთ...

მოხუცს გაელიმა:

— როგორც ხედავთ, ცხოვრებას არ ვემღერი.

სახლის პატრონმა წარსული მოიგონა:

— ეხ, ბევრი გაჭირვება ვნახეთ ჩვენ მაროსთან ერთად ძველ დროს, ნიკოლოზ მეფის და მენშევიკების დროს! როცა ჩვენ დავქორწინდით საქათმის მსგავს მიწურში ეცხოვრობდით, რომელიც ჩალით იყო დახურული. სკამების მაგიერობას ჯირკვები და კუნძები გვიწვედა. არა თუ საწოლი, უბრალო ტახტიც კი არ გვქონდა. ფირებზე გვეძინა. გარიერაიდან დაბინდებამდე სხვებისათვის ვმუშაობდით და თვითონ კი ნახევრადმშვიერი ეცხოვრობდით. ახლა?.. თვითონვე ხედავთ...

ძველი მევენახე შემდეგ გვიამბობდა იმ რგოლის შესახებ, რომელშიც იგი მუშაობს, მას აინტერესებდა თბილისის ცხოვრება, აინტერესებდა, თუ როგორ მიმდინარეობს შენობების აგება მოსკოვში. მკითხა, მაქვს თუ არა თან ახალი გაზეთი. ილია უკვე ორმოცი წლისა იყო, როცა წერა-კითხვა ისწავლა, და



მას შემდეგ სისტემატიურად კითხულობს გაზეთებს.

ლაპარაკი მევენახეთა რთულ შრომაზე ჩამოვარდა, რომ ეს შრომა ჩვენში შეუმჩნეველი არ რჩება და სათანადოთაც ფასდება. მომაგონდა მაქსიმ გორკის სიტყვები: „ბედნიერება იმ ბუნებას და დიდება იმ ხალხს, რომელმაც შესძლო ჭიქაში მოექცია მზის ენერჯია და მიეცა იგი მშრომელთათვის სასარგებლოდ და სასიხარულოდ.“

— შესანიშნავადაა ნათქვამი, — შენიშნა ბრიგადირმა.

— დიდი მადლობა გორკის ამ ბრძნული სიტყვებისათვის, — თქვა სახლის პატრონმა. — დიდი და გონიერი ადამიანები მუდამ დიდად აფასებენ მევენახის შრომას. აი, ალბათ გაგაგონიათ, რას ლაპარაკობს ლეინის შესახებ ხალხური სიბრძნე:

პირველად ჩემი დანახვა
კაცისათვის რამედ ღირსაო,
ჯანს ვმატებ, გაეახლისებ,
ვაედენ მრავალსა სენსაო.
ვინც პატიოსნად მიმიღებს,
მუდამ დაუტკობ ღვინსაო,
ვინაც კი შემებრძობება,
თავზე დავატებ ვირსაო.

— მართალია, ბრძნულადაა ნათქვამი, — წამოიძახა მამათელაშვილმა. — მაგრამ ხალხი ძველად სხვა რამესაც ამბობდა: ლეინო ღვინისთვისაც გაუჩენია ღმერთს და ჭირისთვისაც, ძველდროს ლეინოს უფრო მეტად ჯავრის მოსაკლავად სვამდნენ. ახლა კი საპკოთა მიწა-წყალზე ღვინოს მოსალხენად სვამს ადამიანი.

მევენახეობა ალაზნის ველის სიღამაზე და სიამაყეა. ეს საგრძნობია ყოველ სოფელში, ყოველ აჭარ სახლში, ყოველ აჭარ კოლმეურნესთან შეხვედრის დროს. მათ უყვართ ყურძნის კულტურა, ამაყობენ თავიანთი ღვინით,

ციან აჭარი მევენახეობის წარსული ზრუნავენ მის მომავალზე. — საქართველოს, წამოუწყველად ზრუნავენ პატრონმა, — მევენახეობის განვითარების კარგი გამოცდილება აქვს. ჩვენმა წინაპრებმა სამემკვიდრეოდ დაგვიტოვეს მრავალი ჯიში, — ჩამოიღე, თამარ, მესამე თაროდან პროფესორ ქანთარიას წიგნი, მწვანე ყდიანი.

სახლის პატრონმა კითხვა დაიწყო: „საქართველოში ამჟამად 400 ადგილობრივი ჯიშის ვენახის არსებობა პირველ ადგილზე აყენებს მას მსოფლიოს სხვა მეღვინეობის რაიონთა შორის“.

— აი რას წერენ მეცნიერები, — საზეიმო კილოთი წამოიძახა მან, — პირველი ადგილი მსოფლიოში მარტო ალაზნის ველზე ორასზე მეტი ჯიშია, და საქართველოს სხვა კუთხეებიც ხომ განთქმულია ვაზით.

— ამას წინათ თბილისიდან ჩამოსული ლექტორი ლაპარაკობდა, — ჩამოართვა სიტყვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — განსვენებულ აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილზე, რომელიც წერდა, საქართველო კულტურული მევენახეობის ერთ-ერთი ძირითადი კერაა, თვით მისი სამშობლოცააო.

ლაპარაკი დაიწყო ბრიგადირმა მამათელაშვილმაც, რომელიც აქამდე ჩუმად იყო:

— ჩვენთვის საჭიროა მოსავლის დანდათან გადიდება. დღეს ჰექტარზე 100 ცენტნერი დიდ მოსავლად ითვლება, ხოლო მალე 150-200 ცენტნერი ნორმალურ მოსავალს უნდა შეადგენდეს. გზა ასეთი მოსავლისაკენ უკვე გაკაფეს ჩვენმა მოწინავე მევენახეებმა. ასეთი მოწინავენი ჩვენც მოგვეპოვება კოლმეურნეობაში. ავიღოთ, თუნდაც, ჩვენი სახლის პატრონი — ილია. რამდენი მოსავალი აიღო მან მისთვის მიჩენილ სამშემოთხედ ჰექტარზე?

— ასორმოცდაათი ცენტნერი.

— წელს მეტს მივიღებთ, — თქვა კოლმეურნეობის თემჯდომარემ. — ამაში ჩვენ მეცნიერებიც დაგვეხმარებიან: — მან გაიხსენა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის ამასწინანდელი სესია, რომელზედაც სხვათა შორის, ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანის მეთოდებზე მოხსენებით გამოვიდა კოლმეურნეობის თემჯდომარე ოსოშვილი. მისმა მოხსენებამ დიდად დააინტერესა სესიის მონაწილენი, რომლებიც მოხსენებას აწყვეტილებდნენ შეძახილებით: „მართალია ამხანაგი ოსოშვილი!“, „ჩუმლაცის კოლმეურნეობის გამოცდილება უფრო ფართოდ უნდა გავრცელდეს“ და სხვ. მეცნიერებმა მაძღობა გამოუცხადეს კოლმეურნეებს მათი შრომისათვის.

მე უკვე წინათვე ვიცოდი თემჯდომარის სიტყვებიდან, რომ 1946 წელს ამ კოლმეურნეობამ ვენახის თვითებულ ჰექტარზე 14 ცენტერი ყურძენი აიღო, 1948 წელს — 79 ცენტერი, 1949 წელს — 114 ცენტერი...

— დიახ, დიდ, საოცარ საქმეებს აკეთებენ ჩვენი საბჭოთა მეცნიერები კოლმეურნეებთან ერთად, — თქვა ოსოშვილმა. — აი თელავის რაიონში მემინდვრე მახათელაშვილმა აიძულა ხორბალი დატოტვილიყო. აბა ერთი იფიქრეთ, რა მოსავალს მოგვეცემს ასეთი ხორბალი.

შემდეგ მობრუნდა ჩემსკენ და განაგრძო:

— საინტერესო აღმოჩნდა ჩვენს მანათელაშვილი, სასწაულებს ახდენს!

— ჩვენ შესანიშნავ საუკუნეში ვცხოვრობთ, ამხანაგებო, — თითქოს საუბრის შესაჯამებლად წარმოთქვა სახლის პატრონმა, — სტალინურ საუკუნეში!

მიუვახლოვდი საწერ მაგიდას და გადავშალე ქაღალდით ჩანიშნული ტომი. ეს იყო „ლენინიზმის საკითხები“. წიგნის ერთ-ერთ ფურცელზე ხაზგასმული იყო სიტყვები ამხანაგ სტალინის მოხსენებიდან:

„როგორც ხედავთ, საბჭოთა გლეხობა სრულიად ახალი გლეხობაა, რომლის შესაგვისიც ჯერ კიდევ არ სცოდნია კაცობრიობის ისტორიას“.

სტალინის სიტყვების ცოცხალ ილუსტრაციას წარმოადგენდნენ ის კოლმეურნეები, რომლებიც მაგიდას უსხდნენ. ისინი ცხოვრობენ და მუშაობენ თავიანთი მამა-პაპის მიწა-წყალზე, მაგრამ როგორ არ გვანან წინანდელ გლეხებს, რა ბევრ რამეს აძლევს მათ ეს განთავისუფლებული, შემოქმედებითი შრომით, მეცნიერებითა და გამოცდილებით განაყოფიერებული მიწა-წყალი.

ფანჯრის იქით ალაზნის ველი იყო გაჭიმული. ამ ველზე გადაშლილი სოფლები მოხატული იყო კაშკაშა ელექტროშუქის გირლანდებით.

გიორგი ქუჩიშვილი

გარდაცვალებიდან 5 წლისთავის ბავშვ:



ადამიანის გარეგნობასა და გარეგნულ ქცევებში ძნელია მისი შინაგანი სამყაროს ამოკითხვა. მაგრამ რაღაც მონიშნება მაინც არსებობს და ამიტომ გვაგონდება ცოცხალი პოეტი:

მის ძლიერ გამხდარ, შეგვერემანსა და მკმუნვარე სახეს, მის წრისებურად მოხაზულ შუბლს ყოველთვის აჩნდა მღელვარე ფიქრების ნაკვალევი. განუმეორებლად თავისებური შორისდებულებით წყვეტდა იგი თავის ფრაზებს, როცა გესაუბრებოდათ, და ყოველთვის ფიქრობდით, რომ ამ შორისდებულებით იგი როგორღაც აწესრიგებდა გრძნობათა შინაგან მოზღვავებას. ტრიბუნიდან კი მის მკექარე ხმასა და თავისებურად მეტყველ პაუზებს მკაფიოდ, გაოქანდაკებულად მიჰქონდა მსმენელამდე ყოველი მისი სტრიქონის აზრი. იყო რაღაც უბრალო და კარგი არტისტიზმი მის კითხვაში.

გიორგი ქუჩიშვილმა მტკიცედ დაიმკვიდრა საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. იგი ჩვენი დროის ერთ-ერთი უპოპულარესი პოეტია. მაგრამ ყოველი პოპულარობა როდია ამა თუ იმ შემოქმედის ღირსების მაჩვენებელი. კარგი და ნამდვილი პოპულარობა მხოლოდ ის არის, რომელიც დაკავშირებულია ხალხის ღრუბრის იდეალებთან და მაღალწინეობრივ თვისებებთან. გ. ქუჩიშვილი ამ სფეროშია.

ჩვენის აზრით, მართებული არ არის, როცა ამა თუ იმ მწერლის შემოქმედე-

ბის მთავარ გასაღებს მის ბიოგრაფიაში ეძებენ, თუმცა ბიოგრაფიას, რასაკვირველია, არსებითი მნიშვნელობა აქვს მწერლის მსოფლმხედველობის შემუშავებაში. შემოქმედება, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლია და იგი ყოველთვის შორს სცილდება კერძო ბიოგრაფიის ფარგლებს. მაგალითად, ქუჩიშვილის ბიოგრაფიის ვერც ერთ ცალკე მომენტს ვერ მივიჩნევდით იმ განწყობილების მთავარ წყაროდ, რომელიც გადმოვიჩუღია თუნდაც ისეთ ლირიკულ ლექსში, როგორიცაა „შემოღამება“. აქ საქმე საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო დიდ არესთან გვაქვს. ამ თავის ადრინდელ ლექსში პოეტი მღერის თავის მღელვარე ფიქრებზე, რომლებიც მას მოსვენებას არ აძლევენ. ეს ფიქრები შუალამეშიც ამაყენებენ, გამოიმყვანენ, დამატარებენ მშობელ მხარეში, აივსებიათ ქვეყნის დარდითა და ვარამით და „ჩემთან ერთად ატირდებიანო“, — ამბობს პოეტი. და მართლაც, თვითმპყრობელობის შავნელ დროს ქვეყნის დარდითა და ვარამით სავსე მღელვარე ფიქრები პოეტს მუდამ თან დასდევდნენ. მაგრამ ისინი ყოველთვის როდი სტიროდნენ. პირიქით, პოეტი მეტწილად ბოძოპრობდა, მხნეობდა, ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, ვიდრე სტიროდა უსასლოდ. მართალია, პოეტის გზა ყოველთვის სწორი და ნათელი არ ყოფილა. მაგრამ მისი ფიქრები არასდროს არ ჩაკეტილან ინდივიდუალიზმის ვიწრო

ნაკუჭში. მათი საგანი ყოველთვის იყო ჩაგრული მშრომელი ხალხის ჭირვარაში.

პოეტი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა როგორც ქალაქის მშრომელი ელემენტების მომღერალი, პირველ ყოვლისა კი, როგორც მუშათა კლასის მომღერალი. იგი თავიდანვე გამსჭვალული იყო მშრომელი ადამიანის რევოლუციური ძალებისა და კაცობრიობის ბედნიერი მომავლის ღრმა რწმენით. ლექსსაც პოეტი იმთავითვე უფრო საბრძოლო-მომწოდებელ მიზნებს უსახავდა, ვიდრე ცალმხრივ ესთეტიკურს. ამის გამო, შესაძლოა, ვინმე მას მაღალი რანგის პარნასელად არ თვლიდა. მაგრამ ვანა ათას „წმინდა ესთეტიზმით“ ნაცოდვილარ სტრიქონს არ გააფასებს თუნდაც ერთი ასეთი ლაღი პოეტური ამოძახილი:

„ვინც ეწვევა საქართველოს
საოცნებო სერებს,
ნიმღერაც რომ არ იცოდეს,
მაინც დაიმღერებს“.

სიტყვის ასეთი მოქნევა მხოლოდ ქუშმარიტ პოეტს შეეძლო. და რამდენი ასე ღრმა პოეტური გრძნობით სავსე სტრიქონებია ქუჩისევილის ლექსებში ეს არის მხოლოდ, რომ მას მშვენიერისა და ამაღლებულის განსაკუთრებული სფერო იზიდავდა: იგი უმაღლეს პოეზიას მშრომელი ხალხის შრომასა და ბრძოლაში, მისი სასიცოცხლო ძალების დამკვიდრებაში ხედავდა.

გ. ქუჩისევილმა თავისი პოეტური კრედიო თავიდანვე გაბედულად დაუპირისპირა ბურჟუაზიულ-დეკადენტურ ესთეტიზმს:

„მე „ბრბოს“ შეილი ვარ!
„ბრბოს“ ეულერი ქებათა-ქებას!
მისგან მოველი ჩემს რწმუნებს,
ჩემს მეუღლებს!
ვინც „ბრბოს“ უწოდებს
უფუნურს და გულგამბეცებულს,
ის ნამდვილ ბრბოზე უფუნური,
თავზედი არი.“

რადგან ვერ ხედავს მის სიღრმეში,
მის საღაროში,
თუ რაოდენი სიმდიდრე და პერსონაჟი
საუნჯე არი. ნიკოლოზიძე
„ბრბო“ შესაია,
ეს ქვეყანა „ბრბომ“ უნდა იხსნას“.

ცხადია, ამ „ბრბოში“ პოეტი გულისხმობდა მშრომელ მასებს, უწინარეს ყოვლისა კი, რევოლუციურ მუშათა კლასს. და მაშინ, როცა „წმინდა ხელოვნების“ მოტრფიალე ბურჟუაზიული ინტელიგენცია გაპკოდა მასების უხეშ მატერიალურ ინტერესებსა და ინსტინქტებზე, გ. ქუჩისევილმა თავისებურად და გაბედულად ამოიმღერა ამ „ბრბოს“ შრომისა და ბრძოლის პოეზია. პოეტი კარგად ხედავდა, რომ ის, ვინც „მარადიული“ ეთიკურ-ესთეტიკური იდეალების საბურველით გამოდიოდა, სინამდვილეში ჩაფლული იყო ანგარების, ეგოიზმისა და ათასგვარი ბიწიერების წუმპეში. შრომა, მხოლოდ შრომა მიაჩნდა პოეტს ადამიანის მაღალი ზნეობრივი თვისებების წყაროდ. ამიტომაც არის ასე ძლიერი ქუჩისევილის პოეზიაში მშრომელი ადამიანის ზნეობრივი სიფაქიზის გრძნობა.

პოეტმა ქალაქის ქუჩითა და ღარიბ-ლატაკთა უბნით დაიწყო. აქ ნათლად მოსჩანდა ძველი ცხოვრების პირგახსნაული წყლულები — უმუშევრები, მაწანწალები, მათხოვრები, მეძავი ქალები, უპატრონო ბავშვები. ცხოვრების ამ გერებს — „ქუჩის ძმობილებსა და თობილებს“ უმღერდა პოეტი მწარე სიმღერებს. კაპიტალისტური ქუჩის შეურიგებელი კონტრასტები, ცხოვრებისა და ადამიანების რღვევის შემზარავი სურათები იქცეოდა პოეტის ყურადღებას. მაგრამ იგი არასდროს არ ცდილა შეექმნა ქუჩის სიმახინჯეთა ავადმყოფოური პოეზია, გაეიდგალებინა „ცხოვრების ფსკერი“. მან მხოლოდ მიუთითა ბურჟუაზიულ-ბიუროკრატიული საზოგადოების ამ გასისხლიანებულ სხეულს — ქუჩას — და შესძახა ამ საზოგადოების



შესვეურთ: — აი, თქვენი სინამდვილე! თქვენ უნდა დაიღუპოთ! თქვენივე ქუჩით მოდის თქვენი მესაფლავე!

ეს იყო გაფიცვების, დემონსტრაციების, ბარიკადების ქუჩა. აი, ამ რევოლუციურ ქუჩას გულისხმობდა პოეტმა როცა სწერდა:

„ქუჩიშვილებს ქუჩა გვიყვარს,
ქუჩა არის დედა ჩვენი,
მომავლისკენ ის წაგვიყვანს,
რომ ვიბლით მზე სხვიმდენი“.

შემთხვევითი არ არის, რომ როცა პოეტი ეხება მუშათა შრომასა და ბრძოლას, მის სიტყვებს ცეცხლი ემატება, მის ლექსს — ენერგიული ხმოვანება. ტყუილებრალოდ კი არ მიმართავდა პოეტი მუშათა კლასს შემდეგი სიტყვებით:

„შენზე ძლიერ და მტკიცედ
არავინ შევარებია,
შენი ჭირი და ღზინი
უბოთ მიტარებია“.

და სწორედ იმიტომ, რომ ქუჩიშვილის პოეზიას იმთავითვე საფუძვლად ედო მშრომელი ხალხის ჯანსაღი სოციალური გრძობები, მას ბრძოლის დროში არ დაუხრია შევბენილი რეაქციის წლებშიაც კი. სევდისა და უიმედობის კილო, რომელიც იშვიათად მაინც შეიპარებოდა ხოლმე პოეტის ხმაში, მხოლოდ სუსტი ბინდი იყო მის ოპტიმისტურ განწყობილებაში. ეგ „ღამეა კრცელი, სულსა ფლობს კმუნეა, სულსა ჰკლავს გლოვა“ მხოლოდ დისონანსად გაისმოდა „მომავალი ქარიშხლას წინამორბედ პოეტის“ შემოქმედებაში. მას ხელი არ ჩაუქნევია მარცხით დამთავრებულ ბრძოლაზე და ერთი წამითაც არ სწყვევია შევბენილ სინამდვილესთან შერჩევების განწყობილება. იგი კვლავინდებურად მხნეობისა და ბრძოლისათვის მოუწოდებდა რევოლუციურ ძალებს:

„ნუ მიეცემით სასოწარკვეთას
ჯალათთა ხელით დახოცილ ძმებზე;

სიმხნე, სიმტკიცე ვიდოდეს თქვენთან
ციხე-ციმპირში, კატორღის გზებზე,
და თუ უკაცურ ტალ ზამთარში
ვინც თქვენგანი გზად ვაითბუნს
უნც ვადარჩებით, გასწით თოვლ-ქარში!
გწამდეთ: დროებით დაეშვა დროში“.

ამრიგად, გადახდილ ბრძოლას პოეტი არსებითად მომავალი სოციალური რევოლუციის საფეხურად მიიჩნევდა და ბრძოლის ცეცხლს უღვივებდა „რწმენა-იმედ დაკარგულებს“.

დიდმა პროლეტარულმა მწერალმა გორკიმ გვიჩვენა, თუ როგორ არღვევს ადამიანის ძალებს, ადამიანის პიროვნებას კაპიტალიზმი თავისი განუყრელი თვისებებით — მომხვეკელობის ველური ენით, ინდივიდუალიზმით, ეგოიზმით, ნიეთების ფეტიშიზმით; თუ როგორ შეაქვს ადამიანის სულში სკეპტიციზმისა და დეკადენტისმის შხამი იმ ბრმა სტიქიურ ძალებს, რომლებიც კაპიტალისტური საზოგადოების წილში მოქმედებენ. ადამიანის დარღვეული პიროვნების გამთლიანების ერთადერთ საშუალებად დიდ მწერალს მიაჩნდა თავისუფალი შრომა, რომლის სუფევა შესაძლოა მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში.

გორკის სოციალურმა მოტივებმა ქართველ მწერალთა შორის ყველაზე ძლიერი გამოხმაურება პპოვეს გ. ქუჩიშვილის შემოქმედებაში.

თავისი რევოლუციური ოპტიმიზმი და იმის ღრმა რწმენა, რომ მხოლოდ შრომასა და მშრომელებს შეუძლიათ შეაერთონ და გაამთლიანონ დაშლილი სასიცოცხლო ძაფები, პოეტმა კარგად გამოხატა თავის ცნობილ ლექსში „მუშათა სიმღერა“:

„სისხლითა და ოფლითა ვრწყავთ
შეა ჯორღმულებს, ბნელ სარდაფებს,
იქა ვქსოვთ და იქ ვაერთებთ
სასიცოცხლო დაშლილ ძაფებს!
მოვა დრო და ჩვენი წყრომა
ვადიქცევა მძლავრ ღვართაფად
და ქვეყანას მოვედება
ყოყნის ხმად, ბრძოლის დაფად“.

ასეთი იდეური მიდრეკილებისა და განწყობილების პოეტს არ შეეძლო რევოლუციური პროტესტით არ შეხვედროდა პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომს. პოეტის სულს ზარავდა ომის საშინელებათა ქაოსი; იგი მოუხშობდა იმ ძალებს, რომლებიც იარაღს ომის იმპერიალისტ გამჩალებელთა წინააღმდეგ მიაბრუნებდნენ:

„აჲ! სადა ხარ, სად ბანაკობ,
ჩემო ლაშქარო!
ველად გაპრილი შენ ვიცივის
შენი მხედარი!“

რად არ იღვიძებ ძილქუშისაგან,
მუშათა ჯარო!“

მეფის ცენზურის მიერ აკრძალულ ლექსში პოეტი პირდაპირ მოუწოდებდა ხალხს იარაღისაკენ მეომარ იმპერიალისტურ მთავრობათა წინააღმდეგ:

„ემბრა! აივხო ფილა
ზღვა ცრემლებით და ომენათ!
ბრძოლით ვუწამლოთ იარას.
ჩვენსკენ, ვინც არის ჩვენი!
მოძმენო! ხელი იარაღს!
დაესცეთ, მოძალადენო!“

რასაკვირველია, აქ პოეტის სიტყვა უნდა შეფასდეს არა რაფინირებული პოეტური ფორმის თვალსაზრისით, არამედ მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობით. თვით მხატვრული სიტყვის გენიოსებიც კი დიდი სოციალური ტრაგედიების პირობებში უყოყმანოდ მიმართავდნენ ლექსს-მოწოდებას, ლექსს-ლოზუნგს. ამ დროს პუბლიცისტური პათოსის მხატვრული სიტყვის ღირსება და არა ნაკლი.

„ჩემი სული ქალაქის სულიაო“, ამბობდა გ. ქუჩიშვილი და მართლაც, მუსიკის შემოქმედების ძირითადი თემატიკური მასალა ქალაქის ცხოვრებიდან არის აღებული.

სოფელი პოეტის ადრინთელ შემოქმედებაში უმთავრესად ბუნების განქადავდასთან არის დაკავშირებული. ბუნება კი პოეტს უსაზღვროდ უყვარს, იგი მას ადამიანთა ცხოვრების გულგრილ ჩარ-

ხოდ კი არ მიაჩნია, არამედ ცხოვრებას ცოცხალ ქსოვილად. შესაძლოა, ბუნების ასეთ შეგრძნობასთან დაკავშირებული ისიცი, რომ პოეტი უფრო ბუნებით აღძრული გრძნობების მხატვარია, ვიდრე თვით ბუნების ფერადოვანი სურათებისა. პოეტისათვის ბუნება არის მისი ობიექტური მსოფლშეგრძნების უშრეტე წყარო:

„ეჲმ, ბუნების სიდიადეს,
ეჲმ, სიოცხლის უშრეტ წყაროს!
რომ შემძლოს ხელს მოგზავედი.
თავიციანი მთელ სამყაროს“.

პოეტს ხიბლავს ბუნების დიადი პარმონია და მას შეუძლია თავისი აღტაცების გრძნობა გადმოგვეცეს სადა, გულწრფელი და გამკვირვალე ლექსით:

„აი, დაპებრა ნივამა,
ტყემ ნახად დიშირიალა,
დაირაკრაკ ტოროლამ,
ლრქლებმა შეისრიალა,
ბულბოლმა ჩანგი მომართა,
ქედანმაც დაფრთხიალა,
აღღერდა ცა და ხმელეთი,
როგორც ფანდორი წყრიალა“.

უქვევლად, მოხდენილი პოეტური სახეა წყრიალა ფანდორივით ავღერებულ ცა და ხმელეთი. არის ამაში ბუნების ხელთუქმნელი მუსიკის ნათელი პოეტური ხილვა.

მაგრამ პოეტი ზოგჯერ გულუბრყვილო და მცდარ შეხედულებამდე მიდის ბუნებისა და ადამიანის დაპირისპირებაში. ერთგან იგი ადამიანს ბუნებას „ერთ კენიწა“ უსასო არსებად სხახავს. ნამდვილად კი ადამიანი და ადამიანთა საზოგადოება არამცთუ ბუნების უმალღესი და უმშვენიერესი ქმნილებაა, არამედ უმშვენიერესი ბუნების შემქმნელიცაა, როგორც მისი გონიერული ფენომენი.

გ. ქუჩიშვილის შემოქმედების ძირითადი ეპიკური სოციალ-პოლიტიკური ლირიკაა. მაგრამ მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე ეპიკურ ეპარსაკ — პოემებსა და პროზას. წარსოლ რეგოლოციურ ბრძოლებს ასახვენ პოემები: „შავი სამეფო“, „ფ

იანვარი“, „პროლეტარიატი“, „ოქტომბერი“ და სხვ. პატივმარი რევოლუციონერის წამებას აღწერს პოეტი პოემა „მეტეხში“; მეფის ჯარებთან დევნილი რევოლუციონერის შეტაკება და დაღუპვა აღწერილი პოემაში — „რისთვის“. თავის დროზე ეს ნაწარმოებები აღვივებდნენ მშრომელი მასების რევოლუციური შეგნებას, ამხილებდნენ თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის შავნელ სინამდვილეს, ხალხის მტარვალთა მხეცურ სახეს. მათ დღესაც არ დაუკარგავთ გარკვეული შემეცნებითი მნიშვნელობა.

ცალკე უნდა აღინიშნოს პოემალეგენდა „ჯაჭვის ხიდი“, როგორც ქართული მხატვრული სიტყვის საყურადღებო ნიმუში. იგი შესრულებულია ღრმა ლირიკული უშუალობით. აქ არის საქართველოს ბუნებისა და ისტორიის მძაფრი გრძნობა; მსუბუქი და ძალდაუტანებელი ლექსით მოთხრობილ დრამატულ ამბავში ჩაქსოვილია ნაზი ჰუმორი. აქ არ არის პოეტური საღებავების სიუხვე, მაგრამ მკითხველი ნათლად ხედავს ლეგენდის პერსონაჟებსა და ნივთიერ გარემოს — ჯვარის მონასტერს, ჯაჭვის ხიდს, მღელვარე არავს, ხიდზე მიმავალ ბერსა და არავის ტალღებში მობანავე ქალს. ლეგენდის ტრაგიკულ ფინალში გამოსახულია სიცოცხლის გრძნობადი საწყისას გამარჯვება, სიცოცხლის ძალთა ზეიმი. „ჯაჭვის ხიდი“ ეხმაურება ილიას „განდევლის“.

თავის პროზაშიაც ქუჩიშვილი თავს დასტრიალებდა დარიბ-ლატაკთა უბნებს, ხალხისათვის თავდადებულ ადამიანებს. მაგრამ ქუჩიშვილი-პროზაიკოსი ფართო ტილოებისა და ტიპური ხასიათების მხატვარი არ არის. მისი პატარ-პატარა მოთხრობები არსებითად პოეტური დღიურებია, რომლებშიაც უფრო იმდროინდელი ცხოვრების ტიპური ამბებია აღწერილი, ვიდრე ტიპური ხასიათები.

ცხოვრების სახსარს მოკლებული ახალგაზრდა ქალი ლამით ეთხოვება თავის პაწია შეილს და ეთხოვება მტკვარში („უსახლო“); აგურის მზიდველ მუშას ფეხი დაუცდა მოლიბულ ხარაჩოზე და ტვინი მიწას დაანთხია, „შენობა აშენდა... დიდებული ღვინო გაიმართა: იცლებოდა სახლის პატრონის სადღეგრძელოდ ძვირფასი სასმელებით სავსე აზარტეშები, ხოლო აგურის მზიდველის სახელი კი, რომლის სისხლით და ტვინით აშენდა სახლი, არავის გახსენებია“ („აგურის მზიდველი“); მალარო ჩაინგრა, მრავალი მუშა მოჰყვა შიგ, „ათასი კუბო დაღუპულ ძმების... ათასი ზარი გულმკედარ დედების... მალაროს პატრონი კი განმართებით იღვა და „სინიდისდამშვიდებული“ ზარალის ერთიორად ანახალურებაზე ოცნებობდა...“ („მალაროში“); მანქანამ მუშას ხელები წააგლიჯა და უპატრონოდ, ულუკმაპუროდ დარჩა მუშის ოჯახი („ხელები“) და სხვ.

ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში დღეს ძველი წიგნები-ღა თუ მოგვაგონებენ ასეთ ამბებს. კაპიტალისტური ქვეყნების სინამდვილე კი ყოველთვის საესეა ასეთი შემწარავი ამბებით. კაპიტალიზმის ანტიუმანური ბუნება ყველგან ერთია, რომელ ქვეყანაშიაც არ უნდა იყოს ის. მაგრამ ყველგან ერთია მისი გარდუვალი დაღუპვის კანონებიც.

გარკვეულ ისტორიულ ინტერესს არ არიან მოკლებულნი ქუჩიშვილის ის მოთხრობებიც („წითელი თოვლი“, „წითელი დროშის ქვეშ“, „ივანე“ და სხვ.), რომლებიც წარსულ რევოლუციურ ბრძოლებს ასახევენ.

იყო ქუჩიშვილის შემოქმედებაში წინაღმდეგობანი. ცნობილია, რომ გარკვეულ პერიოდში პოეტს ჰქონდა შეცდომა სოციალ-პოლიტიკური იდეალის არჩევანში; და ეს იყო არსებითად მისი შემოქმედების შინაგანი ლოგიკის დარღვევა.

საბედისწერო კრიზისისაგან პოეტი მხოლოდ საბჭოთა სინამდვილემ იხსნა, მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის ცხოველმყოფელმა ძალამ გააცოცხლა პოეტში მისი შემოქმედების პროგრესულ-რევოლუციური ნაკადი. ამალღდა და გაფართოვდა პოეტის მხატვრულიური სამყარო. მის პოეზიაში ძალოვნად გახმაურდა საბჭოთა პატრიოტიზმის მოტივი.

პოეტის მგზნებარე სიყვარული სამშობლოსადმი ადრევეც არ ყოფილა უსაგნო და ეფემერული. „უშაშულოს მემამულეზე მეტად მიყვარს მამულიო“, — ამბობდა წინათ პოეტი. მაგრამ ეს არ იყო სამშობლოს მაშინდელი სინამდვილის მიღება. პოეტს უყვარდა სამშობლო სწორედ იმიტომ, რომ უყვარდა მშრომელი ხალხი, სწამდა მისი მომავალი და ზედავდა იმ ძალებს, რომლებიც დაამსხვრევდნენ ჩაგვრისა და მონობის ბორკილებს და სახეს უცვლადნენ სამშობლოს. პოეტი კარგად გრძნობდა, რომ ის, ვინც გვერდს უშლიდა ქვეყნის, სოციალურ შინაარსს და სამშობლოს სიყვარულზე მღეროდა უსაგნოდ, განყენებულად, — არსებითად მოკლებული იყო ნამდვილ პატრიოტულ გრძნობას.

პოეტის პატრიოტული შეგნების ეს ნათელი ნაკადი ბუნებრივად შეეწყო სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე სიყვარულს. სამშობლოს ცნება გაივსო ახალი შინაარსით. ახლა პოეტისათვის არ არსებობდა სამშობლო მისი სოციალისტური შინაარსის გარეშე. სოციალისტური სამშობლო — ეს არის ლენინისა და სტალინის იდეათა გადაქცევა სინამდვილედ, ეს არის გამარჯვებული მშრომელი ხალხი, ხალხთა სტალინური მეგობრობა, თავისუფალი შრომის სუფევა, სოციალისტური ქარბნები და ფაბრიკები, საკოლმეურნეო მინდვრები და ბაღები, გმირული საბჭოთა არმია და ყოველივე ის, რაც კომუნისმის მშენებელი ქვეყნის მიჩქვდა-

რე სინამდვილეს შეადგენს. ქუჩისშვილიც ამ სამშობლოს ძლიერებასა და სილამაზეს უთხზავდა ჰიმნებს:

„ვიდრე ვსულდამულობ დედაშიწაზე, ჩემო სამშობლო, გვიმდეს, იცოდრე შენს ძლიერებას და სილამაზეს შევექმნე შენებრ მშენიერ ოდებს. და თუ არსებობს ისეთი: ხელი, შენზე აღმართვა რომ დააბროს, — მყის მოკვეთს ჩემი მახვილი მჭრელი, რომ შენი გული არ გაივშიროს“.

პოეტ-ტრიბუნის, პოეტ-საბჭოთა მოქალაქის შესანიშნავი სახე ნათლად დაგვიდგა თვალწინ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში.

აი, დიდი ადამიანურა და პოეტური ბიოგრაფიის საგულისხმო ფაქტი:

1942 წლის მძიმე განსაცდელის დღეები. ჰიტლერელთა ურდოები კავკასიონის კარიბჭეების შემოღეწვას ლამობდნენ. საბჭოთა არმიის ერთ-ერთა ქართული ნაწილი ბაქსანის ხეობაში ებრძოდა მტერს. და ამ დროს თითქმის სამოც წელს მიღწეული პოეტი თავისი ნებით მიდის ბრძოლის ველზე და იქ სანგრებში მგზნებარედ მოუწოდებს საბჭოთა მეომრებს:

„ველა-ჭეჭით გამოზრდილნო, არ დაზოგოთ მტერი არსად, თავს დაატყდეთ ყველგან შეხად საზიზღარზე საზიზღარსა“.

პოეტმა თვითონ მიიტანა თავისი ლექსი ბრძოლის მოწინავე ხაზზე და უშუალოდ ჩააბა დიდ ბრძოლაში. სკოლის სკამიდანვე ნაცნობი პოეტის ხმა, ცხადია, განსაკუთრებული ძალით აგზნებდა ქართველ საბჭოთა მებრძოლეების გულს.

გ. ქუჩისშვილისათვის იმ თავითვე უცხო იყო ნაციონალური შეზღუდულობა. მისი პატრიოტული გულისცემა ყოველთვის დაკავშირებული და შეწყობილია ხალხთა სტალინური მეგობრობისა და მსოფლიოს ყველა კუთხის მშრომელი მასების ინტერნაციონალური ერთიანობის დიდ გრძნობასთან. თვალი გადაავლეთ პოეტის კრებულებს და

თქვენ იქ იპოვით მრავალ ლექსს, რომლებითაც პოეტი ეხმაურება სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა რევოლუციურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ყოველ მნიშვნელოვან ფაქტს.

საბჭოთა პერიოდში ქუჩიშვილის პოეზიის ძირითადი მოტივია სოციალისტური შრომის მოტივი. თავისუფალ შრომაში ხედავს პოეტი სიცოცხლის უმაღლეს აზრსა და სილამაზეს. „შრომაში ვპოვე მე სილამაზეო“, — აცხადებს იგი, და ამ სილამაზის უმაღლეს გამოხატულებად მიიჩნევს იმას, რომ სოციალისტური შრომა ჰქმნის ყველაზე უძვირფასეს საუნჯეს — ადამიანის ახალ ბუნებას, მის მაღალ მორალურ თვისებებს, კოლექტივიზმის ცხოველყოფელ გრძნობებს. პოეტი სამართლიანად ანათესავებს შრომას, მუსიკასა და პოეზიას. მას ხიბლავს სოციალისტური შრომის რიტმი და ამ რიტმთან შეწყობილი მოძრაობა ადამიანთა სულისა სოციალისტურ ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, სოციალისტური მშენებლობის ყოველ უბანზე.

როგორც ყოველი საბჭოთა პოეტი-სათვის, ქუჩიშვილისათვისაც შთაგონების უდიდეს საგანს წარმოადგენდნენ რევოლუციის გენიოსი ბელადები — ლენინი და სტალინი. ამ შთაგონების სათავე იმ თავითვე იყო დადებული პოეტის მსოფლმხედველობაში: იგი ხომ თავის რჩეულებს მშრომელი ხალხს წიაღიდან გამოელოდა. პოეტის გული თავიდანვე ზრდიდა წრფელ სიყვარულს ამ რჩეულთადმი. და მისი ყოველი სტიქიონი ლენინსა და სტალინზე გამსჭვალულია ამ წრფელი გრძნობით. პოეტი ხარობს და ამყობს იმით, რომ სწორედ მოშათა კლასის რევოლუციურმა ენერჯიამ, მისმა სულიერმა ძალებმა წარმოშეის ადამიანის უმაღლესი ტიპები — პროგრესული კაცობრიობას

უბადლო გენიოსები — ლენინი და სტალინი.

პოეტის მიერ სტალინზე დაწერილ მრავალ შთაგონებულ ლექსთა შორის აღსანიშნავია პოემაც — „იქ, სადაც იშვა ხალხთა გენია“. ამ პოემაში პოეტი აღწერს ბელადის განახლებულ სამშობლოს — გორს, და აქვე მოგვითხრობს ძველ ხალხურ ლეგენდას გორის წარმოშობაზე. ამ ლეგენდით პოეტი მიუთითებს იმ მემკვიდრეობით ფესვებზე, რომლებითაც დიდი ბელადის ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებულია ჩვენი ხალხის საუკეთესო ისტორიულ ტრადიციებთან.

მრავალმხრივი იყო ქუჩიშვილის შემოქმედება საბჭოთა პერიოდში. პოეტი მგზნებარედ ეხმაურებოდა დიდი სტალინური ეპოქის ყოველ მოვლენას, იგი კვალდაკვალ მიჰყვებოდა ჩვენი ცხოვრების სწრაფ სრბოლას.

რა ეუყოთ, რომ ყოველთვის ერთნაირი ძალისა არ იყო პოეტის გამომსახველობითი საშუალებები, ზოგჯერ თვალში გეცემოდათ სახეთა აბსტრაქტულობა, ზოგადაა. პოეტის ლექსებში ხშირად ერთმანეთს ენაცვლებოდნენ უმძაფრესი ლირიკა და ორატორული სიტყვა, გულში ჩამწედილი შთაგონებული სიმღერა და პუბლიცისტური ლოზუნგები. მაგრამ პოეტის ლექსი არასდროს არ ყოფილა ნაწვადები, მას ყოველთვის თავისუფალი და ძლიერი სუნთქვა მოჰყვებოდა. პოეტურ სახეთა ბუნდოვანება ორგანულად უცხოა ქუჩიშვილის შემოქმედებისათვის. ძნელად უპოვით რაიმე არსებით ნაკლს პოეტის ქართულსაც.

ჩვენმა სახალხო პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ თავის უახლოეს მეგობარ პოეტს — გიორგი ქუჩიშვილს მოუწონა ჩანაგის სიწმინდე, გოლის სიწრფელო.

ხალხი კი მუდამ სათუთად ინახავს წრფელი გულის პოეზიას.

ახალი მნიშვნელოვანი გამოკლევა აღკინდელ- ფეოდალური ხანის ქართული ხელოვნების შესახებ



უკანასკნელ წლებში ჩვენს სახელოვნებათ-
მცოდნეო ლიტერატურას რამდენიმე მნიშვნე-
ლოვანი ნაშრომი შეემატა, მათ შორის განსაკუ-
თრებით საყურადღებოა გიორგი ჩუბინაშვილის
„ახილალური მონოგრაფია „ჯვარის“ ტიპის არ-
ქიტექტურული ძეგლების შესახებ (რუსულ
ენაზე), გამოცემული საქართველოს მეცნიერე-
ბათა აკადემიის გამომცემლობის მიერ.¹

ამ წიგნის საგანია თვით მცხეთის ჯვრის
სახელგანთქმული ტაძარი, აგებული მე-6-7 სა-
უკუნეთა მიჯნაზე, და მისთან დაკავშირებული
სხვა ძეგლები მე-7 საუკუნისა — ატენის სიონი,
მარტვილის კათედრალი, შუამთის ეკლესია და
სხვ. შრომაში განიხილულია, აგრეთვე, ამავე ტი-
პის სომხური შენობებიც.

ამგვარად, გ. ჩუბინაშვილის მონოგრაფია ქა-
რთული ხელოვნების ისტორიის ერთ-ერთ კარ-
დინალურ საკითხს ეხება: მცხეთის ჯვრის
ტიპის შენობათა მეცნიერულ გამოკვლევას,
მათი ისტორიული ადგილის მართებულ გაშუ-
ქებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ქართუ-
ლი ხელოვნების ისტორიული განვითარე-
ბის სწორი სურათის დასადგენად და თვით
მისი ეროვნული თავისებურების საკითხის გა-
დასაწყვეტად. უწინარეს ყოვლისა, ეს რატომ
უნდა, თვით ძველთა თვისებებითა და ლირსე-
ბით აიხსნება: მხატვრული თვალსაზრისით
„მცხეთის ჯვარი“ მსოფლიო ხელოვნების
მისი საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხში დგას. ის-
ტორიული თვალსაზრისით იგი პირველი და
ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშია იმ ბრწყინვა-
ლუ აყვავებისა, რომელსაც აღნიშნული ფეოდა-
ლური ხანის ქართულმა არქიტექტურამ მიად-
წია მე-6 საუკუნის დამლევს. იგი წინა ხანის
ქართულ ოსტატთა ხანგრძლივი შემოქმედები-
თი ძიების შედეგია: ქართული ხელოვნობა
რეაქცია აქ სრულ მხატვრულ სიმწიფეს აღწევს,
მისი ეროვნული თავისებურება, რომელიც უკვე
გაცილებით აღრე იყო გამოხატავებული, აქ
საესებოთ დასრულებულ, გამოყვეთილ სახეს

ღებულობს, სტილისტიკური ნიშნებიც საბო-
ლოდ ჩამოყალიბებული და დახვეწილია, რო-
გორც კანონზომიერი ევოლუციის ნაყოფსა და
ახალი სახეურის აღმნიშვნელს, მცხეთის ჯვარის
საეტაპო მნიშვნელობა ვნიჭება ქართული არ-
ქიტექტურის ისტორიაში.

მაგრამ მცხეთის ჯვრისა და მისი ტიპის შე-
ნობათა მეცნიერული გამოკვლევის მნიშვნელო-
ბა ამითაც არ ამოიწურება: საქმე ისაა, რომ ამ
შენობებმა, კერძოდ, ატენის სიონმა, ერთგვარი
საედიფიკატორი როლი შეასრულა ქართული
ხელოვნობის განვითარების შესახებ არსებულ სპეცი-
ალურ ლიტერატურაში: ეს ტიპი ვახდა საღერ-
ველი ქართული არქიტექტურის განვითარების
სრულიად მდარი კონცეფციისა, რომელსაც
წარსული საუკუნის პირველი ნახევრიდან მო-
იხვეა გაერყელება და განსაკუთრებით და-
საყვეთის ბურჟუაზიულ ლიტერატურაში ვა-
იღგა ფესვები. ამ კონცეფციის შემქმნელი
შეიკარაილი მოგზაური და მეცნიერი ფრედ-
რიკ დიუბუა დე მონპერე იყო თავის წიგნში,
რომელიც მან კავკასიაში მოგზაურობის მიუძღე-
ნა, დიუბუა ატენის სიონი შეეცდომით მე-11
საუკუნეში დათარიღა მე-7 საუკუნის ნაცვლად.
ამის გამო დიუბუამ მიიხსნია, რომ ატენის სიონი
ამავე ტიპის სომხური ძეგლის წმ. რიფსიმეს
ეკლესიის მიხამეთათა გაყვეთებული, მით უფ-
რო, რომ სიონის მაშინებელი ოსტატი სომეხი
იყო (დარჩენილია მისი წარწერა). მხოლოდ და
მხოლოდ ამ ნაბუთის დამყარება დიუბუას მიუ-
ღია თვორია იმის შესახებ, რომ ქართული
ოსტატები სომეხთა მოწოდებები იყენენ და რომ
მთლიანად ქართული არქიტექტურა მოკლებუ-
ლია დამოუკიდებლობას, — იგი სომხურის მი-
ხამეთა წარმოდგენისა, როგორც ცნობილია, ეს
თვორია სხვა ევროპულ ავტორთა (კერძოდ, ვე-
ნელი პრიფესორის იოზეფ სტრიგონოსკის) მიერ
განვითარებულ-განმტკიცებელი — უკანასკნელ
დრომდის არსებობდა. მისი დარღვევა და ქარ-
თული ხელოვნების დამოუკიდებელი ეროვნუ-
ლი სახის სრული გამოვლინება მხოლოდ სხ-
პოთა ხელოვნებათმცოდნეობამ შეძლო.

¹ Г. Н. Чубинашвили. Памятники
типа Джвари. Тбилиси, 1948.

ზემოქმედებიდან ცხადია, რამდენად დიდია და აქტიურობის მცხეთის ჯვრის ტიპისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის საკურობება, რამდენად აუცილებელია ისეთი ნაშრომი, რომელიც ნამდვილი მეცნიერული სიღრმით გააშუქებს ამ პრინციპულად მნიშვნელოვან პირობებს.

თავის ნაშრომში გ. ჩუბინაშვილი ვარკვევით მოხაზავს სახელმძღვანელო დებულებებს, რომელთა მნიშვნელობა სცდება მარტო ამ წიგნის ფარგლებს და, უმკველია, ინარჩუნებს თავის ძალას მთლიანად ქართული ხელოვნების კვლევის დროსაც. ავტორი აღნიშნავს, რომ სრულიად უნაყოფოა, არამეცნიერულია ისტორიულ მოვლენათა ახსნა უცხო გავლენებით, იმის მტკიცებით, თითქოს „საძიებელი ფაქტი — ფორმა, მოვლენა და სხვ. — მსამხარეულადაა შეთვისებული სხვა კულტურული წრიდან, რომელიც არატოლად „უმალესად“ მიჩნეული თვით შესასწავლ ობიექტთან შედარებით“. ასეთი მეთოდი ყველაფერს შექინავს გადმოღობით ხსნის და სრულიად გამოირიცხავს აქტიურ შემოქმედებითს მომენტს. გ. ჩუბინაშვილი ამგვარ მეთოდს სრულიად სამართლიანად უპირისპირებს საკითხისადმი სულ სხვაგვარ მიდგომას, სახელდობრ — ეროვნულ ხელოვნებათა შინაგანი კანონზომიერი განვითარების შესწავლას. მარქსისტული მეცნიერებისათვის, რომელიც წარსულის კულტურას ისტორიულ ნადავთან მჭიდრო კავშირში სწავლობს, სწორედ ამგვარი კვლევა მისაღები: ამა თუ იმ ხალხის ხელოვნება მხოლოდ ეროვნულად დამახასიათებელ ფორმებში შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

გამოკვლევა — წერს ავტორი — ამ ამოცანას უნახებებს; მასში მოცემულია ცდა მე-7 ს-თა მოგონის ქართულ ხელოვნობის დამყარების ძეგლთა ერთი ჯგუფის დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე, გაიკრები მათი დამოუკიდებელი სახე და მათი წველი სავითი საკურობითი კულტურის... ჯვრის ტიპის ძეგლებს იმდროინდელი ქართული არქიტექტურის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ. ისინი გვიჩვენებდნენ ამ ხელოვნების მკაფიოდ მოხაზულ, ვარკვეულ სახეს, რომელიც არ შეიძლება დაიკარგოს ადრინდელ ქრისტიანული ხელოვნების სხვა ნაწარმოებთან შორის. ამგვარად, იმ შორეულ ხანის ქართული ხელოვნება, რომელსაც სრულიად ჩამოყალიბებული, ინდივიდურად გამოკვეთილი სახე აქვს, ნებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ იგი დამოუკიდებელი წარმომადგენელია აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნებისა“ (გვ. VIII).

ამის შემდეგ ავტორი უბრალოდ და სიმბურ ხელოვნებათა ურთიერთობის საკითხს, რომელსაც, როგორც თავშივე აღვნიშ-

ნეთ, არსებითი მნიშვნელობა აქვს საკვლევი პირობების გასაშუქებლად. წინააღმდეგ პირობ. სტრუქტურის მტკიცებისა, პრინციპული წინააღმდეგობა შეიღო თავიდანვე აკადემებს, ზრიმ — უმკველესი ლია ქართულ და სომხურ ხელოვნობაში იდენტურობაზე ლაპარაკი, „თუმცა აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნების ეს ორი შტო შედმივე ურთიერთობაში ვითარდებოდა. ასევე შეუძლებელია იმის მტკიცება. თითქოს ერთ მათგანს წამოლო მნიშვნელობა ჰქონდა, ზოლო მეორეს დაკვეთლებული (რასაც სტრუქტურული ამტკიცებდა. ვ. ბ.). ჩვენ ამ საქმე გვაქვს, უმკველია, დამოუკიდებელ მკაფიოდ მოხაზულ, ეროვნულ ფენომენებთან: ამ თვით შეთვისებასაც, უცხო ნადავადან რაიმე ფორმათა ან ელემენტთა გადმოღობასაც მუდამ თან ახლდა არსებითი გადამშუქება“ (VIII — IX).

გ. ჩუბინაშვილის ნაშრომის შესავალი მცხეთის ჯვრის მცირე ტაძრისადმი მიძღვნილი. თუმცა ეს შენობა თავისი ტიპით „ჯვარს“ არ ეკუთვნის, მისი განხილვა აქ გამართლებულია: იგი ერთი მაჩვენებელითაგანია ქართულ ხელოვნობაში შემოქმედებითი ძიებისა, რომელიც მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის აგებით დავირგვინდა. ამას გარდა, მისი განხილვა იმდროინდელი იყო ამ საჭირო, რომ ვარკვეულიყო მატანიეთა ცნობები ჯვარის მშენებლობის შენახებზე: გ. ჩუბინაშვილი ამ ცნობათა ანალიზსა და დიფერენციაციას აწარმოებს, ამით ჯვარის მცირე და დიდ ტაძართა მშენებლობის თანმიმდევრობას ახსენებს და მათს თარიღებს ახსენებს.

საკუროვი ჯვარის ტიპის ძეგლებისადმი მიძღვნილი გამოკვლევა სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი „ძეგლთა აღწერა“, მეორე ნაწილი დამოუკიდებელი აქვს „შენობათა მთლიან ჯგუფის არქიტექტურის შედარებით ანალიზს“, ფასადთა მორთობლთა კი წიგნის შესამე ნაწილია გამოყოფილი.

გ. ჩუბინაშვილის წიგნში დასმული საკითხი ყოველმხრივ ამომწურავადაა გაშუქებული: ავტორი სახსრებით თვალისწინებს წერილობით და სხვა ისტორიულ წყაროთა მნიშვნელობას ძეგლთა შესწავლისათვის და, კერძოდ, დათარიღებისათვის. მის გამოყენებულთა არ რჩება არც ერთი ცოტად თუ ბევრად საყურადღებო წარწერა, მატანიეთა არც ერთი ცნობა. ამ მხრივ დამახასიათებელია წიგნის შესავალი ნაწილი, რომელიც მცირე ჯვარის შეხებზე: ავტორის მიერ „ქართლის მოქცევის“, გუანაშვილისა და სუმბატ დავითისძის მატანიეთა, ეესტატი მცხეთელის ცხოვრების ტექსტისა და აგრეთვე: ნუმაშატიკის მონაცემთა ანალიზის საფუძველ-

ზე გამოტანილი დასკვნა სცილდება კიდევ ბელოვებათმყოფლის უშუალო ამოცანებს: ავტორი აზუსტებს გერამ კურაბალატის, სტიფანოზ I-ის, ადერნერსესა და სტიფანოზ II-ის ერისმთავრობის წლებს; ეს დასკვნები უკვე მიღებული და შესულია სპეციალურ ისტორიულ ლიტერატურაში.

მგერამ ხაზგასმული ისაა, რომ ძველთა ანალიზის, მათი ისტორიული ადგილის გარკვევის დროს ავტორი მარტო წერილობითს ცნობებს კი არ ემყარება, არამედ თვით ძველებსაც, მათს სტილისტიკურ თვისებებს. ე. ი. მას ყოველი ძველი „ამოკითხული“ აქვს, როგორც ირანელსა და განვითარებული ნაწარმოებზე ბელოვების, რომელსაც, სწორედ როგორც ბელოვების ნაწარმოებს — გარკვეული ადგილი უჭირავს ისტორიულ ევოლუციაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას სპეციალური ბელოვებათმყოფლობითი ანალიზი აქვს მოცემული, დღეს, ქართული სამკითხა ბელოვებათმყოფლობის მიღწევათა წყალობით, ეს საყვებთი შესაძლებელია, რადგანაც ქართული ბელოვების განვითარების ძირითადი საფეხურები უკვე დადგენილია, ჩვენ ვიცნობთ არა მარტო ცალკეულ ძველებს, როგორც ეს წინასამკითხა ხანაში იყო, არამედ უკვე ვიცნობთ ქართული ბელოვების ისტორიასაც.

ძველთა შესწავლისას ავტორი დიდ ყურადღებას აქცევს ძველთა შესრულების ტექნიკურ-საინჟინერო მხარეებზე და მხატვრულ-ესთეტიკურსაც, განსაკუთრებით ღრმა და მახვილია ძველთა სტილისტიკური ანალიზი. ავტორის დიდ დამახაზრებელ უნდა ჩათვალოს ის, რომ მან პირველმა გამოაღწია მთელი ისტორიული მცხეთის ჯვრის მხატვრული თვისებები და ამ თვისებათა ანალიზით ნათლად წარმოგვიდგინა მხატვრული დონე, რომელსაც ქართულმა ბელოვებამ მოაღწია ფეოდალური ეპოქის პირველსავე საფეხურებზე. ე. ჩუბინაშვილის დახასიათების შემდეგ მცხეთის ჯვრის შემქმნელი წარმოგვიდგება, როგორც დიდი შემოქმედი, რომელსაც სრულიად გარკვევით ესმოდა დასმული ამოცანა და ნაწარმოების ცალკეულ კომპონენტთა კოორდინაციის უნარი შესწევდა. შენობის დაკვირვება პეიზაჟთან, ფუნქციურ საკითხთა რაციონალური გადწყვეტა, ტაძრის შინასივრცისა და გარეგანი ფორმების პარამონიული ურთიერთშეხამება, რაც ერთდროულად ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ისტორიული საფეხური იყო და არაბაზისთავედ საგულისხმებელი რამ, შენობის მასების ღრმად მოდიქტივებული დანაწევრება, ფასადების დიფერენციალია მათი აღქმის შესაძლებლობის მიხედვით, ფასადთა გააზრებული კომპოზიცია, დატყეფილი პროპორციები —

ის თვისებები, რომლებიც ხასიათებს ბელოვებას მხოლოდ სრული სიმწიფის, საფეხურზე, თვისებები, რომლებიც მცხეთის მცხეთის განვითარებულ მხატვრულ სფეროზე უკვე განსაზღვრულია.

არ შეიძლება ცალკე არ მოვიხსენიოთ თავისი სიმახვილით შესანიშნავი სტრიქონები, მიძღვნილი ატენის სიონის მხატვრული ანალიზსადმი („Атенский Сион — копия Джаури“, გვ. 121 — 123). ავტორი ატენისა და მცხეთის ჯვრის შედარებით სრულიად ნათლად ამტკიცებს, რომ ატენის მშენებელს ბრძალ, შემოქმედებითი გააზრების გარეშე, გადაუღია მცხეთის ჯვარი, მას განმეორებული აქვს თვით შესახველულის განლაგებაც, იგი განსაკუთრებით მიღწეულად რთავს იმავე ფასადებს (ადგილსაველისა და სამხრეთისას), რომლებიც მცხეთის ჯვარშია მორთული, მგერამ ყველაფერი ეს თვით ატენის ადგილობრივი პირობების გათვალისწინებულად გაკეთებული, რაც, რა თქმა უნდა, მრავალ შეუსაბამობას იწვევს. ეს შედარება ეჭვს გარეშე მოწმობს, რომ ატენის პროტოტიპი სწორედ მცხეთის ჯვარი იყო, და არა სხვა რომელიმე არაქართული ძველი. ამ დასკვნას, როგორც წინა თხრობიდან დავიხატოთ, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. იმავე დროს, ეს არის მაგალითი ძველთა არა გარეგნული, ფორმალური გარკვევისა, არამედ ნიშნული ცოცხალი ანალიზისა, რომელიც ძველს განიხილავს, როგორც ცხოვრებასთან დაკავშირებულს, გარკვეული პრაქტიკულ ფუნქციების შეჩენსა და, იმავე დროს, ესთეტიკური ღირებულების მატარებელს. ამ მკაფიოდ ნაწვევებს, რამდენად მჭიდროდა დაკავშირებული ერთმანეთთან ხერხთაშორებულ ნაწარმოებში ეს ორი მხარე და რამდენად საზიარო ნაწარმოებისათვის, როცა ამ ორ მხარეს შორის თანხმობა დარღვეულია.

ე. ჩუბინაშვილის უმოავრესი ღირსება მაინც ისაა, რომ იგი ცალკეულ ძველთა თავისთავადი განხილვით კი არ კმაყოფილდება, არამედ ძველებს სწავლობს ევოლუციის პროცესში და მტკიცე თანმიმდევრობით წარმოგვიდგენს კიდევ ამ ისტორიულ ევოლუციას. ერთი მხარე, წინაშე ნაწვევილია მცხეთის ჯვრის ტიპის ძველთა ევოლუციის მთლიანად, როგორც ჩამოყალიბებული საფეხური ქართული ისტორიული ხერხთაშორებებისა, მეორე მხარე, გამოვლენილია განვითარება თვით ამ ევოლუციის შიგნით — დაწყებული მცხეთის ჯვრიდან და დამთავრებულ ტიპის სხვადასხვა ვარიანტებით.

უწინარეს ყოვლისა, ავტორმა შეძლო ჯვრის ტიპის ქართულ და სომხურ ძველთა ზუსტი დათარიღება: სწორედ ამას შემდეგ გახდა შესაძლებელი განხილული ძველთა გამოყოფა და შეჯამება, ე. ი. მთელი ისტორიული ეპოქის დადგენა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყველაგან, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო, ავ-



ლაქიდან“. მათ უყვართ მხოლოდ თურქეთის სიმდიდრე და სძულთ თვითონ ქვეყანაც და მისი ხალხიც. როცა ჰერდარმა გავლილი მანძილის ფასი მოსთხოვა ამერიკელებს, ერთმა მათგანმა დაცინეთა და ზისლით უპასუხა: „ამერიკელი დოლარი შენს ხელში წაიბილწება, თქვენი კი, რომ მქონოდა, ჩემს ჯიბეში შეატყვენდა“. საიდან გადობიდა ჰერდარი გავლილი კოლომეტრების ფასს? ხომ დათხოვდა სამეშაოდან მანქანის პატრონი. ამ ავაზაკებმა ცემაეც დაუბირეს ჰერდარს. გამჭრებული ჯაჰიდი იძულებული გახდა მემტისათვის მიემართა. მას იმავე სოფელში მტყობები უფროს მამე მიეწველა, მგარამ მას ვაღებოდნენ შიმშილისაგან ქანცობილელი ჰერდარები გამხეცებულ გადამთილებთან. ჰერდარები საპრობილეში მოათავსეს. პატროსან ძმებს თურქეთის სასამართლომ თექვსმეტი წლის პატიმრობა მიესაჯე, ხოლო მალე „ორი წლის პატიმრობა დაუმატა სტუმართმოყვარეობის თურქული ტრადიციებისაღმე უპატრეკეშობისათვის“. მაშინ მიხედა ჯაჰიდ ჰერდარი, თუ რისთვის აშენებდნენ თურქეთის მესეეურები ამდენ ციხეებს.

მეორე მოთხრობაში „ბაბუა ჰემზეს ხვედრი“ მხილულები თურქეთში გააფუებული საარჩენიო წესები. მექლისის დეპუტატობის კანდიდატი მასან რადაეი სოფლებში დაძწოდა, რომ ტრუ დაპირებით მოეტყუებინა ხალხი და შეეგროვებინა მომავალ არჩევნებში გამარჯვე ზისათვის საჭირო ხმათა რაოდენობა. ერთ-ერთ სოფელში რადაემა ყაბი პათოსით წარმოქმნილი სიტყვით მრავალი დაპირება აღუთქვა ხალხს. იგი სთხოვდა გლეხებს, გულახდილად გამოეოქვათ თავიანთი სურვილები. უბუცესმა ბაბუა ჰემზემ აღნიშნა, რომ ასეთი დაპირებანი მას ბეერისაგან მოუსმენია, მგარამ საქმით არაეის ვაუმართლებია თავისი სიტყვა. „შიმშილის მოსაკლავად ევამთ ბალახებსაე, ხის ქერქსაე, სიმინდის ფოჩის ნახარშსაე... ოდითაგანე ჩვენ ვიბადებთ ბებია ტალების გარეშე, ვკვლებთ ექიმთა უნახად, როგორც წესი, მიწაში ვგვლავენ უკუბოდ. ამაზე უფრო იადე ცხოვრება არ შეიძლება წარმოიდგინო“ — განაცხადა ბაბუა ჰემზემ.

რადაეის პარტიამ არჩევნებში გაიმარჯვა. რადაეი ქვეყნის მმართველი გახდა. მან ანკარაში დაბარა ჰემზე და საპრობილეში ჩააგდო, სა-

და იგი მალე გარდაიქვალა. ჰემზე დაიღუპა სიმართლის თქმისათვის. მისი ხეუდრი მარეა თურქეთის შრომელი ხალხის ხეუდრია, ხალხისა, რომელიც გმინავს შავნელი თოქული რეპუტაციის უღელქვეშ. ჰასან რადიკის სახეში მკითხველი ადვილად იცნობს თურქ შრომელებს რომელიც ახმობენ სიმართლის ყოველგვარ გამოვლინებას.

თურქთა რიგგარეშად ურდობა საქართველოს მოსწყვიტეს და მიიტაცეს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ვრცელი მიწა-წყალი: ჭანეთი, ბაიშეთი-გიუმისხანი, თორთოზი და სპურია, შავშუთ-კლარჯეთი, ტაობასიანი და კოლა-არტანი. წარმოდგენილი ტანჯვა-წამება და დამცირება გადაიტანა თურქეთის ტყვეობაში მოქცეულმა ქართველობამ. ოსმალები მხეცურად სდევნიდნენ ქართველი ხალხის წმიდათა-წმიდას: მის ვნას, ტრადიციებს, კულტურას და სარწმუნოებას. ცუცხლითა და ჰაზბითა აგრელებდნენ თურქულ ვნას და ისლამს. ოსმალთა ბარბაროსული თარგმის შედეგებზე ნათლად მეტყველებს სოფელ სარფის დასავლეთი ნაწილის მავალითი. დასავლეთ სარფში აუტანელი სიღატაკე, შიმშილი, ჭლკვი და თანსაირი ავადმყოფობა ბატონობს. აღმოსავლეთ სარფში კი, საბჭოთა სარფში, ბედნიერი, საამური ცხოვრებაა გაჩაღებული. თურქმა ვანდალებმა დასავლეთ სარფისა და ქართული ოლქების მოსახლეობას ყველაფერი წაართვეს, შეუცვალეს სარწმუნოება, შეუცვალეს სახელი და გვარი, მაგრამ ვერ წაართვეს, ვერ ამოკლეს გულიდან მშობლიური მიწის სიყვარული, ვერ წაუტლეს მისწრაფება თავისუფალ თანამემამულეებთან, მომწე საბჭოთა ქართველობასთან შეერთებისა.

მოთხრობაში „მეთევზე ნაზიმის ქალიშვილი“ მკაფიო, რეალისტური ფერებითაა დახატული თურქ მტარვალთა ტყვეობაში მოქცეული ქართველების უწყვეტ მდგომარეობა.

მეთევზე ნაზიმს მხოლოდ ის დაეშავა, რომ ოფიცერი შევეთ-აღს ვასათელად არ მისცა თავისი ქალიშვილი, თექვისმეტი წლის გოლი. ამისათვის ნაზიმი დამე სახლიდან გაიტაცეს ბნელუთის მოკიჭულებმა და სიციცხლეს გამოასალმეს. მიზეზიც გამოიგონეს მტარვალეებმა: სასულარზე გადასვლა განიზრახაო.

მეთევზე ნაზიმის ქალიშვილმა გოლიმ შური იძია მამის მოკვლისათვის, სიციცხლეს გამოასალმა შევეთ-აღა და ნებით წამოვიდა საბჭოთა სასულრისაკენ, მაგრამ ზეთი მეტრი-ლა აყო დარჩენილი თავისუფალ მიწაზე, რომ წამოვიწია თურქი ასკერი. გოლის სიყვდილით დასჯა ვადიუწყვიტეს. წარბშეუბრვლად შეტე-

და ამ განაჩენს ამიე ქართული გოგონა. მან პირში მიახალა ჯგალათებს: „ქრქქქქ მქქქქ მათქმელი. ჩემი ძმა გაიზრდებამ და... მქქქქ ქრქქ-თესად იძიებს შურს, სარფიც გამართლდება, აქაც შემოანათებს... თავისუფლების მზეო, აღბათ, უნდაღა ვოქვა, მაგრამ აღარ აცალეს“.

როგორც ვებდეთ სამივე მოთხრობა აქტუალურ თემაზეა დაწერილი. სამწუხაროდ, რამდენადაც თემა აქტუალურია, იმდენად მისი განსახიერება ვერა დგას მაღალ მხატვრულ დონეზე. ეს ითქმის მეტადრე პირველი მოთხრობის „საცილადეი მასხინძლების“ შესახებ, რომელიც შემთხვევების განყოფილებაში დაბეჭდილ საგაზეთო მასალას უფრო ჰგავს, ვიდრე მხატვრულ მოთხრობას. ნიველა პირობის მეტად მხეცე ვანრია. იგი მწერლისათვის დიდ ოსტატობას მოითხოვს, რათა მცირე მოცულობის ნაწარმოებში ადამიანების ხასიათები გამოკეთოს და მათში, ლაკონური სიუჟეტი განავითაროს. მოთხრობაში თურქი შოფერი ჯაკიდ ჰერდარი მხოლოდ გარეგნულად არის დახატული. მისი ხასიათი, მისი სულიერი ცხოვრება ვერ არის მხატვრულად სათანადოდ გასახილი. ასეთივეა ბაბუა ჰემზე. ესენი უფრო ავტორის მიერ დასმული ამა თუ იმ თეზისის გამომხატველი სქემები არიან, ვიდრე ცოცხალი ადამიანები.

შედარებით უკეთესად არის დაწერილი შესამე მოთხრობა „მეთევზე ნაზიმის ქალიშვილი“. გიულე, მისი მამა მეთევზე ნაზიმი, თურქი მესახლვრეთა ნაწილის უფროსი შევეთ-აღა და ქვრივი მემამულე ნაიჯე-ჰანიმი ხორცშესხმული, ცოცხალი ადამიანები არიან. სიუჟეტიც მათში დრამატულობით ხასიათდება.

ქართული ვნის სიწმინდის მხარე ავტორის დიდი მემოაბა მართებს.

წიგნში არაიშვიათია ასეთი დამახინჯებანი: „ქალიშვილი ბიროტად გაუბედა... მეთევზეს“ (გვ. 56). „გაუბედა“ არასწორი ფორმაა, ხმოვანფთხიან სახელს „გაიული“ ავტორი ხმარობს, როგორც თანხმოვანფთხიან სახელს და ღებულობს არასწორ ფორმებს: გიულ, გიულმა, გიულს და სხვ.

ავტორმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს თემისა და სიუჟეტის მხატვრულად დამუშავებას. აქტუალური თემა და თანამედროვე სიუჟეტი ვერ მოახდენს მკითხველზე ემოციურ ზეგავლენას, თუ იგი არ არის მხატვრულად სრულყოფილი ფორმაში ჩამოყალიბებული.

ბ. მახანაშვილი.

მეფის მოხელეები ყოველგვარ ზომებს ზმარობდნენ, რომ ქართული თეატრის პრესტიჟი დაეცათ. ხშირად პიესების გაფორმებისათვის საშუალებებს არ იძლეოდნენ. მაგალითად, ზ. ანტონოვის პიესაში „ქოროლი“ ოსმალეთის ფაშას ოთახისათვის გამოყენებული იქნა პერსიის დარბაზი ოპერა „რიგოლეტოდან“! მართალია, თბილისის მასურებელი პირველად გავიდა დიდი იტალიელი კომპოზიტორების — ვერდის, როსინის, ბელინის და ლონიეტის ნაწარმოებებს, მაგრამ ექვსნახევარი წლის არსებობის შემდეგ გ. ერისთავის მიერ აღდგენილმა ქართულმა თეატრმა ვეღარ გაუძლო მეფის მთავრობის მიერ პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩაყენებული იტალიური ოპერის კონკერტენტის 1856 წელს დახურვა.

იტალიური ოპერა თბილისში თითქმის 27 წელი არსებობდა. ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა იტალიურმა დასმა ოცზე მეტი სეზონი ჩაატარა. ნაშრომის ავტორს იტალიური ოპერის თითქმის ყოველი სეზონი ფართოდ და ამოწურვად აქვს დახასიათებული: რა ოპერები დაიდგა, ვინ მღეროდა, რა გამოჩენილი პიესა ამა თუ იმ დღემამ პერიოდულ პრესაში და სხვ. იმ დროს რეაქციულ-მონარქისტული გაზეთი „კავკაზი“ თითქმის ერთდერითი გაზეთი იყო, რომელიც იტალიური ოპერის დადგომებს რეცენზიებს უძღვნიდა. ცხადია, სათანადო მასალის უზონლობის გამო ზოგიერთ მკვლევარმა უნდა გამოიყენოს ამა თუ იმ გაზეთის რეცენზიები, მაგრამ ნაშრომის ავტორი ზმირად დაუმახურებლად დიდ ადგილს უთმობს გაზეთ „კავკაზის“, როგორც თვითონ ავტორი წერს, „არაფრისმთქმელი“ რეცენზიებს. რა ვასკვირველია, თუ მეფის მოხელეების გაზეთი „განსაკუთრებულ ყურადღებთ ეკიდებოდა“ იტალიურ ოპერას, მაგრამ, როგორც ვეცობა, ჩინოსან მელიმანების გაზეთის კომპოზიტორი ვერდი არ პევირებია და „აქტიუტებს“ მის ოპერებს, მაგალითად, „ტრაედიას“ პირველი დადგმის შესახებ (1858 წ.) „კავკაზმა“ ასეთი „სიბრძნე“ წარმოსთქვა: „ოპერის ფორმით განმსახვია ისეთი ფსიქოლოგიური მოვლენისა, როგორც არის მარგარიტა გოტეის სიხორება სისულელეთი“ (გვ. 115). ცხადია, კონსერვატიული „კავკაზი“ ოპერაში რეალიზმის შტანის წინააღმდეგ იბრძოდა. იგივე „კავკაზი“ ვერდის ოპერა „დონ-კარლოსში“ შესახებ წერდა, რომ „ეს ოპერა მოქმეცელი და მოსაწყენია, რადგან მასში ცოტა ახალი ზეშთავილება და ცოცხალი მელიოდირი ელემენტო: მოტივები მეტწილად უჭერული და გადმოღებულია“ (გვ. 129). არ იყო აგრეთვე საჭირო „კავკაზის“ რეცენზიიდან „არაფრისმთქმელი“ ციტატის მოყვანა, ისიც უკომენტარიოდ, გუნოს ოპერა

„ფალსტის“ პირველი დადგმის შესახებ 1865 წელს (გვ. 126 — 127).

შ. კაშიაძის ნაშრომის მთავარი მიზანია ის არის, რომ ავტორმა პირველად განმარტებინა და დაამუშავა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის 70 წლის (1851 — 1921) ისტორიის მდიდარი მასალა. ავტორის სასახლოდ უნდა მიუქვას, რომ მან შესწოლო დიდილი მასალის თავმოყრა და სისტემატიზაცია. ცხადია, ეს ნაშრომი არ წარმოადგენს საქართველოს მუსიკალურ-ეოკალური ხელოვნების ისტორიის, ავტორის არა აქვს ამის პრეტენზია, მაგრამ ეს ის მასალაა, რომელიც საქართველოს მე-19 საუკუნის ხელოვნების მომავალ ისტორიკოსს გამოადგება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ისტორიის დასაწყისი თარიღები — 1850-1851 წლებია. ამის შემდეგ მეტად მნიშვნელოვანი თარიღებია 1879 — 1880 წლები, როდესაც საქართველოს თეატრალურ-დრამატული და მუსიკალურ-ეოკალური ხელოვნების ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. 1879 წლის 18 სექტემბერს 23 წლის შემდეგ კვლავ აღდგა ქართული თეატრი. ამის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ამბავი დაერთა: 1880 წლის 29 მარტს პირველად თბილისში დაიწყო მუშაობა რუსული ოპერის დასმა, რომელმაც დადგა პირველად საქართველოში მიხ. გლინკას გენიალური ოპერები „ივან სულანინი“, „რუსლან და ლიუდმილა“, აგრეთვე ა. დარგომიჯსკის ოპერა „აილი“. სამართლიანად წერს ნაშრომის ავტორი, რომ „დარგომიჯსკის და გლინკას შესანიშნავი შედეგების დადგმით თანდათან განმტკიცდა რუსული ოპერის ნიადაგი საქართველოში“ (გვ. 167). რუსული ოპერების გაცენის გარდა, თბილისის მასურებელი მოხიბლული იყო აგრეთვე, ოპერის მსახიობთა რუსული რეალისტური ეოკალური სკოლით. „შესანიშნავ სიმღერასთან ერთად, პავლოვსკაის სახით, პირველად იხილა თბილისელმა მასურებელმა ოპერის სცენაზე ქალთა პარტიების შესანიშნავი დრამატული განსახიერებაც“ (გვ. 171). ამავე 1880 — 1881 წლის სეზონში თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე ქართველმა შემსრულებლებმაც შემოდგეს პირველად ფეხი (ფილიმონ ქობიძე, მელოდონ ბალანოვამე და სხვ.).

1874 წლის 11 ოქტომბერს „ქარავლის თეატრი“ მხატვარ გ. ვაგარიინისა და არქიტექტორ სკუდინეროს ეს წარმტაცე ქმნილება, რომლის შესახებ ფრანგი მწერალი ალ. დიუმა-მამა ამბობდა, რომ „ეს არის ყველაზე უსწარმწავნისი სათეატრო დარბაზი მთა შორის, რაც კი მე ოდესმე მინახავსო“, დაიწვა. წარმოდგენები გადაიტანეს წყალსაზოდ ქუჩაზე არსებულ საზაფხულო თეატრის შენობაში, რომელიც სპეციალურად ზამთრის პირობებისათვის გააწყვეს.

ამ შენობაში მიმდინარეობდა რუსული ოპერის ბრწყინვალე სეზონები, აქ გამოდიოდნენ მსოფლიოში გამოჩენილი მუსიკოსები და ვოკალისტები. წყალსანიღ ქუჩაზე არსებული თეატრი დრამატული და მუსიკალურ-ვოკალური ხელოვნების ცენტრად გადაიქცა, ვიდრე 1896 წელს არ აშენდა ახლანდელი საოპერო თეატრი რუსთაველის პრისპექტზე.

გასული საუკუნის 70-იანი წლები საქართველოში თეატრალურ-დრამატული და მუსიკალურ-ვოკალური ხელოვნების გაფორმებისა და განვითარების წლები იყო. როგორც აღენიშნეთ, 1879 წელს ქართული დრამატული თეატრის შედგომი დასი დაარსდა, 1880 წელს ჩატარდა ქართველი მომღერლის ფილიპონ ქორძის (შანი) პირველი კონცერტი, ამავე წელს თბილისში ჩამოყალიბდა რუსული ოპერის დასი, რომელმაც თანდათან ნიადაგი გამოაცალა იტალიურ ოპერას და მტკიცედ დაწერა რუსული საოპერო ხელოვნების რეალისტური სკოლის პრინციპები. ამ შტაბივ დიდი დამსახურება მიუძღვის მ. ბოლიტოვ-ივანოვს, რომელიც 1882—1893 წლებში მოღვაწეობდა თბილისში. მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით დაიდგა პირველად თბილისში პ. ჩაიკოვსკის „ვეგენს ონგინი“ (1883 წ.) და ა. რბინსკეის „დე-მინი“ (1882), აგრეთვე პოლონელი კომპოზიტორის ს. მონიუშკის ოპერა „გაღა“ (1882). შ. კაშპაძე დიდ ადგილს უთმობს თავის ნაშრომში რუსული ოპერების პირველ დადგმებს საქართველოში. მეფის მოხელეებისა და ადგილობრივი გადაგარებული არისტოკრატის გააფთვრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსი და ქართველი ხალხი თავიანთი მოწინავე პროგრესული წარმომადგენლების სახით, მშურად ხელს აწვიდნენ ერთმანეთს. დიდი ქართველი მსახიობების ლადო მესხიშვილის, მაკო საფაროვი-აბაშიძის, ნატო ვაგრდიას, კოტე მესხის და ვასო აბაშიძის გვერდით საუკეთესო რუსი მომღერლები რამდენიმე სეზონის განმავლობაში ზედოზრდ მღეროდნენ თბილისის საოპერო თეატრში. საქმარისა და ვასაბელოთ ვ. პავლოვსკაია, ვ. ზარდნაია, მ. სპირიოვა (პირველი კარგნი თბილისში 1885 წ.). ს. ზვიგინა, ნ. ზაბელა—ქალებიდან და ლ. იაკოვლევი, ა. პრინციპიკოვი (ჯანო სარაჯიშვილის მსწავლებელი), ა. ტარტაკოვი, ა. დავიდოვი, მ. მაქსაკოვი—ვეყებიდან.

სპეციალურ თავს უძღვნის ნაშრომის ავტორი რუსული კელტურის ისეთი დიდი წარმომადგენლების ჩამოსვლას თბილისში, როგორც იყვნენ დრამატურგი ალ. ოსტროვსკი და კომპოზიტორები— პ. ჩაიკოვსკი და ანტონ რბინსკეინი. (ცვ 225—241). ცნობილია, რომ გენიალური კომპოზიტორი პ. ჩაიკოვსკი ზუთაყერ ჩამოვიდა თბილისში— 1886, 1887,

1888, 1889 და 1890 წლებში. თბილისში პ. ჩაიკოვსკის დახვდა მისი ძველი მეგობარი ზარ-ლაში სავანელი, რომელთანაც ერთდროულად მათგან მან პეტერბურგის [[საქართველები 1865 წელს. ამავე დროს, დიდმა კომპოზიტორმა შეიმინა ახალი მეგობრებიც: მუსიკის მკოდნე ზაქ. ჩხიკვაძე, ვიოლინტლისტი ა. სარაჯიშვილი და სხვ. ამაჟამად დადგენილია, რომ პ. ჩაიკოვსკიმ საქართველოში ყოფნის დროს შექმნა მეოთხე სიუჟეტი „მოკარტაინა“ (1887 წ. ბორჯომში), თბილისში პირველად ჩაისახა მეხუთე სიმფონია, (1888 წლის 20 მარტი ჩაიკოვსკი წერს მას მოდესტს თბილისიდან „Наду пивать симфонии“) და თბილისშივე დაამთავრა მან ბალეტი ამირანე მშეთუნასავე“ (1889 წლის გაზაფხული). საერთოდ, საქართველოში პ. ჩაიკოვსკიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, იგი აღფრთოვანებით წერდა ბორჯომის შესახებ: „Эта одно из самых божественных и чудных мест в мире“ (იხ. 1887 წ. 27 ივნისის წერილი შაჰინსკაიასადმი), თბილისის შესახებ: „Тифлис мне тоже очень нравится. Оригинален, живописно расположен, чрезвычайно оживлен и полон разнообразия... Весна здесь царит во всем блеске. Деревья в цвету, воздух наполнен благоуханием цветов, прогулки мои очаровательны. Вчера посетила монастырь св. Давида, где видел гробницу Грибоедова“ (იხ. 1886 წ. 9 აპრილის წერილი შაჰინსკაიასადმი).

ნაშრომის ამავე თავში, სადაც აღწერილია პ. ჩაიკოვსკისა და ა. რბინსკეინის თბილისში მოღვაწეობა, სრულიად არ იყო საჭირო ავტორის ადგილი დაეთმო ემიგრანტი ა. ამფითეატროვის მეტად საუკეთესო ვოკალური მოღვაწეობისათვის (ცვ. 241—245).

თბილისის საოპერო თეატრი რუსეთის იმპერიაში ერთ-ერთი სამშველო იყო, სადაც ვეჟიკადებოდნენ მომღერლები. შემდეგ ისინი აქედან, თბილისიდან, მიდიოდნენ მოსკოვისა და პეტერბურგის საოპერო თეატრებში. მავალითად, ცნობილია ბარტონმა ლეონიდ იაკოვლევიმა თბილისში დაიწყო ატრისტული კარიერა 1885—1886 სეზონში, შემდეგ, 1887 წლიდან, იგი მიიღეს პეტერბურგის საოპერო თეატრში. ცნობილი ტენორი ა. დავიდოვი პირველად თბილისში გამოვიდა 1893—1894 სეზონში. მგერამ ამ მომღერლებში ყველაზე თვალსაჩინო იყო შალიაინი, რომელიც, როგორც მომღერალი, თბილისში დაეუკაცუდა 1893—1894 სეზონში. აქ დ. უსატოვის ხელმძღვანელობით 20 წლის შალიაინმა პირველად შეისწავლა ოპერები „ლი“, „ფაუსტი“ და „ივან სუსანიანი“. ამ ოპერებში მონაწილეობამ მომღერალს დიდი სახელი მოუტოვა შემდეგში. „Весь басовый репертуар лег во мне плечи“ წერდა თვ-

თან შალიაინი თბილისის სეზონის შესახებ. აქ, თბილისში, შალიაინი ხშირად დაიარებოდა ლადო შესხივილთან, მეგობრობდა ნიკო სულხანიშვილთან, ვალერიან გუნბიასთან, ივანე ფლანაშვილთან, ხშირად იგონებდა შემდეგში შალიაინი თბილისს: „Где мною было изжито не мало счастливых дней“.

ნაშრომის ავტორი საკმაო დიდ ადგილს უთმობს შალიაინის პირველ გამოცვლებს 1893 — 94 სეზონში თბილისის ოპერაში (გვ. 268 — 282). ავტორი აღტაცებით და დიდი სიყვარულით იხსენიებს ვოკალური ხელოვნების ამ უდიდეს წარმომადგენელს. ერთი რამ უნდა ათქვას მხოლოდ, რომ ზედმეტია იმ „ენსაიტიური“ და ავანტიურისტული ამბების მოყოლა, რაც დაეკვირვებულ იყო ვინმე მედნიკოვას ქალთან, ვფიქრობთ, სპვირო ან იყო მიეიწყებულ ამბების აღდგენა დღეს, ისიც ისეთ სერიოზულ ნაშრომში, როგორც ეს წიგნია. ავტორის განცხადება, რომ „მხოლოდ ცნობისათვის გამოვიტანეთ ამ დიდი ხელოვნის ბიოგრაფიაში მომხდარი კუროზი თბილისთან დაკავშირებით“ (გვ. 272) ეერავითარი გამართლებაა. „Я помню сцен пяти лет“ ასი იწყებს შალიაინი 1926 წელს მეორედ გამოცემულ თავის ცნობილ ავტობიოგრაფიას. მასწავლამე, შალიაინის თავისი თავი ახსოვს 1876 წლიდან, როდესაც იგი მშობლებთან ცხოვრობდა ყაზანის ახლოს. შალიაინები წარმოშობით ვიატკელი გლეხები იყვნენ. იმავე ავტობიოგრაფიაში შალიაინი წერს: „Мы переехали в город (т. е. ყაზანში), на Рыбнорядскую улицу, в дом Лисицына, в котором отец и мать жили раньше и где я родился в 1873 году“. ამრთავდ, შალიაინის ქართული წარმოშობის ლეგენდა ერთბაშად და სამუდამოდ კატეგორიულად უარყოფილია უნდა იქნეს. ასევე არავითარი საბუთი არა გვაქვს ჯერჯერობით იმისა, რომ ოპერა „დემონის“ ავტორი — კომპოზიტორ ანტონ რუბინშტეინის დედა „კალერია ქრისტოფორეს ასული ლევინტეინი“ ქართველად ჩავთვალოთ.

გარდა ამისა, ავტორი წერს, რომ მ. ვორკის და ვ. შალიაინის მეგობრობა „თბილისში ჩაოსახა“ (გვ. 272) და ამის დამამტკიცებლად 304 სქოლიოში იმოწმებს ლევ ნიკოლაინის ცნობილ წიგნს „Люди русского искусства“. მაგრამ ამ წიგნში სრულიად გარკვევით წერია: „Горький работает в депо Закавказских железных дорог, Шалиян — перешихник в бухгалтерском отделении управления Закавказских дорог. Но они друг друга не знают“ (გვ. 8). ცნობილია, რომ მ. ვორკიმ და ვ. შალიაინმა პირველად ერთმანეთი გაიცნეს 1897 წელს ქალაქ ნიენი-ნოებოგროდში.

თავი „თბილისის ოპერის თეატრის პირველი ქართული თანაშრომლები მე-19 საუკუნეში“ (გვ. 330 — 332) მებრად საინტერესოა სისოპებს რეაქციის, სამწუხაროდ, აქ მტკიცად იმტკიცების მომდევნო აღრინდელ მუშაეს“. უფრო ტექნიკური დარგის მუშაეს, ეხება მხოლოდ. ესენი არიან გრიშის ოსტატები — გრიგოლ გიორგობიანი, ივანე მზეიძე (რომელიც თბილისის საოპერო თეატრში მუშაობდა 1866 წლიდან 1928 წლამდე საგრიშორო სახელსისნის გამგედ და გრაზიოზარდ), დავით ამირჯანი, ნიკოლოზ ჭათამაძე და სხვ. კარგი იქნებოდა ნაშრომის ავტორის ამევე თავში მოეცა ცნობები მე-19 საუკუნის ქართული მომღერლებისა და მუსიკოსების შესახებ. მაგალითად, ვინ იყო ტენორი ბერიძე, რომელიც ჯერ კიდევ 1869 და 1874 წლებში გამოდიოდა თბილისში, ლირიკული ტენორი ნ. მ. ჯორჯაძე, რომლის შესახებ ავტორი მებრად შეევეცოლ ცნობებს იძლევა (მღეროდა 1871 — 73 წლებში, გარდაიცვალა 1873 წელს). ქართული მეთხიხევი არ შეიძლება აგრეთვე არ დაინტერესდეს, თუ ვინ იყვნენ წიგნში მოხსენებული ვასილ გეგეძე, მ. გ. ძნელაძე, გ. გ. შაბაშელი, დიდაშვილი, ქლენტი, აბელიშვილი, დ. კ. გედევანიშვილი და მრავალი სხვა ქართული მომღერალი. საჭირო იყო მებრე ცნობები მოეცა ავტორის ისეთი განმტმული ქართული ვოკალისტების შესახებ, როგორც იყვნენ დრამატული ტენორი პ. მ. კაკაბაძე, სოპრანო თ. გ. რჩეულიშვილი, სოპრანო მ. ა. დიდებელიძე, ბარიტონი კაზიპირ ცხომელიძე, კოლორ. სოპრანო ელენე თარხნიშვილი, ბარიტონი ნიკოლოზ გედევანიშვილი (სვეერსკი), კომპოზიტორი ა. ჭილაშვილი და სხვ. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი მუსიკოსმოდენები შეუდგებიან ამ მიეწყებული ვოკალისტ-მუსიკოსების ცხოვრებისა და მოღეეეობის შესწავლას.

ნაშრომის თავში — პირველი ქართული მუსიკალური სპექტაკლები და პირველი ქართული მომღერლები“ (გვ. 332 — 339) ავტორი პირველ ქართულ მუსიკალურ სპექტაკლად მიიჩნევს ოფენბახის ოპერეტას „მეჯლისი იტალიელებთან“, რომელიც 1882 წლის 24 ნოემბერს დიდეა ქართულმა დრამატულმა დასმა. ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ მკეთ საფაროვა, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი და სხვ. ვაზ. „დროება“ წერდა: „ოპერეტა ქართულს ენაზე?.. ეს ისეთი უჩვეული იყო ქართული ცაცი ყურისათვის, რომ ბევრნი ღლილით დიდაცივით წარმოსტამდნენ ამ სიტყვებს“. პირველი ქართული მომღერალი ფილიმონ ჭორაძე 1880 — 1883 წლებში თბილისის საოპერო თეატრში დიდი წარმატებით ასრულებდა ივან სუსანიის, გუდალის („დემონი“), დონ-ბაზილიოს („სველილეო დიდაძე“) და სხვა პარტიებს.

1886 წლის 15 ნოემბერს ჩატარდა ლადო ილინაშვილის გუნდის პირველი კონცერტი, „ზორცის ისხამდა ერთგულთა ოპერის“ შექმნის იდეა“, წერს ავტორი და მართლაც, ვაზ. „ივერია“ სათლად გამოთქვა აზრი მუსიკის და პოეზიის (ტექსტის) „ბედნიერად შექსოვის“ შესახებ: „ნუ თუ კარგი არ იქნებოდა, რომ ჩვენმა დრამატულიმა დასმა ეს ახალი საქმე ზორითი გაღმა ქართლის ხმებისა ზედ გადაბას წარმოდგენება“ (1886 წ.). ამ სიტყვების მოცემული იდეა „ზინგშილის“ მაგვარი წარმოდგენების შექმნისა, რაც თავის დროზე მოცარტმა განახორციელა გერმანიაში. მაგრამ ქართული ოპერის დანადგმა უფრო გვიან მოხდა, „ქართული ორგინალური ოპერის საძირკველი მელიტონ ბალანჩივადის სახელს უკავშირდება“, წერს ავტორი. 1897 წლის 20 დეკემბერს პეტერბურგის „კეთილშობილთა საკრებულოს“ დარბაზში დადგეს მ. ბალანჩივადის ოპერა „თამარ ციხის“ ნაწყვეტები. 1898 წლის 27 მაისს იგი განხორციელდა თბილისის ქართულ თეატრში, ზოლო იმვე წლის 4 ივნისს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე დადგეს. ასე ჩაეყარა საძირკველი ქართულ ორგინალურ ოპერას. მაგრამ, „ვიდრე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება არ დაემყარა, „თამარ ციხის“ დასრულება და დადგმა არ ეღირსა“ (ცვ. 345).

ნიკო ქართველშვილი და ივანე ფალიაშვილი — პირველი ქართველი დირიჟორები იყვნენ. ზაქ. ფალიაშვილიც „მოთელ რიგ წელთა მანძილზე დირიჟორობდა სხვადასხვა სიმფონიურ კონცერტებს და ოპერებსაც“ (ცვ. 350). 1901 წელს პირველად გამოვიდა თბილისის ოპერის სცენაზე ოლღა ბახტუაშვილი (1876 — 1957), რომლის შესახებ „ცნობის ფურცელი“ წერდა: „შვენიერი სოპრანო აქვს, ძლიერისა და მასთან სასამოვნო ტემპისა“. ავტორი საინტერესოდ მოვიკითხობს პეტერბურგიდან დაბრუნებული ვანო სარაჯიშვილის პირველ გასტროლებს თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე 1906 წელს (ცვ. 355 — 358). 27 წლის ვანოს გამოხატვები მართლაც ვოკალური ხელოვნების ზეიმი იყო. იტალიაში ორი წლის მევადინობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ვანო სარაჯიშვილი 1908 წლის შემოდგომაზე ისევ გამოვიდა მშობლიური თეატრის სცენაზე (ცვ. 367 — 369).

განსაკუთრებული ყურადღებით იხილავს ავტორი რუსეთის და უცხო ქვეყნების გასტროლოგიების ჩამოსვლას ჩვენს დედაქალაქში. ამ საკითხს ავტორი უძღვრის სპეციალურ თავს (ცვ. 433 — 500), სადაც ეგება თითქმის ყველა გასტროლოგის, მუსიკოსის ან ვოკალისტს, რომლებიც კი თბილისში ჩამოსულან 1845 წლიდან 1921 წლამდე. მართლაც, ამ მხრივ თბილისის სცენას შეუძლია იამაყოს. სამართლად

ნად წერს საოპერო ხელოვნების ცნობილ მკვლევარ მობ. ლევი თბილისის შესახებ: „Этот был город крупный в культурном сезоне, одна из центров оперной деятельности, стягивавший к себе крупнейшие артистические силы“.

ზოგი ამ გასტროლოგის შესახებ ავტორს შეეძლო მეტი ცნობების მოტანა. მაგალითად, გამოჩენილი მომღერალი ქალი დეზრე-არტო მხოლოდ თბილი სტრუქციონით არის ნახსენები (ცვ. 161), დეზრე-არტო მ. ჩაიკოვსკის უახლოესი მეგობარი და პოლინა ვიარდო გარსიას მოწვევ იყო. მისი გასტროლები 1879 წელს თბილისში ესპანელი ბარიტონის — მარიაო პაღლიასთან ერთად უთოდ ხელოვნების ზეიმი იქნებოდა. ფრანგი მუსიკოსის ანა ვიუდელის სიმღერით თავის დროზე მოხიბული იყვნენ ნ. ნეკრასოვი და მობ. შჩედრინი. კ. სტანისლავსკი აღტაცებით წერდა ვიუდელის შესახებ: „Замечательная артистка“. სამწუხაროდ, ნაშრომის ავტორი მხოლოდ იმის აღნიშვნით კმაყოფილდება, რომ „ვიუდელის თბილისში დიდ წარმატება ჰქონდა“ (ცვ. 222). სახელგანთქმული იტალიელი ტენორი ანჯელო მაზინო (რომლის შესახებ შალიაშვილი წერდა: „Такого пения я не слышала никогда больше. Но он умел играть столь же великолепно“), თითქმის 50 წლისა იყო, როდესაც 1895 წელს თბილისში ჩატარა რამდენიმე კონცერტი. ამიტომ ეხება, რომ მისი ხმა ისეთი აღარ იქნებოდა, როგორც ახალგაზრდობაში. მიუხედავად ამისა, ვაზ. „ივერია“ მაინც წერდა მაზინის შესახებ „ისე გვეგონებათ ვნებით აღსავსე „მოკიცივე ბულბული“ გალობს“. ამიტომ რა შუაშია აქ თბილისის მუსიკალური კრიტიკის პრინციპულობა, მით უფრო ვახეთ „კავკასია“!

ახლანდელ საოპერო თეატრის შენობას, რომელიც რუსთაველის პრისკეტს ამშვენებს, შეფის მთავრობა 16 წლის განმავლობაში აშენებდა და, როგორც იქნა, 1896 წლის 3 ნოემბერს გაიხსნა აქ საოპერო სეზონი. პირველი მსოფლიო ომის წინ ამ თეატრში სამი ბრწყინვალე სეზონი ჩატარდა ივანე ფალიაშვილის ხელმძღვანელობით (1911 — 1914 წლები). ეს იყო ჩვენი საოპერო თეატრის ღირსშესანიშნავი დრო, როდესაც მღეროდნენ ვანო სარაჯიშვილი, ელენე თარხნიშვილი, ტ. საბანვევათ, ორდა, მ. აღეშო, ო. ბახტუაშვილი, ე. ვარინსკი, ე. ოლხოვსკი და სხვ.

ნაშრომის უკანასკნელ თავებს ავტორი უძღვნის ქართული ოპერების — ოქმულება შოთა რუსთაველზე, „ახესალომ და ეთერი“ და „ქეთო და კობე“ — პირველ დადგმებს (ცვ. 413 — 423). „დიმტრი არაქვიშვილი და ზაქარია ფალიაშვილია ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუ-

კამდე დაასრულეს თავიანთი ოპერების წერა — წერს ავტორი (ვ. 429). და მართლაც, დ. არაქიშვილის ოპერის — „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ნაწევრებში ჯერ კიდევ 1913 წელს შესრულდა, მთლიანად კი მხოლოდ 1919 წლის 5 თებერვალს დაიდგა. ზაქ. ფალიაშვილის ოპერა „ამესალომ და ეთერის“ ნაწევრების შესწავლას ვ. სარაჯიშვილი და ს. ინაშვილი ჯერ კიდევ 1912 წელს შეუდგნენ, მაგრამ მხოლოდ 1919 წლის 21 თებერვალს განხორციელდა მთლიანად ოპერის დადგმა. სამართლიანად წერს ავტორი, რომ „ა. ა. ბახტაშვილი — შულგინამ, სანდრო ინაშვილმა და ვანო სარაჯიშვილმა შექმნეს ამ ოპერაში მარად ღირსსახსოვარი სცენური სახეები, რაც საუკეთესო ტრადიციად გადმოვიტოვებოდა შეგდევ თაობას“ (ვ. 421). ვ. დობისის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“ კი პირველად დაიდგა 1919 წლის 11 დეკემბერს. მაგრამ ქართული საოპერო კულტურის სრული განვითარება და გაფურცქნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მოხდა, როდესაც ყოველგვარი პირობები შეიქმნა ეროვნული კულტურის ნამდვილი აყვავებისათვის.

რამდენიმე შენიშვნა თბილისში დადგმული ოპერებისა და ოპერეტების სიის შესახებ, რომელიც დართული აქვს წიგნს.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი წინასწარ გვაფრთხილებს, „როგო ოპერეტა ოპერის სიაში მოხედა, და — პირიქით“, მაინც გასაკვირველია, როგორ მოხედა ოპერების სიაში ზემეს

„ბოკაო“, დელინგერის „დონ სეზარ-ფანანან“, კ. ფოცხვერაშვილის „ვანო წამებული“, რფენ-ბაზის „სპარტელი ელენე“ და უკვე „სპარტელი უელმა“ („სპარტა ფაუსტის“ სილინისა და სისი, რომ მიუერთა ოპერეტების სიაში აღმოჩნდა იმ. მისი პასტორალი „ბასტიენი და ბასტიენა“). აქვეა შეივრებული ოპერა „Мининское дело“, მოსინის ოპერა „დეზერტირი“. ოპერეტა „პე-შას“ ავტორი სიდნი ჯონსი და არა სიდნი, და არც ჯონსონი, ცნობილი იოჰან შტრაუსის ვარდა იყო ოპერეტების კომპოზიტორი ოსკარ შტრაუსი, რომელსაც ეუთენის სიაში დასახელებული ოპერეტა „ელის ორიმტრიალინი“ („В БИХРЕ ВАНЕСА“), რაც არ არის გამოყოფილი. ოდრანის „ანატერის თვლი“ და „ლოყაფითელი ბუტინა“ ერთი და იგივე ოპერეტა. ესაა ცნობილი „მასკატა“. ცელერის „მარტინ მა-ლაროს მუშა“ დაიწერა 1894 წელს და, გაუგებარია, როგორ დაიდგა იგი თბილისში 1890 — 91 წლებში.

შ. კაშპაძის ნაშრომის გამოქვეყნებით გამოცემულმა „ხელოვნება“ სკიპრო და სანარგებლო საქმე გააყვია. სასურველია, რომ ასევე გულდასმით იქნეს განხორციელებული წიგნის მეორე ნაწილი, რომელშიც მოცემული იქნება საბჭოთა ხელისუფლების დროის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მდიდარი და საინტერესო ისტორია.

შალვა ალხაჯიშვილი.

ინოო ჩხეიძე, მოზონებანი

გამომცემლობა „ხელოვნება“. 1951.



ინოო ჩხეიძე ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემსახურებოდა თავდადებით ქართულ თეატრს. თეატრი, როგორც მოგონებების ავტორი აღიარებს, მისთვის მეორე ოჯახი, წმიდათაწმიდა ყოო, ქართული თეატრის რეალისტური სკოლის დროშა ნ. ჩხეიძეს ამჟამად უკირა ხელში და საბჭოთა ხალხმა სათანადოდ დაათვა კიდევაც მისი ღვაწლი. მშობლიური სცენის წინაშე დიდი დამსახურებისათვის 1925 წელს საბჭოთა მთავრობამ ნ. ჩხეიძეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდებით დააჯილდოვა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ იგი „ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებითა დაჯილდოვებული. ამჟამად ხანდაზმულობის გამო მსახიობი

ჩამოშორდა მისთვის საყვარელ სცენას და თვის მდიდარი თეატრალური გამოცდილება და განვლილი გზა საბჭოთა მკითხველს გავზიარა „მოგონებებში“, რომელიც გასულ წელს გამოქვეყნდა სახალხო არტისტ შალვა დადიანის რედაქტორობით და აღ. ბერთკაშვილის წინასიტყვაობით.

წიგნის პირველი თავი ეხება ნ. ჩხეიძის „ბავშვობას და პირველ ნაბიჯებს“. კარგად არის გადმოცემული ის ვაგეზო, სადაც ბავშვობა გაატარა მომავალმა დიდმა მსახიობმა. აგრეთვე საინტერესოა აღწერილი ნ. ჩხეიძის პირველი დებიუტი თეატრში. ავტორი დიდი სიყვარულით იხსენებს თავის პირველ მასწავლებლებს ეფემია და კოტე შესხებს, 15 წლის იყო ნუცა.

როდესაც პროფესიულ მსახიობთა რიგებში მოხვდა და ამ დროიდან მოულოდნელი ბევრ მსახიობს არ ღირსება ახეთი წარმატება, როგორც მას ხედა წილად.

დიდი მსახიობი ცხოვრებაში მეტისმეტად მორბილობული იყო, და ეს მოგონებებშიაუ ნათლად იგრძნობა. მოგონებების ავტორი უფრო თავის ამხანაგების თეატრალურ მოღვაწეობას მიმოიხილავს, ვიდრე თავის განვლილ ვაჟს.

დიდი ინტერესით იკითხება წიგნის მეორე თავი, სადაც აღწერილია ნ. ჩხეიძის დებილიტიზაციის თეატრში. ძველ დროს ბევრი გაუბნობდა თეატრში შემოიხილას, რადგან ძველი ავტორის მუშაის მდომივი თანამგზავრი გაქირავება და შიმშილ-წყურელი იყო. ქალთა პარსონალის კი ზომ ისეთი ნაკლებობა იყო, რომ 15 წლის გოგონას ნუკას შეჭსპირის „ოტელიოში“ ემილიას როლი დააკისრეს, რის დაძლევაც ნუკას შამინ, რასაკვირველია, გაუძნელდებოდა.

დიდი მოწონებით იგონებს ავტორი შეხვედრებს დიდ ილიასთან, ილიას მუდღუნესთან და შწერალ ვატირინე გაბაშვილთან, აგრეთვე იგონებს პოეტ რაფიელ ერისთავის იტბილეს.

შემდეგი თავი ეხება ნუკას საყვარელი მსწავლებლის ლაშო მესხიშვილის მოღვაწეობას და იმ დიდ ამავს, რომელიც ლაშომ დასდო ქართულ თეატრს და თავის საყვარელ მოწაფეებს.

ყურადღებებს იქცევს ის გარემოება, რომ მოგონებების ავტორი ჩვენი თეატრის კორიფეჯბთან ერთად ავეიწერს სცენის იმ პატარა მუშაელების ცხოვრებასაც, რომლებიც ხალხისათვის სრულად უჩინარი იყვნენ, მაგრამ თავდადებით ვმსახურებოდნენ თავიანთ საქმეს. ამ მუშაეების პორტრეტების დახატვისას, ავტორი მათდამი დიდ სიყვარულს და პატივისცემას აქვს აქვს. ისეთი მუშაეების რიგს ეკუთვნოდა მსახიობი გრიგოლია, სცენის დურგალი და შემწანე ონისიძე დადიანი, სერგო ჭელიძე, ნიკოლოზ ქათაშაძე, აფხაზების გამყვარელი არტემა, შუბა და სხვ. არ შეიძლება მკითხველმა გულგრილად წაიკითხოს თეატრის პატარა მუშაეის ივანე ნაჭყვიას ამბავი. „ეს იყო სცენის დაჯიჯი. — მოკითხრობს ავტორი, — ყურ ადამიანი. მისი საქმე იყო მხოლოდ სცენის სისუფთავე. სცენის დაჯიჯობა. ესეც დაბერდა თეატრში, დაბერდა მდინად, რომ უკვე ღონე აღარა ჰქონდა სისუფთავე დაეცა. იმდენად გამოჩნებდა, რომ აღარაფერი ესმოდა, თეატრს კი ვერ მოაშორეს. როდესაც გამკვობის ხაზინადარმა ალ. დარასველიძემ უთხრა სხვა დაჯიჯი უნდა მოეყვანათო, ივანემ ცოცხს წამოაგლო ხელი და დარტყმა მოუწოდოდა. „როგორ? ჩემსავით ვის უყვარს

თეატრი? ვინ მოუვლის ისე, როგორც მე?.. დაავადმყოფდა, საავადმყოფოში წაიყვანეს, გამოიქცა იქიდან. ბოლოს შეატრინინეს მის ნათესაეებს მიეხედნათ მოხუციანობის... ჩხეიძე იქნა დაითანხმეს მოხუცი და წაიყვანეს ნათესაეებმა, მაგრამ არ ვასულა ერთი თვე, რომ ივანე ისევე თეატრში გამოჩნდა. — „რა ამბავია, ივანე? რად ჩამოხველი? არ მოვიარეს?“ — „რა, არ შემძლია“. — „რა არ შევიძლია?“ — „უთუ-ატროდ ცხოვრება, აქ უნდა მოვეკლეო“. და მართლაც თეატრში მოვედა ჩვენი ივანე“ (გვ. 49).

მოგონებანი სავსეა ასეთი გულმომილი სტრიქონებით, რაც მის ღირებულებას უფროდ აძლიერებს.

კარგად არის გადმოცემული ავტორის მიერ, თუ ძველად რა გოგოხუბურ პირობებში უხდებოდათ მსახიობებს ამა თუ იმ პიესის მოშადება და დაღვმა, ორი—სამი რეპერტიციით დგამდნენ კლასიკურ პიესებს და ხშირად სუფლიორის უნარზე იყო დამოკიდებული სპექტაკლის მარცხი თუ გამარჯვება.

ნ. ჩხეიძის თეატრალური მოღვაწეობა უშთავრესად თბილისსა და ქუთაისში მიმდინარეობდა, მაგრამ იგი ხშირი სტუმარი იყო აგრეთვე საქართველოს რაიონებისა. ავტორი დეტალურად აღწერს დრამატული დასების მოგზაურობას კიათურასა და სხვა რაიონებში.

ნ. ჩხეიძის მოგონებანი ძვირფას მასალას შეიცავს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმუშაოს მსახიობმა როლის განსახიერებაზე. ამ მხრე ნ. ჩხეიძის სცენური გამოკიდობა დიდ სარგებლობას მოტანს ჩვენს სცენის ახალგაზრდა მუშაეებს. მოგონებებში რელიეფურად არის ნაჩვენები მსახიობის გზა სათეატრო კულტურის მწვერვალების დაპყრობისა, წინსვლისა და გამარჯვებიდან გამარჯვებამდე განვითარებისა. თავისთავზე ბეჯითი და სისტემური მუშაობა, პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება— რას ასწავლის ეს საინტერესო მოგონება ჩვენი სცენის ახალგაზრდა მუშაეებს, რომლებსაც დღეს მუშაობის ისეთი პირობები აქვთ, რაც ძველ დროში დიდ მსახიობსაც კი არ დაეისწარებოდა.

მეტად საინტერესოდ არის აღწერილი ალ. სემბათიაშვილის პიესის „ლალიტი“ პირველი დაღვმა და ამის გარშემო შექმნილი პოლემიკა, რამაც იძულებული გახადა ნუკა დაისდინა გასულიყო. წიგნის ეს თავი ამჟღავნებს და უფელასათვის ნათელს ხდის ნუკას პრინციპულობას და თავისი პირველი მსწავლებლის—უფემია მესხისადმი პატივისცემას.

დიდი სიყვარულით ავეიწერს ავტორი ქართული თეატრის რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის მოღვაწეობას საბჭოთა საქართვე-

ლოში, წიგნის ბოლო თავი ეხება ჩვენი სცენის თვალსაზრისით მოღვაწეებს კოტე მესხს, ლალო მესხიშვილს, მაკო საფაროვა—აბაშიძეს, ვალერიან გუნიას და შალვა დადიანს.

საერთოდ წიგნი დიდი ინტერესით იკითხება, შხოლოდ დასაინათ, რომ მოგონებანი შეტად შეკვეცილია და თვითონ ნ. ჩხეიძის თეატრალური მოღვაწეობა ნახევარი საუკუნის მანძილზე ვრცლად არ არის გაშლებული.

წიგნი გამოცემულია ცუდად, უშერულოდ და

უგემოვნოდ. გამოცემლობა „ბელგენეას“ მეტი ყურადღება უნდა მიექცია წიგნის გარეგნული გაფორმებისათვის.

ნ. ჩხეიძის „მოგონებანი“ შექმნილია სასარგებლო მასალად გამოადგება ჩვენი თეატრის ისტორიკოსებს. ვარა ამისა, ამ წიგნს სიამოვნებით წაიკითხავს ყველა, ვინც კი დაინტერესებულია ქართული თეატრის ისტორიით.

კ. რატიშვილი.

ლიტერატურული ძიებანი, 7, 1951

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პერიოდული ორგანოს მორიგ—შეშვიდე—ტომში, პირველ რიგში, მოთავსებულია წერილები ი. სტალინის საერთაშორისო ნაშრომების შესახებ, მეორე მხრით, განხილულია თანამედროვე ქართული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი წარმომადგენლის შემოქმედება, მესამე მხრით, წარმოდგენილია ძველი ქართული მწერლობა, განსაკუთრებით აღსანიშნავია წერილები ეფესოსტაჟისის ვარშემო, მეოთხე მხრით, გამოქვეყნებულია ნაშრომები ქართული ზეპირსიტყვიერებიდან. ტომს ერთვის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილება.

სარეცენზო ტომი იხსნება შალვა რადიანის წერილით—„ამხანაგ სტალინის საერთაშორისო წერილები და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში“, რომელიც 1951 წლის თებერვალს მოხსენდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. წერილში ზოგადად შეჯამებულია ის მუშაობა, რომელიც ჩატარებულია საბჭოთა საქართველოში როგორც ქართული კლასიკური შემეყიდროების, ისე თანამედროვე მწერლობის შესწავლის დარგში. ამხანაგ სტალინის საერთაშორისო ნაშრომებთან დაკავშირებით ავტორი წერს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ღვაწლზე ქართული სალიტერატურო ენის შექმნის საქმეში და, ამავე დროს, აკრიტიკებს ზოგიერთ თანამედროვე ქართველ მწერალს ენობრივად.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ლევან

ასათიანის წერილი — „ი. ბ. სტალინის აღრიწეული, ქართულად დაწერილი ნაშრომების ენა და სტილი“. ლევ. ასათიანის ეს წერილი ეხება რამდენიმე საკითხს, დაკავშირებულს ი. სტალინის აღრიწეული ნაშრომების ენასა და სტილს თავისებურებასთან. ჩვენ ეხებოდა, როგორ ზრუნავდა ამხანაგი სტალინი ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის, ქართული ენის ხალხურობისა, სისადავისა და სიკბადისათვის. დიდი ბეღადის აღრიწეული ნაშრომებში ვამჩნევთ სწორედ ამ ტენდენციას—ხალხისათვის ვასაგებო, უბრალო ენა იმავე დროს გამოირჩეოდეს მაღალი ლიტერატურული დონით, გამდიდრებულა იყოს პოეტური სახეებით, მხატვრული შედარებებითა და ეპითეტებით. ამხანაგ სტალინის ენის ხალხურობის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს მისი სიბალოვე ცოცხალ სასაუბრო ენასთან, მისი სიმდიდრე ხალხური გამოთქმებით, ანდაზებით, ფრთოვანი სიტყვებით. წერილში მოტანილია საგულისხმო მაგალითები, საიდანაც ნათლად ჩანს, როგორი სიმბავილით მიუთითებდა ი. სტალინი ენობრივი დამახინჯებების კონკრეტულ მაგალითებზე, ასწორებდა, კერძოდ, მენშევიკური კალმონების შეცდომებს და მოთხოვდა აზრის გამოთქმას მკაფიოდ, სხარტად და ქართული ენის ბუნებისათვის შესაფერის კონსტრუქციებით. ამ მხრივ სანიშნულო და სიმაგალითოა თვით ბეღადის ბრწინებულ ნაშრომის ენა და სტილი.

ყურადღებას იმეორებს სერგი ჭილაის ნაშრომი „ქართული საბჭოთა მწერლების ზოგიერთი

საქიბი ენათმეცნიერების სტალინური მოძღვრების მიხედვით", ავტორი უშთავრესად აკრიტიკებს მე-20 საუკუნის ზოგიერთ მწერალს ენობრივი თვალსაზრისით და შეუპოვებლად მთელ რიგ დამახინჯებებზე, რომელთაც ჰქონდათ და აქვთ ადგილი ჩვენს მწერლობაში როგორც გაუმართლებელი არქაიზმების გამოყენების, ისე სალიტერატურო ენისათვის. შეუფერებელი პროვინციალიზმებისა და ბარბარისმების ხმაარების მხრივ. ს. კლიაია სამართლიანად აღნიშნავს, რომ კრიტიკულ შეფასებას იმსახურებს, ვერძოდ, ენობრივი პოზიცია ვასილ ბარნოვისა, რომელიც დამორბა ილია ქაჭკაძისა და საერთოდ ახალი თაობის სალიტერატურო ენის პოზიციებს, მართლაც, ბარნოვის რიტმული პროზა, რომელიც ავტორი იყო არქაულად ლექსიკონის მასალაზე, წარმოადგენდა ქართული ენის ბუნებრივი განვითარების გზიდან გადახვევას. ავტორი სავანგებოდ ჩერდება ქართული დეკადენტების არაბუნებრივ, ხელოვნურ ესაზე და მკაცრად აკრიტიკებს მათ ენობრივ პრაქტიკას. ავტორი ეხება თანამედროვე პროზის ენასაც.

გამორჩენილი საბჭოთა პროზაიკოსის—ლეო ქიაჩელის შემოქმედებას სარეცენზიო წიგნში შეიძლება დ. ბენაშვილის წერილი: "ტიპისა და ხასიათის პრობლემა ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში." ავტორი ლეო ქიაჩელის შემოქმედებას ორ პერიოდად ჰყოფს. ლეო ქიაჩელის რეკლემაციადელ შემოქმედებას განსახლებავდა მე-19 საუკუნის ქართული კრიტიკული რეალიზმი; როგორც შემოქმედის იგი ჩამოყალიბდა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. მწერალმა დიდი ხანია, რაც თავის შემოქმედებით მეთოდურ აქცია სოციალისტური რეალიზმი.

დ. ბენაშვილი ამასთანავე ეხება მწერლის მხატვრულ ენას. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მსჯელობა ამ ნაწილში არაკონკრეტულია, ზოგიერთ ავტორი არ იძლევა მწერლის ენის კონკრეტულ ანალიზს. ამითველს აბაფერს ეუბნება ფრაზები: „ლექსიკურ მასალას ისე, როგორც ვეღვა შემოქმედი, ლეო ქიაჩელიც იყენებს საშენ მასალად, იგი სინჯავს თითოეულ სიტყვას, როგორც ოქროს მამიბედი ჭვირვას ლითონს, არჩევს მას სიტყვათა ფონდიდან. სიტყვათა შეთანხმების წესები წინადადებაში და ენის მწყობრი გააზრება მწერლის ხელთ იქცევა დიალოგებისა და მონოლოგების ჩამოყალიბების მძლავრ იარაღად" და ა. შ. მხოლოდ ერთგან იმომეებს ავტორი კონკრეტულ მასალას და იმასაც არასწორად. 166-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ მწერალი ზოგჯერ არღვევს ქართული ენის სინტაქსს, და დასახელებულია მგავ-

ლითი: „მამა არა ჰყავს ვანიას... ვარჯი გულზეა იყო, პრობორი ვრქვა. სანამ ცოცხალი იყო, ვანია სკოლაში დაუდიოდა". ეს სინტაქსური დარღვევა აქ? მიუხედავად ამ მწიფე ნაწილისა, დ. ბენაშვილის ნაშრომი უთუოდ საყურადღებო გამოკვლევაა.

კრებულში წარმოდგენილია სამი რუსთველილოგიური შრომა (ალ. ბარამიძისა, გ. იმედაშვილისა და თ. ჯეონიასის).

ალ. ბარამიძის ვრცელი და შინაარსიანი ნაშრომი — „ვეფხისტყაოსნის პოეტრიკის საკითხები" მიზნად ისახავს ვეფხისტყაოსნის პოეტრიკის პრინციპული საკითხებისა და წამყვანი ტენდენციების ძიებას. სარეცენზიო ნაშრომი ვეფხისტყაოსნის პოეტატიკური ენის, პოეტატიკური სტილის შესწავლის დარგში საფუძვლიანი გამოკვლევაა. პროფ. ბარამიძის გამოკვლევებს უმთავრესი ღირსება ისაა, რომ ავტორს რუსთაველის პოეტატიკური სტილის ანალიზი აინტერესებს არა განყენებული ფორმალისტური ვარჯიშისათვის, არა მხოლოდ პოემის მხატვრული „ხერხების" გამოსარკვევად, არამედ ნაწარმოების იდეურ-მხატვრული შინაარსის ნათესავყოფად. პოემის პროლოგის ამ თვალსაზრისით გაანალიზების საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ კომპოზიციურად პროლოგი ერთი მხლიანი და განუყოფელი ნაწილია პოემისა, შინაარსობრივ-იდეურად მასთან შერწყმულ-შეხორციელებული. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, იმ დებულების გახსენება, რომ რუსთაველის შემოქმედებითს მეთოდში შერწყმულია რეალისტური და რომანტიკური საწყისები. ნაშრომში დიდძალი მასალის საფუძველზე დახასიათებულია პარალელიზმი, ეპითეტები, ალიტერაცია.

მხოლოდ ერთში ვერ დავთანხმებით ავტორს: პარალელიზმის შემთხვევები ვეფხისტყაოსანში არ შეიძლება მივიჩნიოთ მწერლის ინდივიდუალური სტილის ნიშანდობლივ მოვლენად. საანალიზო მავალითებიდან უნდა გამოიყოს ისეთი ნიმუშები, სადაც სინონიმურ წყვილში ერთი სიტყვა უცხოურია და მეორე — საეტიკური ლექსიკონის ეთონიმურება. ამ ტიპის პარალელიზმი ჩვენ სხვა ძეგლებშიც არაშეუიოთად გვხვდება, და ეს მოვლენა ახსნილია, როგორც ენაში გამომუშავებული ბუნებრივი ხერხი უცხოური სიტყვის დანერგვისა მიმღება ენის ლექსიკის სინამდვილეში. პროფ. ალ. ბარამიძე კი ამგვარ ფაქტებს სტილისტიკის თვალსაზრისით განიხილავს, რაც, ჩვენი აზრით, სარწმუნო არ არის.

გ. იმედაშვილის წერილში — „რუსთაველის ლომი და მზე" ნაჩვენებია, რომ რუსთაველის პოეტურ მეტაფორებში მხატვრულ ხერხთა შორის მზეს, როგორც მეტაფორული

გაზრების საშუალებას, განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, მასთანვე დაკავშირებულია ლომიც, რომელიც შეტყორღლი შემეცნების აქტიურ მასალად იქცევა. როგორც ირკვევა, მზისა და ლომის ურთიერთობა რუსთაველის მეტყველებაში შემთხვევითი პოეტური ხერხი არ არის, უფროდ საინტერესოა, რომ, მაგალითად, ლომის გამოხატულების ანალოგიური ნიშნები დამხვნილია ხეთურ-ბერძენულ სინამდვილეში, უნარტუს ხელოვნებაში და სხვაგან. ამასთან შინაგან კავშირში უნდა იყოს საკუთრივ ქართული სინამდვილის მასალაც: ლომის მოტივი გამართლებულია ქართული ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ტრადიციებითაც.

საყურადღებოა თ. ჭყონიას ნაშრომი — „ძმანდნაფიციუმის კულტი საქართველოში და ევფესისტყაოსანი“. ამ ნაშრომშიც ნათლყოფილია, რომ ევფესისტყაოსანის ძმანდნაფიციუმის კულტს საფუძველი აქვს ქართულ სინამდვილეს. ამავე დროს, რუსთაველმა ქართულ ძმანდნაფიციუმას მათშირა კუთხური შეზღუდულობის მიჩვენებული რიტუალი და მას ზოგადანაციონალური მნიშვნელობა მისცა.

ჩვენი ძველი მწერლობის გამოჩენილი მკვლევარი კონს. კვეციანიც სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია ნაშრომით — „მთარგმნელობითი მეოთხედი ძველქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“. სტატიაში მდიდარი მასალის საფუძველზე ნაჩვენებია ძველი ქართული მთარგმნელობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. კ. კვეციანის ნაშრომში კარგად არის ნაჩვენები, როგორ შესძლო ქართველთა მხატვრულმა გენიამ¹ ნათარგმნი თხზულების ვადადნობა ეროვნული შემოქმედების ბრძმედში და თავისი მიზნებისათვის გამოიყენება, ასეთ თხზულებებში „მთარგმნელებს“ შექმონდათ ეროვნული ქართული სული, ეროვნული იდეოლოგია, ქართული ზნე-ჩვეულებანი და ადათები. მკვლევარის დასკვნით, ასეთი მთარგმნები შევიძლია თავისებურ ქართულ ფორსიად თუ რედაქციად ჩაეთვალოთ და ქართული ლიტერატურის ძველად ვაღიაროთ.

ქართული ზეპირსიტყვიერების, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა ზეპირსიტყვიერების, საყვარელი სახეებია ლენინი და სტალინი. არა ერთი და ორი ხალხური ლექსი გამოხატავს უსაზღვრო სიყვარულს დიდი ბელადებისადმი, რომელთაც ბედნიერება მოტანანს მშრომელ ხალხს და რომელთა ხსენლებთანაც დაკავშირებულია არნახული გამარჯვებები სოციალისტური ცხოვრების ყოველ უბანზე.

საბჭოთა პარტიოტიზმისა და სოციალისტური სიფლის მწერნეობის ასახვას ქართულ ზე-

პირსიტყვიერებაში მივძღვნება ქს. სიხარულიძესა და ელ. ვირსალაძის სტატიები, რომლებიც დაფუძნებულია იმ მდიდარ მასალაზე, რომელიც მოპოვებულია რუსთაველის ინსტიტუტის ფოლკლორ ლი ექსპედიციების შედეგად ამ უანასკნელ წლებში.

მის, ჩიქოვანი თავის წერილში — „თანამედროვე ზეპირსიტყვიერების ზოგიერთი საკითხი“ ეხება ხალხური პოეზიის განვითარების პერიოდებს, აკრიტიკებს ფოლკლორის კვლევის თეორიას, ვრცლად მიმოიხილავს პოეტის პერსონიფიკაციის პროცესს ხალხურ პოეზიაში და ავტორის პრობლემას თანამედროვე ფოლკლორში, განსაკუთრებით აღსანიშნავია თავი — „ი. სტალინის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ და საბჭოთა ფოლკლორისტიკა“.

ქართული ზეპირსიტყვიერების მდიდარი უბანია მესტვარული პოეზია, რომელიც საგანგებო შესწავლის ღირსად დღემდის არავის გაუხდია. ამ ცანავას მონოგრაფიული ნაშრომის ერთი ნაწილი, რომელიც გამოქვეყნებულია სარეცენზიო წიგნში, შეეხება მესტვარეობის ისტორიას საქართველოში. ნაშრომი დაფუძნებულია მდიდარ ექსპედიციურ მასალაზე, რომელიც უშთავრესად მოპოვებულია ავტორის მიერ.

ასევე საყურადღებოა თ. ოქროშიძის წერილი აკაკის „კრებულის“ შესახებ. აკაკი წერეთლის „კრებული“ უადრესად საინტერესო და, ამავე დროს, თავისებური მოვლენაა ქართული ეურნალისტიკის ისტორიაში. საესებით მართალია თ. ოქროშიძე, როდესაც ამბობს, რომ „კრებულის“ გამოცემის ისტორიას ვერ გავიგებთ, თუ არ გავითვალისწინებთ პოეტის დამოკიდებულება ეროვნული ზეპირსიტყვიერებისადმი. და მართლაც, „კრებულის“ გამოცემის ერთ-ერთი მძლავრი სტიმული სწორედ ზეპირსიტყვიერება იყო. მე-19 საუკ. მეორე ნახევარი ცნობილია ხალხური პოეზიის სისტემატური შეკრების პერიოდად.

სარეცენზიო წერილში დახასიათებულია დიდი ამაგი, რომელიც დასდო აკაკი წერეთელმა ზეპირსიტყვიერების ნიმუშების სისტემატური წესით შეგროვებისა და გამოიშვებების დიდ ეროვნულ საქმეს. ამასვე მოთხოვდა აბლო ქართული ლიტერატურული ენის შენების ინტერესებიც, როგორც წერილში აღნიშნულია, „კრებულში“ დაიბეჭდა 50 ზღაპარი, 400-მდე ლექსი, 700-მდე ანდაზა, 300-მდე გამოცანა, 30-მდე ლევენდა-თქმულება, 15-მდე შელოცვა, 10-მდე საგმირო ეპოსი (ამირანინი, როსტომინი, ხალხური ეფესისტყაოსანი), ზეგები, ენის გასატეხი და სხვა. ამ ციფრობრივი მონაცემებით თუ ნათლად ჩანს, რა მდიდარი მასალა გამოიშვენიება აკაკის „კრებულს“.

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში გარჩეულია გ. ლეონიძის „ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ („საბჭოთა მწერლის“ გამოცემა) და აღნიშნულია, რომ იგი მნიშვნელოვანი შენაძენია ძველი ქართული მწერლობის შესწავლის დარგში. ვერ დავეთანხმებით რეცენზენტს (ტრ. რუხაძეს), თაჩოას გ. ლეონიძის წიგნში მასალა რამდენადმე უსიტყვოდ იყოს დალაგებული. ზაზასეული ვეფხისტყაოსნის შესახებ გამოკვლევა თავში უნდა დახვედრილიყო და მას მოჰყოლოდა სხვა გამოკვლევები, შენიშნავს რეცენზენტი (გვ. 343). ეს მოთხოვნილება უმართებულოა: გ. ლეონიძე ბოლოსიტყვაობაში საგანგებოდ შენიშნავს, რომ „წინამდებარე პირველ ტომში მოთავსებულია მონოგრაფიული გამოკვლევები მე-17 — 18 ს.ს. ქართულ მწერალთა შესახებ; დამატების სახით აქვე იბეჭდება წერილი ვეფხისტყაოსნის ზაზასეული ხელნაწერის გარშემო“. აქედან გასაგებია, რომ ავტორს სავსებით შეგნებულად, ვარკვეული მოსაზრების გამო არ დაუტევს კრიტიკოლოგიური წესი მასალის დალაგებაში. რეცენზენტი კი ამ დასაბუთებას ანგარიშს არ უწევს.

„საბჭოთა მწერლის“ მიერ 1950 წელს გამო-

ცემულ „ხალხურ პოეზიაში“ (რედ. ქორიბეი. გომიაშვილი და რ. ვეცტაძე) შეტანილია ცნობილი ლექსი „თუშთა, დეკონსა და ხალხურთა გლოვა ირაკლი მეორისა“. ზვი ხალხურ ლექსად გამოცხადებულია სხვა გამოცემებშიც. ზოგი ავტორი კი ამ ლექსს მიაწერს მე-18 საუკუნის ვასულისა და მე-19 საუკუნის დამდეგის პოეტს გოდერძი ფირალიშვილს. „ლიტერატურული ძიებანის“ სარეცენზიო ტომში მიხ. ჩიქოვანს მოაქვს ახალი მასალა იმის დასადასტურებლად, რომ „გლოვა“ ხალხური კი არ არის, არამედ დანამდვილებით გ. ფირალიშვილის მიერაა დაწერილი.

აქვე მოთავსებულია ილ. ბარამიძის ვრცელი რეცენზია ტ. რუხაძის წიგნზე — „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ „ლიტერატურული ძიებანის“ მე-7 ტომი საყურადღებო ნაშრომებს შეიცავს და მარვენებულია ნაყოფიერი მუშაობისა, რომელსაც აწარმოებს ქართული ლიტერატურის შესწავლის დარგში რუსთაველის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი.

შ. ოთა ძიძიგური

